



ყოველთვითი ლიცეიუმი –  
საჭირო განათლის ქურნალი

2015/6

**მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი**

მთ. რედაქტორის მოადგილები  
**ბალათერ არაბული**  
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი  
**ანდრო ბუაჩიძე**  
თამარ გელიტაშვილი  
**ელია მეტრეველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**ქეთევან მერკვილაძე**

გრაფიკული ილუსტრაციები  
**მარიამ გოგილიძესა**

---

გარეკანის პირველ და  
მეოთხე გვერდებზე:  
**ნიკო ფიროსმანი –**  
„არსენალის მთა ღამით“ და  
„ალექსანდრე მამუჩარაშვილის  
პორტრეტი“

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1  
ტელ.: 2-98-36-43

ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>

**სარედაქციო საბჭო**

**ანდრო ბედუკაძე**  
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი  
ნაირა ბეპიევი  
ლევან ბრეგაძე  
დავით თედორაძე  
ზვიად კვარაცხელია  
ესმა კოკოსკერია  
გიორგი ლობჟანიძე  
ავთანდილ ნიკოლეიშვილი  
ნინო სადლობელაშვილი  
თამაზ ტყემალაძე  
რეზო ჭეიშვილი  
თემურ ჭკუასელი  
ბესიკ ხარანაული

---

**ქურნალი გამოდის**  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
ფინანსურის მსარბაჭირით




# სარჩევი

<p><b>ფილოსოფის დაბუნება</b></p> <p>ოსიპ მანდელშტამი ცოტა რამ ქართულ ხელოვნებაზე. თარგმნა ელზა მეტრეველმა</p>	3	<p><b>ცენზურა და ლიტერატურა</b></p> <p>ანდრო ბუაჩიძე ცნობილი აკრძალული წიგნები</p>	104
<p><b>გია მარსაგიშვილი</b></p> <p>ნიკო ფიროსმანაშვილის ახლად დადგენილი ფერწერა და უცნობი დეტალები</p>	7	<p><b>ახალი თარგმანები</b></p> <p>თავადი ლოტრეამონი მალდორორის სიმღერები. თარგმნა მამუკა ცეცხლაძემ</p>	109
<p><b>პოეზია</b></p> <p>ქეთევან ნათელაძე ნინო ჭინჭარაული ზაზა სუყაშვილი</p>	15 20 23	<p><b>აფხაზი მწერალი</b></p> <p>„ცისარიში“ მიხაილ ლაკერბაი სტუმარი. თარგმნა მ. ასათიანმა</p>	133
<p><b>დრამატურგი</b></p> <p>გურამ ბათიაშვილი საბა. პიესა</p>	27	<p><b>„ცისარი“ აფხაზ მწერალი</b></p> <p>ტრისტან მახაური მიხაილ ლაკერბაის „სტუ- მარი“ და მისი ლიტერატუ- რულ-ფოლკლორული პარა- ლელები. აფხაზურად თარგმნა ირმა ოსიაშ</p>	137
<p><b>პოეზია</b></p> <p>თამუნა ლაფაური ირაკლი ვაშაყმაძე</p>	56 61	<p><b>რიგნები • რეცენზიები</b></p> <p>ზაზა აპიანიძე დაკარგული იდენტობის ძიებაში</p>	147
<p><b>„ჩამი ქვეყნისა დილება ძველი“...</b></p> <p>გიორგი ალიბეგაშვილი ათონის წმიდა მთის ქართველთა ლავრა</p>	64	<p><b>არტკევი</b></p> <p>მარიკა კახაძე</p>	155
<p><b>ესეისტიანი</b></p> <p>ნუგზარ ზაზანაშვილი სოფიალოგია დერუავის სამსახურში</p>	83	<p>ხიდი განსხვავებულ კულტურებს შორის</p>	
<p><b>„ცისარი“ – ბავშვებს</b></p> <p>აზა ბასლანიძე ლექსები</p> <p>ვასილ გულეური ზღაპარი და ლექსები</p> <p>გაგა ნახუცრიშვილი ორი ზღაპარი</p>	91 95 100	<hr/> <p>ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომრებზე: 591 20 25 40; 599 56 56 44; 591 30 75 09</p>	

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

## III

### განერაშამი



#### ცოტა რამ ქართულ ხელოვნებაზე

ოსიძ განდელშტამი (1891-1938) – XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი, ეძრაული წარმომავლობის, რუსი პოეტი. მისი ლექსები გერმანულ ენაზე თარგმნა ასევე დიდ პოეტად შერაცხილმა პაულ ცელანმა. ამან კიდევ უფრო ძლიერი ქარიზმა შემატა ოსიძ მანდელშტამის სახელს.

საქართველოში მანდელშტამი პირველად 1920 წელს ჩამოვიდა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ის ბედისნერამ გადმოისროლა – ყირიმში უკანდახეულმა ვრანგელის მხარდამჭერებმა დააკავეს, რაღაც ბოლშევიკების ჯაშუში ეგონათ. მას ჯერ დახვრეტას უპირებდნენ, მერე პარუაზე დასვეს და ბათუმისკენ გამოამგზავრეს. ბათუმში საპატიძროდან პოეტი ტიციან ტაბიძემ გამოიხსნა და თბილისისკენ გამოისტუმრა, ასე დაიწყო მისი მოგზაურობა ქართული კულტურის წილში.

მანდელშტამის მასპინძლები „ცისფერყანნელები“ იყვნენ. მათ აზიარეს ეს საოცარი პოეტი ქართულ ლიტერატურულ კლასიკასა და ხელოვნებას, ყოფასა და ხასიათს. ვაჟას შემოქმედებით შთაგონებულმა პოეტმა თარგმნა „გოგოთურ და აფშინა“. მეორედ მანდელშტამი საქართველოში 1930 წელს, მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა. მიუხედავად საქართველოსთან არცთუ ისე ხანგრძლივი ურთიერთობისა, მან ღრმად გაიზრა ქართული კულტურის თვითმყოფადი ხასიათი.

რუსულ პოეზიაში არსებობს ქართული ტრადიცია. როდესაც გასული ასწლეულის ჩვენი პოეტები საქართველოზე ლაპარაკობენ, მათი ხმა უჩვეულო ქალურ სირბილეს იქნეს და თვითონ ლექსიც როგორდაც რბილ, თითქოს ტენიან ატმოსფეროში იძირება:

На холмах Грузии лежит ночная мгла...\*

იქნებ, მთელ ქართულ პოეზიაშიც ვერ მოიძიოთ ორი ისეთი ლექსი, ისე ქართულად მთვრალი და სურნელოვანი, როგორც ლერმონტოვის ორი სტრიქონია:

Пену сладких вин

Сонный льет грузин.\*

უნდა გითხრათ, რომ რუსულ პოეზიაში გვაქვს ჩვენი საკუთარი ქართული მითი, პირველად პუშკინში რომ გაცხადდა –

Не пой, красавица, при мне  
Ты песен Грузии печальной! –\*

და ლერმონტოვმა რომ მითოლოგიად გადაამუშავა, მითოლოგიად, რომლის გულისგულია მითი თამარზე.

საინტერესოა, რომ ამ მითად, პოეზიის აღთქმულ ქვეყნად რუსული პოეზიისათვის იქცა არა სომხეთი, არამედ საქართველო.

საქართველომ აცდუნა რუსი პოეტები ერთგვარი ეროტიკით, სიყვარულის

\*საქართველოს მთებზე ლამის წყვდიადი ჩამოწვა (ა. პუშკინი).

\*ტებილ, აქაფებულ ღვინოს ასხამს მთვლემარე ქართველი.

\*ნუ მიმღერ, მშვენიერო, სევდიანი საქართველოს სიმღერებს.

ნიჭით – რაც დამახასიათებელია ეროვნული ხასიათისათვის, მსუბუქი თრობის უმანკო სულით, ერთგვარი მელანქოლიური და სანადიმო განწყობით, რომლითაც სავსეა ამ ხალხის სული და ისტორია. ქართული ეროვნი – აი, რა იზიდავდათ რუს პოეტებს. სხვისი სიყვარული ჩვენთვის მუდამ იყო საკუთარზე ძვირფასი და ახლობელი. საქართველომ კი დახაც იცოდა სიყვარული. მისი ძევლი ხელოვნება – მის ხუროთმოძღვართა, ფერმწერთა, პოეტების ოსტატობა – გაუღენთილია ნატიფი სიყვარულითა და გმირული სიფაქიზით.

დიახ, კულტურა მათრობელაა. ქართველები ღვინოს ვიწროყელიან, გრძელ ქვევრებში ინახავენ და მათ მინაში ფლავენ. სწორედ ეს არის ქართული კულტურის პირველსახე. მიწამ შემოინახა ამ ვიწროყელიანი ჭურჭლის ტრადიციული, ამავდროულად კეთილშობილური და მხატვრული ფორმა – სავსე დუღილითა და არომატით. ის, რაც არ ჩანს კულტურის ზედაპირზე – გარეგნულ ნიშნებში, არის სწორედ სული თრობისა, ნაყოფი იდუმალი შინაგანი დუღილისა: მიწაში ჩაფლული ღვინით სავსე ვიწროყელიანი ამფორა.

არასოდეს რუსულ კულტურას საქართველოსთვის თავს არ მოუხვევია თავისი ღირებულებები. ამ მხარის რუსიფიკაცია არასდროს გასცილებია ადმინისტრაციული ყოფის ფორმებს. გასული საუკუნის დასაწყისის რუსმა ადმინისტრატორებმა ვორონცოვ-დაშვილის მეთაურობით, რომლებმაც ამ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება დაამახინჯეს და საზოგადოება დათრგუნეს, ვერ შეძლეს, შეხებოდნენ ყოფიერებას და მას თავისდა უნებურად პატივს მიაგებდნენ, ხოლო საქართველოს კულტურულ რუსიფიკაციაზე ლაპარაკიც შეუძლებელი იყო. ამიტომაც საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური თვითგამორკვევა, მკვეთრად რომ გაიმიჯნა ორ პერიოდად – საქართველოს გასაბჭოებამდე და შემდეგ – ქარ-

თული კულტურისა და ხელოვნებისათვის უნდა ქცეულიყო საკუთარი თავისადმი ერთგულების გამოცდად და კულტურული რუსეთი, მთელი ასწლეულის განმავლობაში სიყვარულით რომ ადევნებდა თვალს საქართველოს, ახლა შემფოთებით შეყურებს ქვეყანას, რომელიც მზად არის, უღალატოს საკუთარ კულტურულ მოწოდებას. ქართული ხელოვნება თავისი არსით ყოველთვის აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული, თუმცა, იმავდროულად, საქართველო არასოდეს გათქვეფილა აღმოსავლეთში და მისგან მუდამ განცალკევებით იდგა.

ქართულ კულტურას მე ორნამენტული ტიპის კულტურებს მივაჟუთვნებდი. ამ ვებერთელა და დასრულებულ უცხო არქს რომ შემოფარგლავს, ის, უმთავრესად, შეიწოვს მის გარეგნულ სახეს, იმავდროულად კი თავგანწირვამდე ეწინააღმდეგება ძლიერი მეზობლების შინაგან მტრულ არსს.

დღეს საქართველოში ამონაკვნესად გაისმის კივილი: „შორს აღმოსავლეთისგან – დასავლეთისკენ! ჩვენ არ ვართ აზიელები – ჩვენ ევროპელები ვართ, პარიზელები!“ რაოდენ დიდია ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის გულუბრყვილობა! ტენდენცია – შორს აღმოსავლეთისგან! – ქართულ ხელოვნებაში ყოველთვის იყო, მაგრამ მისი გადაწყვეტა ხდებოდა არა უხეში ლოზუნგით, არამედ მაღალმხატვრული ფორმალური საშუალებებით.

შეიარეთ ტფილისის ფერწერის ეროვნულ მუზეუმში. თქვენ აქ იხილავთ მკაცრი პორტრეტების გრძელ მწკრივს – უმთავრესად ქალებისას – თავისი ტექნიკითა და ღრმად სტატიკური სიმშვიდით ძველ გერმანულ მხატვრობას რომ მოგაგონებთ. იმავდროულად ფორმის სიპრტყითა აღქმა და ხაზის კომპოზიცია (ხაზების რიტმი) სპარსული მინიატიურის ხერხებით სუნთქავენ. ხშირად ნახავთ ოქროსფერ ფონს და მდიდრულად მოქრულ ორნამენტს. უცნობ ფერწერთა

ეს ნამუშევრები – ეს არის ქართული ხელოვნების ნამდვილი გამარჯვება აღმოსავლეთზე და რა უსუსურია მათ წინაშე იოდესლაც პიკასოს მიერ დამტვრეული ვიოლინოს აცეკვებული ნაფოტები, რამაც ახალი ქართული ფერწერა დაიძყრო. ამ ვიოლინოსაც იგივე ბედი ერია, რაც ბერმონაზონთა თადღლითურ რელიკვიებს – ვიოლინო იყო ერთი, ის ერთხელ დაამტვრიეს, მაგრამ არ მოიძებნება ქალაქი, სადაც არ გიჩვენებენ ნამსხვრევებს – აი პიკასოს ნატეხი!

ენის სიცოცხლე გახსნილია ყველას-თვის, თითოეული ჩვენგანი ლაპარაკობს, მონაწილეობს ენის ყოფაში და ყოველი ნათქვამი სიტყვა ახალ კვალს ტოვებს მასზე. ფერწერის ენის განვითარებაზე დაკვირვების შესანიშნავ შესაძლებლობას გვაძლევს ფირნიშები, კერძოდ ტფილი-სური, ჩვენს თვალწინ რომ გადაიზრდება ფიროსმანაშვილის ყოვლისმომცველ ხელოვნებაში.

ნიკო ფიროსმანაშვილი ფირნიშების უბრალო, გაუნათლებელი მხატვარი იყო. ის მუშამბაზე, სამ ფერში წერდა – უანგმინით, მწვანე მიწით და ნახშირით (რუხი ფერის ყველა ვარიაციით). მისი დამკვეთები, ტფილისელი მედუქნები, საინტერესო სიუჟეტებს მოითხოვდნენ და ისიც გულს არავის წყვეტდა. ერთ-ერთ ნახატზე მისივე ხელით გაკეთებული მინაწერი ამოვიკითხე – „Шамиლ ის სვევი კარაული“ (ორთოგრაფიას ვიცავ). შეუძლებელია, ქედი არ მოუხარო მის „უწიგნურ“ (არაანატომიურ) ლომებს, შესანიშნავ აქლემებს, რომელთაც ზომებით სრულიად არ შეესაბამებიან ადამიანთა ფიგურები და კარვები და რომლებიც სიბრტყეს მხოლოდ ფერის ძალით ამარცხებენ. ფრანგებს რომ რაიმე სცოდნოდათ ფიროსმანაშვილის არსებობის შესახებ, საქართველოში ჩამოვიდოდნენ, რათა მისგან ფერწერა ესწავლათ. ისე კი, ამას მალე შეიტყობენ იმდენად, რამდენადც უყურადღებოდ მიტოვებული მისი ნახატები თითქმის მთლიანად უცხოეთშია გაზიდული.

თანამედროვე ქართული ხელოვნების კიდევ ერთი გამოვლინება – ევროპული ლირებულების მქონე – ეს არის პოეტი ვაჟა-ფშაველა. ის უკვე მრავალგზის გამოსცა „ნარკომპროსმა“ და ახალ საქართველოში ვაჟა-ფშაველას ერთგვარი კულტიც კი იქმნება, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რაოდენ მცირეა მისი უშუალო გავლენა ახალ ქართულ პოეზიაზე!.. ეს იყო სიტყვის ნამდვილი ქარიშხალი, მთელ საქართველოს რომ გადაუარა და ძირფესვიანად დათხარა ხეები.

მისი პოემების ხატოვანება, თავისი ლამის შუასაუკუნეობრივი სიდიადით, სტიქტურია. მათში ბობოქრობს ნივთიერი, ხელშესახები სამყარო, ყოფიერება. ყოველივე, რაზეც ის ლაპარაკობს, ძალაუნებურად იქცევა სახედ, ხატად, მაგრამ პოეტს სიტყვა ეცოტავება – იგი სიტყვას თითქოს ნაწილებად გლეჯს კბილებით, ფართოდ იყენებს უამისოდაც ვნებიანი ტემპერამენტის მქონე ქართულ ფონეტიკას.

ახალმა ქართულმა პოეზიამ ისე გადაიტანა ვაჟა-ფშაველა, როგორც გრიგალი და ახლა აღარ იცის, რა მოუხერხოს მის მემკვიდრეობას.

ამჟამად ქართულ პოეზიას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული ჯგუფი „ცის-ფერყანწელები“ – პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის ხელმძღვანელობით – რომლის რეზიდენციაც ტფილისშია. „ცისფერყანწელების“ საქართველოში ისე ეთაყვანებიან, როგორც შემოქმედებითი სფეროს უზენაეს მსაჯულთ, თუმც კი თავად ისინი ღმერთმა განსაჯოს. ფრანგული მოდერნიზმისადმი – თანაც რუსული თარგმანების, „სხვისი ხელის“ წაშველებით აღქმულის – მონური მორჩილებით აღზრდილი, ისინი ელაქუცებიან საკუთრ თავს და მკითხველს ბოდლერიანობაზე, არტურ რემბოსეულ გაბედულებასა და გამარტივებულ დემონიზმზე დაფუძნებული იაფფასიანი რიტორიკული ნაყენით. ყოველივე ეს შეზავებულია ყოფიერების ზედაპირული ეგზოტიკით.

მათ გვერდი აუარა უკანასკნელი ოცნელეულის რუსული პოეზიის აღმავლობამ. ჩვენთვის ისინი არიან პერზა თუ ტამბოვი... ერთადერთი რუსი პოეტი, რომელმაც მათზე ზეგავლენა მოახდინა – ეს არის ანდრე ბელი, უცხოელთათვის ეს მისტიკური რუსი ვერბიცეკაია.

ქართული ლიტერატურის მეორე მიმდინარეობა – კონსერვატული – სრულიად უფერულია. ლიტერატურული ცხოვრება უჩვეულოდ ხმაურიანია და მყვირალა, უამრავი დისპუტით, კამათით, ბანკეტითა და განხეთქილებით. ამ ამაოებათა

ამაოებას ვერ გადაფარავს შემოქმედის ლომისებური ბრდლვინვა: „თქვენ არც დასავლეთი ხართ და არც აღმოსავლეთი, არც პარიზი და არც ბალდადი; ღრმა სოლად ჩაესო ისტორიულ მიწას თქვენი ხელოვნება, თქვენი მხატვრული ტრადიცია. ღვინო ძველდება – ამაშია მისი მომავალი; კულტურა ღვივის – ამაშია მისი სიჭაბუკე. გაუფრთხილდით თქვენს ხელოვნებას – მიწაში ჩაფლულ თიხის ვიწრო ქვევრს“.

თარგმნა  
ელზა მეტრეველმა



პაბლო პიკასო – ნიკო ფიროსმანი (ჩანახატი)

## გილ მაჩინაბიშვილი



### ნიკო ფილოსოფანიური ახლად დადგენილი ფილოსოფანიური და უცნობი დეტალები

მიმდინარე წლის 1 ივნისს ლონდონის აუქციონზე გამოტანილი იყო ნიკო ფილოსოფანიულის შედევრი – „არსენალის მთა ლამით“. აუქციონზე შეძენის შემდეგ ნახატი საქართველოს დაუბრუნდა, რასაც პატონ ბიძინა ივანიშვილს უნდა ვუმადლოდეთ. ეს ჩვენს სამუზეუმო ცხოვრებაში მსოფლიოს პრესტიულ აუქციონზე ხელოვნების მუზეუმისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ფერწერის შეძენის პირველი შემთხვევაა. მოვლენა ხელოვნების მუზეუმის დამაარსებლების: ექვთიმე თაყაიშვილის, დიმიტრი შევარდნაძის, ირადიონ სონდულაშვილის, შალვა ამირანაშვილის და სხვათა დიდი ღვაწლის გაგრძელება. ხელოვნების მუზეუმის საგანძურს 2007 წელს, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მეშვეობით, ასევე შეემატა გასაყიდად გამზადებული ვარციხის ხატი – „ღვთისმშობელი ყრმით“.

1999-2001 წლებში ნიკო ფილოსმანაშვილის მემკვიდრეობის შემსწავლელმა სარეესტრო კომისიამ (რომლის წევრი მეც ვიყავი) ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერის ფონდში დაცული ალექსანდრე მამუჩარაშვილის პორტრეტის შესწავლა დაიწყო (თუნუქი, ზეთი, 71X39 სმ. ინვ. №226). კომისიამ ნამუშევრის ავტორად არ მიიჩნია ნიკო ფილოსმანის წრეს მიაკუთვნა. ასეთი დასკვნა, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ ამ გენიალური მხატვრის ხელოვნება დღემდე ჯეროვნად არ არის შესწავლილი, თუმციმოგვიანებით მიკვლეულმა დოკუმენტმა გააბათილა კომისიის დასკვნა და ცხადყო: ალექსანდრე მამუჩარაშვილის პორტრეტი ნამდვილად ნიკო ფილოსმანაშვილის ადრეული შემოქმედების ნიმუშია.

ამ საკითხზე ქვემოთ დაწვრილებით

ვისაუბრებ, მანამდე კი მკითხველს ფიროსმანის ცხოვრების დღემდე უცნობი დეტალები მსურს, გავაცნო.

•

რთულია წერო შემოქმედზე, რომლის შესახებაც არ მოიპოვება რაიმე ოფიციალური საბუთი და ვისი ბიოგრაფიაც მისი გარდაცვალების შემდგომ მხოლოდ ზეპირი გადმოცემების მიხედვითაა შეთხზულ-შედგენილი. დაუკერებელია თუნდაც მხატვრის მეგობრისა და ერთგვარი მეცენატის, ბეგლარ იაქაშვილის (ბეგლარ იაქევის) სიტყვების ჭეშმარიტება: „მთელი სიცოცხლე სმაში და ხატვაში გამოაღამა. ხატავდა – სასმელი ვიშოვოო, სვამდა – კარგად დავხატოო“ ან სირაჯ მესხიშვილის მოგონება: „ღვინო იყო მისი მახრიობელა. როგორც ფუტკარმა დილის მანანა აიღოს, ისე უნდა დაევლო ღვინის დუქნები“.

შეუძლებელია, ადამიანმა გამუდმებით სვას და ამავე დროს დაგვიტოვოს დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. შედარებით ობიექტურ მონაცემებს ფიროსმანაშვილის „ბოჰემური“ ცხოვრების შესახებ პოეტისა და პუბლიცისტის, ვეფხო აკობაშვილის, ახლად მიკვლეულ ჩანაწერებში ვხვდებით, რომელსაც ლიტერატურის მუზეუმის არქივში მუშაობისას წავაწყდით (მასალის მიკვლევაში დიდი დახმარება გავინია არქივის თანამშრომელმა – დავით ბუაჩიძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას). ჩვენთვის აქამდე უცნობი მოგონებები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. იგი, სავარაუდოდ, 1967-68 წლებშია დაწერილი (გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, მოგონებათა ფონდი, №023840, „ვ. აკობაშვილის მოგონებები“, მანქანაზე ნაბეჭდი 26 გვერდი), XX საუკუნის პირველი წახევრის თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებას ასახავს და, რაც მთავარია, სხვა, არსებული მონაცემებისგან მკვეთრად განსხვავებულ ინფორმაციას გვაწოდებს ფიროსმანის ცხოვრების შესახებ:

„ზოგს ისეთი წარმოდგენა აქვს ფიროსმანზე, თითქოს ის ისე თვრებოდა, რომ სახლში წასვლის თავი აღარ ჰქონდა, ბალში წვებოდა და იძინებდა. არა, ვინც ასე ფიქრობს, ის სცოდავს.

ფიროსმანს მთელი დღეები ლვინის სარდაფში უხდებოდა მუშაობა, მისი საცხოვრებელი ბინაც ჯურლმულივით პნელი, ნესტიანი, უმზეო და უჰაერო იყო. იგი დანატრებული იყო სუფთა ჰაერს, მზეს, ბუნებას და ისიც, ნასვამი იყო თუ ფხიზელი, ხშირად გამოდიოდა ბალში და იქ ისვენებდა, ბუნების ლალი შვილი ბუნების წიაღში ექცდა განცხრომას, ოცნებას, მყუდროებასა და მოსვენებას. მხოლოდ აქ ივიწყებდა ის თავის გაჭირვებას, უსასობას, დარდსა და ყელამდე მოსულ ბოლმას. ამისათვის მას ნუ დავძრახავთ, ბალში ძილს ლოთობაში ნუ ჩამოვართმევთ, ღმერთს ნუ ვცოდავთ.

ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე: ფიროს-

მანს რომ უბრალო, ადამიანური პირობები ჰქონიდა ცხოვრებისა და მუშაობისა, რას შეემნიდა და რა საგანძურს დაუტოვებდა კაცობრიობას!

აკი ამბობდა:

– ოთახი არ მაქვს, რომ ადამიანურად დავვდე და ვიმუშაო, ფული მე არ მაქვს, რომ საღებავები ვიყიდო და თუ ვისმე რამე დავუხატე, დამათრობს და გამომიშვებს.

და ასე გრძელდებოდა ყოველდღე, თვეობით, წლობით და ეს მაშინ, როცა თბილისის ყოველ კუთხეში, სადაც კი სამიკიწოდები და რესტორნები იყო, თითქმის ყველა ფიროსმანის ხელით იყო მოხატული“.

ჩანაწერებში ავტორი მოგვითხრობს პირადი ურთიერთობის შესახებ იოსები მედაშვილსა და გოგლა ლეონიძესთან. სწორედ მათი მეშვეობით გაიცნო აკობაშვილმა ნიკო ფიროსმანაშვილი. ახალგაზრდა პოეტს იოსებ მედაშვილმა დაავალა, როგორმე მოეხერხებინა და მხატვრისთვის, რომელიც ალექსანდროვის (კომუნარების) ბალის ხშირი სტუმარი იყო, ფოტო გადაელებინა:

„პირველად მისგან გავიგონე ნიკო ფიროსმანაშვილის ამბავი. ფიროსმანმა მხოლოდ იმ ხანებში მიიქცია საზოგადოების ყურადღება თავისებური მხატვრობითა და უცნაური ცხოვრებით...

იოსებ მედაშვილი თურმე ადრევე ცდილობდა, როგორმე მიეტყუებინა ფიროსმანი რედაქციაში ან იქვე, ბალში გადაელებინა სურათი, მაგრამ ფიროსმანი სამისოდ ახლოს არ ეკარებოდა, ერთხელ ეთქვა:

– სურათი რად მინდა, კი არ ვკვდებიო“.

არც ვეფხო აკობაშვილისთვის აღმოჩნდა დავალება მარტივად შესასრულებელი, მასაც კატეგორიული უარით უპასუხა ნიკომ:

„– ვის რაში სჭირდება ჩემი სურათი, რომელი მანთაშოვი მე მნახეთ, თქვენი გამასხარავებალა მინდა?!



— გამასხარავება კი არა, უურნალში უნდა დავტეჭდოთ თქვენი სურათი, რომ ქვეყანამ გნახოთ. — ვუპასუხე.

— ჰოდა, სწორედ ეგ იქნება გამასხარავება, ვინცა მნახავს იტყვის: ეს ვიღაც ოხერია, უურნალში გამოუჭიმიათო. — ჯიუტობდა ფიროსმანი“.

დღისათვის ნიკო ფიროსმანაშვილის უტყუარი ფოტოსურათი ორია: ქალანთაროვების ოჯახიდან მოწოდებული ახალგაზრდა, 19-20 წლის ნიკო (1880-იანი წლების დასაწყისი) და 1916 წელს ქართველ ხელოვანთა საზოგადოებაში სტუმრობის შემდეგ ედვარდ კლარის ატელიეში გადაღებული და გაზეთ „სახალხო ფურცლის“ დამატებაში (№108, 1916 წლის 19 ივნისი) გამოქვეყნებული ფოტო.

1916 წლის 24 მაისს გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აქვეყნებს ცნობას ნიკო ფიროსმანაშვილის ქართველ ხელოვანთა საზოგადოებაში მიწვევის შესახებ (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 24 მაისი, №581, გვ. 2). ამ დღისათვის ნიკოს მიგნება და მიპატიუება არ გაძნელებულა (ამას გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი ფოტოსურათიც მონმობს), თუმც იმავე ზაფხულს მხატვარი ქალაქიდან მოულოდნელად გამქრალა და, თავ-გამოდებული ძებნის მიუხედავად, მისი კვალისთვისაც ვერ მიუგნიათ.

ვახტანგ ბერიძე თავის მონოგრაფიაში ახალგაზრდა მხატვრებისა და მწერლების ფიროსმანაშვილის შემოქმედებით დიდ დაინტერესებაზე საუბრობს და აღნიშნავს:

„... იმავე დროს მაშინდელ გაზეთებში ვკითხულობთ იმასაც, რომ თვით მხატვრის შესახებ თითქმის არაფერი არ არის ცნობილი“.

„ამბობენ, გალოთდა და სადღაც კახეთში გარდაიცვალაო“. — წერდა 1916 წელს ერთ-ერთი ავტორი.

ასევე მაისის შემდეგ დღეებს შეეხება ლადონ გუდიაშვილის მოგონებაც:

„ფიროსმანაშვილისთვის გადმომცეს დაახლოებით 300 მანეთი. წავედი მას-

თან, მაგრამ ძველი ბინიდან სადღაც გადასულიყო... რამდენიმე ბავშვმა იკისრა ფიროსმანაშვილის მოძიება. გავყევი მათ, შემოვიარეთ დიდუბე, ვაგზლისა და მალაკნების ქუჩებზე მდებარე სარდაფები და ეზოები, მაგრამ პასუხი ყველგან ერთი იყო: დიდი ხანია, არ გვინახავსო, — გვეუბნებოდნენ მედუქნები და რესტორნის პატრონები“.

1916 წელს, ზაფხულის ბოლოს, თბილისში, თავისი მშობლების ბინაზე, ილია ზდანევიჩმა ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ერთდღიანი გამოფენა მოაწყო. გამოფენის დათვალიერების შემდეგ მოსე თოიძემ მხატვრის დასაცავად „სახალხო ფურცელში“ დაბეჭდა სტატია — „ნიკო ფიროსმანაშვილი და მისი ნახატები“:

„ახლა ფიროსმანაშვილი არსად ჩანს, ვინ უწყის, ცოცხალია იგი თუ მკვდარი. მას ველარ ვუშველით, მხოლოდ უნდა ვიცოდეთ, თუ სადმე არის მისი ნახატები დარჩენილი, შევკრიბოთ და მუზეუმში ვიქმნიოთ“. — ასე ამთავრებს წერილს მოსე თოიძე.

ნიკო ფიროსმანის თბილისიდან გაუჩინარება გაზეთ „სახალხო ფურცლის“ სურათებიან დამატებაში (გაზეთი №620, დამატება №111, კვირა, 10 ივნისი) მასზე უხამსი კარიკატურის დაბეჭდვის შემდეგ დღეებს ემთხვევა.

სავარაუდოდ, სწორედ ამ გაუჩინარებას უნდა ავსებდეს ვეფხო აკობაშვილის მოგონება:

„ერთხელ გოგლა ლეონიძესთან კაბინეტში შევესწარ ავჭალელ მოხუცებულ ადამიანს, რომელიც კარგად იცნობდა ფიროსმანს. გოგლას საგანგებოდ დაებარებინა ეს მოხუცი. სახელი და გვარი აღარ მახსოვეს“. მოგონების მიხედვით, გოგლას უთხოვია ვეფხოსთვის, მონაყოლის ჩანერა გაეგრძელებინა. აკობაშვილი ორი ან სამი წლის შემდეგ ამგვარად იხსენებს მოხუცის მონათხრობს:

„ამ მოხუცს ავჭალაში ჰქონია დუქანი... ერთ წელიწადს (არ მახსოვეს რომელი წელიწადი დაასახელა) ავჭალაში მისუ-

ლა ფიროსმანი, მისი დუქნის წინ, მეორე სართულზე, დაუქირავებია ერთი პატარა ოთახი და დაუწყია ცხოვრება.

— ქალაქს ველარ გავუძელი, წამოვე-დი, იქნებ აქ მაინც ცოტა დავისვენოო. — უთქვამს ფიროსმანს.

თურმე ყოველდღე ამ დუქანში სადი-ლობდა და ვახშმობდა.

მოხუცმა აგვინერა ფიროსმანის აგე-ბულება: მაღალი, შავგვრემანი, შავი დი-დი თვალებით, შავი წვერ-ულვაშით, ნალ-ვლინი გამომეტყველებით, შავი პიჯაკით, შავი, გვერდზე დალილული ხალათით და ყველაფერი ისეთი, როგორც მართლა იყო და როგორიც მე ხშირად მინახავს.

გასულა დრო და ფიროსმანს სახლში მიუყვანია ავჭალელი ქალი და მასთან დაუწყვია ცხოვრება.

— ამის შემდეგამ, — ამბობს მოხუცი, — ფიროსმანი დუქანში აღარ სადილობდა, წაილებდა კერძებს სახლში, თითო ჩარექა ღვინოს გააყოლებდა და ოჯახურ ცხოვ-რებას ეწეოდა.

ხშირად სახლშიც აკეთებდნენ სადი-ლებს.

ფიროსმანი სულიერად ისვენებდა და ნაყოფიერად მუშაობდა.

მე მგონია, ეს ის პერიოდია, როცა ფი-როსმანი გაქრა თბილისიდან, როცა მას ექებდნენ და ველარ პოულობდნენ.

— მაგრამ ფიროსმანი დიდხანს აღარ გაჩერებულა ავჭალაში, ისევ თბილისში დაბრუნებულა და ის ქალიც თან წამოუყ-ვანია. ქალი ცოტა ხანს დარჩენილა თბი-ლისში და ისევ ავჭალაში დაბრუნებულა. ამის შემდეგ ფიროსმანი აღარ გამოჩენი-ლა. — ასე ამთავრებს მოხუცი თავის სა-ინტერესო მოგონებას ფიროსმანზე”.

საუბარი 1965 წლის ზაფხულში ჩაუ-წერია ვეფხო აკობაშვილს: „გოგლამ ეს მასალა ჩადო სპეციალურ პორტფელში, რომელშიც მხოლოდ ფიროსმანზე შეგ-როვილი მოგონებები ინახებოდა. იქვე იყო ჩემი მოგონება ფიროსმანზე”.

სამწუხაროდ, იმ დღეს ეს პორტფელი სანაყინები დაიკარგა (დაკარგვის ფაქტი

არაერთ ავტორს აქვს დადასტურებული, ვეფხო აკობაშვილი კი ამ ფაქტის მომ-სწრება).

ავჭალელი მედუქნისაგან ბოლომდე მოსმენილი ჰქონდა თუ არა გიორგი ლე-ონიძეს ფიროსმანის ცხოვრების ამ პერი-ოდის შესახებ, უცნობია. მას ეს ფაქტი არსად აქვს ნახსენები. შესაძლოა, ვერც მოასწრო მისი გამოქვეყნება, რადგან ძა-ლიან მალე, 1966 წლის 9 აგვისტოს გარ-დაიცვალა.

ვეფხო აკობაშვილის ჩანაწერები სახა-სიათოა და გვამცნობს ფიროსმანის შე-მოქმედებით და პიროვნულ თვისებებს:

„ფიროსმანი ტანად საშუალოზე მა-ღალი იყო, ხმელი, მკვრივი აგებულები-სა, ოდნავ შეჭალარავებული, შავგვრემა-ნი, ლია შუბლით, ნალვლიანი თვალებით, მერცხალა ულვაშებითა და ნიკაპზე ლა-მაზად მოშვებული მოკლე წვერით. ხან ვაჟასავით ზვიადი იყო, ხანაც ტანჯული და ნალვლიანი, ვითარცა ჯვარცმული ქრისტე“.

აკობაშვილის ერთ-ერთი შეხვედრა მხატვართან ალექსანდრეს ბალის ეკლე-სიასთან მომხდარა, სადაც გრძელ სკამზე ჩამომჯდარი ფიროსმანაშვილი მეგობარს ესაუბრებოდა:

„ამ დროს ფიროსმანის ყურადღება ერთმა ქალმა მიიქცია, რომელიც განაპი-რა სკამზე იჯდა, გარშემო ბიჭები უტრი-ალებდნენ, აბუჩად იგდებდნენ.

— მოშორდით, ბიჭებო! რა გინდათ მაგ უბედურისგან, თქვე მამაძალლებო! — და-უტატანა ფიროსმანმა, მაგრამ ისინი მა-ინც არ ეშვებოდნენ. ფიროსმანმა წამოდ-გომა დააპირა ბიჭების გამოსაკიდებლად, მაგრამ მე დავასწარი: დამაცადე, ძია ნი-კო, მაგათ მე მოგუვლი-მეთქი, — ვუთხარი და ბიჭებს გამოვეყიდე. გამექცნენ...

ასეთი თანაგრძნობა და ადამიანური დამოკიდებულება რომ დაინახა, ქალმა, გულაჩუყებულმა, ტირილი დაიწყო. დი-დად იმოქმედა ქალის ცრემლებმა ფი-როსმანზე. გაიჩირიკა ჯიბეები და რაც ფული ჰქონდა, ამოილო, მივიდა და იმ

ქალს მისცა, თან ანუგეშა, დაუყვავა.

— მე ვარ უბედური და ეს ჩემზე უბედური ყოფილაო. — თქვა ფიროსმანია მოსვლისას და კვლავ გვერდზე მიუჯდა მეგობარს.

მალე ეს ქალი წამოდგა, მივიდა ეკლესიის წინ მჯდომ მათხოვარ დედაკაცთან და ფიროსმანის ნაბოძები ფული მთლად ამ მათხოვარს გადაუბოძა. გახარებული მათხოვარი პირჯვრის წერით უზდიდა მადლობას და თან კაბის კალთებს უკოცნიდა. ქალმა ფიროსმანისკენ მოახედა მათხოვარი, თითოთ რაღაც უჩვენა და ბალის კარებისკენ გაემართა. ბალის ბოლოდან ერთხელ კიდევ გამოიხედა ფიროსმანისკენ და თვალს მიეფარა. გაკვირვებული დარჩა ფიროსმანი. გაკვირვებული დავრჩით ჩვენც... გასაკვირი როგორ არ არის — თვითონ მათხოვარს ჰგავდა, სხვისა ნაბოძები ფული სხვას გადაუბოძა, თვითონ ისევ მშიერი დარჩა.

ნიკომ თქვა, მაგისი ამბავი უნდა გავიგონ. მივიდა მათხოვართან, წამოაყნა, ჩვენთან მოიყვნა, დასვა სკამზე, გვერდით მიუჯდა და იმ ქალის ვინაობა ჰკითხა. მათხოვარს კარგად ცნობდა.

— ეგ ქალი დიდი კაცის შვილი იყო, ძალიან ლამაზიო. ჯერ ერთმა საქმრომ უღალატა, მერე მეორემ, მესამეზე გათხოვდა, არც მასთან გაუმართლა ბედმა. მშობლები დაეხოცნენ. მშობლების ქრისტინებიდან ძმამ მას არა მისცა რა, ახლოსაც არ გაიკრა და იძულებული გახდა, ცუდ გზას დასდგომოდა. ბევრს შეცილება ჰკიონდა მაგაზე, მაგისთვის ბევრი მეგობარი მეგობარს შესძულებია, სუფრის ეშხი და ლაზათი იყო, ახლაც მშვენიერია, მაგრამ ძალად იუბედურებს თავს, დაგმო თავისი წარსული ცხოვრება, მშიერ-მწყურვალი დადის, ცოდვებს ინანიებს, მოლოზნობას აპირებსო.

ფიროსმანი ღრმა ფიქრს მიეცა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ ფიროსმანის მეგობარმა ჰკითხა მათხოვარს:

— წელან ის ფული რომ მოგცა, რაო, რა გითხრა?

— მითხრა, იმ სკამზე რომ შავულვა-შებიანი კაცი ზის, მხატვარი ფიროსმანია და ეგ ფული იმან გამოგიგზავნაო“.

ნიკო ფიროსმანაშვილის პატიოსნება, სიკეთე, სამართლიანობა (რაც მას ბავშვობიდანვე ახასიათებდა) ახლობლები-სათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ქალანთაროვების მრავალშვილიანი ოჯახის წევრები მას სიყვარულით იხსენებდნენ:

„ისეთი პატიოსანი და ერთგული იყო, რომ ჩვენ მას ვანდობდით მთელს ჩვენს ოჯახს, რომელიც მაშინ მდიდარი იყო... ფაქიზი ბუნებისა იყო, არაჩვეულებრივი თავმოვარე და ამასთანავე იშვიათი სიმართლის მოყვარული. საწყლის შემბრა-ლე... ნივთიერი სიმდიდრე არ აინტერე-სებდა...“

მიუხედავად გაჭირვებული, უმძიმე-სი ცხოვრებისეული პირობებისა, ნიკო არ შეცვლილა და სიცოცხლის ბოლოსაც ბავშვური ღვთისნიერებითა და გულმოწყალეობით გამოირჩეოდა. ამის დასტურია მასთან ვეფხო აკობაშვილის ბოლო შეხვედრა:

„ფიროსმანს მე უკანასკნელად შევ-ხვდი რუსის ბაზრის მოედანზე, ახლა კოლმეურნის მოედანს რომ ვეძახით.

მოედანზე უამრავი საზამთრო დაეხ-ვავებინათ და გარშემო ხალხი შემოხვეოდა. ისმოდა სიცილი და ყიუინა. შევერიე ხალხში და დავინახე ფიროსმანი. იქვე შვიდი-რვა ყარაჩოხელი იდგა, საზამთროებს სჭრიდნენ სანაძლეოზე. ვისიც უფრო წითელი გამოვიდოდა, გამარჯვებული ის იყო. ფულს დაზარალებული იხდიდა. შუაზე გაჭრილ საზამთროებს ხალხს ურიგებდნენ.

ერთხელაც გასჭრა ერთმა და სისხლი-ვით წითელი გამოვიდა. გასჭრა მეორემ და ისიც ზუსტად ისეთივე წითელი იყო, როგორიც პირველი. ერთი იძახდა: ჩემი უფრო წითელიაო, მეორე იძახდა: არა, ჩემია წითელიო. როცა ვერ მორიგდნენ, ფიროსმანს ჰკითხეს — ვისი უფრო წითელიაო და ფიროსმანმაც უყოფმანოდ გადასჭრა დავა. ასეთ შემთხვევაში ფიროს-

მანს ეკუთვნოდა გადამწყვეტი სიტყვა, ის ხომ ფერების მეუფე იყო!

ამ დროს ერთი მათხოვარი მივიდა და ხელი წაატანა გაჭრილ საზამთროს ასაღებად, ვიღაცამ წიხლი წაჰკრა და გააგდო. ფიროსმანმა თავისთან მიიყვანა მათხოვარი, ტომარაში ჩაუწყო საზამთრო, რამდენსაც მოერეოდა და გაისტუმრა. ერთმა ყარაჩოხელმა მეგობარმა უთხრა:

— ფიროსმან, შენ ძალიან სწყალობ ამ მათხოვრებს და არ ვიცი, რაშია საქმე?

— რაში უნდა იყოს, — უპასუხა ფიროსმანმა, — ყველა მათხოვარსა და გაჭირვებულს გაკითხვა უნდა, ხომ გაგიგონია, გამკითხველი მათხოვრისა გულს მოიგებ მაცხოვრისათ.

იქვე წრეში ერთი უცნაური კაცი იდგა. თხასავით ჩამოგრძელებული სახე ჰქონდა და წვერიც თხასავით დაყენებული. ფიროსმანი მიუბრუნდა მას და უთხრა:

— ზოგი პეიტარი კაცი ხალათს რომ ჩაიცვამს, ისე გაამაყდება, ზედაც აღარ შემოგხედავს. შენ რაღა დაგემართა, რომ არავის აღარ სცნობ, თუმცა ახალი კი არაფერი გაცვიაო.

ამ კაცმა ბოდიში მოიხადა — ისე გამოცვლილხარ, ვერ გიცანიო.

ფიროსმანი, მართლაც, იმ დღეს ძალიან იყო შეცვლილი. გამხდარი, წვერულვაშმოშვებული, თვალებში სევდა ჩასდგომოდა. როგორა ბრძანდებით-მეთქი, როგორცა მხედავონ „.

მანმადე ფიროსმანთან კიდევ ერთ შეხვედრას იხსენებს ვეფხო აკობაშვილი:

„ზამთარი იყო. ფიროსმანს შევხვდი მალაქნის ქუჩის დასაწყისში, მოედანზე. იღლიის ქვეშ თუნუქის ძველი ღუმელი ამოეჩარა და შინისკენ მიდიოდა. იქვე შეშით დატვირთული ურეში იდგა. მხერხავებმა მიაძახეს: ნიკო, ცარიელი ფეჩი ვერ გაგათბობს, მაგას შეშა უნდაო. შეშას ღმერთი მომცემსო. — უპასუხა ფიროსმანმა და განაგრძო გზა“.

ნიკო ფიროსმანაშვილის ბიოგრაფია მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწერა და თანამედროვენი მას „საწყალ ნიკა-

ლად“ ან „ბეჩავ ნიკალად“ მოიხსენიებდნენ. დღეს მისი საფლავიც არ ვიცით. ასეთა გენიალური მხატვრის სევდიანი, მძიმე ცხოვრების დასასრული.

ღმერთმა ნიკო ფიროსმანაშვილი შემოქმედის გამორჩეული, ღვთიური ნიჭით დააჯილდოვა. როგორც გიორგი ლეონიძე აღნიშნავდა, მართლაც: „ვით ეუვანი“ ფიროსმანის ყველა მნახველი ერთად უდერს, რომ ის იყო უპატიოსნესი ადამიანი, დამოუკიდებელი, ამაყი და ნიჭის ჯადოქარი“ (გიორგი ლეონიძე, წიგნიდან — „ცხოვრება ფიროსმანისა“).

გავეცანით რა ფიროსმანის ცხოვრების უცნობ ეპიზოდებს, დაპირებისამებრ, კვლავ მხატვრის ყველაზე ადრეულ ნამუშევარს — „ალექსანდრე მამუჩარაშვილის პორტრეტს“ მივუბრუნდეთ.

კირილე ზდანევიჩი ნიკო ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობას სამ პერიოდად ყოფს და მამუჩარაშვილის პორტრეტს 1913 წლით ათარილებს (კ. ზდანევიჩი, „ნიკო ფიროსმანაშვილი“, 1965 წ. თბილისი, გვ. 120), თუმცა რის საფუძველზეა პორტრეტი ამგვრად დათარილებული, უცნობია. ზდანევიჩი ნახატს, შეცდომით, თუნუქის ნაცვლად მუშამბაზე შესრულებულად მიიჩნევს.

1965 წელს თეონა ასიტაშვილმა ფერწერას მსუბუქი რესტავრაცია ჩაუტარა.

მოგვიანებით ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა მემუარულ ფონდში, ალექსანდრე მამუჩარაშვილის ჩვენთვის საინტერესო პორტრეტთან დაკავშირებით, ერთობ საინტერესო ინფორმაციას მივაკვლიეთ (მუზეუმი „მეტეხი“, საქმე №1-9-მდე, apx. № 52, №72, საქალალდეში ფურცელი №272, დათარილებულია 1924 წლის დეკემბრით).

ტექსტი მოგვყავს არქივში დაცული ასლის მიხედვით:

„საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერია

2/XII – 1924 წელი. №72



## ა ს ლ ი

ამხ. ალექსანდრე ზაქარიას-ძე მანუჩარაშვილს.

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერია მადლობას გწირავთ თქვენს მიერ შემოწირულ სურათს: „პორტრეტი ალექსანდრე ზაქარიას-ძე მანუჩარაშვილის“ ნახატი 1893 წელს ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ.

საქ. ეროვნული სამხატვრო გალერიის დირექტორი“.

დაცული ცნობა სანდო უნდა იყოს, რადგან ინფორმაცია თავად ალექსანდრე მამუჩარაშვილის მოწოდებულია და მან სხვებზე უკეთ იცოდა, ვინ და როდის დახატა მისი პორტრეტი (იმ პერიოდში, 1893 წელს, ნიკო ფიროსმანაშვილი ამიერკავკასიის რკინიგზაზე მუშაობდა კონდუქტორად, საიდანაც ერთი წლის შემდეგ, 1894 წელს, საბოლოოდ დაითხოვეს). აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მადლობის წერილში ადრესატის გვარი შეცდომით არის მითითებული. ნაცვლად „მანუჩარაშვილის“, უნდა იყოს „მამუჩარაშვილი“. იმავეს გვიდასტურებს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მემუარულ ფონდში დაცული ალექსანდრე მამუჩარაშვილის მოგონებები, რომელიც მამის კარნახით ჩაუწერია მის ქალიშვილს („ყრუ ვაჟეაცის, სანდრო მამუჩარაშვილის ნაამბობიდან“, მოგონების ფონდი №12872, მანქანაზე ნაბეჭდი 24 ფურცელი):

„ლოთი, „ბედარდი“, მაგრამ ნიჭიერი მხატვარი, მორცხვი, ტკბილი სამეცნიერო ნიკალა ფიროსმანაშვილი... ის ჩემი სურათი შევარდნაძემ რომ წამართვა და ახლა რომ მუზეუმშია, ისე, მეგობრულად დამიხსატა. ხატვა ხომ უბრალოდ იცოდა – კედელზე, ფიცარზე, თუნუქზე; დღეს თუ შეუკვეთავდა ვინმე, იქვე ნახშირით მოხაზავდა მას ნიკალა, დაიხსომებდა და მეორე დღეს ისეთ დაფერადებულს მოი-

ტანდა, გეგონებოდათ, თითქოს ცოცხალი ადამიანიაო“.

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, ღირს, ამ ნამუშევარს უკვე სხვა თვალით შევხედოთ. ის ნიკო ფიროსმანაშვილის გადარჩენილი მემკვიდრეობიდან ყველაზე ადრეული ნიმუშია და გენიალური მხატვრის ფერმწერად ჩამოყალიბების პერიოდს მიეკუთვნება. ამ დროს ის დაახლოებით 30-31 წლისა იქნებოდა, ჯერ კიდევ წინ იყო რძის დუქანში ვაჭრობა, გიგო ზაზიაშვილსა და გეზენიძესთან ერთად აპრათა სამხატვრო სახელოსნოების გამართვა. იმ დროისათვის მხატვრობა მისი ძირითადი საქმიანობა არ ყოფილა, თუმცა ხატვა მისი დიდი გატაცება იყო. სოფიო ქალანთაროვა იხსენებს: „მისთვის არსებობდა მხოლოდ ხატვა და, როდესაც კი თავისუფალი დრო ჰქონდა, ხატვაში იყო გართული... როდესაც ვინმე გროშებს აჩუქებდა, ის მაშინვე გაიქცეოდა, იყიდდა ფანქრებსა და ფერადებს და დაიწყებდა ხატვას... მისგან ოთახის კედლები ნახშირით ან ფანქრით იყო მოხატული...“ (ვახტანგ ბერიძე, „ნიკო ფიროსმანაშვილი“, თბილისი, 2007წ).

22-23 წლის ნიკომ პეტერბურგიდან დაბრუნებული „ნამდვილი“ მხატვრისაგან, გიორგი (გევორქ) ბაშინჯალიანის-გან, ასეთი შეფასება მიიღო: „ნიჭიერი ხარ და რჩევის გათვალისწინებაც უნდა შეგეძლოსო“.

ალექსანდრე მამუჩარაშვილის პორტრეტის შეხედვისთანავე თვალს ხვდება იმ დროისათვის (XIX-XX სს. მიჯნა) დამახასიათებელი ხელოსნურ-ამქრული იერი. შემთხვევითი არ არის, რომ ფერწერა აბრის ნაწილადაც „მოინათლა“, რასაც ხელი შეუწყო მასალამ (წახატი, როგორც ითქვა, თუნუქზეა შესრულებული) და შესრულების მანერამ (სრული სიპრტყობრიობა, სადა, მარტივი დეკორაციულობა). ეს, ალბათ, იმ ფერწერის გავლენაა, რომელსაც ნიკო ფიროსმანაშვილი თბილისში გადმოსახლების შემდეგ ქუჩაში ხედავდა. აბრები იქცა მისი მი-

ბაძვისა და შესწავლის საგნად, მაგრამ პორტრეტში ფიროსმანაშვილისთვის დამახასიათებელი ელემენტებიც შეიმჩნევა: ფიგურის ერთგვარი გამეშება, ლაკონიურობა, ადამიანის ხასიათის გახსნა, ცოცხალი და მეტყველი თვალები, მხატვრის-თვის ღვთისაგან ბოძებული კომპოზიციის აგებისა და ფერის გრძნობის უნარი (ეს ყოველივე მხატვარს არ უსწავლია, ინტუიცია წამყვანია მის შემოქმედებაში). აღსანიშნავია ერთგვაროვანი, მონოქრო-მული გამა, სადაც გამოკრთის საათის ძენკვის წვრილი ოქროსფერი ზოლი და ასევე ოქროს ქამარი გრანდიოზული ზომის ხანჯლისა თუ სატევრის ზედა ნაწილით. იგრძნობა, რომ მხატვარს ფიზიკურად ძლიერი, დიდი ტანის პიროვნება გამოუსახავს (ალექსანდრე მამუჩარაშვილი ტანადი, სიმაღლით 2 მეტრამდე ყოფილა. იგი იყო რვა ქალიშვილის მამა, საქართველოს ელექტრონული ფოსტის პირველი ოსტატი. გარდაიცვალა 1938 წელს).

როგორც ითქვა, მამუჩარაშვილის პორტრეტი ფიროსმანაშვილის გადარჩენილი განძის უადრესი ნიმუშია. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შესრულების თარიღი – 1893 წელი. აქედან გამომდინარე, გადასახედია ნიკო ფიროსმანის კირილე ზდანევიჩისეული პერიოდიზაცია, რომლის მიხედვითაც მხატვრის შემოქმედება სამ ეტაპად არის დაყოფილი: 1895 წლიდან – 1903 წლამდე, 1903 წლიდან – 1915 წლამდე და 1915 წლიდან – ხელოვანის გარდაცვალებამდე. ფიროსმანის შემოქმედების ასე დაყოფა კირილე ზდანევიჩის სუბიექტური მოსაზრებაა და არანაირ ოფიციალურ წყაროს არ ეყრდნობა. სურათების მეპატრონეთა კომენტარები თუ ზეპირი დათარიღებები (ხშირად დიდი ცდომილებით) ფერმწერის შემოქმედებითი ევოლუციის შესასწავლად საკმარისი არ უნდა იყოს.

ფიროსმანის ზუსტად დათარიღებული ნამუშევრები სულ რამდენიმეა. დათარიღების სურვილი მხატვარს 1906 წელს

გასჩენია და დღეისათვის გადარჩენილ მხოლოდ ხუთ ქმნილებას აქვს თარიღი მიწერილი: „ქართველი ქალი დაირით“, „მელიტონ ჩხეიძის პორტრეტი“, „პარაკლისი სოფლად“, „ქეიფი მეარღნე დათიკო ზემელთან“ და „გრანოვის პორტრეტი“ (უცნაურია, მაგრამ ბოლო ორი ფერნერა ერთი დღით, 8 ივნისითაა დათარიღებული). კიდევ ერთი ნიმუში – „დათვი თავისი ბელებით“ – სავარუდოდ, 1917 წელსაა შესრულებული. ასევე ორიოდე ნახატის თარიღი ირკვევა შემდეგი მოგონების საშუალებით:

1913 წელს ზამთრის არდადეგებზე თბილისში ჩამოსულმა ილია ზდანევიჩმა ფიროსმანს საკუთარი პორტრეტი შეუკვეთა. სტუდენტურ ქურთუკში გამოწყობილი ილია სურათზე მთელი ტანით არის გამოხატული. მისი დღიურის მიხედვით, მხატვარს ხატვა 27 იანვარს დაუწყია: „ჩემ სურათზე ჯერ მხოლოდ კონტურები იყო გავლებული, სხვა სურათზე, რომელსაც აგრეთვე ჩამოვალის ხატავდა, ირემი უკვე დაესატა, ფონი ჯერ არ დაემთავრებინა“ (კირილე ზდანევიჩი, „ნიკო ფიროსმანაშვილი“, თბილისი, 1965 წ. გვ. 29). 28 თებერვალს, დღით, „ირემი“ უკვე მზად ყოფილა, პორტრეტი კი 1 თებერვალს დაუსრულებია.

როგორც ცნობილია, 1916 წელს ფიროსმანი ქართველ ხელოვანთა საზოგადოებაში მიინვიეს და ფულადი დახმარებაც გაუწიეს. მხატვარს იმ ფულით საღებავი უყიდია, რამდენიმე დღის შემდეგ კი ამ საზოგადოებისათვის დიდი ზომის ახლად შესრულებული ფერწერა – „უნინდელი საქართველოს ქორწილი“ – უჩუქებია. ეს იყო ნიკალი ფიროსმანის ბოლო გამოჩენა ფართო საზოგადოების წინაშე.

ზემოთ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ღმერთმა ნიკო ფიროსმანაშვილი მიწერი შემოქმედის გამორჩეული, ღვთაებრივი ნიჭით დააჯილდოვა. ასეთი წყალობა ჩვენც გვიბოძა უზენაესმა – ფიროსმანის სახით.

## ახალგაზრდა მწერლების კონკურსი

ახლახან თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ერთობლივი ინიციატივით ჩატარდა ახალგაზრდა მწერალთა უკვე ტრადიციად ქცეული ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც ას სამოცამდე ახალგაზრდა მწერალმა მიიღო მონაწილეობა;

კომპეტენტური უიურის გადაწყვეტილებით გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

„ცისკარი“ გთავაზობთ პოეზიის უანრში გამარჯვებული რამდენიმე ახალგაზრდა პოეტის ლექსებს.

## ქათევან ნათელაძე



ფრთების გარეშეც შესაძლოა, იფრინო ცაში  
მაშინაც, თუკი რეალობა ასე ურჩია,  
რატომ გვეძებენ ცივ ქუჩებში, ნეტავი მაშინ,  
როცა ჩვენ უკვე აღარ ვცხოვრობთ არც ერთ ქუჩაზე.

ის, რაც ვერავინ მიპასუხა, დრომ გამიმხილა,  
გამიმართლებდა, რომ ლექსებში დარდებს ვატევდე,  
ხან ხდება, სული გადაიტანს ტკივილს იმხელას,  
რომ მერე უკვე გინდ გათენდეს, გინდ არ გათენდეს...

არის სულერთი და ზამთარი წელში იხრება,  
არ გეგულება სულის თუნდაც ხელისმომკიდე,  
ხან ხდება, სული გადაიტანს ტკივილს იმხელას,  
რომ მერე უკვე გინდ მოდი და გინდ არ მოხვიდე!

ფრთების გარეშეც შესაძლოა, იფრინო ცაში,  
უსმენს სალამო ჩემი სულის მსუბუქ არიას,  
რად გვიხდებიან ოცნებები, ნეტავი, მაშინ,  
როცა ისინი ოცნებები აღარ არიან...

## ცოტაც მაცოცხლე...

მე ყველა შენი უჩემო დღე ისე მიკვირდა,  
 მიამიტურად და ყოველდღე გული გელოდა,  
 დამაჯერებლად ისაუბრე, გთხოვ, რომ გიყვარდი,  
 დღეს სასიცოცხლოდ მჭირდება, რომ ამის მჯეროდეს...  
 ამდენ ხნის შემდეგ ვერაფერი ვერ გაირკვევა,  
 ჰყვება მოსაწყენ სიახლეებს მთელ დღეს რადიო,  
 მე ვლოცულობდი შენ გამო და ნუ გაიკირვებ,  
 რომ ამ ლოცვების უარყოფა ვერ გაპატიო...  
 არ გაიკირვო გათოშილი ჩემი მუხლები,  
 არც დედამიწის ჩვენ გარშემო უქმი ტრიალი,  
 რომ დგახარ ახლა ჩემს ხელებთან მთლად უუფლებო,  
 ვით მწუხარების შემთხვევითი თანაზიარი...  
 იყო დრო, როცა უთქმელობის ცრემლი მახრჩობდა,  
 სულზეც, ხელებზეც მამჩნევია ყველა იარა,  
 ვერ ჩაითვლება სიყვარულად ის, რაც გაჭორდა,  
 რაც ქარმა ასე უგემოვნოდ გააპიარა.  
 მთელი ცხოვრება უხარისხო, ბუნდი კადრია,  
 მე შეგნებულად შორს მივდივარ ახლა შენიდან,  
 ასე გიუები გაურბიან ფსიქიატრიულს,  
 ასე სულები გამორბიან საფლავებიდან.  
 სევდა, ვით შანსი გადარჩენის, ჩემში სულ ენთო,  
 ხვალ აღარც მე და არც ეს სევდა აღარ ვიქნებით,  
 მე შენ მიყვარდი ისე მძაფრად, ისე უღმერთოდ,  
 რომ ვირუსივით სისხლში მქონდა შენზე ფიქრები.  
 ფარავთ ბურუსი ამ უსუსურ, უცხო ქალაქებს,  
 მე ყველაფერმა ყველაფერზე მეტად დამღალა,  
 გთხოვ, სიყვარულზე სარწმუნო ხმით ილაპარაკე,  
 დღეს სასიცოცხლოდ მჭირდება, რომ მწამდეს ამგვარად...

## შენს ხსოვნასთან

ცუდად ვარ, ძვირფასო, მზე აღარ განათდა  
 ამ ცაზე, რაც არ ხარ, რაც წარსულს ბარდები  
 და როგორც ტკივილად დარჩენილ საფლავთან,  
 მომაქვს შენს ხსოვნასთან დღეს თეთრი ვარდები...

ისმენენ ხატები მდუმარე ვედრებას,  
 ამ ოთახს საწვიმარ ღრუბლების ჭერი აქვს,  
 ჩემს სახლში გაცივდა ჩაი და კედლები,  
 ჩემს სულშიც ყინვიან ამინდის ჯერია...



არავინ არ მოდის ამ ეულ ბინაში,  
არავის არ იღებს ეს ცივი ოთახი,  
გარეთ ნოემბერი სველდება წვიმაში,  
ასეთ ამინდებში მზე მოდის ცოტა ხნით...

რომ, იქნებ, გამათბოს... ძვირფასო, ცუდად ვარ,  
ძვირფასო, მწუხარე მოდიან ფიქრები,  
რჩებიან ლოცვები უბრალო მუდარად,  
როცა აღარა ხარ და აღარც იქნები...

სეზონი გაცივდა და კვლავ გაზამთარდა  
და რაღაც ძალიან მარტივად ვმთავრდები...  
როგორც დაუვიწყარ და ძვირფას საფლავთან,  
ვდგავარ შენს ხსოვნასთან თოვლისფერ ვარდებით...

## დედას

დე, გარეთ ცივა, ქარმა ისევ ფრთები შეისხა,  
აქ ამინდებმა ამინდიც და სულიც არიეს,  
ახლა გავუშვებ, რომ იფრინონ, დე, ბავშვობისას  
ასანთის ყუთში შეგროვებულ ჭიამარიებს.  
დე, აქ რა მინდა, დარდი მიმსხვრევს ფანჯრებს ქარივით,  
დე, ვლოცულობ და ლოცვებიც კი ველარ მშველიან,  
მე რომ მჯეროდა ბავშვობაში, იმ ზღაპარივით,  
მგონი, უფალიც სიტყვებს შორის შემომელია...  
ვიდრე ქვიშაზე ნაწერივით ქარი წამშლიდეს,  
ვგრძნობ, წვიმაც უფრო საშიშია, უფრო ცივია,  
მივშტერებივარ, როგორც სურათს – ნატვრას მაშინდელს,  
რომელიც ახლა ფერწაშლილი ნეგატივია.  
დღეებს ამკრთალებს კალენდარზე ეს დრო ერთიან,  
ვამბობ და რაღაც შეიძლება მაინც ვერ ვთქვა, დე,  
ქუჩის ბოლოში, ეჭვგარეშე ვიცი ღმერთია,  
მაგრამ ეს ქუჩა ვერასოდეს მივა ღმერთამდე.  
დე, აქ რა მინდა, აქ მეც ლანდებს დავემსგავსები,  
აქ ღალატია, სიკეთისთვის აქ არ იბრძვიან,  
მე კი მიყვარდეს, შემიძლია, მთელი არსებით  
და ამის მეტი არაფერი არ შემიძლია.  
გარეთ ქარია და შენ ჩემ თავს უფალს ავედრებ,  
მაგრამ აქ ურჩია ამინდებმა სულიც არიეს,  
ფრთები დაემტვრათ, დე, საფრენი ფრთები დაემტვრათ  
ასანთის ყუთში შეგროვებულ ჭიამარიებს.

## აღვესრულები

რა გვიანია, მაგრამ მაინც მზერით გაქეზებ,  
 დღეს მარტივია, შეამჩნიო, რომ მე მარტო ვარ,  
 ფოთლებმა ფლირტი გააჩალეს ტროტუარებზე,  
 სალამომ ქალაქს მწუხრისფერი ჩამოათოვა.  
 კვლავ ტკივილია საიმედო თავშესაფარი,  
 მიძღვნის სიჩუმე აპლოდისმენტს ჩამქრალ სცენაზე  
 და დედამიწას ოკეანე როცა დაფარავს,  
 შენზე ვიფიქრებ, როგორც სულის გადარჩენაზე.  
 ჯერ მიწაზე ვარ, ჯერ აქა ვარ, ზეცა შორს არი,  
 ვიცი, პოეტურს გადამიხდის ღამე პარაკლისს,  
 რა შეიძლება ჩემზე დაგრჩეს მოსაგონარი,  
 ალბათ, წვიმა და ერთი-ორი ქუჩა ქალაქის,  
 სადაც მე და შენ ჩაგვივლია, სადაც დავმარხეთ  
 ჩვენი ჩრდილების სიახლოვე – სევდა წვიმათა,  
 როცა სიყვარულს ვუღალატეთ, ღმერთი დავკარგეთ,  
 სამჯერ იყივლა მამალმა და მკვდრისფრად ინათა.  
 და რა აზრი აქვს, ამის მერე როგორ ინათებს,  
 არც ამინდები აღარ დგება ისე მომთმენი...  
 როცა გავწირეთ ერთმანეთი – დავგმეთ სინათლე,  
 ხის ჯვარზე ვაცვით უფალი და არ გადმოვხსენით.  
 რა შეიძლება მოიგონო ჩემზე ჩემს მერე,  
 ახლა უბრალოდ საკუთარსვე ფიქრებს ვციტირებ,  
 ჩვენმა თვალებმა ერთმანეთი გადაივიწყეს,  
 ჩვენმა ხელებმა ერთმანეთი გამოიტირეს.  
 გნატრობ, მჭირდები, აქ ლექსებსაც ვეღარ ვუჯერებ,  
 ღამემ ნოემბრის დამახატა ტანზე ფერები,  
 ამსხვრევენ ცივი ქარიშხლები წვიმის ფუჟერებს,  
 იქარგებიან სულში სევდის გობელენები.  
 რატომ მაჩქარებ... თავს ვერ ვგურიბ სხვა მზით გამთბარი,  
 ქვეყნად მეორედ დაბადების არ მნამს სრულებით,  
 ვიქნები შენი ალსარება, ცამდე მართალი,  
 და გზის ბოლოში უთქმელადაც აღვესრულები...

## გამოღვიძება

მაშინ ვიძინეთ, გაღვიძება როცა გვმართებდა,  
შენ, საქართველო, ამგვარ ყოფით ივლი სადამდე,  
რა ლამე დადგა ამისთანა, რომ ვერ გათენდა,  
როგორ გაგნირეთ, ასე როგორ დაგაავადეთ.

რა ბურანში ხარ, რომ ვერა და ვეღარ ერკვევი,  
შენი წარსულიც დავიწყების ცეცხლზე იწვება,  
სად დაგეკარგნენ, საქართველო, ის მგლის ლეკვები,  
რომ იზრდებოდნენ ალგეთს მტრების დასამიწებლად.

როგორ მოგედო მწუხარება გულზე იჭვებად,  
როგორ დაგსერეთ მონამლული ხმლებით, ხიჭვებით,  
ვერც აფხაზეთი დაგიპრუნეს შენმა ბიჭებმა,  
ვერც აფხაზეთმა დაგიპრუნა შენი ბიჭები!..

დაგრჩა დიდების გადმონაშთად გრემიც, გარეჯიც,  
დარჩი უტეხი გალავანის დაშლილ თალივით,  
გიფრიალებდა ავისმთემელად დროშის ნაგლეჯი,  
სამგლოვიაროდ გამოფენილ ბაირალივით.

შენი მზე ლამემ განსაცდელის ბნელით მოჩრდილა,  
რატომ არ გტკივა სხივჩამერალი გზები მომავლის,  
ასე რა ეშმამ მოგდრიკა და დაგიმორჩილა,  
ნაავდარალი, ნაქარალი, ნადიდგორალი.

რატომ არაფერს გვსაყვედურობ, რატომ იმეტებ  
საკუთარ თავს ამ მონობისთვის, გხრავენ ქარები,  
რა ილუზიებს აჰყოლიხარ, რა ფუჭ იმედებს,  
ფუფალასავით მოკაზმული მოსართავებით.

როგორ მოგწამლეს მრავალ ფანდით, მრავალ საცდურით,  
სად გაქრა შენი სიამაყე – ერთ დროს მეფური,  
რატომ არ გვიხმობ, საქართველო, რამ გაგაჩუმა,  
რამ დაგადუმა მკაცრ განაჩენს შეგუებული!

რით ვერ ისწავლე განსაცდელის რწმენით გამოცვლა,  
ეს რა ჭირი გჭირს, რა ღმერთი და ხატი გიწყრება,  
რა სიზმარს ხედავ, საქართველო, ასეთ საოცარს,  
რომ ალარც გსურს და ალარც ძალგიძს გამოლვიძება.



## ნინო ჭინჭაჩავი

### “sevillana”

ტანი რიტმებს აყოლილი ითვლის წამებს,  
კაბას მხრებზე მოგდებული შვენის შალი,  
ამ ფერებით მე წლების წინ მოვიწამლე,  
და ნელ-ნელა, მოლოდინით შევიშალე.

დღეს რაღა ვარ,  
თვალს მარიდებს ჩემი მუზაც,  
თითქოს ბედის განგებით და დავალებით  
ცეცხლის ნაცვლად თვალში წყალი ჩავიგუბე,  
შევიჭერი ლამისფერი დალალებიც.

თავდახრილი,  
წაშლილი  
და ნაცრისფერი

გვერდს ავუქცევ ცეცხლისმფრქვეველ ნარანხეროს,  
ვერ გავყვები მწველ ჰანგებს და გაშლილ ხელებს,  
ალარაფერს შეუძლია ამაღლვოს,  
თუ ბრბოში არ გადავაწყდი ნაცნობ თვალებს,  
მიღმა ხანძარს რომ მაღავენ გაჭირვებით,  
ჩამქრალიც და ძველებურად ეშიანიც  
ერთნაირად რომ ვაღელვებ და ვჭირდები...

### ფლამენკო

თუ გინდა ჩემი სიყვარული,  
ჩამომეცალე.

თხემით ტერფამდე, სულით ხორცამდე  
მე ტკივილი ვარ.

თუ გსურს, სიამით აივსო სული,  
დახუჭე თვალი,  
არ შემომხედო, არ განმიცადო,

მე ტკივილი ვარ.  
 თუ გსურს სიცოცხლე, გაექეცი  
 ჩემს ამოსუნთქვას,  
 სისხლის, სიკვდილის მოციქული  
 მე ტკივილი ვარ.  
 თუ გსურს სინათლე, ნუ დამეძებ,  
 არავის უთქვამს?  
 რომ უკუნეთით მოკირწყლული  
 მე ტკივილი ვარ.  
 სიამოვნებას ვერ მოგაგებს  
 ეს სილამაზე,  
 გრძნობააშლილი მთელი სხეულით  
 მე ტკივილი ვარ.  
 სიმშვიდე გინდა? დაემალე  
 ჩემს გახსნილ ბაგეს  
 სულის ფსკერიდან ამონთხეული  
 მე ტკივილი ვარ.  
 ....  
 მე ტკივილი ვარ,  
 შენს საბედოდ არ დავიბადე...

### ტუჩის ფანჯრით დაწერილი ლექსი

რას ვამბობ აქ და...  
 ვამბობ მხოლოდ იმას, რაც ხდება,  
 რა ხდება აქ და... რაც აქ ხდება,  
 მეც აღარ ვიცი.  
 ვგრძნობ, ვერასოდეს მიმატოვებს ეს ძველი ვნება,  
 ვგრძნობ, ვერაფერი გადამჩჩევს ჩემს თავზე სიცილს.  
 კომედიაა –  
 იმის ნაცვლად, რომ სილამაზეს  
 ვნატრობდე ისე, როგორც ნატრობს მას ყველა ქალი,  
 მე ტუჩის ფანჯრით მივაჯდაბნე დაჭმუჭნილ ფურცელს  
 ლექსი, რომლითაც დღეს კინაღამ გარდავიცვალე...

### უსათაურო

ზოგჯერ ადამიანს შორიდან უმზერ და  
 გრძნობ, რომ ცხოვრებამ ორივე თქვენგანს  
 დააკარგვინა ერთი მეგობარი,  
 ერთი ახლობელი  
 ერთი მსგავსი სული...  
 ორივე სხვადასხვა გზებით ატარა  
 ან უდროო დროს შეახვედრა...

## სიჩუმე

სიჩუმე არსებობს მრავალგვარი,  
უხმაუროც და ხმაურიანიც,  
აუტანელიც და სანატრელიც.

ზოგჯერ სიჩუმე უცნაურია,  
მოჩურჩულე,  
უსმენ და შემდეგ ხმადაბლა უკითხავ,  
რაც გიყარნახა.

ზოგჯერ ჯოვანხეთური სიჩუმეა,  
უიმედო.  
ხმის ჩახლეჩამდე ღრიალებ, ოღონდაც  
დაფარო მისი ხმა.

მაგრამ არსებობს ნანატრი სიჩუმეც,  
რომელსაც დაეძებ.  
რომლისთვისაც სიცოცხლეს მისცემ  
და სამყაროში ყველა სულიერს  
აქეთ მადლობას გადაუხდი,  
ოღონდ არავინ არაფერი  
არ შეგეკითხოს.

## “Viva” La vida

შენ მზე(დღე)გრძელი ზაფხულები  
მოგქონდა ჩემთვის,  
ახლა არ ვიცი, რას მომიტან,  
ალბათ ნამცეცებს...  
ბნელს უკვე ისე შევეჩვიე,  
რომ სინათლეში  
ხელს ვიფარებ და  
დაბრმავებული თვალებს ვაცეცებ...

# ზენა სუსმიტი (პერი)



## ლეგენდა

„რაო, მეფე ერეკლეო?.. არა, ეგ ტყუილია. მე ქლიავი თავზე გადმოვაყარე სპარსელს თათარს, ჩვენს მო-სისხლე მტერსა, და არა მეფე ერეკლეს, რომელიც ქართველებს ღმერთივით გვიყვარს; და თქვენ სულ ტყუილად მემუქრებით. არც ძირს ჩამოვალ და არც ბოდიშს მოვიხდი!“

იაკობ გოგებაშვილი

მახსოვს, ყვებოდა პაპაჩემი – მთვარის მლესავი,  
როგორი ქუდი დაეხურა უნდა ჩემიანს...  
ახლა კი ვხვდები, მატიანეს სანიშნესავით  
ვიწრო ორლობე ჩაკეცილი რად ჩარჩენია  
გულში... ვფიქრობ და ვიცი, ჩემში ჯავრი არა ზის,  
რადგან ვარდები, მჯერა, მუდამ არც მას ეფინა,  
ამის გამოა, იღბალმა რომ იმ ერთ შარაზე,  
სპარსული ქუდი ძირს რკოსავით გააგდებინა...

ღმერთო! მეორედ, ალბათ, მაშინ დაპატარავდა  
კახი. სირცხვილით რომ აეწვა მკაცრი პირ-სახე.  
გაქცეულ გოგოს გაეკიდნენ სახლის კარამდე,  
ბოლოს პირჯვარიც ქართულადვე გადაისახა;  
წარსულს ვმუჭავ და ამ კადრებსაც ასე ვატარებ,  
ვებლაუჭები ღრმა ფესვებს და მჯერა დღითი დღე,  
რომ ორლობეში ვინმე სპარსი ანდაც თათარი,  
სანამ მეორედ გაბედავს და ჩამოივლიდეს,

მანამ მრავალგზის გამოივლის ბედის სიავე  
ან უფრო ხშირად დაირწევა მუხის აკვანი...  
და პაპაჩემიც მთელს ბავშვობას გაუნიავებს  
ამბავს, რომელმაც დააღონა მეფეთაგანი,  
ამბავს, რომელმაც გულის ფსკერზე ბედი მოკონა.  
ვხვდები, წარსულში აიბლანდა ჩემი სამყარო.  
კაცი არა ჩანს – გაიაროს! თორემ გოგონა,  
აქ ისევ იცდის, ქლიავი რომ გადმოაყაროს...

## დაბრუნებისა

აქ უფრო მშობლიური ფოთლების შრიალია,  
მაგ სუნთქვის სათავიდან გრიგალი ამოვარდა.  
და მინდა, გზა-ბილიკებს ცხოვრება შევალიო,  
რადგანაც ამ სათიბში უბრალო კალო ვარ და

მთები კი ხარის მხრებზე დადგმული კევრებია,  
ქოხები მარცვლებივით კალთაზე გაბნეულან...  
მზეები პეპლებივით სოფელს გარს ევლებიან,  
მთვარე კი დილას იმკის მინდორში ღამეულად.

წარსული ჩავილაგე ხურჯინში საგზალივით,  
მიყვარხარ! მინდა მხოლოდ ოცნება გავიყოლო  
მთებისკენ, სადაც მარტო ბედ-ვიწრო გზა-გზა ვივლი,  
მთებისკენ... სადაც უნდა ვირჩინო თავი... ხოლო

იმედი ნაკლებად მაქვს, მერწმუნე, გადარჩენის...  
სოფელში, თარეშით რომ სულ ყველა გადაღლილა,  
სოფელში, ლეკები რომ დადიან დამპარჩებით,  
ვბრუნდები, მაგრამ ვიცი, ტყვიას რომ დამახლიან...

## წასვლა

ჯარში, სადაც მიწევდა სამსახური,  
ანუ უცხო ქვეყანაში,  
გრძელი დერეფნის ბოლოს  
გასული საუკუნის მოვლენების  
ფოტოგალერეა იყო მოწყობილი.  
იქვე ერთ-ერთ ფოტოს,  
ძალიან უბრალო, შავ-თეთრ ფოტოს,  
შიშით შეპყრობილი ქალაქის ფოტოს  
ძალიან მარტივად  
შეეფარებინა მებადური ბავშვები  
და ნანგრევებზე დამსხდარი მტრედები;  
ძალიან მარტივად...  
ძალიან მარტივი წარწერა ჰქონდა გაკეთებული:  
„დაცარიელებული სოხუმი“.

დღეს აღარც მიკვირს უშენობის შემოფეთება,  
ქალაქო, როცა ირგვლივ შიში არის სრულებით,  
როცა დღე-ღამე ჩვენს მიწაზე გვიწევს ხეტება  
და მაინც გვქვია სამშობლოდან გარიყულები...

ვტოვებთ ყველაფერს. თითქოს ერთობ ასე ვინებეთ,  
მივდივართ, უკან მოგვყვებიან ჩვენი მხლებლები,  
სანაც ქვეითად, ხან უბრალოდ მიგვაცილებენ  
სადგურებიდან გაქცეული მატარებლები.

ისევ მივიწევთ ვიწრო გზებით, ვიწრო სიზმრებით,  
მოგონებები ჩვენს ქალაქზე ხშირად იელვებს;  
მაინც მივდივართ... და გზადაგზა მივეზიდებით  
ჩვენივე წონით დამძიმებულ სიცარიელეს.

გვრჩება იმედი და ტკივილი ნაათკეცევი,  
რადგან სახლები დავუტოვეთ ძვირფას ბეღურებს...  
იქნებ, ქალაქში სიზმრებშიც და ცხადშიც ვეცემით,  
მაგრამ სოხუმში ჯერ არ სძინავთ მიცვალებულებს!

– და არაფერიც შეიცვლება, ჩემო ბალაბეი,  
რადგან ზურგს უკან (დაკარგული) ჩვენი მთებია.  
დედის თვალები ნაღმებივით ცრემლებს მაღავენ,  
ბიჭებს? – ნაღმები წამდაუწუმ გვიფეთქდებიან

მკერძში... და სულიც ყოველ ღამით ღელვას უმატებს,  
როცა სიზმრიდან ხელს მიქნევენ ცელქი ბავშვები;  
გავიღვიძებ და გვერდს ავუვლი ფოტოსურათებს  
და ნანგრევებზე დამსხდარ მტრედებს ვეთამაშები.

რადგან იმედებს ჩავუსახლდით ისევ მდგმურებად,  
რადგანაც გვახსოვს, სიზმრებამდე ჩვენ ვინ ვიყავით...  
ახლა განგებამ რომ გვაქციოს მებადურებად,  
ალბათ, თევზივით (შავი ზღვიდან) ამოვიყვანდით  
სოხუმს!

-----  
ვშორდებით.  
(უხმოდ) ვეთხოვებით ძვირფას ბიჭუნებს,  
თუმცა გარშემო სისხლის ბული ჟონავს ბოლივით,  
ჩვენ კი, უბრალოდ, ავდექით და ასე ვირწმუნეთ,  
რომ დავისადეთ ტკივილებით თანდაყოლილით.


ვშორდებით... თითქოს დაჭრილია მთვარე კისერში,  
ღამეა, ირგვლივ ყველა შველას ითხოვს, ბალაბეი,  
მაინც მივდივართ, თუმცა ვიცი, ახლა ისე შინ  
ვერ დავბრუნდებით, თუკი ბედს არ გაგვიკვალავენ.

შეხედე, ქარი ღამის ყუნწში შემოეტია,  
წვიმს და ყელამდე ამოვსილან შიშით სანგრები.  
ყოფნა-არყოფნა, მე თუ მკითხავ, ეს სულერთია,  
ბოლოს ხომ მაინც საფლავები შეგვიმაგრებენ

ზურგს... და ჩუმად ვართ, ლაპარაკობს ქარი ამინდზე  
და მჯერა, უფრო ამინდებზე ხშირად ვიცვლებით,  
რადგან დგანან და მიყოლებით სულის სამიზნეს  
ანადგურებენ ცხვირაწვდილი ჰაუბიცები...

მაინც მივდივართ... სხეულები ისე ჩამოხმა,  
ვითვლი ტყვიებს და ვაკვირდები ზეცას მოღუშულს.  
და, როგორც იქნა, გამოვედით ენგურს გამოღმა,  
საქართველო კი დაჭრილივით დაგვრჩა სოხუმში.

# გენერალი გათიაშვილი



**საბა**  
(„პოგრომი“)

დრამა უანტრაქტოდ

მომხედი პირნი:

ქართველები	ებრაელები	რუსები
საბა	ზალცმანი	პოლიციელი
გრიგოლი	რაბი ესაია	პეტროვი
შიო	დავითი	ანდრეი
ნიკოლოზი	რახილი	დამარბეველი
გიორგი	ესთერი	ვასია
ამირანი	ხუხმანი	ნითელხალათიანი
	იციკი	კოლია
	იოსები	

მეოცე საუკუნის გარიურაუზე – ჩვენი ამბავიც სწორედ 1901 წლის გაზაფხულზე იწყება – ასეთი წესი გახლდათ: ყოველი სპექტაკლი დივერტისმენტით იწყებოდა. ახლაც ეპოქისათვის დამახასიათებელი ხმამაღალი მუსიკა გაისმის.

ავანსცენაზე დიდი ზარ-ზეიმით გამორბის ერთობ უცნაურად, ჭრელაჭრულა ტანსაცმლით მორთული მოღიმარი მსახიობი.

**მსახიობი** (მაყურებელს საჰაერო კოცნით აჯილდოებს, თავს უხრის). როგორც იქნა, როგორც იქნა, ძვირფასო ბატონებოდა ქალბატონებო, როგორც იქნა, ჩვენ აქვართ – ამ მომხიბვლელ, ძალიან, ძალიან სტუმართმოყვარე ქალაქ ქუთაისში. უნდა გადმოგცეთ ჩვენი დასის გულის-

ტკივილი იმის გამო, რომ სპექტაკლს... ქართული ენა არ ვიცით. ამიტომ რუსულ ენაზე ვითამაშებთ ლიტვინისა და კრილოვის პიესას „კონტრაბადისტები“, ანუ „შვილი ისრაელისა“, რომელშიც...

მაყურებელთა დარბაზი ერთბაშად ახმაურდება. ისმის შეძახილები:

– არა!

– არ გვინდა!

– შეწყვიტეთ!

– ქუთაისს გაეცალეთ!

– ქუთაისში არა!

**შიო** (სცენასთან ახლოს მიდის). ქუთაისს არ უნდა ამ სპექტაკლის ნახვა, არ გაძლევთ უფლებას!

**მსახიობი** (მაყურებელთა დარბაზს  
მიაჩერდება. მის მზერაში დაუფარავი  
ზიზლია ამ „უკულტურო“, „შეუგნებელი“  
ხალხისადმი, ხელს კულისებისკენ აიქ-  
ნევს). ეეჲ! (ამით სპექტაკლის დაწყებას  
ანიშნებს).

**მსახიობი ქალი** (ავანსცენაზე გამორ-  
ბის). დროზე, ურიავ, დროზე, ამდენი  
დრო სადა მაქვს! (თოკს, რომელიც ხელ-  
ში უჭირავს, მოქაჩავს, თოკზე ებრაელი  
მამაკაცია გამობმული). დროზე-მეთქი,  
ჰე, აბა! რას შვრები, ბინძურო ცხოველო!  
(მათრახს გადაუტლამუნებს, „ძალლი“  
ზმუილს იწყებს – ატირდება).

ეს პანია სცენა უკვე დაწყებული ხმა-  
ურის, შეძახილების ფონზე გათამაშდა,  
ახლა კი ხმაური უფრო გაძლიერდება.  
სცენას, მსახიობებს კვერცხებს ესვრიან.

- შეწყვიტეთ!
- გაგვეცალეთ!
- არ გვინდა!

რამდენიმე კვერცხი მსახიობ ქალსაც  
მოხვდება. ქალი გულშემოყრილი ეცემა,  
თუმცა ეს გულშემოყრა ერთობ უნიჭოდ  
გათამაშდება. „ძალლი“ მსახიობ ქალს  
ნაქცევას აღარ დააცლის – „მიუსწრებს“,  
ხელში აიტაცებს და მაყურებელს ნარუდ-  
გენს – აი, რა ჰქენითო. დარბაზი განუწ-  
ყვეტლივ ხმაურობს. სტკენაც გაისმის.  
„ძალლი“ მსახიობ ქალს გაარბენინებს.

- ქუთასში ეგ არ იქნება!
- გაიარე, ძამია, გაიარე!
- რავა აგრაფინასავით მიათრევ მაგ  
უკანალს!
- დატოვეთ, დღესვე დატოვეთ ქუთა-  
ისი!

**შიო.** ძმობა, ერთობა, თავისუფლება!

**საბა.** ახლა კი სობოროს მოედანზე!  
საყოველთაო პროტესტი თვითმშეყრობე-  
ლობას!

იხსნება ფარდა.

ქუთასის ქალაქის თავის მისაღები.  
საბა და შიო მოუთმენლად დააბიჯებენ.  
აქვეა ქალაქის თავის თანაშემნე. სილ-  
რმეში – მაგიდა, სავარძლები.

**შიო.** კიდევ რამდენ ხანს უნდა ველო-  
დოთ?

**საბა.** რამდენი ხანიც არ უნდა დაგ-  
ვჭირდეს, სხვა რა გზა გვაქვს? (თანაშემ-  
ნებს) ხომ მოვა?

**თანაშემნე.** დამიბარა, არსად წახვიდე,  
მოვპრუნდებიო.

საბა და შიო კვლავ მოუთმენლად და-  
აბიჯებენ.

**შიო.** იქნებ, შინ წავიდა?

**თანაშემნე.** ნაჩალნიკია, ბატონო...

**გრიგოლი** (შემოდის. საბას დანახვა  
ახარებს) ამას ვის ვხედავ! შენ კიდევ აქა  
ხარ? მე უკვე ოდესაში მეგონე.

**საბა.** საქმე ის გახლავთ, რომ...

**გრიგოლი** (აწყვეტინებს). ძალიან კარ-  
გი, რომ ისევ აქა ხარ. საამო ამბავი უნდა  
გითხრა: ქუთასში ინგლისიდანაც კი ჩამო-  
დიან, ინგლისიდან! (საპას მისი მოტანილი  
ამბავი არ აინტერესებს, მაგრამ ქალაქის  
თავი ისეა აღფრთოვანებული სიახლით,  
რომ ვერაფერს ამჩნევს). ინჟენერებს, რა  
ხალხია ეს ინჟენერები, რა ხალხი, კრუგ-  
ლიკს, ზარაკოვსკის და ინგლისელ ვილ-  
სონს ხელმნიფე იმპერატორის სახელზე  
პრაშენიე დაუწერიათ – ნება მოგვეცით,  
კასპიისა და შავ ზღვებს შორის არხი გა-  
ვიყვანოთო. გაგიგიათ ამხელა არხი! იმპე-  
რატორს ეს აზრი მოსწონებია...

**შიო** (აწყვეტინებს) ხო... ეგ ხომ სულ  
ქვეყანაზე და ხალხზე ფიქრობს.

**გრიგოლი** (შიოს თვალს შეავლებს და  
განაგრძობს). ეგ ვილსონი ახლა ქუთასშია,  
550 ვერსი იქნება ეს არხი, 550 ვერ-  
სი! იცი, რა დაჯდება?

**საბა** (ცივად, მისი ფიქრი სულ სხვაგან  
ქრის). არა!

**გრიგოლი.** 330 მილიონი ოქროთი! ა,  
რას იტყვე! 330 მილიონი! რა ხალხია ეს  
ინგლისელები ან ამდენი ფული სად მოხ-  
ვეტეს. შეხედავ, ერთი მტკაველა კაცია,  
აგერ, გოკიელი რო გვყავს, ექიმი, იმას  
ჩამოჰვავს! ღვინოს პირს არ აკარებს  
და მწვადს, ხორცი ცხოვრებაში არ მი-  
ჭამიაო (ახლადა შეამჩნევს საბას გულ-  
გრილობას დააკვირდება). შენ რაღაცა...



აქეთ მოდით (კაბინეტისაკენ მიეშურება. გზადაგზა) რა იყო, რა სახე-პირი ჩამოგტირის – კაცმა ოდესის უნივერსიტეტი დაამთავრე, სამსახური ისეთ პროფესორებთან დაიწყე, ხალხი მათთან გამოლაპარაკებას სიზმარშიც ვერ პედავს (სავარძელში ნებივრად ჩაეშვება). აბა, მითხარი, ამ შუალამისას რამ მოგიყვანა?

**საბა.** მთელ სანათესაოს თავი გვეჭრება.

**გრიგოლი** (ღიმილით). ისეთი რა უნდა მოხდეს, ჩვენს სანათესაოს თავი მოჭრას...

**საბა.** გლახა ამბავია, ძალიან გლახა, მარა, რავარც კი სავარძელში ჩაჯექი, ეჭვი შემეპარა. (შიოს) ტყუილად ხომ არ მოვედით?

**გრიგოლი** (შიოს). ვერ გცნობ, ბიძიკო, (საბას) ვინაა ეს ყმანვილი?

**საბა.** ჩემი მეგობარია, შიო ნიუარაძე. ესეც ქიმის მეცნიერების გზას ადგას, ჩვენს უნივერსიტეტშია.

**გრიგოლი** (ირონიას არ ფარავს). ესეც სოციალისტობს?

**შიო.** აბა, ტირანიას შევურიგდეთ?

**გრიგოლი** (შიოს ზურგს შეაქცევს). ჰო, რას მეუბნებოდი? მაინც რამ მოგიყვანათ ამ შუალამისას? თავი რეიზა გვეჭრება?

**საბა.** ხომ იკითხავენ, რა ქალაქია ეს ქუთაისი, ამდენი ხალხი რომ ციხეში შერეკეს, ქალაქის თავი ვინ იყო, რა გვარის კაცი, რა ჩამომავლობის, საიდან...

**გრიგოლი.** ჰო... მაგიტომ მოხვედით? მაგას ნუ ინალვლებ, საბა, იტყვიან, ყოჩალი ხალხი ყოფილა, მაგ ქალაქში არეულობის მომწყობთ საკადრის პასუხს აძლევენო. პოლიცია იმიზაა, ამრევი და ოხერი დაიჭიროს, აპა!

**საბა.** აქამდე ქუთაისში დამცირებულ-თა, ჩანიხლულთა გამოსარჩლება ღირ-სეულ საქმედ ითვლებოდა, ახლა თურმე ამრევებად და ოხრებად მიიჩნევენ. აი, ამიტომ იკითხავენ, როის შეიცვალა ქუთაისი, ვინ, რა გვარის, რა ჩამომავლობის კაცი გახდა ქალაქის თავიო.

**გრიგოლი.** ახლო კაცი ხარ, მაგრამ

არც სანათესაოს გაგალანდვინებ, არც ქალაქს, პოლიციასტერი სწორად მოიქცა – ამრევნი სატუსალოში წაასხა.

**შიო.** ეგ პოლიციასტერი ქართველ-თმოძულეა. ქართველებმა რომ ქალაქის ლირსება ასე დაიცვეს, იმან გადარია.

**გრიგოლი.** თუ პოლიციასტერმა ეს ამბავი სათავისოდ წარმომიდგინა, თქვენ თქვენი მითხარით. გისმენთ.

**საბა.** მაგ სპექტაკლში იუდეველთ აუგად ექცევიან, ბინძურ ცხოველად მიიჩნევენ,

**გრიგოლი** (გაოცებული). მერე?

**შიო.** მათრახსაც კი ურტყამენ.

**გრიგოლი.** არეულობა ამიტომ მოაწყეთ? რავა, ამნაირი რამ პირველად ნახეთ?

**საბა.** ქუთაისში კი. ჩვენს ქალაქში ასე-თი რამ არასოდეს ყოფილა!

**გრიგოლი.** კი ბატონო, მაგრამ ამის გამო წარმოდგენა უნდა ჩაშალოთ, მსახიობები ლანდლოთ და კვერცხები დაუშინოთ, მსახიობ ქალს ლანდლვა-გინებით გული შეუწუხოთ, მერე სობოროს მოედანზე გამოხვიდეთ და..?

**შიო.** ქუთაისი ამნაირი ქალაქია, ბატონო – სიყვარულის და გატანის.

**საბა.** იმპერიის ჭეშმარიტად ღირსეულმა ადამიანებმა რამდენიმე ქალაქში მაგ პიესას სწორედ ამ მიზეზით აქციეს ზურგი. ამათ მაინც მოიწადინეს, ქუთაისში წარმოედგინათ.

**შიო.** ქუთაისი გაუგებარი ხალხის ჩამორჩენილ ქალაქად მიიჩნიეს.

**გრიგოლი.** ვა მაგათ და უი – უჭკუოდ მოქცეულან, მარა... თუ ასე იყო, თუ ეს იცოდით, ბილეთი რისთვის იყიდეთ, ნუ მიხვიდოდით და უკან გაბრუნდებოდნენ, თქვენ კი, გამოდის, ბუნგის მოწყობა გენადათ.

**საბა.** მართალს ბრძანებ. მაგიტომ მივედით, უნდა იცოდნენ, როგორი ქალაქია ქუთაისი – ასეთი რამ ჩვენში არ შეიძლება!

**გრიგოლი.** მთელი ქალაქი? ამდენი ხალხი მაგიტომ მივიდა?

**საპა.** მართალს ბრძანებ! სობოროს მოედანზეც მაგიტომ გავიდა ხალხი, მოითხოვდნენ, თეატრმა ქალაქი დატოვოსო, იმასაც გეტყვი: სობოროზე ის ადამიანებიც შემოგვიერთდნენ, ვინც თეატრში არ ყოფილა.

**გრიგოლი** (*ჩაფიქრებული*). ხოო... (პაუზა) კაი, ბატონო – კეთილი და პატიოსანი! თქვენ იმ დასს ასწავლეთ ჭკუა, პოლიცია კი არეულობის მომწყობთ მოუვლის. ყველაფერი რიგზეა. მორჩა! შენთან ერთი საქმე მაქვს, საპა, და უნდა დაგვეხმარო: ოდესის უნივერსიტეტში ხომ პროფესორ პეტრე მელიქიშვილთან მუშაობ.

**საპა.** და პროფესორ ვასილ პეტრიაშვილთან.

**გრიგოლი.** მელიქიშვილს წერილი გავუგზავნეთ, გვინდა, ქუთაისს ჩამოვიდეს. ურჩიე, დროზე გადაწყვიტოს ეს საკითხი. პასუხის მომლოდინე ვართ.

**საპა.** ვერ დაგპირდები, რომ დანაბარებს გადავცემ.

**გრიგოლი.** (*გაკვირვებული*). უარს რატომ მეუბნები?

**საპა.** მე ახლა პოლიციასტერთან მივდივარ. იმათ შორის უნდა ვიყო, ვინც სატუსალში ჩაამწყვდიეს. რა ვიცი, რამდენ ხანს გამიგრძელდება.

**შიო.** კვერცხებს ჩვენც ვისროდით, ისევე ვყვიროდით, როგორც სხვები.

**გრიგოლი** (*გაკვირვებული*, იქნებ, აღშფოთებულიც). თქვენ იქ რა გინდათ! პოლიციაში რა გესაქმება, საპა, კაცი მეცნიერების, სწავლულის გზას ადგასარ. უნივერსიტეტი გელოდება. შეეშვი მაგ სოციალისტობას!

**საპა.** ქალაქის თავად აგირჩიეს, მაგრამ ქალაქის მამა ვერ გახდები, თუ დენილთ, დაჩაგრულთ, დამცირებულთ არ აგრძნობინებ, რომ ისეთივე ღვთისშვილები არიან, როგორიც შენ.

**შიო.** უნდა წავიდეთ.

**საპა.** წავალ, ლორთქიფანიძეს მივუჯდები, გვერდით, იქნებ, ჭმუნვა ოდნავ მაინც შევუმსუბუქო.

**გრიგოლი** (*უქმაყოფილოა*). ე ლორთქიფანიძე კიდო ვიღაა, რა უნდა?

**საპა.** ამ ქალაქში ლორთქიფანიძე ბევრია, ნიკო ლორთქიფანიძე კი მთელ საქართველოში ერთადერთია. ეს დღესაც გამოჩინდა – ქალაქის ლირსების დასაცავად სატუსალშიც უდრტვინველად შევიდა.

**გრიგოლი** (*გაბრაზებული თუ გაოცებული შესძახებს*) ვინ?!?

**შიო.** უფალო გრიგოლ, დღეს გამოჩინდა, რა დიდებულ ხალხს აურჩევისარ ქალაქის თავად, მაგრამ...

**გრიგოლი.** რას მელაპარაკებით, ხომ არ შეიძალნებ..

**შიო.** კი, როგორ არა...

**საპა.** მაგრამ ქალაქის თავმა ამის თაობაზე არაფერი იცის.

**შიო.** პოლიციასტერს ნიკო ლორთქიფანიძის ნოველები არასოდეს წაუკითხავს.

**საპა.** არც ლადო მესხიშვილის ედმუნდ კინი უნახავს სცენაზე. ახლა ეს ედმუნდ კინი ქურდ-ბაცაცებთან ერთად საკანში ჰყავს გამოკეტილი, თვითონ კი ფეხები დაითბილა და არხეინად ხვრინავს.

**გრიგოლი.** რას სჩადისართ, ყმაწვილებო, ეს ამბავი იცით... და ასე მშვიდად მემუსაიფებით?! (თანაშემწეს) პოლიციასტერი სასწავლოდ! არა, მის მოსვლამდე რა მოითმეს – წავედით!

1903 წელი. ოდესის ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ლაბორატორია. პროფესორი პეტროვი მოხსენებას ამთავრებს.

**პეტროვი.** რა არის ამ მეცნიერის მთავარი ღირსება? მან ექსპერიმენტული მონაცემებით დაადასტურა, რომ ალფა-დიქტონების რეაქციის სიჩქარე უფრო მეტია, ვიდრე მონოკეტონებისა, რომ ჯაჭვის შეკვრა ციკლში იწვევს რეაქციის უნარის გაძლიერებას. კლდიაშვილმა არ გაიზიარა კრაფტის შეხედულება ციკლური და ცხიმოვანი ნაერთების სტერეოაგებულების იგივეობის შესახებ და ამით ჩვენს სფეროში ახალი ფურცელი გადა-



შალა. აი, ამის გამოც გადავწყვიტეთ, კი-  
დევ ერთხელ გავგზავნოთ უცხოეთში.  
ისმის ტაშისცემა

**ვასილიევის ხმა.** შეკითხვა მაქვს!

**პეტროვი.** დიახ, გისმენთ, აქეთ მობ-  
რძანდით! (ლიმილით) ისევ „რუსთა კავ-  
შირის“ სახელით უნდა მელაპარაკოთ?

**ვასილიევი** (შემოდის. გაფრთხილების  
ინტონაციით. წარბებსაც კი აზიდავს).  
ბატონო პროფესორო, „რუსთა კავშირი“  
ჩვენი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე  
დგას და მისი ირონიით მოხსენიება, რაც  
ასე გჩვევიათ თქვენ და თქვენს ზოგიერთ  
კოლეგას, საბედისწერო შეცდომაა.

**პეტროვი** (თავს უხერხულად გრძნობს).  
ყურადღებით გისმენთ, ბატონო ვასილი-  
ევ!

**ვასილიევი.** ეს კი ქმნის იმის საშიშრო-  
ებას, დაკვარგო თქვენდამი პატივისცემა.

**პეტროვი** (დაბრული). რას ამბობთ,  
რას ამბობთ!.. ძალიან საწყენია. გისმენთ.

**ვასილიევი.** „რუსთა კავშირის“ უნი-  
ვერსიტეტის განყოფილება, აკვირდებო-  
და რა ქიმიის ლაბორატორიის მუშაო-  
ბას, მივიდა დასკვნამდე, რომელიც უნდა  
გადმოგცეთ... მე დამავალეს.

**პეტროვი.** თუ დაგავალეს, სხვა რა  
გზაა! უნდა შეასრულოთ. (უცემ) ვასი-  
ლიევ, რომ არ დაევალებინათ, დამიმა-  
ლავდით?

**ვასილიევი.** ისეთ პატივს გცემთ...

**რახილი** (ვასილიევს). მეცნიერებთან  
ასეთი ტონით ისაუბრეთო, დაგავალეს?

**პეტროვი** (რახილს). არა, არა, თქვენ  
ნუ ერვეით!..

**ვასილიევი.** ეს მაგათი თვისებაა, ეგენი  
ყველგან, ყველაფერში ერვიან.

**პეტროვი.** არ არის საჭირო, გთხოვთ,  
საკითხს დაუბრუნდეთ: რა დაგავალათ  
„რუსთა კავშირმა“?

**ვასილიევი.** „რუსთა კავშირი“ მივიდა  
იმ დასკვნამდე, რომ ქიმიის ლაბორატო-  
რიაში არაჯანსაღი ატმოსფეროა შექ-  
მნილი. პროფესურა ანგარიშს არ უწევს  
ეროვნულ ფასეულობებს, ეთაყვანება  
უცხოურს...

**პეტროვი** (აწყვეტინებს). რას ამბობთ,  
ბატონო ვასილიევ, ეგ რამ აფიქრები-  
ნათ!.. თქვენ ხომ იცნობთ ჩვენს მუშა-  
ობას, ლაბორატორიის წევრი ხართ, ამ  
მოსაზრებას ეთანხმებით?..

**ვასილიევი.** მე გთხოვთ, ნუ მაწყვე-  
ტინებთ... რასაკვირველია, ვეთანხმები.  
ჩვენ კოლექტიური აზროვნება გვაქვს.

**პეტროვი.** კოლექტიური აზროვნება?  
საინტერესოა...

**ვასილიევი.** ჩვენი პროფესურა საფ-  
რთხის ქვეშ აყენებს სამამულო მეცნი-  
ერების განვითარებას. ჩვენ გვჭირდება  
რუსული ქიმია, ნამდვილ ეროვნულ ფა-  
სეულობებზე შექმნილი ქიმიის მეცნიე-  
რება.

**პეტროვი.** დიახ, გვაქვს... გვექნება  
რუსული ქიმია (უცემ). უკაცრავად, რუ-  
სული ქიმია რა არის?..

**ვასილიევი.** აი, არც კი იცით! (შეგონე-  
ბის ტონით). რუსული ქიმია – ეროვნულ  
ფასეულობებზე აღმოცენებული მეცნიე-  
რება არის ის, რასაც არარუსი ქიმიკოსე-  
ბი ვერ შექმნიან. ამიტომ საჭიროა მეტი  
წინდახედულება. ეროვნული ინტერესე-  
ბის გათვალისწინება. მეთანხმებით თუ  
არა?

**პეტროვი.** უსათუოდ, უსათუოდ! წინ-  
დახედულება, რასაკვირველია, საჭიროა.

**ვასილიევი.** დააკვირდით, ბატონო  
პროფესორო: ჩვენს უნივერსიტეტში ვინ  
ქმნის ქიმიის მეცნიერებას? (გვარებს  
ხაზგასმით წარმოთქვას) პეტრე მელი-  
ქიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი...

**პეტროვი.** ოო... დიდებული... მშვენიე-  
რი მეცნიერები!

**ვასილიევი.** თავს უფლებას ვერ მივ-  
ცემ, არ დაგეთანხმოთ, მაგრამ შეუძლი-  
ათ კი პეტრიაშვილს, მელიქიშვილს რუ-  
სული, ეროვნული ქიმიის შექმნა?

**პეტროვი** (მყისვე). რას ამბობთ, არა,  
რასაკვირველია, არა!

**ვასილიევი.** მიხარია, რომ მეთანხმე-  
ბით!

**პეტროვი.** ისინი ქიმიის მეცნიერებას  
ქმნიან. კიდევ ერთხელ მაპატიეთ, ვასი-

ლიევ, ჩემი ბრალია, კარგად ვერ გავი-  
გე: როგორ ბრძანეთ, რუსული ქიმია რა  
არისო?

**ვასილიევი.** ერთხანს გამომცდელად  
შესცერის პეტროვს – დაეჭვდა, პროფე-  
სორი ხომ არ დამცირისო.

**რახილი.** პროფესორო, რატომ არ შე-  
ახსენებთ, რომ თქვენც ისეთივე რუსი  
ხართ, როგორიც ეგ?

**პეტროვი.** თქვენ არა, თქვენ ნუ ერე-  
ვით!

**ვასილიევი.** აი, უიდი ამბობს, რომ ჩვენ  
ორივენი რუსები ვართ. მართლა ასეა?

**პეტროვი.** არა, ასე ნამდვილად არ არის.

**ვასილიევი.** მე ნამდვილად ვარ რუსი.  
თქვენ? თქვენ ვინ ხართ? (დუშმილი). ჰა?  
ინტელიგენტი, პროფესურა!

**პეტროვი.** ეს ცუდია, ხომ? არადა, თა-  
ვი სულ რუსი მეგონა.

**ვასილიევი.** გეგონათ, მხოლოდ გეგო-  
ნათ. ახლა კი მთავარი!

**პეტროვი.** დიახ, მთავარი, ეგ არის  
მთავარი!..

**ვასილიევი.** შარშან ჩვენმა უნივერსი-  
ტეტმა ბერლინში პროფესორ ფიშერთან  
მიავლინა ალექსანდრე საბა კლდიაშვი-  
ლი. მეთანხმებით?

**პეტროვი.** რა უფლება მაქვს, არ დაგე-  
თანხმოთ. ჩემი წინადადება იყო.

**ვასილიევი.** წელს ისევ ბერლინში, ისევ  
პროფესორ ფიშერთან ვინ გაგზავნეთ?  
ისევ კლდიაშვილი. ხომ არ ვცდები, პრო-  
ფესორო?

**პეტროვი.** თქვენ? როგორ შეიძლე-  
ბა! მხოლოდ დაზუსტების მიზნით: ეგ მე  
არა, რექტორის საბჭომ.

**ვასილიევი.** შესაძლოა, მაგრამ მთავა-  
რია, რომ – ისევ კლდიაშვილი!

**პეტროვი.** დიახ, დიახ, ასე იყო!

**ვასილიევი.** დღეს კი მოგვახსენეთ ახა-  
ლი გადაწყვეტილება. ისევ გერმანიაში,  
ისევ საბა კლდიაშვილს გზავნით პროფე-  
სორ ტამანთან.

**პეტროვი.** პროფესორ ტამანს დიდი  
გამოცდილება აქვს ქიმიის ორგანული  
სინთეზის დარგში. ამ სფეროში კი ბა-

ტონმა კლდიაშვილმა...

**ვასილიევი.** მე ჯერ შეკითხვა არ და-  
მისვამს. გთხოვთ, მომისმინოთ, შეკით-  
ხვას კარგად დაუფიქრდეთ და ისე მიპა-  
სუხოთ.

**პეტროვი.** მართალს ბრძანებთ... გე-  
თანხმებით.

**ვასილიევი.** ნუთუ ამ უნივერსიტეტის  
ქიმიის ლაბორატორიაში მხოლოდ ალექ-  
სანდრე საბა კლდიაშვილი მუშაობს? ნუ-  
თუ აქ სხვები არ არიან და, თუ არიან,  
რატომ არის ასე მიჩქმალული მათი ნიჭი,  
შრომისმოყვარეობა?

**პეტროვი.** ეგ საიდან მოიტანეს? ეგ ვინ  
თქვა?

**ვასილიევი.** მე გითხარით. მომისმინეთ,  
შეკითხვას დაუფიქრდით და ისე მიპასუ-  
ხეთ-მეთქი. თქვენ კი რას აკეთებთ? შე-  
კითხვას აქეთ მისვამთ. ეს ხომ უიდების  
წესია – შეკითხვას შეკითხვით უპასუხონ  
და ეს მაშინ, როცა „რუსთა კავშირს“ აინ-  
ტერესებს თქვენი პასუხი შეკითხვაზე: ამ  
ლაბორატორიაში ასე რატომ იჩქმალე-  
ბა ყველას ტალანტი, გარდა ალექსან-  
დრე კლდიაშვილისა? (პეტროვი უმწეოდ  
დუმს). გისმენთ.

**პეტროვი** (ფიქრიანად). საინტერესო  
შეკითხვაა, ძალიან საინტერესო. რა გო-  
ნიერი კაცი ხართ, ვასილიევ, რა ჭკვია-  
ნურ კითხვას სცმოთ.

**ვასილიევი.** ამას „რუსთა კავშირი“ გე-  
კითხებათ.

**პეტროვი.** „რუსთა კავშირი“? ხედავთ,  
რა წინდახედული კავშირია? ღმერთო ჩე-  
მო, რატომ? რატომ საბა კლდიაშვილი?  
ალბათ, იმიტომ რომ... აბა, სხვა რა უნდა  
იყოს?

**ვასილიევი.** დიახ, დიახ, ბრძანეთ, გის-  
მენთ. მთავარია, მიზეზი ვიპოვოთ. თუ  
მიზეზს ვიპოვით...

**პეტროვი** (თითქოს მძინარე გამოფ-  
ხიზლდა). რისი მიზეზი?

**ვასილიევი** (კვლავ დაეჭვებული აკ-  
ვირდება პეტროვს). მიზეზი იმისა, მესა-  
მედ რატომ იგზავნება უცხოეთში კლდი-  
აშვილი და არც ერთხელ...

**პეტროვი** (გახარებული). ეგ არ არის რთული ამოსაცნობი, ეგ იოლი საკითხია; კარგი ახალგაზრდაა, მუყაითი, დაკვირვებული, დღედაღამ შრომობს...

**ვასილიევი.** მაშასადამე, თქვენ მეუბნებით, რომ ლაბორატორიის რუსი მეცნიერები: ივანოვი, სიდოროვი, თქვენი მონა-მორჩილი ვასილიევი, სხვებიც... ზარმაცი, დაუკვირვებელი მეცნიერები არიან. ხომ სწორად გაგიგეთ?

**პეტროვი.** კი... კი, რა თქმა უნდა, ასეა!.. (მცირე პაუზის შემდეგ). არა, რა-საკვირველია, ვერ გამიგეთ, უფრო სწორად, მე იმის თქმა მეწადა...

**რახილი.** ვასილიევ, მასწავლებელს, მეცნიერს ასე არ ელაპარაკებიან!

**პეტროვი.** არა, არა, თქვენ არა, ნუ ჩა-ერევით-მეთქი!

**ვასილიევი.** უკვე მოგახსენეთ, უიდები ყველან ყველაფერში ერევიან – დარწმუნდით თუ არა, რომ ადამიანებს საუბრის საშუალებასაც არ აძლევენ?

**რახილი.** ეს საუბარი არ არის – თქვენ ჩემს მასწავლებელს ემუქრებით. რუსთა კავშირს მოახსენე, რომ საბა კლდიაშვილმა უნივერსიტეტი დიდი წარმატებით დაამთავრა და პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. რუსთა კავშირს ისიც აუწყეთ, თქვენ რომელი ხარისხის დიპლომი მიიღეთ?

**ვასილიევი.** „რუსთა კავშირს“ აინტერესებს რუსი ხალხის მომავალი და არა ის თუ რომელი ხარისხის დიპლომი მიიღო კლდიაშვილმა ან ვასილიევმა.

**რახილი.** ხალხის მომავალი სწორედ მანდ არის, ვასილიევ! ალბათ, ამიტომაც არ აინტერესებს ის რუსები, რომლებმაც პირველი ხარისხის დიპლომი მიიღეს: ალექსანდროვი, პიმეროვი ნამდვილი მეცნიერები არიან და მაგ კავშირს არ ეკარებიან. საბა კლდიაშვილი კი უნივერსიტეტის შემდეგ რუსეთის ყველაზე კარგ – პლოტიანკის სადგურში...

**პეტროვი** (გახარებული). დიახ, დიახ, მართალი ხართ, იქ მსახურობდა!

**ვასილიევი.** მეც იქ ვმუშაობდი და

კლდიაშვილთან ერთად მოვედი უნივერსიტეტში.

**რახილი.** იქნებ, ჩამომითვალო, რა გა-აკეთე მაგ სადგურში? (დუმილი). შენ იქ „რუსთა კავშირის“ წარმომადგენელი იყავი და არაფერი არ გაგიკეთებია, გარდა იმისა, რომ ხალხს ჩასახოდი ამ კავშირში გაერთიანდითო. საბა კლდიაშვილმა რა გააკეთა? პირველი: სერიოზული ანალიზი საცდელი მინდვრის პროდუქტებისა, მეორე: სასუქთა ანალიზი, მესამე: ატმოსფერული ნალექების კვლევა. იმპერიის ამ მხარეში ასეთი კვლევა ოდესმე ჩატარებულა?

**პეტროვი.** დიდებულია, დიდებული! (ვასილიევის მოღუშულ სახეს დაინახავს თუ არა) ხომ მეთანხმებით, ვასილიევ? (დუმილი).

**რახელი.** ახლა ის ვნახოთ, ბერლინში, პროფესორ ფიშერთან რა გააკეთა კლდიაშვილმა: ჩატარა ორმოცზე მეტი ორგანული სინთეზი, მოამზადა ოცი პრეპარატი. რას იტყვი, ვასილიევ!

**ვასილიევი.** მე ორმოცდაათ სინთეზს ჩავატარებდი, ივანოვი კი სამოცს (პეტროვს). ხომ ასეა, პროფესორო?

**პეტროვი** (გულიანად იცინის). რასაკვირველია, არც ერთი არ დააკლდებოდა, არც ერთი! აი, ივანოვი ოთხმოცსაც შეძლებდა. (იცინის) ჰი ჰი ჰი!

**რახილი.** კლდიაშვილი ლაბორატორიაში ზის და მუშაობს, დილიდან საღამომდე შრომობს.

**ვასილიევი.** ვიცი, აქ გვიან საღამომდე ერთად ხართ (იქედნურად). იქნებ, ისიც თქვა, გვან საღამოს ლაბორატორიაში რას აკეთებთ?

ხანგრძლივი პაუზა, რახილი ირონიული ლიმილით შესცერის ვასილიევს.

**რახილი.** ვიცი, ვასილიევ, ვხვდები, რომ შენი მწირი ფანტაზია ამის იქით ვერ მიდის. შენთვის ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ კლდიაშვილმა წიგნი დაწერა – სახელმძღვანელო, „მოკლე მინერალური ქიმია“, უკვე მეორე წელიწა-

დია, საქართველოში გაზეთ „დროებაში“ იპტდება. მე ახლა რუსულად თარგმნაში ვეხმარები. წაიკითხე, იქნებ, გაიგო, რა არის ქიმია!

**პეტროვი** (ხითხითებს). ჰი ჰი... კარგი აზრია, მისაღებია! (ვასილიევი ბრაზმორეული გარბის. პეტროვი უხმოდ შესცერის, გამომეტყველება სრულიად ეცვლება – მკაცრი, შეუვალი სახე, რაც გვაფიქრებინებს, რომ სულაც არ არის ისეთი მშიშარა, როგორც თავს აჩვენებდა). რახილ, საშიში კაცია, ფრთხილად იყავი, ძალიან ფრთხილად!

**ბერლინი**, 1904 წელი. სცენაზე მხოლოდ პროფესორი კრაფტი დგას.

**კრაფტი** (ხაზგასმულად ხმადაბლა ლაპარაკობს. მიაჩნია, რომ ასე უფრო დამაჯერებელია). მოგესალმებით, ბატონებო და ქალბატონებო, ჩვენს უნივერსიტეტში სამეცნიერო მივლინებით იმყოფება ალექსანდრე კლდიაშვილი. იგი ოდესის უნივერსიტეტიდან ჩამოვიდა და როცა შეიტყო, რომ დიდებული მეცნიერი და მეწარმე სიმენსი ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორია, გვთხოვა, მივცეთ შესაძლებლობა, უნივერსიტეტის პროფესურას და ბატონ სიმენსს გააცნოს თავისი აზრი მის წიგნზე. სიმენსი იმყოფებოდა საქართველოში და გერმანიაში დაბრუნებულმა დაწერა წიგნი ამ ქვეყანაზე, მის ხალხზე. გთხოვთ, ბატონო კლდიაშვილო, ბატონო სიმენს!

შემოდიან და სცენის სხვადსხვა მხარეს დადგებიან კლდიაშვილი და სიმენსი.

**საპა.** საბჭოს დიდად პატივცემულო წევრებო, დიდად პატივცემულო სიმენს, დიდ პატივს ვცემ (სიმენსს მიუბრუნდება) თქვენს სამეცნიერო ღვანლს, მსმენია თქვენი წარმატებული საქმიანობის თაობაზე, როგორც მეწარმისა, მინდა მოწინებით მოგესალმოთ...

**სიმენსი** (გულგრილად). მეც მოგესალმებით.

**საპა** (განაგრძობს). და რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა წიგნზე, რომელიც ჩემს ქვეყანასა და ხალხზე დაწერეთ.

**სიმენსი.** წუ ღელავთ, გისმენთ.

**საპა.** თუ კადნიერებაში არ ჩამომართმევთ, აქვე მოგახსენებთ, რომ ეს მოსაზრებანი ერთობ ნეგატიურია.

**სიმენსი.** დიახ, მე ვიყავი თქვენს ქვეყანაში, იქ ბევრი ადამიანი გავიცანი და ვხედავ, კულტურით დიდად განსხვავდებით მათგან (პაუზა). ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებთ.

**საპა.** ორი მიზეზის გამო არ მივცემთავს უფლებას, თქვენს ამ შენიშვნას ის მივაგო, რასაც იმსახურებს. პირველი: მე თქვენში ვხედავ მეცნიერს და არა უხეშდალას, რომლის დათრგუნვა ყოველი პატიოსანი კაცის ვალია. მეორე: ამ დიდებულ აუდიტორიას აუცილებლად უნდა მოვახსენო თუ რაოდენ ზედაპირული, ტენდენციური წიგნი შესთავაზა მას მეცნიერმა სიმენსმა. (დარბაზი აჩოჩქოლდება. საპა – მტკიცედ, დამაჯერებლად). დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორებო, სამართლიანობისა და კულტურის სახელით, ჩემს მორალურ მოვალეობად მიმაჩნია, გაგიზიაროთ უსიამოვნებისა და აღშფოთების ის გრძნობა, რომელიც გამოიწვია ჩემში ქართველი ხალხის გონიერივი და, საერთოდ, კულტურული ცხოვრების თქვენმა ზერელე, ზედაპირულმა აღწერამ.

**სიმენსი.** მომიტევეთ, ბატონო კლდიაშვილო, უნდა შეგანყვეტინოთ.

**საპა. რატომ?**

**სიმენსი.** თქვენ საბჭოს აუწყებთ, რომ მე ზერელედ, ზედაპირულად აღვწერე ქართველი ხალხის გონიერივი, კულტურული ცხოვრება. ამ შენიშვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიზიარებ, თუ დამისაბუთებთ.

**საპა.** განსაკუთრებით აღგვაშფოთა თქვენმა დაუსაბუთებელმა დასკვნებმა; წიგნში თქვენ მოგყავთ ქართული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელთა: შოთა რუსთაველის, ბარათაშვილის, ჭავჭავაძის და სხვათა ნაწარმოებების გერმანულად თარგმნილი ნიმუშები და კომენტარებს უკეთებთ მათ მეტად ზე-



რელედ, ზედაპირულად. უმთავრესად და განსაკუთრებით გარეგნულად და თქვენთვის ადვილად მისაწვდომი მხრიდან.

**სიმენსი.** და თუ რეალობა, თარგმნილი ნიმუშები სხვაგვარი დასკვნის საშუალებას არ მაძლევს?

**საპა.** თუ ასე მიგაჩნიათ, უნდა დაისვას თქვენი ლიტერატურული განათლების, გემოვნების საკითხი. მე წამიკითხავს პროფესორ სიმენსის სამეცნიერო ნაშრომების თაობაზე (დარბაზი). თქვენ ოდესმე წაგიკითხავთ პროფესორ სიმენსის ლიტერატურული შრომები? (საპა დარბაზის რეაქციას ელოდება. დუმილი). მაშ, ამ სფეროში ესოდენ დილეტანტური ცოდნის მქონე კაცი რატომ აძლევს თავს უფლებას, გამოთქვას მოსაზრება ერის კულტურაზე, მის მონაპოვარზე?

დუმილი

პროფესორ სიმენს, თქვენის ნებართვით, კიდევ მოგასხენებთ.

**სიმენსი** (უხალისოდ). გისმენთ.

**საპა.** თქვენ არ მოინდომეთ, მიგემართათ იმ აპსტრაქციისათვის, რომელიც შენიშნეთ ბერძნულ და ევროპულ კულტურაზე აღზრდილი რუსთაველის და სხვა ქართველ მოაზროვნეთა გონიერივ ოკეანეში, იმ დროს, როცა თქვენ გაეცანით ქართველთა გონიერივ ცხოვრებას მხოლოდ რუსული ენის დახმარებით. ამიტომ არ გსურდათ ან არ შეგეძლოთ, სერიოზულად და ლრმად ჩაგეხედათ ჩვენს გონიერივ ცხოვრებაში.

**სიმენსი.** გთხოვთ, მიპასუხოთ შეკითხვაზე: რატომ არ უნდა მქონოდა სურვილი, ღრმად ჩამეხედნა ქართველთა გონიერივ ცხოვრებაში?

**საპა.** ჩინებული შეკითხვაა. იქნებ, ზუსტმა პასუხმა გვპოვნინოს ტენდენცია.

**სიმენსი.** საინტერესოა, გისმენთ.

**საპა.** ვფიქრობ, თქვენ, ისევე როგორც მრავალი სხვა, ჩვენს კულტურას გაეცანით უმეცარი მოენების ნაამბობით.

**სიმენსი.** მე არ მომეჩვენა, რომ ისინი უმეცარნი იყვნენ.

**საპა.** იმაში კი დარწმუნებული ხართ, რომ კარგად ფლობდნენ ქართული ენას, იცნობდნენ ჩვენს კულტურას? (პაუზა. საპა სიმენსის პასუხს ელოდება. დუმილი). ამიტომ წერთ, რომ ქართველებთან ისე უნდა მოიქცე, როგორც ველურებთან, რომ ისინი ნელ-ნელა უნდა შევაჩვიოთ კულტურას, რომ ქართველები მხოლოდ ნადირობის, ქეიფის და მიჯნურობის მოყვარული ხალხია. (საპა სიმენსის პასუხს ელოდება). სხვათა შორის, ისინი თავიანთ წიგნებშიც ამასვე წერენ.

**კრაფტი.** ბატონო პროფესორო, რას ბრძანებთ?

**სიმენსი** (კარგა ხანს დუმს. ფიქრობს). არაფერს (დუმილი). არაფერს, გარდა იმისა, რომ ბატონ კლდიაშვილს ხელს ჩამოვართმევ. (საპას მიუახლოვდება, ხელს ართმევს). გმადლობთ.

ბნელდება.

ოდესა, 1905 წელი, 20 ოქტომბერი.

სინაგოგის ერთ-ერთ არასალოცავ დარბაზში ყველა ჭალი გაჩახჩახებულია. დღეს აქ ეპრაულ ახალ წელს დღესასწაულობენ.

**რაპი.** მომილოცავს, ჯამაათო! დაგვიდება კიდევ ერთი ახალი, 5665-ე წელი. მრავალს დასწრებოდეთ!

– ამინ!

– გისმინოს ღმერთმა!

– იდიდოს ღმერთის სახელი!

**რაპი.** ლოცვა დამთავრდა, ვილალოთ, ეპრაელებო. დღეს ზემინი გვაქვს!

მღერიან, ცეკვავენ. რაპი ესაია მოდღესასწაულებს შეუერთდება, ამბიონის ირგვლივ ცეკვავენ. წრეს უვლიან.

**რაპი.** მომავალ დღესასწაულს ჩვენს სამშობლოში, ისრაელის მიწაზე შევხვედროდეთ!

– ამინ!

– გველირსოს!

**იოსები.** ნურა სიამოვნება, ამქვეყნიური სიკეთე ნუ დაგვავიწყებს სამშობლოს!

ერთხმად. ამინ!

**ზალცმანი** (სახეგაპრნეინებული, ლამის ნამდერებით). დამინდეს მარჯვენა



ჩემი, თუ დაგივიწყო შენ, იერუშალომ,  
ენა ჩემი მიახმეს სასას ჩემსას!

**ერთხმად.** ამიიინ!

**იციკი** (შემორბის. შეშფოთებულია. ვი-  
ლაცას დაეძებს, ვერ პოულობს. მოცეკ-  
ვავეები ცდილობენ, ცეკვაში ჩაითრიონ).  
შემეშვით, თავი დამანებეთ!

– იციკ, მოდი!

– იციკ, ჩვენზე უკეთესს ვის დაეძებ?

**იციკი** (ცდილობს, თავი დააღნიოს).  
მომშორდი, გამეცალე!

– იციკ, რიბკამ უარი გითხრა?

– რიბკას შენთან აღარ უნდა?

– რიბკას ნათანი ეთამაშება!

**რახილი** (იციკს ხელს ჩაავლებს). ჩემ-  
თან, იციკ, ჩემთან იცეკვე!

**იციკი ზალცმანს რაღაცას უხსნის.**

**ზალცმანი** (შეშფოთდება, ამბიონისა-  
კენ მიიჩნევს). გზა, გზა, ებრაელებო, გა-  
მატარეთ!

**რახილი** (ზალცმანს ხელს ჩაჰქიდებს,  
ეცეკვება). სად გეჩერება, ზეიმი გვაქვა!

**ზალცმანი** (რახილს ლამის ხელს  
ჰქონდა. ამბიონისაკენ მიიჩნევს). ბატონე-  
ბო, ებრაელებო! (შეშფოთებული გაცქე-  
რის მოზეიმე ხალხს. მთელი ძალით იყვი-  
რება) რას შვრებით! რა ამბავში ხართ,  
ებრაელებო!

**სიცილი.**

- ნახეთ, რა სახე აქვთ!
- ვითომ შეშფოთებულია!
- რას აკეთებთო!
- ვითომ არ იცის!

**ზალცმანი** (სასონარკვეთილი). დარ-  
ბევაა, ოდესაში დარბევა დაიწყო! (მღელ-  
ვარებისაგან ხმა ჩაუწყდება. ცეკვა-სიმ-  
ღერა უცებ შეწყდება.) თავს უშველეთ,  
ისრაელებო, ოდესაში დარბევა დაიწყო!

შიშმა ყველას ერთდროულად დაუარა.  
გაირინდნენ, ერთ ადგილს მიეჯაჭვნენ.

**ესთერი** (განწირული ხმით). ბავშვი აკ-  
ვანში დავტოვე!

ადამიანები უცებ ამოძრავდებიან, ან-  
რიალდებიან.

- მიშველეთ! მოსია ეზოში თამაშობდა!
- დედაჩემი მარტოა!

– დუქანს გადამიწვავენ!

– ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

– ბავშვები!

– საკონდიტროს სულ დალენავენ!

**ესთერი** (მიმორბის, გვერდს ვერ უქ-  
ცევს კართან შეჯგუფებულ ხალხს). მიშ-  
ველეთ, ბავშვი, აკვანგია! (მისი არავის  
ესმის, ყველა ცდილობს სინაგოგიდან  
გასვლას).

**რაბი.** ჯამაათო, ჯამაათო, პატივცე-  
მულო! (არავინ უსმენს, თვალებში უსაზ-  
ლვრო სევდაჩამდგარი შესცერის შიშ-  
დარეულ, აწრიალებულ სამწყსოს. უცებ  
ამ კაფანდარა, მორჩილი კაცისთვის შეუ-  
ფერებელი მრისხანებით იქუხებს). ისრა-  
ელნო, გოლიათის დამმარცხებელი დავი-  
თის შთამომავალნო! (რაბის ძლიერი ხმა  
დარბაზს გრგვინვასავით გადაუვლის,  
ხალხი ნელ-ნელა მოუბრუნდება. ესთერი  
ამით ისარგებლებს და გარბის). ამ წმინ-  
და წიგნებს ვის უტოვებთ – ბრბომ გა-  
თელოს?

ჯერ უფალი და მერე ცოლ-შვილი, ჯა-  
მაათო, ჯერ უფალი და მერე ცხოვრება!

**ზალცმანი** (დავითს ზედაც არ შეხე-  
დავს ისე განევს, ადგილს მოაცვლევი-  
ნებს. ყველა მიხვდება თუ რას აკეთებს  
ზალცმანი. მიეშველებიან: იატაკზე გა-  
ფენილ ნოხს აიღებენ, გვერდით მიაგდე-  
ბენ და იატაკში ამოჭრილ კარს გააღ-  
ბენ). დროზე, დროზე! (ორი-სამი კაცი  
სარდაფში ჩადის, ერთიც სარდაფის თავ-  
ზე დადგება, სხვები – წმინდა წიგნების  
უზარმაზარ კარადასა და კიბის შუა, კა-  
რადიდან მონინებით გამოაქვთ წმინდა  
წიგნები, ასევე მონინებით გადასცემენ  
ერთმანეთს და სარდაფში ჩააქვთ. და-  
ვითს) შენ რა, ებრაელი არა ხარ?

– ჩქარა, ჩქარა!

– შარშანაც ამ დროს მოაწყვეს დარ-  
ბევა!

– არა, უფრო ადრე იყო!

– იაკობი წინა დარბევისას დაიღუპა!

– ცოლ-ქმარი სიფორი და რახმინი!

– დროზე, დროზე!

დაცალეს კარადა, დახურეს სარდა-



ფის კარი, ხალიჩაც მყისვე გაფინეს, სკა-  
მებსაც თავ-თავის ადგილზე დგამენ და  
გასასვლელს მიაშურებენ.

- ცოლ-შვილს მივხედოთ!
- თავს ვუშველოთ!
- გავეცალოთ!

**ზალცმანი** (დავითს). წამოდი, აქაუ-  
რობას გავეცალოთ! (კარზე მიხატულ  
ექვსქიმიან ვარსკვლავს სინანულით მი-  
აჩერდება), ცხადია, მადლობელი ვარ,  
ადონაი, მადლობელი, მაგრამ... ხომ უყუ-  
რებ, ხომ ხედავ...

**დავითი.** გამაგებინეთ, რა ხდება?!

**ზალცმანი** (გაოცებული გადმოხედავს  
დავითს, რაღაცის თქმას აპირებს, მაგ-  
რამ უცებ პოლიციელს მოჰკრავს თვალს.  
პოლიციელი გაფხორილი მამალივით და-  
აბიჯებს მოედანზე). გამარჯობა! (პო-  
ლიციელი ზალცმანს შეათვალიერებს.  
და გზას განაგრძობს). იქ არეულობაა,  
გვარბევენ.

**პოლიციელი.** გაიქეცი, თავს უშველე!

**ზალცმანი** (დავითს ხელს წაავლებს,  
დაჯდომა სწადია). მუხლი აღარ მემორ-  
ჩილება, უცხოელო, უნდა ჩამოვჯდე.

მოედანზე გამაყრულებელი ღრიანცე-  
ლი შემოიჭრება.

- რუსებო, დასცხეთ ურიებს!
- ვისაც რუსეთი გიყვართ, ურიებს  
დასცხეთ!

- არ დაინდოთ!

- დასცხეთ ურიებს, იხსენით რუსეთი!
- სამშობლო განსაცდელშია, მმებო!

- სიკვდილი მეფის მტრებს!

**ზალცმანი** (კვლავ დავითის მარჯვე-  
ნას მოებლაუჭება, წამობლდება). სად,  
სად წავიდე, სად შევაფარო თავი!

**დავითი.** იქნებ, ამიხსნათ, რა ხდება  
თქვენს ქალაქში?

**ზალცმანი** (გაკვირვებული ახედავს  
დავითს). შენ ვინ ხარ?

**დავითი.** ებრაელი.

**ზალცმანი.** ებრაელიო (მწარე ღიმი-  
ლი). ებრაელი ხარ და არ იცი, რა ხდე-  
ბა? ეს ხომ იმას ნიშნავს, არ იცოდე, რას  
ნიშნავს, იყო ებრაელი? სად დაიბადე —

ამერიკაში?

**დავითი.** საქართველოში.

**ზალცმანი** (უცნაურად დაბრიცა ტუ-  
ჩები). საქართველო? ეგ სად არის?..

**დავითი.** კავკასიაში.

**ზალცმანი.** აა... იქ, სადაც მთებია?

**დავითი.** კი, მთებიც არის.

**ზალცმანი.** ებრაელმა კაცმა პოგრომი  
არ იცი? რანაირი ებრაელი ხარ? სადაუ-  
რი ვარო, თქვი?

**დავითი.** საქართველოდან, ოდესაში  
გუშინ ჩამოვედი.

**ზალცმანი.** მერე მაგ საქართველოს  
არასოდეს უჭირდა? (ქუჩიდან კვლავ შე-  
მოიჭრება შეძახილები. ერთხანს შეძახი-  
ლებს უსმენს. დავითს). არ უჭირდა?

**დავითი.** დღესაც უჭირს.

**ზალცმანი.** მერე? განა მაგ გაჭირვების  
მიზეზი ებრაელები არ არიან?

**დავითი.** ებრაელები რა შუაშია?

**ზალცმანი** (უნდობლად შესცეკრის  
დავითს. იგი ეჭვს აღძრავს მასში). აბა,  
სხვა ვინ? ეგ ქართველები თავიანთ გასა-  
ჭირს ვის აპრალებენ?

ოდესა, ქართველთა სათვისტომო,  
1905 წლის 20 ოქტომბერი.

**შიო.** რა ვქნათ, რა გადავწყვიტოთ?

დუმილი.

**გიორგი.** ეგ ქართველი სტუდენტი...  
რა გვარიაო?

**შიო.** აბესაძე. მეოთხე კურსზეა. ხვალ  
ან ზეგ რექტორის საპჭო გადაწყვეტს,  
დატოვონ თუ არა უნივერსიტეტში.

**ამირანი.** ქართველთა სათვისტო-  
მომ იმისთვის აგვირჩია, რომ ოდესაში  
მცხოვრები ქართველები დავიცვათ.

**საბა.** და თუ მაგ აბესაძემ კანონისა და  
ზენეობის წინაშე შესცოდა?

**ამირანი.** ჩვენ იმისთვის აგვირჩიეს,  
რომ ქართველებს ამოვუდგეთ მხარში,  
დავიცვათ ძალადობისაგან, უსამართლო-  
ბისაგან.

**საბა.** მაგ ჭაბუკის დაცვა ძალადობისა  
და უსამართლობის დაცვაა. მისი დაჩაგ-  
ვრა ქართველობის დაკანინება იქნებოდა.

**გიორგი.** ბატონ კლდიაშვილს ვეთან-სმები. ქართველობა ზნეობრიობაა.

**შიო.** ჩვენ იმისათვის არ ავურჩევი-ვართ, დამნაშავენი დავიცვათ.

**ნიკოლოზი.** მე კი მგონია, რომ... (პა-უზა) მაგ ჭაბუქს ძალადობა ისე ჩაადენი-ნეს, ვერც მიხვდა, რას აკეთებდა. ძალა-დობა მაგ ატრუებული ქალის ფარული სურვილით ჩაიდინა.

**საბა.** ეგ როგორ?

**ნიკოლოზი.** ახლავე მოგახსენებთ: სტუდენტი მაქსიმოვა უჩივის სტუდენტ აბესაძეს იმაზედ, რომ ნამუსი ახადა. ეს, რასაკვირველია, დასაგმობი, აუტანელი საქციელია, მაგრამ შესწავლილი უნდა იქნას, რა გარემოებაში მოხდა დანაშაუ-ლი.

**გიორგი.** რა გარემოებაშიც უნდა მომ-ხდარიყო, გწადია, ასეთი ქართველის და-ცვა ჩამაგონო?

**ნიკოლოზი.** არა, ასეთი ქართველის დაცვას არ ჩაგაგონებ, მაგრამ იურის-პრუდენცია გვავალებს, გამოწვლილვით შევისწავლოთ თუ როგორ, რა გარემოე-ბაში მოხდა დანაშაული, უნდა შევისწავ-ლოთ დანაშაულის მოტივაცია.

**საბა.** ყურადღებით გისმენთ.

**ნიკოლოზი.** ვინ არის აბესაძე? მომ-ხიბლავი 21 წლის იმერელი ბიჭი, საქარ-თველოში ქალს არ გაკარებია, ოდესელი გოგონები კი თავს ევლებიან, ათამა-მებენ. ცეცხლოვანი, ვნებიანი 19 წლის მაქსიმოვასთან ურთიერთობისას ვნებამ ძლია წინდახედულებას.

**გიორგი.** და ეს მაქსიმოვას ბრალია?

**ნიკოლოზი.** გინახავთ მაქსიმოვა? მე-რწმუნეთ, ყოველი თქვენგანი, თუმც ზრდასრული ადამიანები ხართ, ცდუნე-ბის წინაშე დადგებოდა.

**საბა.** ბატონი ნიკოლოზ, ეგ არის აბესაძის გამამართლებელი?

**ნიკოლოზი.** არა. სტუდენტმა აბესა-ძემ თავის სტუდენტურ ოთახში მიიწვია სტუდენტი მაქსიმოვა. მაქსიმოვაც ეწ-ვია. აბესაძემ მაქსიმოვას სტუმრობა მიი-ღო იმის დასტურად, რომ ყმაწვილ ქალს

სურს აბესაძესთან ახლო ურთიერთობა.

**შიო.** ესეც მაქსიმოვას დანაშაულია?

**ნიკოლოზი.** სტუდენტურ წრეებში სა-ლამო ხანს სტუმრობა, შამპანურის სმა სწორედ ამად მიიჩნევა. ქართველ ჭაბუქს ოდესელი გოგონები ხშირად სტუმრობენ. ასე რომ, აბესაძეს ჰქონდა საბაბი, მაქსი-მოვას სტუმრობა და შამპანურის სმა ინ-ტიმური ურთიერთობის სურვილის მაუწ-ყებლად მიეჩნია. მეთანხმებით თუ არა?

**შიო** (პაუზის შემდეგ). მხოლოდ ნანი-ლობრივ.

**გიორგი.** ალბათ... მეც, მაგრამ ეს არ იძლევა ძალადობის საბაბს...

**საბა.** შემდეგ? გისმენთ, ბატონი ნი-კოლოზი!

**ნიკოლოზი.** ორიოდე ჭიქა შამპანური საკმარისი აღმოჩნდა, დაიწყო ხვევნა-კოცნა. მალე აბესაძემ მოიწადინა, სრუ-ლად დაუფლებოდა მაქსიმოვას და მის გაშიშვლებას შეეცადა. ქალი არ დანებ-და და დატოვა ოთახი, უფრო ზუსტად, შემოხეული ტანსაცმლით თავი დააღწია მოძალადეს და გაიქცა.

**ამირანი.** ეგ როგორ!

**გიორგი.** გაიქცა? აკი აბესაძემ ნამუსი ახადაო?

**ნიკოლოზი.** გადის რამდენიმე დღე. მაქსიმოვა ხედავს, რომ აბესაძე, ჩვეუ-ლებისამებრ, ერთობა, სტუდენტი გოგო-ნები გარს ეხვევიან. როგორც მაქსიმოვა წერს, 4 ოქტომბერს აბესაძემ კვლავ მიიწ-ვია თავის სტუდენტურ ოთახში. ისიც ეწ-ვია. თუმცა, აბესაძე აცხადებს, რომ ქალი მოულოდნელად, დაუპატიუებლად მივიდა მის ოთახში. ასეა თუ ისე, დაპატიუა იგი აბესაძემ თუ არა, აქვს თუ არა აბესაძეს უფლება, მაქსიმოვას სტუმრობა გაიგოს, როგორც მისი თანხმობა? ისევ შამპანუ-რი, ისევ ხვევნა-კოცნა, მთელი ღამე ლო-გინში და მეორე დილით დაწერილი საჩი-ვარი – აბესაძემ ნამუსი ამხადაო.

**გიორგი.** გინდათ გვითხრათ, მაქსიმო-ვამ გააუპატიურა აბესაძე?

**ამირანი.** მაქსიმოვა გამიზნულად ცდი-ლობდა აბესაძის ლოგინში ჩახტომას.



**ნიკოლოზ.** არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: როგორც მეუბნებიან, აბესაძეს ყველაზე ახლო და სისტემატური ურთიერთობა ჰქონდა მაქსიმოვას მეგობარ გოგონასთან. მისი გვარია (ქალალდას ჩახედავს) სევასტიანოვა... სევასტიანოვა მარია ივანოვნა. სევასტიანოვას ფეხმძიმობის ამბავი მთელმა უნივერსიტეტმა იცის. და ამ დროს მაქსიმოვა აბესაძეს ლოგინში კისკისით ტოვებს ქალწულობას.

**შიო.** და მეორე დღეს პოლიციაში ჩივის ძალა იხმარა, ნამუსი ამხადაო.

**გიორგი.** პოლიციაში და უნივერსიტეტში.

**ნიკოლოზ.** დიახ. დღეს კი მაქსიმოვა აცხადებს, თუ აბესაძე ჩემზე ჯვარს დაიწერს, საჩივარს უკან გავიტანო. ასე მეჩვენება, ამ ამბავში აბესაძე სევასტიანოვას წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაა.

დუმილი.

**შიო.** რა გზას დავადგეთ?

**ნიკოლოზი.** აბესაძე უნდა დავიცვათ, იგი უნივერსიტეტიდან არ უნდა გაირიცხოს.

**გიორგი.** აბესაძე წინდაუხედაობამ შარში გახვია.

**ამირანი.** აბესაძე უნდა დავიცვათ.

**საბა.** ნიკოლოზ, შეგიძლიათ თავს იდოთ აბესაძის დაცვა? იქნებ, მოვახერხოთ და უნივერსიტეტიდან არ გარიცხონ.

**ნიკოლოზ.** უნდა მოვახერხო, უნდა შევძლო.

**საბა.** თუმცა ეგ ჭაბუკი მოღალატეა. იგი ლალატობს საქართველოს, ლალატობს თავის ოჯახს. ქვეყანას ჰქონია, რომ სწავლობს, ქვეყანა ელოდება, რომ ხვალ-ზეგ კიდევ ერთი აგრონომი დაუბრუნდება და სიკეთეს სწევს საქართველოს, მას კი ძუძუებზე გაურბის თვალი, თითქოს ამ ქალაქში იმისთვის გამოგზავნეს, ქალების გნება დააცხროს. ვიბრძოლოთ, უნივერსიტეტი არ დაატოვებინონ, მაგრამ ჩვენ, ქართველებმა კი უნდა მოვთხოვთ პასუხი იმის გამო, რომ ძვირფას დროს და ენერგიას ასე უგუნურად ფლანგავს.

**დიტო** (შემორბის). შავრაზმელები ებრაელთა უბანს არბევენ, ადამიანები დახოცეს.

საბა, შენი სახლი..!

**საბა.** ჩემი სახლი?

**დიტო.** წიგნები, ტანსაცმელი, თეთრეული, ავეჯი, რაც არ წაიღეს, ქუჩაში ყრია.

**ამირანი.** საბასთან რა უნდოდათ, რომელი ებრაელი ეგ ნახეს!

**საბა.** წავიდეთ!

ბნელდება

ებრაელთა უბანი

**ზალცმანი** (პოლიციულს ფულს უწვდის). მინდა, სახლამდე მიმაცილონ.

**პოლიციელი** (აყვირდება). რა არის ეს? გვონიათ, ყველაფრის ყიდვა შეიძლება?

**ზალცმანი.** ვყიდულობთ მხოლოდ იმას, რასაც ყიდიან.

**პოლიციელი.** ეს ვინ არის?

**ზალცმანი** (დავითს შესცეკრის). ამ კაცს სურს ჩემნაირი იყოს, მაგრამ... სანამ მშვიდობას ჩემსავით არ იყიდის, ჩემნაირი როგორ გახდება!

**პოლიციელი** (ფულს გამოსტაცებს). ეს კაცია მოწმე, ფული არ მითხოვა.

დავითსა და ზალცმანს სარდალივით გაუძლვება. ფართო ნაბიჯებს დგამს. ზალცმანს უჭირს, ფეხი აუწყოს პოლიციელს, ამიტომ ლამის გარბის...

**ზალცმანი** (დაიღლება). ნელა, ნელა! ჩეარა არ შემიძლია!

**პოლიციელი** (ზალცმანს უშნოდ დაეჭყანება). დრო, დრო! დრო ფული ღირს! (აჩქარებით განაგრძობს სიარულს. ზალცმანი მძიმედ სუნთქვას). განა ეგრე არ არის, მოხუცო? განა დრო ფული არ ღირს?

**ზალცმანი** (ქშინავს, მაგრამ ცდლობს, არ ჩამორჩეს). მოიცა, შეჩერდი! (ჩაიკეცება).

**პოლიციელი.** ჲა, რა მოგივიდა, ბებერო?

**ზალცმანი** (კვლავ ამოიღებს ფულს).



ესეც რომ მოგცე, სახლამდე... (ლაპარაკი უჭირს, მძიმედ სუნთქავს), სახლამდე მიმიყვან?

**პოლიციელი.** უფრო ნელა ვივლი, ცხადია, ნელა ვივლი – დრო ხომ ფული ღირს!

**ზალცმანი.** აპა, ოლონდ სახლამდე ცოცხალი მიმიყვანე.

**პოლიციელი.** აბა, გავუყვეთ. ნელა იარე, მოხუცო, ოლონდ იცოდე, მეჩქარება! (ფულს სასწრაფოდ ჩაიდებს ჯიბეში და კვლავ ჩქარი ნაბიჯით მიდის).

**დავითი.** შეჩერდა! (პოლიციელი შეჩერდება, დავითი არ იძრის. პოლიციელი მიუახლოვდება). მოხუცი დაიღალა, ზურგზე შეისვი. (ფულს ამოიღებს). აპა!

**პოლიციელი** (მოღუშული სახით). ურია ზურგზე შევისვა?

**დავითი.** ჰო, ფულს ამაში გიხდი.

**პოლიციელი** (თითქმის აღშფოთებული). ურია?!

**დავითი.** თუ არ გინდა..! (ფულს ჯიბეში ჩაიდებს).

**პოლიციელი.** წავიდეთ, წავიდეთ, მოხუცო!

**ზალცმანი.** ახლავე, ახლავე, სული მოვითქა (წამოდგომას ლამობს). ხელი მომაშველე!

**დავითი** (ხელს გაუწვდის). აბა, ყოჩაბად, ყოჩაბად!

**პოლიციელი.** მანდ რამდენია?

**დავითი.** მართალი ხარ, ურიას ზურგზე ხომ არ შეისვამ.

**პოლიციელი.** ხელში რამდენი გეჭირა?

**დავითი.** ერთი ოქრო.

**პოლიციელი** (გაოცებული). ოქრო? ასე რატომ ბრაზონ?

**დავითი.** არ ვბრაზონ. მართალი იყავი!

**პოლიციელი.** მერე რა მოხდა, ეგეც ადამიანია.

**დავითი.** წავიდეთ, ნუ ვაყოვნებთ.

**პოლიციელი.** უჭირს სიარული, მოხუცი კაცია.

**დავითი.** რას ამბობ! ხომ ხედავ, რა მარჯვედ მოაბიჯებს.

**პოლიციელი.** თავს გაჩვენებს, თორემ... მაგათ ასე იციან.

**დავითი.** არა, არა, ზურგზე შესმა მაინც არ ივარგებს...

**პოლიციელი.** შენ დარდი ნუ გაქვს – ზურგზეც შევისვამ და ცივ ნიავსაც არ მივაკარებ... (დაიხრება, ზალცმანს ზურგს მიუშვერს). შეჯექი, მოხუცო, ჩქარა, ეგრე მიჯობს, უცებ მიგარბენინებ! (ზალცმანის მზერაში საყვედური იკითხება). რას ელოდები, დროზე! (ზალცმანს მიუცუცედება, ზურგზე მოიგდებს). ეგრე (დავითს) ოქრო! (დავითი ოქროს აძლევს. გახარებული პოლიციელი) წავედით! (მიდიან).

**ზალცმანი** (დავითს საყვედურიან მზერას არ აცილებს). შეჩერდი! (პოლიციელი არ ჩერდება). შეჩერდი-მეთქი, შეჩერდი! (ცდილობს, პოლიციელს თავი დააღნიოს).

**პოლიციელი** (ყოველ ღონეს ხმარობს, ზალცმანი ხელიდან არ დაუსხლტეს). სად მიდისარ, სად! არ მოგწონს? რატომ არ მოგწონს, რბილად გატარებ!

**ზალცმანი** ჩამომსვი-მეთქი! (პოლიციელს დაუსხლტება. დავითს საყვედურით). რატომ მომატყუე, ებრაელი ვარო?! ებრაელები ეგრე არ იქცევიან!

**პოლიციელი.** რას აკეთებ, სად გარბიხარ! (ცდილობს, კვლავ ზურგზე შეისვას ზალცმანი). აბა, მოდი, უცებ, უცებ!.. რას აკეთებ, აი, ეგეთი უგვანები ხართ ყველანი, კიდევ გიკვირთ, რატომ არ ვუყვარვართო!..

**ზალცმანი.** დამესსენ, არ მინდა, არ მინდა... ვიაროთ, ვიაროთ!

**დავითი.** მოხუცო, უნდა შეაჯდე!

**ზალცმანი.** შენ აქ ბრძანებებს ნუ იძლევი! მოაცილე ეგ შენი ოქრო!

**პოლიციელი** (აღშფოთდება). აპ, ოქრო გინდა? ვერ მოგართვი, შეჯექი, აბა, შეჯექი!.. (ცდილობს, რამენაირად ზურგზე მოიქციოს ზალცმანი).

**ზალცმანი** (დავითს). წამდვილი ებრაელები ასე არ იქცევიან, წამდვილი ებრაელები სალოცავში არც ხანჯლით მოდიან (ლამის სირბილით გაეცლება. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს. პოლიციელს



მოუბრუნდება). ეგ ოქრო შენ გქონდეს, ოღონდ გამოყევი და დამიცავი. იმან გა-დაყარა და მე რა მენაღვლება...  
პოლიციელი მისდევს.

**დარბეული უბანი. აქ ყველაფერი ნაო-მარ ქალაქს დამსგავსებია. ქუჩის ორივე მხარეს – ჩამტვრეული ფანჯრები, ჩამო-ლენილი კარები, მონგრეული აივნები, თითქოს სახლები მუხლებზე დაცემუ-ლან, დაჩოქილან.**

ერთი სახლი უკვე დამწვარა, ხრჩო-ლავს, ეზოებში დანით დაფატრული ლე-იძები და საბნები მიმოფანტულა, ბუმ-ბული უშფოთველად დაცურავს ჰაერში. გადაყირავებული კარადები, საწოლის ბადე, დიდი ვეება გრამოფონი, ფეხმო-ტეხილი სკამები, ეზოებში, ქუჩებში დაფ-ხრენილი წმინდა წიგნები ყრია. დავითი რაღაცას წაჟერავს ფეხს, ხმას გამოს-ცემს, შეკრთება – ვიოლინო ყოფილა. ირგვლივ დუმილია გამეფებული. დასა-ხიჩრებული ადამიანები უხმოდ მოძრაო-ბენ ეზოებში. ცდილობენ, წესრიგში მო-იყვანონ ეზო-სახლი, თვალგაშტერებულ ესთერს მკერდზე ზენარში გახვეული რაღაც მიუკრავს, მეტყველად მდუმარე დაუდგება პოლიციელს.

ესთერის ირგვლივ მასავით უტყვი ადამიანები იყრიან თავს – ნაცემი, ტან-საცმელჩამოფლეთილი, სახედასისხლი-ანებული ადამიანები. პოლიციელის და-ნახვაზე ზოგს იმედი ჩაუდგება თვალებ-ში, ზოგს – ბრაზი.

**პოლიციელი.** რა გინდათ? რა გინდა-მეთქი, დედაკაცო! (ესთერი უხმოდ დგას).

(ხალხს). ვინ ხართ, აქ რას დაეხეტე-ბით! (ესთერს). რა არის ეს! სად მოიპა-რე! (ცდილობს, მიწვდეს ზენარში შეხვე-ულს. ქალი არ ანებებს. უხმოდ ებრძვის, ხელებზე კბენას ლამობს, პოლიციელს ეს კიდევ უფრო აცოფებს. ქალს მუჯ-ლუგუნს ჰკრავს და ზენარში შეხვეულ საგანს წაართმევს). ქურდებო, არამზა-დებო! (ზენარს შლის). რა არის ეს, თავ-გაჩეხილი ბავშვი! დაიშალეთ, დაიშალეთ!

რა მიტინგი გამართეთ აქ! საღამოს ბო-ქაულთან გამოცხადდით, იქ დაწერეთ ყველაფერი! (ადგილიდან არავინ იძვრის). გზა, გზა, ძალიშვილებო, კანონს ეურ-ჩებით, ხელისუფლებას ებრძვით?

**წრეში ქვა ჩავარდება. ქვას შეძახილე-ბი მოჰყვება:**

დამარბეველთა ბრბო წრეს უახლოვ-დება. ყველაზე წინ წითელხალათიანი და მეგარმონე მოდიან. ბრბოს მოძრაობაში იგრძნობა ყოველივეს ნამლეკავი უხეში ძალა. როგორც ჩანს, ყოველივე იმას, რაც აქ ხდება, ამათვის რიტუალის მნიშვნე-ლობა შეუძნენა. ლამის ცეკვა-ცეკვით, მუსიკის რიტმს აყოლილნი, ტანის რხე-ვით მოდიან. ხელში სარები, რკინის ნაჭ-რები, ქვები, სხვა ათასი რამ უჭირავთ. ებრაელობა მიმოიფანტება, ზოგი საით გარბის, ზოგიც – საით. მხოლოდ ესთერი დაგას გაუნდრევლად. დამარბეველნი გაქ-ცეულთ ისევ წრეში ერუკებიან. თთხივ კუთხივ კრავენ წრეს.

– შეკარით, შეკარით და დასცხეთ!

– არ გაუშვათ, ბიჭებო!

– ეგენი გვართმევენ ლუკმა-პურს!

წრე თანდათან ვიწროვდება.

– ურიები გვავინროებენ!

– რუსეთი ალარ დაგვანებეს.

– ვიხსნათ რუსეთი, ბიჭებო!

– დაპკათ ურიებს და იხსენით რუსე-თი!

წრე ვიწროვდება, რკალი უფრო საში-ში ხდება. ებრაელნი ერთმანეთს ეკვრიან.

**მეგარმონე** (კაზიროკიან ქუდში ყვავი-ლი ჩაურჭვია, გარმონს გაშლის და დას-ჭექს). სამშობლო მოგიხმობთ, მამულიშ-ვილნო, დასცხეთ!

**დამარბეველნი ებრაელებს დაერევიან. იწყება ჩხუბი.**

**წითელხალათიანი.** რა კარგი იქნებო-და ცხოვრება, ეგენი რომ არ გვირევდნენ.

ვასია (მეგარმონეს). რა დროს ეგ არის. რა დროს გარმონია, აქეთ მომყე!

**ზალცმანი** (ბერიკაცს). ანდრეი დმიტ-რევიჩ! ანდრეი დმიტრევიჩ!

**ანდრეი.** (ლურჯი ყელსახვევი გამო-

უბამს. თავზე ჭილოფის ქუდი ახურავს. ხელში წიგნების ჩანთა უჭირავს). რა ხდება ეს, იოხანან, რა უბედურება ჩვენს თავს!

**ზალცმანი.** ანდრეი, ხომ ხარ შენ რუსი, ხომ ეს შენი ხალხი, უთხარი რამე, გვიშველე, ანდრეი დმიტრევიჩ, გვიშველე!

**ანდრეი.** შველა ჩვენ გვჭირდება, იოხანან! (დამარბეველთ მიუბრუნდება). მეგობრებო, ბატონებო! რუსებო, რას შვრებით, გონს მოდით!

**ტატიანა** (მწვანეაივნიანი სახლისაკენ). იქით, იქით, იმ სახლებში! (თვითონ კი სულ სხვა მხარეს გაემართება).

**იციკი.** ოჯახებს მიხედეთ, ისრაელებო, ოჯახებს!

**ზალცმანი** (რკინის ნაჭერს დაავლებს ხელს): ჩვენს სახლებს ქალებიც კი შეესივნენ.

**ანდრეი** (ზალცმანს ამოუდება გვერდით). მეც, მეც შენთანა ვარ, წავიდეთ!

**ზალცმანი თავისი სახლისაკენ მირბის,** ანდრეი დმიტრევიჩი მისდევს. წინ პირ-მცინარი ვასია გადაუდგებათ.

**ვასია.** სად გარბიხართ, ბებრებო! ვის მისდევთ! (ზალცმანს მარჯვენაში სტაცებს ხელს). ო, ბებერო ურავ, ეს რა არის? ქრისტიანი უნდა მოკლა? ხალხნო, შეხედეთ, აი, ამ ბებერს ჩემი მოკვლა სწადია. თქვენს ვასიას თავში რკინის დარტყმას უპირებდა. (ზალცმანს ხელს გადაუგრებს).

**ანდრეი** (ჩანთას მიწაზე დადებს, ვასიას მისწვდება). ხელი უშვი, რას სჩადი!

**ვასია** (კერ ღიმილი გადაურბენს სახეზე, მერე აღფრთოვანება გამოეხატება – ვნების გამძაფრების საბაზი მიეცა). ოჲ, ჩვენი საყვარელი ენტალგენტიც აქ ყოფილა, გამყიდველი ენტალეგენცია! აბა, აქ მოდით! (ზალცმანს და ანდრეი დმიტრევიჩს იღლიაში კატის კნუტებივით ამოიდებს). რა გიყოთ ახლა მე თქვენ, ენტალიგენტიასა და ურიებს, რომელ თხრილში გადაგყაროთ! (ანდრეი დმიტრევიჩი ვასიას უმწოდ ურტყამს მუშტებს და რალაცას უყვირის. ვასია კი ხარხარებს,

ციბრუტივით ტრიალებს, ბზრიალებს და ბერიკაცებსაც ატრიალებს. მერე ანდრეი დმიტრევიჩის ჩანთას ფეხს გაჰკრავს). აოეეე! აჲ, ენტალიგენტია! (ჩანთა პაერში ავარდება, გადაიხსნება, წიგნები გადმოცვივდება). ასეე! (ბერიკაცებს მიარბენინებს).

**ტატიანა** (კაბები ერთმანეთზე გადაუცვამს. ზედაც ჯუბა მოუცვამს, რამდენიმე ატლასის საბანი მოაქვს. კაბებით აჭრელებული და საბნებახორხლილი ერთობ სასაცილოდ გამოიყურება. ორი საბანი ერთმანეთზე დაუხვევია და მარცხენა ხელში უჭირავს, ერთი საბანი მხარზე გადაუკიდია, ჯუბაზე ქამარი შემოურტყამს და მხარზე გადაგდებული საბნის ბოლოები ქამარში ჩაუმაგრებია. ორი ოთხად მოკეცილი საბანი კი თავზე ადევს და მარჯვენა ხელით იჭერს, არ გადმომიცვივდესო). კოლია, კოლია, კოლინკა, მომეშველე, ერთი ცალი მაგ ძალებისას დამრჩა, რისთვის უნდა დავუტოვო, ეგენი ღირსნი არ არიან!

**ნადია** (მაღალი, გამხდარი, თვალებშე-შუპებული ქალი). სად მიგაქვს საბნები!

**ტატიანა.** რა შენი უკანალის საქმეა! (ნადიას არც გაუჩერდება, გზას განაგრძობს).

**ნადია.** ეგ საბნები გუშინ მე შევათვალიერე, მე უნდა წამელო!

**ტატიანა.** ამ ჩემს ფეხებს!

**ნადია.** ეგ საბნები მე მინდა! (ცდილობს, ტატიანას გზა მოუქრას).

**ტატიანა.** შენ კოლიაც გინდა, მაგრამ ჩააფურთხე!

**ნადია** შედგება, ტატიანას ზიზღით გააყოლებს მზერას, მერე უცებ ადგილს მოსწყდება, გაექანება და წელში გამეტებულად ჩასცხებს ნიხლს. ტატიანა ჩაიკეცება. ნადია მიწაზე მიმოფანტულ ატლასის საბნებს დაავლებს ხელს და გაიქცევა. საბნები ფეხებში ებლანდება. ერთის ბოლოს რომ აიქნევს, მეორისა ჩამოეშვება, მიწას მიხვეტავს, თუმცა ეს კი არ ადარდებს, არამედ ის, რომ საბნები ფეხებში ედება...



**ნადია** (იგინება). ბოზო, ძუკნა!

**ტატიანა** (თავს წამოწევს. მიმოიხედავს). მიშველეთ, მკლავენ. (ყურადღებას არავინ აქცევს. მინაზე დაჯდება). მკლავენ, მიშველეთ! (არც ამჯერად მიაქციეს ყურადღება. ნადიას თვალს მოჰკრავს, მოზრდილ, ბრტყელ ქვასთან ფორთხვით მიდის, ხელში მოიგდებს და წამოდგება, ორიოდ ნაბიჯს ფრთხილად გადადგამს, ნადიასაკენ გაექანება, შეხტება, ქვას გამეტებით ჩასცხებს თავში. ნადია მოცელილივით დაუცემა. ტატიანა საბნებს ზურგზე მოიკიდებს, ქალს მიუბრუნდება და ნიშნის მოგებით დააცქერდება). შებოზო, შენ კოლიაც გინდოდა, მაგრამ ვერ მოგართვი! (ნადიას დააფურთხებს და მოდის. ატლასის საბნებით ქუჩას მიხვეტავს. ხმაში ალერსი ჩაუდგება, თვალებში – სითბო). კოლია, კოლია, კოლინკა! (კოლიას მივარდება). კოლინკა, ძვირფასო!

**კოლია** (საკერავ მანქანას მოათრევს, ქალისაკენ არც მოიხედავს). არ მცალია!

**ტატიანა.** ნახე, შენთვის რა წამოვილე! ატლასის საბნები!

**კოლია.** წადი! (მაინც მოუბრუნდება) რამდენი ლირს?

**ტატიანა. რა?**

**კოლია** (წელს ქვემოთ დაიდებს ხელს). რა და ეს!.

**ტატიანა.** (კოლიას მიუახლოვდება, წელს ქვემოთ ალერსით გადაუსვამს ხელს). ეს ძალიან, ძალიან ძვირი ლირს, ძვირფასო!

**კოლია.** მე საბნებზე გეკითხები, ბოზო!

**ტატიანა.** ბევრი, ბევრი, კოლინკა, ატლასის საბნები ძვირი ლირს.

**კოლია** (საკერავ მანქანაზე). ეს?

**ტატიანა.** აბა, რა ვიცი, საბნები უფრო ძვირი ლირს....

**კოლია.** ახურებ და როგორ ახურებ! (გზას განაგრძოს, მობრუნდება). არ შემეშვები? არ დაგინახო!

**ტატიანა.** შენთვის, კოლინკა, შენთვის!

**კოლია.** ფუი! გული მერევა! (ქალს მიაფურთხებს და გზას განაგრძოს).

**ტატიანა** (გულდანყვეტილი შესცეკრის მიმავალ კოლიას, თვალები ცრემლით ევსება. ცრემლის მონმენდას დააპირებს, ახლადა გააცნობიერებს, რომ საბნებს ბოლოები უჭირავს ხელში, საბნებს ბრაზით მოიქნევს, მიმოფანტავს და ზედ შედგება, ფეხებით თელავს). აი, ეგრე, ეგრე, ეგრე! ურის საბნები, თარსია, თარსი!

**ანდრეი.** წამცეცა, გაავებული კაცები! ჩვენი დევგმირი წინაპრები ეგრე არ იქცეოდნენ.

**პოლიციელი** (ყური მოჰკრა ანდრეის სიტყვებს). რა ამბავში ხარ შენ აქ, რა ჭორებს ავრცელებ ხალხზე!

**კოლია** (ანდრეის). ჰა, რა ამბავია?

**ანდრეი.** შეგვაჩვენებენ! რატომ? რის-თვის დალატობთ ქვეყანას, ხალხს!

**დავითი.** იქნებ, თქვენ ამიხსნათ, რახდება, რატომ ხდება, რას ერჩიან ამ ხალხს?

**ანდრეი.** ჩემს ქვეყანაში კითხვას ბევრს დასვამ, პასუხი კი არ არის!..

**კოლია.** თუ არ გაჩუმდები, მე გაგაჩუმებ, ენტალიგე... (ვიღაცას მოჰკრავს თვალს, გარბის). რახილ, რახილ! (რახილი გარბის).

**პოლიციელი** (სასტენს ჩაპბერავს). რა ამბავი გაქვთ, რა ხმაურია, ნამდვილი სინაგოგა! (მინაზე გაშლართულ ნადიას წაადგება, ისევ ჩაბერავს სასტენს). ვინ მოკლა ქალი, ქალი ვინ მოკლა! გაიძახით თავს გვესხმიანო, გვარბევენო, ქალებს კი ხოცავთ! (ქალს გადააბრუნება). ნადია თავს წამოწევს, გაბრუებული მიმოიხედავს). ცოცხალი ხარ? ფუი! რას ჰეგავს ეს? ცოცხალი ხარ და მკვდარივით გდიხარ! (ნადიას ფეხს გაჰკრავს და გაშორდება).

**დავითი** (წამოდგომაში მიეშველება). ცუდად ხარ? სახლში წადი, წადი, დაისვენე!

**ნადია.** კი... კი... თავი მტკივა.

**წითელხალათიანი** (იციკი წინ წაუგდია, მათრახს სცემს, როგორც უდელში შებმულ კამეჩს). დროზე, დროზე, გასწი



და იყვირე, რომ არ არსებობს ღმერთი ებრაელთა.

**იციკი.** ღვთის საკითხი უბირთა გასარჩევი როდია!

**წითელხალათიანი.** რაო, რაო, რა თქვი? გაუგებრად ლაპარაკობ. აბა, ერთი დაჰყეფე, რომ არ არსებობს შენი ღმერთი!

ქალის კივილი არეს გააპობს. კოლიას რახილის გრძელი თმა ისე დაუხვევია ხელზე, როგორც ცხენის აღვირს დაიხვევენ ხოლმე. ქალს ისე მიათრევს, როგორც ცხოველი – ნანადირევს.

**რახილი.** მიშველეთ, მომეხმარეთ! ყაჩალები, არამზადები! (კოლია ქალს ღობესთან იღლიებში ამოსდებს ხელებს, ნამოაყენებს, რახილს მინაზე ხოვისაგან მკერდზე კაბა გადაგლეჯია, ძუძუები დასისხლიანებია. ქალს ღობეს ააკრავს).

**ტატიანა.** რას შვრები, კოლია, ურიას უნდა უქნა?!

**კოლია** (ტატიანას ნიხლს წაჰკრავს). გამეცალე, დამპალო! (რახილს) რამდენი ხანია მინდიხარ, როგორც იქნა, როგორც იქნა!

რახილი გულის გამგმირავად აკივ-ლდება, გადაგლეჯილ ძუძუებზე ხელის შეხება სულს უწინებნის. დავითი ხანჯალს იძრობს, კოლიასაკენ დაიძვრება. მოზომილი ნაბიჯებით მიდის, რომ მოხერხებულად აძგეროს.

**რახილი** (მშველელის დანახვა გაამნევებს). მიშველე, ღმერთო მიშველე!

კოლია ხანჯალშემართულ დავითს რომ დაინახავს, სახეზე ბოროტი ღიმილი გადაურბენს. დანას იშიშვლებს, დავითი და კოლია მოზომილი ნაბიჯებით უახლოვდებიან ერთმანეთს. რახილი ღობეს სარს მოჰვლეჯს, კოლიას გამეტებით ჩაარტყამს, კოლია მინას განერთხმის.

ებრაული გალობა. მლოცველთ რაბი ესაია მოუძღვის. მხრებზე ციცითი მოუსხამთ. ისე გალობენ, თითქოს ირგვლივ სიმშვიდე იყოს.

მეგარმონე გარმონი ააჭყიპინა, ეს თითქოს სიგნალი გახლდათ – ატყდა სტვენა-ლრიანცელი. ებრაელთ კი წარ-

ბიც არ შეუხრიათ – კვლავ განაგრძობენ გალობას. ებრაელთა უშფოთველობამ დამარბეველნი დააბნია – სტვენა-ლრიანცელი ნელ-ნელა ჩაცხრება. ებრაელებმაც დაამთავრეს გალობა.

**რაბი** (მოთმინებით ელოდება, კანტი-კუნტი სტვენაც როდის შენყდება). ჩვენ აქ მოვედით მხოლოდ იმისათვის, რომ გითხრათ: არასოდეს არ გვქონია მტრობა ამ მინისადმი, ჩვენ ხომ ერთად ვლვრით ოფლს ამ მინაზე, რომ შვილები გამოვკვებოთ. თქვენ საკუთარ მინაზე ცხოვრობთ და ვერ მიხვდებით, როგორია ხვედრი დევნილი ხალხისა. როცა თქვენ გშიათ, საკუთარ მინაზე გშიათ, ჩვენ კი უცხო მინაზე, უცხოთა შორის გვშია. თქვენ გგონიათ, ჩვენ მეტი გვაქვს. ესეც არის მიზეზი მაგ სიძულვილისა. არა, ჩვენ უცხოობამ მეტი შრომა და მოთმინება გვასწავლა. შრომა – დევნილი კაცის გზა გადარჩენისა, მოთმინება – დევნილი კაცის გზა თავის შენახვისა. შრომამ და მოთმინებამ გადაგვარჩინა. ჩვენ კიდეც რომ გავლარიბდეთ, თქვენ მდიდრები ვერ გახდებით. ეს არ არის გზა თქვენი ბედნიერებისა!

- სანამ ვუსმინოთ!
- ქადაგებას მოჰყვა!
- საცაა მოგვნათლავს კიდეც!

**ტატიანა.** სად ხარ, კოლია, კოლინკა! ხელი დაიფარე, მთავარი თითი არ წაგაჭრას!..

**წითელხალათიანი.** კოლია, გაუგონე, უმაგისოდ ეგ უმანკო არსება ვერ გაძლებს!

**მეგარმონე** (გარმონი ააჭყიპინა). განა ეგრე იოლად იშოვის სხვას.

**კოლია** (წამოდგება, თავზე ხელს ისვამს). რას ყროყინებთ, ვირებო!

**რაბი** (ხელს აღმართავს). ერთი ღმერთის შვილები ვართ და ვიყოთ ღირსი მისი შვილობისა, სხვათა სიძულვილით საკუთარ თავსაც მძულვარედ გაიხდით. მისდიეთ ღმერთს და არა ეშმაქა!

**წითელხალათიანი.** ჭკუასაც გვასწავლის! ახლა კი დასცხეთ, ბიჭებო!



დამარბეველნი ნელ-ნელა გარს უვლი-  
ან ებრაელთ. მლოცველთა სახეებზე სა-  
სოწარკვეთა აღიბეჭდება. დამარბეველნი  
კი უხმოდ და გამოზომილი მოძრაობით  
ავიწროებენ წრეს. ხელჩართული ჩხუბი.

- დასცხეთ, დაჰკარით!
- ხომ მოგიგდეთ ხელთ!
- გვიშველეთ!
- ახლავე დატოვეთ ჩვენი მინა!
- გაგვეცალეთ!
- უბედურნო, რას შვრებით!
- ღმერთი არ გაპატიებთ!
- რუსეთის მტრები, მოლალატენი!
- ანდრეი.** შენი დამლუპველი, შენი წამ-  
ხდენელი შვილები, რუსეთო, ხალხი, რო-  
მელიც მუდამ ტლაპოსაკენ გექაჩებოდა.  
დღესაც იქით მიყავხარ, ჩემო საცოდავო,  
საბრალო, რუსეთო! (ფეხზე წამოდგომას  
ლამობს, მაგრამ დამარბეველნი ხან აქე-  
დან ეჯახებიან, ხან – იქიდან).
  - გაგვეცალე, მოხუცო!
  - შენ აქ რა გინდა, ბიბლიოთეკა იქ  
არის!

**სუხმანი** (ებრაელთა წრეს გამოეყო-  
ფა). გატყუებენ, თქვენი გაცურება სურთ.

**ნითელხალათიანი.** რა გინდა, ურიავ!

**სუხმანი** (მხრებიდან ციცითს მოიხ-  
სნის, მინას დაახეთქებს, ფეხებით შედ-  
გება) აი, აი, აი! არ მინდა, არ მინდა! ეგე-  
ნი გატყუებენ, სულ გატყუებდნენ.

**ნითელხალათიანი** (ესაიას წრიდან გა-  
მოათრებს). აქ მოდი, მთავარო მატყუ-  
არავ, აქ მოდი, მთავარო თვალთმაქცო.  
ახლავე დაყაჭე, რამდენ ვერცხლად გაყი-  
დე ჩემი ქვეყანა. ვის მიყიდე ჩემი ხალხი!  
(რაბის ნიკაპქვეშ მათრახის ტარს ამოს-  
დებს, თავს მალლა ააწევინებს). ხმა ამო-  
იღე!

**რაბი** (ძლივს ამოთქვამს). ვეღარ  
ვსუნთქავ.

**ნითელხალათიანი.** არც არის აუცილე-  
ბელი!

**მეგარმონე.** რბილი ბალიში დაუგე  
ურიას, რბილი!

**ნითელხალათიანი.** ჰა, თქვი, ბებერო!  
(მათრახის ტარით რაბის ისე ააწევინებს

თავს, რომ მოხუცს ლაპარაკი აღარ ძა-  
ლუძს. ხალხს). თუ აი, აქ, ამ წესიერი  
ხალხისა და თავისივე ღორების წინაშე  
აღიარებს, რომ მაგათი ღმერთი არარა-  
ობაა, სიცოცხლეს ვაჩუქებ. (რაბის) გეს-  
მის, ბებერო? თუ შენს ღმერთს შეაგინებ,  
ცოცხალი დარჩები.

**ვასია.** დასცხე და გაათავე!

**რაბი.** იმან გადაწყვიტოს, ხართ თუ  
არა ღირსი პატიებისა!

**ნითელხალათიანი** (რაბის მათრახს გა-  
დაუჭერს). დაიჩოქე, დაიჩოქე, ძალლო,  
დაიჩოქე! (რაბი უძრავად დგას. წითელ-  
ხალათიანი მხრებზე დააწვება). დაიჩოქე-  
მეთქი! (მოხუცი დაწოლას ვერ უძლებს,  
მუხლებზე დაეცემა. წითელხალათიანს  
სახეს კმაყოფილების ღიმილი გაუნა-  
თებს). ეგრე, ახლა კი ჩოქვით იარე და  
იყვირე, რომ არ არსებობს ღმერთი თქვე-  
ნი, იყვირე, რომ არარაობაა ღმერთი ებ-  
რაელთა. (ხალხს) ისმინეთ, მამულიშვილ-  
ნო, ყური უგდეთ ყველაზე დიდ თვალ-  
თმაქცს. ურიათა თვალთმაქცი აცხადებს,  
რომ გატყუებდათ, მთავარი თვალთმაქცი  
აცხადებს, რომ არ არსებობს ღმერთი ებ-  
რაელთა!

**ნითელხალათიანის** სიხარული ხალ-  
ხსაც დაეუფლება.

- გამოტყდე!
- დაჰკა და გვეტყვის!
- აბა, ბებერო!

**რაბი.** ჩვენს ხალხს თქვენი ღალატი  
არასოდეს ჰქონია გულში, ღმერთი სი-  
ძულვილს არ გვაპატიებს...

**პოლიციელი.** ეს ხომ მიტინგია, მიტინ-  
გი აკრძალულია!

- მოკეტოს!
- თავს იკატუნებს!
- გვატყუებს!
- დასცხეთ!

**სუხმანი.** მენდეთ, ეგეთი ზღაპრებით  
გვატყუებს სულ, თქვენი მოტყუებაც  
სწადია. სულ იმას ჩაგვახოდა, ჩვენს  
ქვეყანაში ანტისემიტიზმი მძვინვარებს  
და ჩვენც საკადრისი პასუხი გავცეთო.

- ეგ იტყოდა!

— აი, კარგი კაცი!

— ეგ ებრაელია, ესენი კი ურიები არიან!

**წითელხალათიანი** (მარჯვენას აღმართავს. ხმაური მიწყდება). სიკვდილი გეძახის, ურიავ, მაგრამ მაგ ძახილს კარს მივუხურავთ, თუ იტყვი, რომ არ არსებობს ღმერთი ებრაელთა, რომ რუსეთს სისხლსა სწოვთ.

**ხუხმანი.** რუსეთის მოლალატეა! (წითელხალათიანის გვერდით დგება).

**წითელხალათიანი** (რაპის მათრახს გადაუჭერს). იტყვი თუ არა, არამზადავ!

დავითი ხანჯალს წაავლებს ხელს. ორიოდ ნაბიჯს ფრთხილად გადადგამს.

**ზალცმანი.** აცალე, უნდა აცალო, ამ ხალხს მისი გაკვეთილი კიდევ სჭირდება.

**რაპი** (ჰაერს შეისუნთქავს). შემაა ისრაელ, ადონაი ელოპენუ ადონაი ეხად!

**წითელხალათიანი.** ეგ რას ნიშნავს, ეგ რა არის?!

**რაპი** (უფრო მკაფიოდ და წამლერებითაც კი წარმოთქვამს). შემაა ისრაელ, ადონაი ელოპენუ ადონაი ეხად! (ებრაელებისკენ შეტრიალდება, ვიღაცას დაეძებს, მერე დამარბელებისკენ მოპრუნდება, აქ იპოვის იმას, ვისაც დაეძებს – ხუხმანს. მზერას გაუსწორებს). ისმინე, ერო ისრაელისა, ერთია ღმერთი და იგი ღმერთი არის ღმერთი ჩვენი!

**წითელხალათიანი.** მოლალატენო, არამზადებო! (რაპის ქვეშ მოიგდებს).

**დავითი** (ორიოდ ნახტომით წითელხალათიანის გვერდით გაჩნდება. რევოლვერის ლულას შუბლზე მიადებს). ხელი უშვი! (წითელხალათიანი ცდილობს, დავითისკენ მოპრუნდეს). არ გაინძრე!

**წითელხალათიანი.** პატრიოტებო, რუსეთის ერთგულებისთვის მკლავენ!

დამარბელთა შორის ყიუინა ატყდება. დავითისკენ დაიძვრებიან.

**დავითი** (წითელხალათიანს წინ აიფარებს). თუ ერთ ნაბიჯსაც გადმოდგამთ, ჯერ ამას გავათავებ, მერე თქვენ! (ჰაერში გაისვრის).

ორიოდ ებრაელი რაპის მივარდება, ნამოაყენებენ.

**რაპი** (ყელიდან ხმა არ ამოსდის, ლამის ხროტინებს). გმადლობ, უფალო, რომ მომეც ძალა. მშვიდობით იყავით! (ხუხმანს მიაცემდება). ხუხმან, ადამიანები ამ წესით არ ცხოვრობენ.

**ხუხმანი** (წითელხალათიანს გვერდით უდგას, არც მოსცილებია). აი, ხომ ხედავთ, ამას არც ებრაელობა უყვარს, ებრაელთა მოლალატეა!.

ზღვიდან მონაბერი ქარი რაპის თმა-წვერს უწენავს, ხელები ერთბაშად ჩამოუცვივდება, ჩაიკეცება. ხელს შეაშველებენ, გაჰყავთ.

**მეგარმონე.** ისევ გვატყუებენ!

**წითელხალათიანი** (დავითს ეცემა). პატრიოტებო, აქეთ! (დამარბელები დავითს ხელებს შეუკრავენ). ეს კაცი არის მასონი, ჩვენ არ ვუყვარვაროთ. ურიაც უნდა იყოს, ხომ ეგრეა, უცხოელო, დაადასტურე! (დავითს მათრახით სახე მოაპრუნებინა. დავითი დუმს). ხომ ასეა-მეთქი, არამზადავ! (მათრახს მოუქნევს, დავითი შეკრული ხელებით მათრახს დაიჭრს, წითელხალათიანს თავისკენ მოიზიდავს).

**ხალხი.** ჰა, ჰა, ჰა!

დავითს მათრახის წართმევა არცა აქვს მიზნად. ვერც მოახერხებს, წითელხალათიანს ახლოს მოიზიდავს, რაღაცას ჩასჩურჩულებს.

**წითელხალათიანი.** რაო? (დავითი კვლავ ჩასჩურჩულებს. წითელხალათიანი დავითს მათრახს გამოგლეჯს). ყაჩალი და მოძალადე ხარო.

**დავითი** (ხალხს მიუტრიალდება). ეგრე არ მითქვამს! ყაჩალები და მოძალადე-ები ხართ-მეთქი. ყველანი მოძალადეები ხართ.

**ზალცმანი** (შეხტება, რომ დავითს ხმა მიაწვდინოს). ხომ გითხარი... ებრაელები ეგრე არ იქცევიან!

**წითელხალათიანი.** თქვენ უკვე იცით, ვინ არის ეს კაცი, და ახლა...

**ნადია** (დავითს ირგვლივ უვლის. ყურადღებით ათვალიერებს). მოიცათ!.. მე ვიცი, ეს კაცი ვინ არის! ამ კაცმა მე



მომკლა, ამან მომკლა, მაგრამ მე მაინც ცოცხალი ვარ.

**შეძახილები:**

- თუ მოგკლა, ცოცხალი როგორა ხარ, ბრიყვო!
- ნადია უკვდავი!
- ეგ იმასაც გვეტყვის, ქალწული ვარ!

**ნადია.** რატომ არ მეკითხებით, რის-თვის მომკლა? ჩემთან დაწოლა უნდოდა. უარი ვუთხარი. აქ მომიყვანა და მომკლა.... პოლიციელმა გადამარჩინა. ხომ ასე იყო?

**პოლიციელი** (მხედრულად). ასეა, თქვენი აღმატებუ...

**ტატიანა.** მე დავინახე, მე დავინახე – ქვა ჩაარტყა თავში!

**ნადია.** აი, აი, ესეც იქ იყო! ტატიანაც უნდოდა.

**კოლია.** ტანიამაც უარი უთხრა?

**მეგარმონე.** თქვენ უარი არავისთვის არ გითქვამთ და რაღა ამას არ მიეცით!

**ტატიანა.** იმიტომ, რომ ადამიანებს ქვით ხოცავს!

**წითელხალათიანი.** ჩვენი ხალხის დიდი მტერი ჩავიგდეთ ხელში. ვასია, აქ მოდი. სამართალს შენ ვერავინ გასწავლის, გაასამართლე!

**ვასია** (ამაყად, მძიმე ნაბიჯებით გაემართება წითელხალათიანისაჟენ. ვიღაცას ხალათს მოხდის და ისე მოისხამს, როგორც მოსამართლის მანტიას). ბატონებო და ქალბატონებო! (ნათქვამი არ მოეწონება, ჩაახველებს, ხმას ჩაიწმინდავს, დაიბოხებს). ბატონებო და ქალბატონებო!

**წითელხალათიანი.** დროზე, დროზე! ხალხს ეჩქარება.

**ვასია.** პარდონ, ქალბატონებო და ბატონებო, როგორც თქვენთვის ცნობილია, მოქალაქე... (დავითს მიუბრუნდება) გვარი, სახელი, მამის სახელი, სოციალური მდგომარეობა, სარწმუნოება (დავითი ზიზლით შესცექერის. ვასია ხმას აუწევს). მოქალაქე, გვარი, სახე... არა, არა, რაღაც ავურიე, ეგრე არა!

**წითელხალათიანი** (ვასიას თავში წაჭ-

კრავს. ხალათ-მანტიას მოხსნის და მოის-კრის). მოუსვი აქედან!

**ხუხმანი.** მე... მე... ეგ ამბავი ვიცი.

**კოლია** (ხუხმანს). შენ ურიების ამბები მოგვიტანე, დანარჩენს ჩვენ მივხედავთ.

**წითელხალათიანი** (ხალხს დავითზე). არის თუ არა ეს კაცი ლორი?

**ხალხი** (ერთხმად). არის!

**წითელხალათიანი.** აი, ამ ლორმა ჩვენი მტერი დაიცვა. რა ეკუთვნის ამისათვის?

**ხალხი** (ერთხმად). სიკვდილი!

**წითელხალათიანი.** ეს კაცი ტყვიით დაგემუქრათ თქვენ, ადამიანებს, რომლებიც მამულს იცავენ. რა ეკუთვნის ამისათვის?

**ხალხი** (ერთხმად). სიკვდილი!

**წითელხალათიანი.** ყველა ერთი აზრისაა. ეგ კარგია, მაგრამ როგორ დავსაჯოთ ეს კაცი, როგორი სიკვდილით? მე უთქვენოდ არაფერს გადავწყვეტ. ხალხია მთავარი!

**ხალხს** დიდი ენთუზიაზმი დაეტყობა.

– ძელზე გავაკრათ!

– ჩამოვახრჩოთ!

– პორტან ხეზე ჩამოვკიდოთ, ეგ მთელმა ოდესამ უნდა ნახოს!

– თოკი, თოკი ვიშმოვოთ!

– ტყვია! თვითონ ხომ ტყვიით გვემუქრებოდა!

**ტატიანა** (ბრაზით). ოდესელები არა ხართ? ზღვა არასოდეს გინახავთ? აქ მტრის დასჯაც ჩვენებური, ოდესური უნდა იყოს!

**შეძახილები:**

– ეე!

– რა ამბავია!

– რაღაც ძალიან ჩაახვიე!

– ვერაფერი გავიგეთ!

**წითელხალათიანი.** აცალეთ, იქნებ, ტანიუშას იმის გარდა სხვა საქმეც შეუძლია!

**ტატიანა** (წითელხალათიანს მზერით ეალერსება). ყელზე თოკი ჩამოვკიდოთ. თოკზე – მოზრდილი ქვა, ზღვაში გავიყვანოთ და პალუნდრა!

**შეძახილები:**

- აუჟ!
- რა ამბავია!
- არ მოგვწონს, დიდი ხანი უნდა!
- ისევ შენს საქმეს მიხედე, ტანია, აქ  
ნუ მოძვრები!

**ვასია** (წითელხალათიანს საყვედუ-  
რით). ეს კაცი მოღალატეა. მოღალატე  
კი უნდა დაიხვრიტოს.

**კოლია.** არ არის ეგ კაცი მოღალატე  
და ვერ დავხვრეტო!

**ვასია.** ეგ ვითომ რადაო? ეს არ არის  
მოღალატე?

**კოლია.** არ არის!

**ვასია.** გაგვაგებინე!

**კოლია.** რუსთა მოღალატე შეიძლება  
მხოლოდ რუსი იყოს. ეგ მტერია. უნდა  
დაისაჯოს, როგორც მტერი.

**ტატიანა** (არ მოეწონა). ოო!

**ნადია.** სწორია! მომზონს!

**წითელხალათიანი.** რა ვქნათ, ხალხნო?  
შეძახილები:

- თვითონ გადაწყვიტე!
- ჩვენ რა შეუაში ვართ!
- როგორც იტყვი, ისე იქნება!

**მეგარმონე** (გარმონს გაშლის. დააჭ-  
ყიპინებს). არც ხეზე ჩამოვეკიდოთ, არც  
ტყვია ვესროლოთ, არც ზღვაში გადავაგ-  
დოთ. თავში ქვა ვდლუზოთ და მორჩა! თუ  
ერთი დარტყმა არ ეყოფა, მეორეც მივა-  
ყოლოთ. სანაპიროზე ქვის მეტი რა ყრია!  
რანაირიც გინდა, ისეთ ქვასა იშოვნი. დი-  
დი? პატარა? მუცლიანი? უმუცლო? განი-  
ერი? იქნებ, წვეტიანი? წვეტიანით ერთი  
დარტყმაც ეყოფა. წვეტიანი კარგია, ხალ-  
ხნო, იცით, როგორ ვგრძნობ ქვის ძალას?  
აი, ხელში რომ მოვიქცევ, ყველა იარაღს  
ჯობს! ტყვიასაც, ხანჯალსაც.

ხალხს მოწონების შეძახილები აღ-  
მოხდება:

- კარგია!
- ჩინებულია!
- დავცხოთ და დავამთავროთ.
- მე დავკრავ, მე!

**მეგარმონე.** თუ ერთი დაკვრით არ გა-  
ვათავე, მე დამკარით!

**ვასია.** აბა, ეს რა არის, გარმონჩიკ,  
სირცხვილია... ეს ხომ ის არის, რას ეძა-  
ხიან, ადამიანის... (სიტყვას დაუძებს, ვერ  
იგონებს). აი, ისა... ეს ხომ ის არის...  
კულტურა აკლია... (სიტყვა გაახსენდება  
და გაიბადრება). მარბაროსობა!

**წითელხალათიანი.** რა მარბაროსობას  
დაგვძახი, სად გგონია თავი!

**ვასია.** გავაშიშვლოთ და როზგი მანამ  
ვურტყათ, სანამ სული არ ამოხდება!

**წითელხალათიანი.** მაგით რას მოვი-  
გებთ? როზგით კაცის მოკვლას ხომ დრო  
უნდა?

**ვასია.** სამაგიეროდ, ჩვენებურია!

**წითელხალათიანი.** დახვრეტა არ არის  
ჩვენებური?

**ვასია.** არა, დახვრეტა ჩვენებური არ  
არის! ზღვის გაღმიდან შემოვიდა. ქვა  
მარბაროსულია, როზგი, ბიჭებო, როზ-  
გი! გავაშიშვლოთ და ყველამ ვურტყათ,  
რა გვეჩერება! სად გვეჩერება! საქმეს  
გემო ჩავატანოთ!

**ტატიანა.** ეგ ვინ მოგახსენა? საიდან  
სადაო? რატომ გგონია, რომ მხოლოდ  
როზგია ჩვენებური. თოკი, სახრჩობელა?

**ვასია.** სახრჩობელა ყველგან იციან,  
როზგი კი ჩვენია.

**მეგარმონე.** დაჰკარით და უცებ გაა-  
თავეთ!

**ვასია.** სად გეჩერებათ, სამშობლოს  
ასე უნდა ემსახუროთ? ამათ ხომ იმის-  
თვის ვურტყამთ, რომ რუსეთი ვიხსნათ. ეს  
ერთი. ტყვიას დავზოგავთ. ეს ორი. თოკს  
დავზოგავთ. ეს სამი. როზგი კი ჩვენში  
იმდენია, რამდენიც...

**მეგარმონე** (აწყვეტინებს). რას ამბობ,  
ვასია, ქვა არა გვაქვს? აგე, რამდენი  
ყრია!

**ვასია** (ერთხანს დამცინავად შესცეკ-  
რის მეგარმონეს). გვაქვს, როგორ არა  
გვაქვს, მაგრამ ეგ არ არის მთავარი.  
აბა, ვინ მიხვდება, რა არის მთავარი? ა?  
ვინ მეტყვის? (ყურადღებით შესცეკერის  
ხალხს. გაიღიმებს). ვერავინ. ჩვენ ტან-  
საცმელი დაგვრჩება. ნახეთ, რა ჩოხა აც-  
ვია, შეხეთ, რა ძვირფასი ქსოვილია!



ხალხი ვასიას მიუხვდება და აღტაცე-  
ბული გაიძახის:

- კარგია!
- მაგარია!
- შენ ოდესაში რა გინდა, ვასია!
- ვასია პეტერბურგში უნდა იყოს!
- როზგი ნამდვილად ჩვენებურია, რუ-  
სული!

მეგარმონე გულდანყვეტილი დგას -  
ვასიას არგუმენტი საყურადღებოა.

დამარბევლები კი დავითს მიუტრი-  
ალდებიან, ყურადღებით აცქერდებიან.

- აქეთ მობრუნდი!
- ამას ჩექმაც კარგი აცვია!
- ნახეთ, რა ტყავა!
- ნასტია, მე ხომ ჩამეტევა?
- აპა, რა ვიცი, გრიშა!
- ნასტიამ მხოლოდ იმის ზომა იცის,  
შარვალში რომ გაქვს!
- ის, რაც შარვალში არ არის, ნასტი-  
ას არ აინტერესებს!

**კოლია** (გრიშას წაუთაქებს). ეგეთები  
არ იყოს, ჩოხა იმისია, ვისაც სჭირდება!

**ვასია.** შენ სად წაიკითხე, რომ მე ჩოხა  
არ მჭირდება?

**მეგარმონე** (ვასიას მიეჭრება). რად  
გვატყუებ? ამ ხალხს თავგზას რად უ-  
ნევ? (ხალხს). აი, როგორ გვატყუებდა!  
ჩოხა გავხადოთ და ქვა ისე ჩავარტყათ  
თავში, ჩვენი ნება არ არის? ერთი დარ-  
ტყმა და მორჩა! ეგ როზგი კი რამდენ  
ხანს უნდა ურტყა?

**ვასია** (სიცილი მოერევა). აბა, ეგ რა  
არის, გარმონჩიკ, ეგრე აჩქარება იქნება?  
ერთი მითხარი, თუ ქვას ურტყამ, ჩოხას  
რისთვის ხდი?

**მეგარმონე.** იმისთვის, რომ არ გაჭუჭ-  
ყიანდეს, მერე გამომადგეს - გარეცხილი  
ტანსაცმელი ახალი აღარ არი....

**ვასია.** ეს რა გამოდის, გარმონჩიკ,  
კაცს ჩოხისთვის კლავ?

**მეგარმონე.** შენ იმისთვის კლავ, რომ  
შავი თვალები აქვს?

**ვასია.** არა, გარმონჩიკ, მე მტერს  
ვსჯი, მტერს ვროზგავ და ჩოხასაც იმი-  
ტომ ვხდი (მეგარმონე მზერაცარიელი

დგას. ვასიამ შუბლზე თითი დაჰკურა).  
ჩახვდი?

ხალხი ისევ ახმაურდება:

- სწორია!
- ვასია პროფესორ!
- გაროზგეთ და დაამთავრეთ!
- ვასია პეტერბურგში!
- ტანსაცმელი მერე გავიყოთ!

**წითელხალათიანი.** ჩვენ კეთილი ადა-  
მიანები ვართ, ხომ ეგრეა? ჩვენ ადამია-  
ნის სისხლს არ დავლვრით! ვინ იტყვის,  
რომ ადამიანი სასიკვდილოდ გაგვიმეტე-  
ბია? ჩვენ ვერც ამ უცხოელს მოვკლავთ.  
განაჩენი ურიებმა აღასრულონ.

ხალხს აღტაცების შეძახილი აღმოხდება.  
ტაშიც კი დაუკრეს.

**ვასია.** ჩვენს განაჩენს არ აღასრულე-  
ბენ.

**წითელხალათიანი.** ვინც უარს იტყვის,  
იმას გავროზგავ.

**მეგარმონე.** ყველამ დასცხოს ხუთ-  
ხუთი როზგი!

**კოლია.** ცოტაა!

**მეგარმონე.** ათ-ათი!

**ნადია.** შენ ყველა ებრაელის დახოცვა  
განგიზრახავს - ებრაელი ბევრია საშიში,  
თორემ ცოტა საჭიროც კია.

- დაიწყეთ!

- დასცხეთ!

- დროა!

**წითელხალათიანი** (ებრაელებს). ხალ-  
ხი თქვენ განდობთ თავისი განაჩენის  
ასრულებას. კიდევ იტყვით პატივს არ  
გვცემენ? სიფათი რატომ მოგქევიათ?  
ჩოხა ხომ არ გინდათ? დღეს ამ უცხოე-  
ლისა ჩოხაც ჩემია და იარაღიც.

**კოლია** (წითელხალათიანისაკენ პრაზ-  
მორეული გაეშურება, ხუხმანი ფეხებში  
მოედება, მხარში სწვდება, მოისვრის).  
მომწყდი თავიდან! (წითელხალათიანს) -  
ჩოხა შენ ვინ მოგაკუთვნა?

**წითელხალათიანი.** მჭირდება!

**კოლია** (წელს ქვემოთ დაიდებს ხელს).  
აბა, დაფიქრდი, იქნებ, ეს გჭირდება?

**წითელხალათიანი** (ტატიანაზე მიუთითოთებს). მაგაზე ეგ გიუდება.

**კოლია.** ახლავე დახურე სიმყრალის კიდობანი!

**წითელხალათიანი** (დავითის დამბაჩას ხელში შეათამაშებს). ჰა, მოგიშვირო?

**ტატიანა** (უკანალზე ხელს დაირტყამს). ერთი ამას დამიხედეთ, რა ამბავშია! არ მოგწონს, არ გინდა? ქუჩაში რომ გავივლი, თვალს რად მაყოლებ?

**წითელხალათიანი.** ამას როგორ უშვრებიან-მეთქი, ვფიქრობ.

**კოლია.** მაგის ეგრე დასჯა მე მოვიგონე და ჩოხაც ჩემია.

**ნადია.** შენ სად იყავი, კოლიამ რომ გადმომიჩურჩულა უცხოელი როზგით დავსაჯოთ და ჩოხაც ჩენ დაგვრჩებაო.

**წითელხალათიანი.** ფეხებზედაც მეიდა, ვინ რა თქვა და ვინ რას ფიქრობდა! ჩოხა ჩემია და მოკეტეთ! (კოლიას მიუახლოვდება, მისი ხალათის ღილს ორ თითს შუა მოიქცევს). გაიგე? ჰა, იქნებ, ვერ გაიგე?

**კოლია** (წითელხალათიანის ორ თითს დააცერდება). დღეს რა დაგაკლდა?

ფრაკი აიღე?! აიღე! გროსმანის სახლიდან კარადა წაიღე? წაიღე! იქნებ, ის კარადა მე უფრო მჭირდებოდა!

**ტატიანა.** ვაისერმანის დანები და ჩანგლები ვინ წაიღო?! როგორ მინდოდა! ერთი წაბიჯით მიმასრარი – რატომ, რისთვის?! კახპა წატაშასათვის? წატაშა ისე არ მოგცემს? ეგ ყველას აძლევს, შენ რატომ დაგჩაგრავს?

**წითელხალათიანი** (ტატიანას). შეგჭამო? შეგახრამუნო? გინდა, ისე დაგაგდებ გზაზე, უპრალოდ, მე კი არ შეგჭამ – მულები, ყვავები შეგახრამუნებენ. გინდა?

**ვასია** (წითელხალათიანის შემოაბრუნებს). ვიდრე მაგას შეგახრამუნებდე, მე გამეცი პასუხი, თორემ სულაც უკბილო დარჩები. ფიშერის სახლში ვინ შევიდა?

**წითელხალათიანი** (ცხვირზე წკიპურტს გაპერავს). შენა ხარ, ქვეშაფსია? შენ შესულიყავი ფიშერის სახლში. გგონია, ფიშერმა მოსაწვევი გამომიგზავნა?

**ვასია.** გგონია, ფიშერს შენი შეეშინ-

და? ფიშერს ჩვენ გავუხეთქეთ გული, ყველამ ერთად. ამიტომ, რაც იქიდან წამოიღე, ყველას ეკუთვნის. აქ მოიტანე და ამ ხალხს დაურიგე. ესენიც დარბოდნენ, ესენიც ღვრიდნენ ოფლს.

– მართალია!

– ეგრე არ იქნება!

– ამდენ ურიას ტყუილად ვცემე?

– დილიდან დავრბივარ, რა მოვიგე?

– იმ სახლს ცეცხლი ტყუილად წავუკიდე?

– აქ რისთვის მოვსულვართ!

– ყველაფერი თქვენ მიგაქვთ, ჩვენ რისთვის ვიმტვრევთ ფეხებს!

**წითელხალათიანი.** რა ამბავში ხართ, თქვენ ცოტა წაიღეთ? რა დაგაკლდათ? ერთმანეთს არ აცლით, ყველაფერს იტაცებთ (კოლიას). ჩემსას რომ ითვლი, გროსმანის სახლიდან დიდი სარკე ვინ წაიღო? ის სარკე ამ ხალხს გაუნანილე? სკამები ვინ გაარბენინა? მერედა, რა სკამები – მაღალი, რბილი, ოქროსფერი! შენ და ეგ შენი ბოზი რომ მაგიდას მიათრევდით და ფეხიც მოტეხეთ, იმ მაგიდას შენ უნდა მიუჯდე? ეგ ხომ შენნაირი ხალხისათვის არ გაუკეთებიათ! ბერმანის სახლი ვინ გაწმინდა? ოქროს ბეჭედი, ფრანგული ქალისა და კაცის საცვლები და ინგლისური ჩექმები, ტახტი ვინ წაიღო? ფისუნიამ? არა, ვასიამ, ჩვენმა ვასიამ, მაგრამ მაინც არ ჰყოფნის. კიდევ გითხრათ თუ გავჩერდე, ღორებო? ჩოხა ჩემია და ვინც ხმას ამოიღებს, ხუთ წუთში იმ წვერებცანცარა თვალთმაქცს დაელაპარაკება.

**ვასია.** მე კი გეუბნები, რომ ჩოხა ჩემია!

**წითელხალათიანი** (ვასიას აიტაცებს). გაათავებ თუ გაგათავო? მიწას დაგახეთქო?

**ვასია** (ხმადაბლა, მუქარით). დამსვი!

**წითელხალათიანი.** დამსვიო, მევედრება, ვაპატიო? დედიჩემისა მივირთვი და მაპატიე, რა ვუყო? (ხელს გაუშვებს. ვასია მიწაზე მოადენს ზღართანს). აპა, გაპატიე, მაგრამ, თუ კიდევ რამე გაგი-



ბედნია... (ვასია წამოხტება, თავჩაღუნული გაეცლება). აბა, ურიანო, როზგი! ვინ დაიწყებს? ბევრმა რომ მიიღოთ მონაწილეობა, ხუთ-ხუთი დაჲკარით.

- ჯერ ეგ ჩოხა გახადეთ!
- როზგი ჩოხას დაგლეჯს.
- ყველაფერი გახადეთ, ყველაფერი გამოდგება.
- მე ხალათი მაინც მომეცით!
- გააშიშვლეთ, გააშიშვლეთ!

**წითელხალათიანი.** პო, კარგი, ეგრე იყოს, ნუ ყვირით! (დავითს მიუახლოვდება). აბა, უცხოელო, ხელები უნდა შეგხსნა, რომ გაგაშიშვლო.

**დავითი** (ხელებს შესახსნელად არ ანებებს. ჩურჩულით). თუ გინდა, მოგება ნახო, განაჩენი შეცვალე!

**წითელხალათიანი.** ჩვენ არ გიყვარვართ, ჩვენს მტერს იცავდი, უნდა მოკვდე.

**დავითი.** შენ რა გიჯობს – ჩემი დასჯა თუ სიმდიდრე?

**წითელხალათიანი** (ცდილობს, მკაცრად თქვას). რა სიმდიდრეზე მელაპარაკები. ხომ ხედავ, ხალხის ნებას ვასრულებ.

**დავითი.** შეცვალე განაჩენი. ინანიებს-თქო, ცრემლებით მევედრება-თქო.

**ვასია** (წითელხალათიანს გვერდით ამოუდგება). რაზე ჩურჩულებთ?

**წითელხალათიანი** (ვასიას ჩამოეფარება. დავითს – ხმადაბლა). მაინც რამდენი?

**ვასია.** რაზე ჩურჩულებთ-მეთქი?

**წითელხალათიანი** (ვასიას მუცელში წიხლს ჩასცებს). არ შემეშვები?! წადი, გამეცალე, ბრიყვო, ხეპრე! კაცი ინანიებს, შევცდიო, მაპატიეთო, რუსეთის ერთგული ვიყავი და ვიქებიო, შენ კი აქ – ჩოხა, ჩოხაო. მონანიებული კაცი მოვკლათ? (დავითს.) ხომ ხედავ, რა ძნელია ამათათან ერთად საქმეზე წასვლა. რამდენი-მეთქი!

**დავითი.** ჯერ განაჩენი შეცვალე.

**ვასია** (წელში მოხრილი, ტკივილი-საგან შეწუხებული უბიდან მოზრდილ, მრგვალ ქვას ამოიღებს, შეხტება და წი-

თელხალათიანს თავში ჩასცებებს). არც ახლა დაიჯერებ, რომ ჩოხა ჩემია?

წითელხალათიანი მოცელილივით დაეცემა.

**ზალცმანი.** ანდრეი დმიტრევიჩ, აკი სამართალი ურმით დადისო!

**ანდრეი.** რატომ, რატომ გეზრდება ასეთი შვილებიც, ჩემო დიდებულო, ჩემო საბრალო რუსეთ!

**ვასია** (ხალხს). ხომ დაინახეთ, სწორედ მაშინ უნია ღვთის რისხვამ, როცა ჩვენს მტერთან საიდუმლო კავშირს აბამდა. ხალხის მოღალატეს ღმერთი არ დაინდობს!

**ანდრეე.** ადამიანები, ადამიანები, ადამიანები! არც ახლა გჯერათ, რომ რუსი კაცის მტერი ისევ რუსია, სხვა არავინ?

ხალხმა ერთხმად იქუხა:

- ეგრეა!
- კიდევ დაჲკა!
- არ დაინდო!
- ჩააძალლე ეგ გაუმაძლარი!

**ვასია.** ის მიეზღო, რაც ეკუთვნოდა. ეს კი ჩვენს ხელთაა (დავითს). ხალხის წინაშე აღიარე, რას გეჩურჩულებოდა, რა კავშირს აბამდი ჩვენს მტერთან (დავითი უხმოდ დგას). ხედავთ, ხალხნო, არ გვიტყვდება. რა ეკუთვნის?!

- სიკვდილი!
- ჩააძალლე!
- როზგი, როზგი!
- ჩვენებური, ხალხური!

გაისმის ყიფინა, სროლა. შემორბიან ჩოხოსნები – საბა, შიო, ნიკოლოზი, გორგი და ამირანი.

- დაიჩოქეთ!
- დაიჩოქეთ!
- ჩქარა!
- სწრაფად, სწრაფად!
- ყველამ დაიჩოქეთ!

**დარახი** (სიხარულით). საბა! გადავ-რჩით! ისრაელებო, გადავრჩით!

ვასია იმ ქვას დასწვდება, რომლითაც წითელხალათიანი მოქლა. დავითი ვასიას განზრახვას მიუხვდება და ფეხს ჰერაკს, მერე შიოსკენ გარბის. ვასია დაედევნება.



**საპა** (დაინახავს, ვასია დავითს ქვით რომ დასდევს, გზას მოუჭრის, მათრახს გადაუჭრს). დაიჩოქეთ-მეთქ!

**საპა.** რატომ შეგურეს?

**დავითი.** მოკვლას მიპირებდნენ, შენ, მგონი, ქართველი ხარ!

**საპა.** ქართველი ვარ!

**დავითი.** თქვენ არა, აი, ამან შემხსნას.

**საპა** (ვასიას). შენა? რა ყოჩალი ყოფილხარ, აპა, შეხსენი!

**ვასია.** მე შევკარი?

**საპა** (ვასიას მათრახის ტარით მისწვდება). შენ უყვარხარ, სხვა არავინ. შეხსენი!

**ვასია** (აუჩქარებლად, ზიზღით ხსნის თოკს). ყველგან მელოდე და ყოველდღე!

**დავითი.** ხანჯლით და ტყვიით დაგელოდები.

**საპა** (ებრაელთა შორის ვიღაცას და-ეძებს). დამარბეველნი – აქეთ! (ადგილიდან არავინ იძვრის). დამარბეველნი-მარცხნივ, სწრაფად!

**ვასია.** შენ ვინ ხარ, რომ ასე გვიბრძანებ?

**საპა** (ვასიას გადახედავს, პასუხს არ აძლევს. ახლა მისთვის მთავარია, ის იპოვოს, ვისაც დაეძებს. ვასიას ხელით ანიშნებს მარცხენა მხარეს გადადიო. ვასიას ეს კიდევ უფრო გააღიზიანებს). გადადი, გადადი!

**ვასია.** რა შენი საქმეა, ვინ გეკითხება ჩვენ აქ რას ვიზამთ?

**საპა.** აი, იქ დადექი!

**მეგარმონე** (ჯამბაზივით დაიჭყანება და გარმონს ააჭყიპინებს. ვასიას გვერდით ამოუდგება). ეგრეა, შენ ნუ გვიბრძანებ!

**საპას** ლიმილი მოერევა და მათრახს აწევს. ვასიაც და მეგარმონეც უმალ და-მარბევლებს შეუერთდებიან. ჩოხოსნები დამარბევლებს გარს უვლიან და ერთ კუთხეში თავმოყრას აჩქარებენ.

– ჩქარა, ჩქარა!

– დაიჩოქეთ!

**ორიოდე კაცი დაიჩოქებს.**

**ტატიანა.** ვის უჩიქებთ, ძმებო!

**შეძახილები:**

– მეფისა და მამულის ერთგულ ხალხს სულს ხდით!

– ჩვენ ურიებს ვურტყამთ, თქვენ რა გინდათ?

– გაგვეცალეთ, თორემ ურიებზე უარეს დღეში ჩაგაგდებთ!

– ნადით!

– ეს ჩვენი ქალაქია!

**საპა** (თვალებში რისხვა ჩაუდგება). მათრახი, მათრახი სალახანებს! (ვასიას თავად გადაუჭრს მათრახს).

ჩოხოსნები მათრახს სცემენ:

– დაიჩოქეთ!

– დაიჩოქეთ!

– მუხლებზე!

**ზალცმანი** (დავითს). შენნაირად აცვიათ. ვინ არიან ჩვენი მხსნელები. გამჩენმა ვინ ჩათვალა ღირსად ამ სიკეთისა.

**დავითი** (პირზე ლიმილი მოადგება). სადღაც მთებში ცხოვრობენ.

**ზალცმანი** (რაღაცას ალლო აულო). აი, იქ, კავკასიის მთებში?

**რახილი.** ქართველები არიან და გვიცავენ, ბაბუ! აი, ის ჩვენი უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტია, საბა კლდიაშვილი.

**ზალცმანი** (რახილს აკვირდება). მერე შენ ეგრე რატომ გაწითლდი?..

**ანდრეი** (სასოწარკვეთილი). ცული, უშველეთ!

**რახილი.** მკვლელები! (ერთი ნახტო-მით საბას ამოუდგება გვერდით).

**საპა** უცებ მოტრიალდება. წარპსაც არ შეიხრის.

ცულიანს მრისხანე მზერას შეავლებს.

**შეძახილები:**

– დაჰკარი!

– რაღას აყოვნებ!

– მაგას რუსები სძულს.

– ხომ ხედავ, რას გვიშვრება!

**შიო** (დამბაჩას შემართავს). დააგდე ცული!

**საპა** (შიოს). დამბაჩა შეინახე! (ცული-ანს მიუბრუნდება, ხმადაბლა, მშვიდად). ერთი, ორი, გიჯობს შეჩერდე! (ცულიანი საბას მზერას ვერ გაუძლებს. ნაბიჯს



შეანელებს. ცულს დააგდებს. დამარბე-  
ველთ გმინგა აღმოხდებათ). მომილო-  
ცავს, სიცოცხლე გადაირჩინე! ახლა იქ  
მიდი, იმათ შორის დაიჩიქე!

ცულიანი მორჩილად მიდის მოძმეებ-  
თან, მუხლებზე დაეცემა, ვასია თავში წა-  
უთაქებს.

**საპა.** თქვენ გონიათ, რომ ქრისტია-  
ნები ხართ, მაგრამ, მანამ ვერ იქნებით  
ქრისტიანები, სანამ სიცულვილს არ მო-  
იშლით, ჩვენ სამტრო არაფერი გვაქვს.  
ათი წელიწადია ამ ქალაქში ვცხოვრობ.  
ძალიან მიყვარს რუსეთი, რუსეთი რომ  
მიყვარს, ამიტომ მძულხართ თქვენ, ყვე-  
ლანი ნაძირალები ხართ – არცხვენთ სამ-  
შობლოს...

საპას აქეთ-იქიდან სეტყვასავით და-  
აყარებს:

- თქვენ მაგათ არ იცნობთ!
- მატყუარები არიან!
- ჩვენს მეფეს ებრძვიან!
- უნდა გასრისო, უნდა მოსპო!

**საპა** (მათრახი ბრაზით აიქნია). ზღვის-  
კენ წავასხათ ყველანი, ზღვამ დააცხროს  
ამათი ბილნი ვნება!

შიო, ნიკოლოზი, გიორგი და ამირანი  
დამარბევლებს ზღვისკენ ერეკებიან, და-  
მარბევლნი კი აუჩქარებლად ირჯებიან,  
ბუტბუტებენ, იგინებიან.

- ჩქარა, ჩქარა!
- აბა, წამოხტი, ბრიყვო!
- არ ავდგები!
- მათრახი!

დამარბეველნი წამოხტებიან, წინწა-  
სულთ სირბილით წამოენევიან.

**საპა** (მეგარმონესა და ვასიას). თქვენ  
რაღას ელოდებით?

**ვასია.** შენ! ორი სიტყვა უნდა გითხრა,  
მხოლოდ ორი (საპა უხმოდ მისჩერებია).  
უკვე მკვდარი, უკვე ტყვიით დაცხრილუ-  
ლი, საფლავშიც რომ იწვე, იქაც გესვრი,  
ხელმეორედ მოგვლავ.

**მეგარმონე.** ცოცხალს კი დედას გიტი-  
რებ, უცხოელო!

**საპა** (ერთხანს ღიმილით შესცერის  
მეგარმონეს, უცებ წამოენთება). აქედან

დამეკარგეთ, მათხოვრებო! (მათრახს  
უტლაშუნებს. მეგარმონე და ვასია გარ-  
ბიან). შიო, სანამ სიცივით არ აკანკალ-  
დებიან, წყალში გყავდეს ეგენი (გაჯგი-  
მულ პოლიციელს დაინახავს). შენ, შენ აქ  
რა გინდა?

**პოლიციელი.** მე პოლიციელი, თქვენო  
აღმატე...

**საპა.** პოლიციელი რუსეთის ლირსე-  
ბას უნდა იცავდეს ულირსი რუსებისგან,  
წყალში, ჩქარა!

**პოლიციელი.** არის, თქვენო აღმატე-  
ბულებავ! (მიდის).

**ხუხმანი.** მე...მე... (პოლიციელს აე-  
დევნება, ფრთხილად, გაურკევლად გა-  
დადგამს რამდენიმე ნაბიჯს, წამოენევა).

**პოლიციელი** (ხუხმანს შეამჩნევს, მობ-  
რუნდება. დოინჯშემოყრილი, ბრაზით  
შესცერის). შენ ჩვენთან რა გინდა, ური-  
ავ? მარშით, მარშით!

ხუხმანი უმწეოდ დგას ებრაელთა და  
ზღვის სანაპიროს შუა. იქით დამარბე-  
ველნი მიდიან, აქეთ ებრაელნი დგანან.

**რახილი.** საპა...

**საპა.** სადა ხარ, დაგეძებ (მზერას ქა-  
ლის უბე მოსტაცებს). ხომ არაფერი და-  
გიშავდა?

**რახილი** (მკერდზე ხელს აიფარებს).  
გადაგვარჩინე, მადლობელი ვარ!

**საპა** (პანია ხელი ქალის უბეს ვერ ფა-  
რავს, თვალი ქალის უბისაკენ გაურბის).  
კარგი გოგო ხარ, ძალიან კარგი!

**რახილი.** ასე ნუ მომჩერებისარ!

**საპა** (მზერაში ყმანვილური სიანცე  
გაუელვებს). თუ საამოა საცერლად...

**დავითი.** მეც მადლობელი ვარ, ბატო-  
ნო ჩემო.

**საპა.** თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატო-  
ნო?

**დავითი.** ქართველი ებრაელი ვარ,  
ღმერთმა სიკეთე და გამარჯვება ნუ მო-  
გიშალოთ ამ უბედური ხალხის დაცვი-  
სათვის. იმერეთიდან გადმომაგდო ბედმა  
აქეთ.

დავითი მქვია, რუსეთში პირველად  
ჩამოვედი და...



**საპა.** აგაშენა ღმერთმა!

**დავითი.** ასე დაშლა არ ივარგებს. რა-  
სან ასე გადაგვარჩინა ღმერთმა, იქნება,  
გვეთქვა ერთმანეთისთვის ერთი-ორი  
ტქბილი სიტყვა. იმნაირი ცოლიკოური  
მაქვს ჩამოტანილი...

**საპა** (ლიმილი მოერევა). მართლა იმე-  
რელი ყოფილხარ! მობრძანდი ხვალ უნი-  
ვერსიტეტში, პრივატ-დოცენტი საპა  
კლდიაშვილი იყითხე.

**იოსები** (ლოყაზე სისხლი შეხმობია).  
გვინდა, მადლობა გითხრათ, შვილო,  
სხვა ჩვენ არაფერი გაგვაჩინია. თუ რამე  
გვქონდა, წაგვართვეს, აგვაოხრეს.

**ზალცმანი** (თავზე ციცითს გადაი-  
ფარებს). შენ თუ ჩვეულებრივი ადამია-  
ნი ხარ, ისეთივე უბრალო და მოკვდავი,  
როგორც ჩვენ და ვერ აიტანე ადამიანის  
დამცირება, ჩაგვრა, მადლობა უნდა გით-  
ხრათ, კურთხეულ იყოს ქალი და მინა,  
რომელმაც გაგზარდა! და, თუ შენ ისა  
ხარ, ვისაც ღმერთი თავის ზრახვათა  
განხორციელებას ავალებს, ჩვენი ვალია,  
თავი მოვიდრიკოთ შენს წინაშე. თავს  
ვიდრეკოთ და არა მუხლს – ღმერთი გვიკ-  
რძალავს ადამიანის წინაშე მუხლის მოდ-  
რეკას. (ებრაულებს). სიონის შვილნო!

საპა უმწეოდ დგას, რახილს სიამა-  
ყე დაუფლებია. ზალცმანი საპას წინა-  
შე თავს იდრეკს. სხვებიც ამოუდგებიან  
გვერდით, ნელ-ნელა იკვრება თავმოდ-  
რეკილ ადამიანთა წრე. ტანჯული ქალე-  
ბის, ბავშვების, მოხუცების სახეებზე სა-  
სოება და სათხოება აღიბეჭდება. ეს ადა-  
მიანები ახლა ბედნიერნი არიან.

**ანდრეი.** მადლობელი ვარ, ქართველო,  
დღეს შენ ჩემი – რუსი კაცის – ღირსება  
დაიცავო.

ვიღაც ებრაულ სიმღერას წამოიწ-  
ყებს. ხალხის გულებიდან ძლიერი ხმები  
მოდის. მრავალი საუკუნის წინანდელი  
სიმღერა თითქოს გარს უვლის, ეალერ-  
სება საპასა და მის მეგობრებს. ადამია-  
ნებს შორის სილადე დაისადგურებს.

ეს ტანსაცმელშემოფლეთილი, სახე-  
ებზე, ხელებზე, ფეხებზე სისხლშეუმ-

შრალი ადამიანები გალალდებიან, სიმ-  
ღერას ფეხსაც ააყოლებენ – გატაცებით  
ცეკვავენ.

სწორედ ამ დროს გაისმის სროლის  
ხმა, შეძახილები:

- აქ არიან!
- აგერ არიან რუსეთის მტრები!
- დაჲკა მაგათ!

ანდრეი საპას აეკვრება და იმნამსვე  
შეატოვებს მოხვედრილი ტყვია.

**იცივი.** ანდრეი დმიტრევიჩ, ანდრეი!

**ანდრეი.** წადით, გაეცალეთ, არ და-  
გინდობენ.

ანდრეი საპას ჩამოეკიდება. საპა ცდი-  
ლობს, ხელში აიტატოს ანდრეი დმიტრე-  
ვიჩი, რახელი ეშველება, უკნიდან მიპა-  
რული დამარბეცველი საპას ორ ტყვიას  
ზურგში დაახლის. საპა წაბორძიკდება,  
რახილს ჩამოეკიდება.

**საპა.** ვახ, შენი... დამთავრდა?...

**დავითი** (ხმა გაებზარა). რას შობი, სა-  
ბა, ბიჭო!

**რახილი.** ღმერთო, გვიშველე, არ მიგ-  
ვატოვო, საბა!

საპა მინაზე დაასვენებს.

**ნიკოლოზი.** არ შედრკე, საპა!

**შიო.** არ იქნება გლახა საქმე აქ! გეუბ-  
ნები და დამიჯვერე. არ ქნა ეს საქმე!

**საპა** (ლაპარაკი უჭირს). ამ მინაში არ  
დამტოვოთ. რა მქვიაო, რა თქვი?

**დავითი.** დათიკო ვარ მე, დავითი, მეგ-  
რელიშვილი.

**საპა.** აქ არ დამტოვოთ, ბიჭებო, შემ-  
ცივდება, სახლში წამიყვანეთ, ქუთაისში.

დამარბეცველნი ერთხმად აყვირდებიან:  
– მორჩა!

– ჩაძალლდა!

– ენტილიგენტი ხომ წინ გავუძლო-  
ლეთ!

– პალუნდრა!

– ხომ ხედავთ, ურიებო!

– აქეთ!

ისევე უცებ გაეცლებიან აქაურობას,  
როგორც მოევლინენ.

**ვასია.** ურიებო, ეს დღე არ დაგავინ-  
ყდეთ!



**დავითი** (საბას ცხედართან დაჩოქი-ლა). თქვენ რა იცით, ბრიყვებო, თქვენ რა იცით, ხე წაიქცა, თქვენ ხე წააქციეთ, ფესვები კი იქ დარჩა, ფესვები იქ არის...

ათი-თორმეტი წლის ბიჭი დავითის დამბაჩას მისჩერებია. ქარი ზალცმანის ციცითს აფრიალებს. ებრაელნი სასონარკვეთილნი დასცერიან საბას ცხედარს.

თმანვერაშლილი მოხუცი სიმღერას წამოიწყებს. ეს სიმღერა კი არა, მოთქმაა. სიტყვებიც არა აქვს ამ სიმღერას. ამ კაცის ყელიდან მელოდიად ქცეული ოხვრა და კვნესა ამოდის. ზღვიდან მონაპერი მსუბუქი ქარი ხალხს ციცითებს უფრიალებს, ხმა შორს მიაქვს.

ათი-თორმეტი წლის ბიჭი დავითს მოვარდება. კბილებით სწორედ იმ ხელს ჩააფრინდება, რომელშიც დამბაჩა უჭირავს. დავითს დამბაჩა დაუვარდება. ბიჭი დამბაჩას ხელს დაავლებს და გარბის. დავითი გაქცეულ ბიჭს მისჩერებია.

სიმღერა-გოდება გრძელდება.

ჩაბნელებულ სცენაზე სანთლების ალი აციმციმდება, თანდათან გამოიკვეთება შავოსანი ქალების გუნდი. სანთლები სწორედ მათ უჭირავთ.

პირგამეხებული, თითქოს შავი ქვისა-გან ნათალი ებრაელი ქალები ერთხანს უხმოდ დგანან. მათ ერთი ძვალმსხვილი ქალი გამოეყოფა.

**ქალი.** შენს მინაზე მობრუნებულხარ, საბა ბატონო. ღმერთმა ბედნიერი ქმნას შენი დაბრუნება. შენ გამჩენის მიერ გამოგზავნილი სული ხარ – გამჩენმა და-გავალა, გვამცნო, რომ არ მივუტოვები-

ვართ, რომ ყოველი გასაჭირისას მოგვივლენს მშველელს. დღეს შენ აგირჩია ჩვენს მშველელად. როცა მის წინაშე წარსდგები, შესთხოვე, გვაკმაროს გაფანტულობა, უცხოობაში ცხოვრება.

ქალთა გუნდი ორად გაიყოფა. აუჩქარებლად, მძიმედ მოდის ციცითმოსხმული ქუთაისელი ებრაელი.

**ქუთაისელი ებრაელი.** გარდაცვალების დღე ჯობს დაბადების დღეს – გვასწავლის იუდეის დიდი მეფე სოლომონი. რატომ ჯობს გარდაცვალების გულის-მომკვლელი დღე დაბადების სიხარულს? როცა ადამიანი იბადება, ჩვენ არ ვიცით, რისთვის იცხოვრებს ქვეყნად, რის სამსახურში იქნება. დღეს საბა კლდიაშვილს მინას რომ ვაბარებთ, ვიცით, როგორ, რისთვის იცხოვრა – გამჩენის სამსახურში ჩადგა. ამიტომ მოგმართავთ თავმოდრეკილი თხოვნით: თუ თქვენს რჯულს ჩრდილს არ მივაყენებთ, თუ მიცვალებულის სულს გლახა სამსახურს არ გავუნევთ, ცოტა ხნით სალოცავში შევაბრძანოთ. გვინდა, ვაკურთხოთ და ვადიდოთ მისი სული. გამჩენის შევევედროთ, რომ გაუხსნას სამოთხის მძიმე კარი.

**გრიგოლი.** არა, მეგობარო, მადლობელი ვართ, მაგრამ ქრისტიანი კაცი ქრისტიანული წესით უნდა დასაფლავდეს.

**ქუთაისელი ებრაელი** (პაუზის შემდეგ). გამჩენის შვილი იყო, იმისი, ვინც მის სულს სამოთხეში დააბრძანებს!

ისმის გალობა „ელ მალე რახამიმ,“ რომლითაც გარდაცვლილ ებრაელებს სამარადჟამო გზაზე მიაცილებენ.

ზარდა

## თამანა ლაფახი



### მახარობელი

გიორგობისთვის	უნიჭო
მიწურულში	ორკესტრს.
ჩემი სახლის წინ,	ამ ფრაკიანმა
მორცხვად	შავმა მოგვმა
მხრებდახრილ	სისხამზე
ნაძვის ტოტზე,	რაღაც
ყორანი უცებ	ავი მახარა:
დიდი ხნის	ვერ მოგართვესო
ნანატრ	ასრულება
ოცნებას	სიხარულის, —
მოჰკვეთს	ამას დამჩხავის
და დაუდგება	გამეტებით
დირიჟორად	ყვავის
თავისი გვარის	ბახალა.

•

ქარები ჰეგავდნენ ოცნებას წაშლილს,  
უდაბნოს ზღვა რომ გადაიარეს.  
გადაფითრებულ იასამნებში  
წვიმის წვეთებიც ჰეგავდნენ იარებს.  
მზე განწირული ხმებით ეძახის,  
ხეზე ჩამომხრჩვალ სხივებს, გვიანებს,  
აქარბუქებულ ალვის ტოტებთან  
სიყვარული რომ დააგვიანეს.  
რაღა ფასი აქვს მუხლის მოდრეკას  
ან აცრემლებულ თვალებს, ტიალებს,  
მოვა სიცივის კორიანტელი  
და ყველა იმედს გაატიალებს.  
ისე, ვით ჩამქრალ ლამპიონებთან  
ღამის პეპლებმა უგზოდ იარეს,

მიკვირს ამ სევდის ქარბორბალაში  
წლებმა უშენოდ როგორ იარეს.  
ლურჯად შეფერილ იასამნებში  
ჩამქრალი ნამი აღარ ბრჭყვიალებს,  
შემოსცვეთია სიცოცხლეს ფერი,  
თვალებში ცეცხლი აღარ ბრიალებს.  
ქარი კი ჰეგავდა ოცნებას წამლილს,  
ქარებმა გულზე გადამიარეს,  
ახლა მარტო ვარ ამ მწუხრის ბალში  
და ველარ უშველი გახსნილ იარებს.

### შენი იერი

გარშემო ყველაფერს:  
ამ ჭალებს, ამ ქედებს  
სულ შენი იერი ატყვია.  
ვცდილობ და ფარდაგად ვერ გიფენ  
გულს, სევდით დაღარულს, ნატყვიარს...

ნისლები ფარავენ ჩვენ შორის სავალ გზებს,  
ეს მზეც იგვიანებს, უტყვი და უპირო,  
აღარ დამანებეს ეგ შენი თვალები,  
როშკის ტბასავით ლურჯი და უძირო.

ბოლავს მთები და ბოლავს ხეობა,  
ჭაუხებს არ შვენით ცერები უნისლო,  
შეუჩვეველი სევდა შემეჩვია,  
ხილული ღამის ფიქრები უმიზნო.

და ირგვლივ ამ ჭალებს, ამ ქედებს  
სულ შენი იერი ატყვია,  
კვალდაკვალ მოგდევ და ვავადობ,  
გნატრობ, უშენობა მატყვია...

### ცრემლის აკიღო

ცამ დაიკრიფა გულხელი წამით...  
აი, წვიმამაც გადაიღო!  
მზე ნაოცნებარ ხნულებში დათრთის,  
ვწუხვარ!.. პაემანი გადაიდო.

ვკეცავ გომბორის მოქნეულ შარას,  
ჰაერში ბუერები გაიშალა,  
სირცხვილით ლოყები ასწვია ასკილს,  
ვწუხვარ!.. პაემანი ჩაიშალა.

ვუხმობ მკათათვის ყვთელ ფერიებს,  
სურვილები რომ ლექსად ავკინძო,  
თავგზას როგორ მირევს შენი სიშორე და  
მზის უპეებში ცრემლის აკიდო.

## სად არის?!

სად არის ტრფობა  
მარადისი,  
გაუსაძლისი სიყვარულის  
დრო და საწყისი?!  
სად არის შვება დაუძლეველი,  
ყველა ბომონის შემრისხავი  
და უძლეველი.  
ნეტავ სად არის სიმარტოვის  
დიდი ნუგეში,  
სად არის სატრფო, რომ ჩაგიკრას  
თბილად უბეში.  
მზე ამ გაუსხლავ ლერწმიანში  
აბა, სად არის?!  
თვალი შეავლე სინანულის  
ის სულ აქ არის!!!

## მე და შენ

ამაღამ მგონი იქნება ქარი  
პ. იაშვილი

ამაღამ, ვიცი, იქნება წვიმა  
და ზეცა ჩამოცლის კოკებს.  
ხოდაბუნებში წრიალებს მწყერჩიტა:  
ვაი, შესცივათო სწორებს.

ამაღამ, ვიცი, იქნება ქარი,  
ზეცა დაიბერტყავს კალთებს,  
უთანასწორო, განსაცვიფრებელი  
თრთოლვა შეუდგებათ ამ მთებს.



ამაღამ, ვიცი, იქნება ელვაც,  
ზეცა ჩამოთიბავს ცეცხლებს,  
მყუდრო, საიმედო ბინის ძებნაში  
ქანცი გაელევათ მერცხლებს.

როცა შუალამეს ჯანდი ჩამოწვება,  
ცა ხევში ჩაირეცხავს ნაბანს,  
კოცნით გამთბარი და ნასათუთევი  
გვერდებს შევუკეცავთ ნაბადს.

## ოქტომბერში

ოქტომბერში ქარი აშლის ყვითელ ფოთლებს,  
სასთუმალთან ჩამოჯდება თეთრი ბინდი.  
დრო რომ მოვყლა სულ უაზროდ ვფურცლავ ფლობერს,  
მერამდენე სალამოა, გიცდი...

იალქნები შრიალებენ გაშლილ ზღვაში,  
სევდა მეფობს, როგორც ბედის ტრიალი,  
კარის მიღმა ისმის ჩუმი ფაციფუცი,  
ქარია თუ ძველი კიბის ჭრიალი?!

რა ვქნა, ისევ მენატრები, უსაშველოდ,  
ოცნებასაც კვლავ დასცვივდა ლურჯი ფიფქი,  
ფოთოლცვენას ჰორიზონტად გაპყოლია  
და ღამისფრად შეფერილა შენზე ფიქრი.

ქარი ტალღებს ვნების კალთას დააბერტყავს,  
უნდობარი ხასიათს რა სწრაფად იცვლის,  
მალე საათს ჩამორჩება უძილობა,  
უშენობის მძიმე წუთებს ძლივსლა ვითვლი.

ახლა ძალზე გვიანია, აღარ მოხვალ,  
უინით ხეებს გაუწენავთ თმები ქარში,  
აქაფებულ ენას აღარ აჩერებენ,  
ჭორიკნები ჭორაობენ ფოთლის შვავში.

როგორც ნექტარს, ენაფება ტალღა სილას,  
ტრფობის ბანგი უსვამს დამათრობელი,  
ავ მოლექსეს – ქარს გავუფენ ღამის ფიქრებს,  
მომბეზრდება ფურცვლა გუსტავ ფლობერის...

## პესანე

კლდის ნაპრალებში რაად იმალვი,  
რაად იჩრდილებ სახეს, კესანე?!  
მო, ჩემს კალთაში დაიმყუდროვე,  
მოდი, კესანე, შენი კვნესამე!

მზემ დაივანა ალპებში ლამით,  
ვისი ბრალია, ჩემო კესანე?!  
მო, თხელ კაბაზე მოგესათუთო,  
მოდი, კესანე, შენი კვნესამე!

შენთვის ამოვვლე მთის ბილიკები,  
შენს შესახვედრად როგორ ვენამე,  
მო, ლურჯ კაბაზე მოგესალბუნო,  
მოდი, კესანე, შენი კვნესამე!



## Ահաօս Յանապահ

### Ի ՏԱՅՍԵԹԱ ՈՒՄ...

Բամոմքուրյուղո կյենքերո օնցուս,  
Ըամոտ մշշանց մշեն դամիսեվրա,  
Ռա տաշտան ոյո, ռա կյենեսա սոմնրուս!  
Առ մասզենեծդա լամոտ յարուս եմա.  
Գատյենդա...  
Ածլա րդուց առ օրնեւա,  
Բամըսմուս հիյամու մեռլուգ ցուլուստյմուս:  
Ծորութու մշդամ սոմյուլուուլս օնցեցս  
Ըա ցուշչուս ուսածլուրո սոյզարյուլուստցուս...

### ԹՐՑԻՃԱՆԴՈ...

Մոմյուժցուրյէ դա...  
Մժամ... մյորդոն  
Մաս մյերե, ռաւ դավոծաճյ,  
Շեմուգո, ցուլմո հացոյրաց  
Ըա սանց ցաճամոծաճրյ...  
Մոծրճանդո, ցուլո լուաա,  
Սածլմո Շեմոսցլա ոյաճրյ...  
Ան մյերդմո համեց մախուուն,  
Ան ցուլո ցամոմուծաճրյ...

### ԱՐՍՏԱ ՑԱՄՐՈՒՑՅԵ...

...ցատա նշուուան դացուցյերո,  
Ռոցորւց ոմնյո ծաւուունեծս,  
Հիշենո նշալունա-լազլազո  
Ցածարեարյես դա ցաւունեծս...  
Ռա ցածա-ցամուցդյես ցուութարյէ,  
Կոցլուսա արստա ցամրուցյ,  
Կո ունցո, ռա մազ դլումուց վարտ,  
Ցուլուստյուցուուսաց ցացուցյ...

## ჩემი რიონის სადგური

ჩემი რიონის სადგური  
 და ავტობუსი გორასი,  
 ცა, რიბირაბო კამკამა,  
 როგორც თვალები მონაზვნის..  
 თავშებურული დედები  
 ყველის და პიტნის სურნელით,  
 „ხომ არ მიირთმევთ, ბატონო,  
 ზაკუსკის თუ ხართ მსურველი“.  
 ჩემი რიონის სადგური,  
 შორს – ხედი თეთრი მონასტრის,  
 წმინდა, კამკამა აისი,  
 როგორც თვალები მონაზვნის.  
 და მერე... ჩემი ორლობე...  
 ტყეში გალობა გუგულის,  
 დედის და მამის გულებში  
 ზღვა სიხარულის გუგუნი...

## ქუთაისი

### გულიკო ლოლომაძეს

ვარდისფერ ნისლში ცურავს ბაგრატი,  
 ვით ღვთისმშობელის ლურჯი ზმანება,  
 ცირა-მნათობი, კალმით ნახატი,  
 ამაღლებაში მიემგზავრება.  
 ხეებში დილის ქარი ქანაობს,  
 ვარდების სურნელს ბალახვანს უკმევს,  
 წითელი ჩანთა, თეთრი მარაო  
 სიმორცხვით ფარავს ქათქათა მუხლებს...  
 ...მერე ჯვრებიან ბარათებს მწერდი,  
 ტკბილს, სანეტაროს, უმანკოს, მზიანს,  
 გულისნადები მწველი და წრფელი  
 ამზიანებდა წკვარამს და წყვდიადს.  
 მერე... წარსულში ჩაიმსხვრნენ წლები...  
 გაუჩინარდა... სხივი-აქატი,  
 ვარდის ყვავილთა ნაზი ფურცლები,  
 ცირა-მნათობი, კალმით ნახატი...

...დღეს, ვით ღვთისმშობლის ლურჯი ზმანება,  
 ვარდისფერ ნისლში მოჩანს ბაგრატი...

## ჯამისარეცხელა

ცხელა...  
 მოთვლემს ჯამისარეცხელა,  
 ძლივს მიათრევს ცხელ კენჭებზე ტანს,  
 როგორ სურს და როგორ უნდა,  
 ჩამოჰვავდეს რიონსა და მტკვარს...  
 ცხელა, მოთვლემს ჯამისარეცხელა,  
 რიონის და კორისწყალის რტოო!  
 გადღიშალე შენი თბილი გული,  
 რომ ბავშვობა შენს ლიცლიცში ვპოვო...  
 ცხელა, მოთვლემს ნაკადულის დარი,  
 ბებიები აქ რეცხავდნენ ჯამებს...  
 ჩემი ტკბილი ჯამისარეცხელა  
 შერევია იმერეთის ლამეს...

## იქნებ, შენ მითხრა

იქნებ, აქ ყოფნას, ზეციერო... არყოფნა ჰქვია!  
 და დაბადებას – არყოფნაში გარდაცვალება...  
 იქნებ, შენ უწყი – გულს დახლილი მოყვასის ტყვია  
 ოდენ შვებაა, ლხენაა... და არა წვალება...  
 იქნებ, ეს ცრემლი მაცხოვარის ცხელი ცრემლია,  
 მტკვრად და რიონად მთებიდან რომ მოედინება,  
 იქნებ, მზე იყავ, მშვენიერო, მანათობელი,  
 შენი აქ მოსვლა იავნანად ღმერთმა ინება.  
 იქნებ, ესაა უხილავი ცეცხლის გენია,  
 უსულგულოთა ჯოჯოხეთიც ყაყან-ქაქანით,  
 წუთისოფელიც დამზრალი და ნაცრისფერია,  
 „თავი მომექრა“, – დედაჩემის კვნესაც აქ არი.  
 უამმა დაადნო ყოველივე, რაც კი გამაჩნდა,  
 წარსული ესე დიდ ლამედ და ერთ დღედ გაიყო,  
 იქნებ, შენ უწყი, ზეციერო, იქნებ, შენ მითხრა;  
 რა იყო მოსვლა, ასე უცებ წასვლა რა იყო!  
 იქნებ, აქ ყოფნას, ზეციერო, არყოფნა ჰქვია  
 და დაბადებას – არყოფნაში გარდაცვალება...  
 იქნებ, შენ უწყი – გულს დახლილი მოყვასის ტყვია  
 ოდენ შვებაა, ლხენაა და არა წამება...



## გიორგი ალბერტაშვილი

### ათონის წმიდა მთის ქართველთა ლავრა

„ნეტარნო მოღვაწენო და ყოვლად ქებულნო მამანო, იოანე და ეფ-  
თვიმი, სამკაულნო და სიქადულნო ნათესავისა ჩვენისანო, ევედრე-  
ნით ქრისტესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს“.

**ეზრა ათონელი**

თავდაპირველად განვმარტავთ: ერთ-ერთმა პირველმა ცნობილმა ბიზანტიისტმა ალექსანდრე ალექსიძემ შენიშნა, რომ თვით სახელწოდებამ „ივირონ“ (ივერთა) დროთა ვითარებაში დაკარგა თავისი პირველდელი სემანტიკა და ბერძენთა უმრავლესობისთვის იგი ულერს, როგორც ათონის ერთ-ერთი ბერძნული სავანის შინაარსსმოკლებული სახელწოდება, ხოლო სიტყვა „ივირ“ (ივერიელი) აღნიშნავს მასში მცხოვრებ და მოღვაწე პიროვნებას. ამ რეალობის გათვალისწინებით, ქართველთა მონასტრის სახელწოდებად უნდა გამოვიყენოთ არა ივირონი, არამედ სრული სახელდება – ივერთა ან ქართველთა ლავრა, მით უმეტეს, რომ ჩვენი წინაპრებიც მას ასე მოიხსენიებდნენ (ამაზე ქვემოთ). რაც შეეხება მისისტორიას:

ქართველი საზოგადოებისათვის ნაკლებცნობილი თანამედროვე ბერძნული ნარკვევები ივერთა სამზრუნველოს დაარსების შესახებ არაერთ საკითხში თანხვდება ქართულ წყაროებს, თუმცა რამდენადმე განსხვავდება. ჯერ წარმოვადგენთ ბერძნულ მონაცემებს, რომლებითაც ათონზე მოსალოცად ჩასული სასულიერო თუ საერო პირები ქართველთა

მონასტრის ისტორიას ეცნობიან:

ივერთა სამზრუნველოს, X საუკუნის ბოლო მეოთხედში, დიდი ლავრისა და ვატოპედის მონასტრების დაარსების შემდეგ, მალევე ჩაეყარა საძირკველი იმ ადგილას (ან მის სიახლოვეს), სადაც უნინ წმიდა კლიმენტოსის მონასტერი მდებარეობდა. მისი დაარსება იოანე მთაწმიდელისა და იოანე თორნიკეს სახელებს უკავშირდება, თუმცა, ჩანს, საუბარი ერთსა და იმავე პიროვნებაზეა; მაგრამ ქართული წყაროები ცალსახად ორ პირს მოიხსენიებენ. იოანე თორნიკემ, ივერიის (საქართველოს) მეფე დავითის კარისკაცმა და **პიზანტიელმა დიდებულმა**, მიატოვა ყველაფერი და თავდაპირველად მაკედონიის ერთ-ერთ მონასტერში აღიკვეცა ბერად. შემდეგ ის ოლიმპიზე (ძველქართულად ულუმბოზე) წავიდა, დაბოლოს – ათონზე, ლავრის შემოგარენის უდაბურ ადგილას დამკვიდრდა, სადაც მას წმიდა ათანასეს გაცნობის საშუალება მიეცა; ამ უკანასკნელმა თორნიკეს თავის სიახლოვეს დარჩენა შესთავაზა.

პიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ (976-1025 წწ.) დედაქალაქში მიინვია უკვე მონაზვნად აღკვეცილი თორნიკე და სთხოვა დახმარება სხვადასხვა ხასიათის

დიპლომატიურ და სამხედრო საკითხში, განსაკუთრებით კი – სტრატეგოს ბარდა სკლიაროსის ამპონების ჩასახმობად. თორნიკე დაემორჩილა იმპერატორის თხოვნას, გაიხადა ბერის სამოსი და მეფე დავით კუროპალატთან ერთად სკლიაროსის წინააღმდეგ გაილაშქრა. მან წარმატებით გაართვა თავი ამ მისიას. შემდგომ კი კვლავ ათონზე დაბრუნდა, სადაც ამჟამინდელი მონასტრის ან მშენებლობას, ან, შესაძლოა, უკვე არსებული წმიდა კლიმენტოსის ლავრის გაფართოებას შეუდგა. ეს ღვთივსათონ საქმე იმპერატორის უხვი შემონირულობებისა და ზემოხსენებული გამარჯვების შედეგად მოპოვებული აურაცხელი ალაფის წყალობით აღსრულდა.

ახალ მონასტერს იმთავითვე ივერთა ეწოდა მისი დამაარსებლების წარმომავლობისა და პირველი მონაზვნების ეროვნების გამო; ეს სახელდება დღემდება შენარჩუნებული. თუმცა 1357 წელს, პატრიარქ კალისტეს შესაბამისი სიგელის მიხედვით, ქართული სამზრუნველო ბერძნებს გადაეცათ, რომლებიც მაშინ რაოდენობითაც და მონაზონთა სულიერი ცხოვრების როლითაც ვითომდა სჭარბობდნენ ქართველ ბერ-მონაზვნებს.

ძალიან ადრეული ხანიდან XIV საუკუნემდე ახლად შექმნილ ლავრას მრავალი მომცრო მონასტერი მიეკუთვნა, მათ შორის, ლეონტიოსისა – სალონიკში, ოიანესი – კოლოვუსა და ერისოში, წმ. საპასი, ხილიადოსი, კასპაკოსისა და სხვ. ბუნებრივია, რომ ივერთა მონასტერმაც იწვნია ათონზე სხვადასხვა სახის დამანგრეველი შემოქრა და მრავალი სიღუბჭირეც გადაიტანა. ასე, მაგალითად, დაცულია ცნობები მეკობრეთა, დასავლელ უნიატთა და მრისხანე კატალონიელთა თავდასხმებზე XIV საუკუნეში. თუმცა შემდეგ ბიზანტიულმა იმპერატორებმა, სერბმა ხელმწიფემ სტეფანე დუშანმა და უმთავრესად ქართველმა მეფეებმა მონასტრის აღსადგენად უხვი შემონირულობანი გაიღეს.

ლავრის ახალი აღმავლობის პერიო-

დი XVI საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა, ვიდრე მნიშვნელოვანი ეკონომიკური სირთულეები წამოიჭრებოდა. ამ თითქოსდა გამოუვალი მდგომარეობის დაძლევის მიზნით ივერიელი მონაზვნები სამშობლოში ჩავიდნენ და მეფე ალექსანდრე VI-ს (?) ეწვივნენ, რომელსაც მონასტრის გასაღები გადასცეს და მატერიალური თანადგომა სთხოვეს. ამ ქმედებების, აგრეთვე, მონაზვნების სხვა ქვეყნებში საკალმასოდ მოგზაურობის შედეგადაც დიდალი თანხა შეგროვდა, რამაც მონასტერს არა მხოლოდ ვალების გასტუმრების, არამედ ახალი შენობების აგების საშუალებაც მისცა, ხოლო მონაზონთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

XVII საუკუნის მიწურულს ივერიელთა ლავრის მონაზვნებმა მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის მიწვევით რუსეთს მიაშურეს, თან საჩუქრად ივერიის კარის ღვთისმშობლის ხატის ასლი წააპრანეს, რომლის წყალობითაც ხელმწიფის ასული განიკურნა. დედაღვთისადმი და ივერიელი მონაზვნებისადმი მადლიერების ნიშნად ალექსეი მიხაილოვიჩმა მათ მოსკოვის ცენტრში მეტოქად წმიდა ნიკოლოზის მონასტერი გადასცა.

ამავე დროს ქართველთა ლავრისადმი ინტერესი არაერთმა პატრიარქმაც გამოამჟღავნა, რომელთაც მას მრავალმხრივი დახმარება აღმოუჩინეს. გარკვეული დროის მანძილზე აქ ბერძენთა ეროვნული მონამე პატრიარქი გრიგოლი V იმყოფებოდა. 1821 წელს ოსმალოთა იმპერიის წინააღმდეგ ბერძენთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისას ივერთა მონასტერს კვლავ მძიმე დღეები დაუდგა ძირითადად იმ მნიშვნელოვანი შენირულობების გამო, რომლებიც სახალხო აჯანყებისათვის გაიღო. ორჯერ, 1845 და 1865 წლებში, ლავრის ნაწილი საშინელი ხანძრისაგან დაზიანდა, მაგრამ შემდეგ საუკუთარი სიმდიდრითა და მრავალი ქრისტიანის თანადგომით აღდგენილ იქნა.

ღვთისმშობლის მიძინებას მიძღვნილი



მთავარი ეკლესია XI საუკუნის პირველ ნახევარში ქართველმა მონაზონმა გიორგი ვარაზვაჩემ ააგო, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მონასტრის წინამძღვარი იყო. 1513 წელს საყდარი გადაკეთდა. ის დაახლოებით მონასტრის ეზოს შუაში მდებარეობს და ბიზანტიურ-ათონური სტილითაა ნაშენები. პირველი ეკლესიისაგან მარმარილოს ბრნენვალე მოპირკეთებაა შემორჩენილი გეომეტრიული მოხატულობებითა და გარშემო წარწერით: „მე, გრიგოლმა, ივერიელმა მონაზონმა და ქტიფორმა, გავამაგრე მისი სვეტები, რათა არ შეირყეს უკუნიოთ უკუნისამდე“. საინტერესოა საკუთრივ ტაძრის სვეტების ორსარტყელიანი კაპიტელებიც (ბუნებრივია, მეორედ გამოყენებული), რომელთა აკანთებიც ფოთლებითა და გვერდიდან ხბორების თავებითაა შემკული.

ტაძრის ფრესკები სხვადასხვა დროს დაიწერა, დაწყებული XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დასასრულით, როდესაც ისინი ახალი მოხატულობებით დაიფარა. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს შემდგომბიზანტიური დროის ხეზე ნაკვეთი კანკელი მდიდრული მცენარეული დეკორით, გარეთა ნართექსიდან ლიტის ჭიშკრის ვერცხლისა და აბანოზის ნატიფად შესრულებული შესასვლელი კარი და ვერცხლის შვიდლამპარი სასანთლე, რომელსაც ლიმონის ხის ფორმა აქვს, ამშვენებს 30 მოიქრული ლიმონი და 7 შანდალი. ორენოვანი ლექსად გამოთქმული წარწერის (ბერძნულად და რუსულად) მიხედვით, ის 1818 წელს მონასტრისათვის არქიმანდრიტ კირილეს მოსკოვის მაცხოვერებლებმა აჩუქეს.

ტაძრის ორმაგ ნართექსს მოგვიანებით მესამე – შემინული ნართექსი მიაშენეს, რომელიც 1795 წელს მოიხატა ფრესკებით. ლეტისსახლის წინ ნაკურთხი წყლის ფიალა მდებარეობს; ის 1865 წლის ხანძრის შემდეგ აღადგინეს. ფასადის პირისპირ კი მონასტრის სატრაპეზოა; იგი 1848 წელს არქიმანდრიტმა ათანასე

აკარნანელმა თავიდან ააგო და გააფართოვა.

დღიდი ჭიშკრის პირდაპირ, ლავრის შიგნით, დაახლოებით სამხრეთის მხარის შუაში, კოშკია აღმართული (1725 წ.), რომელიც დაზიანებულია, მეორე გოდოლი კი (1626 წ.), ლავრის ნავსადგურთან, კარგადაა შემონაბული.

ტაძრის გარდა, მონასტრის ტერიტორიაზე კიდევ 16 ეგვტერია, ორი მათგანი – წმიდა ნიკოლოზისა (1846 წ.) და მთავარანგელოზის (1812 წ.) – შესაბამისად, ლიტის კარიბჭის მარჯვნივ და მარცხნივ მდებარეობს.

მეორეში დიდი მზრუნველობით ინახავენ დაახლოებით 150 წმიდანის რელიგიებს, აგრეთვე, იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმისას გამოიყენეს, და მაცხოვრის ცხოველმყოფელი ძელის ჯვრის ნაწილებს.

სხვა ორი მნიშვნელოვანი სამლოცველო – კარის ლეტისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლისა ეზოში დგას. პირველში (1680 წ.), რომელიც მონასტრის ძველ შესასვლელთან მდებარეობს, ივერიის კარის ლეტისმშობლის სასწაულმოქმედი (პორტატის) ხატია დაპრძანებული მდიდრული მოქედილობით; გადმოცემის თანახმად, ის კონსტანტინოპოლიდან ტალღებს გამოყოლილი ამჟამინდელი ლავრის მახლობლად ზღვასთან გამოვიდა. ამ ეგვტერის ფრესკები 1683 წელსაა შექმნილი, კანკელი კი – 1785-ში. გარდა ამისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ნართექსში, რომელიც 1774 წელს მოიხატა, წმინდანთა გამოსახულებებთან ერთად ბერძენი ფილოსოფოსები – სოლონი, სოფოკლე, თუკიდიდე, პლატონი, არისტოტელე და პლუტარქე არიან გამოხატულნი, აგრეთვე, მეფეები ალექსანდრე მაკედონელი და დარიოსი. ათონის მთაზე კიდევ ერთ მონასტერში, კერძოდ, წმიდა ათანასე დიდის ლავრის სატრაპეზოში ასევე არიან გამოსახულნი ანტიკური ეპოქის მოღვაწენი: ფილონი, სოლონი, პითაგორა, სოკრატე, არისტოტელე, თა-



ლესი, გალენი, პლატონი და პლუტარქე. იოანე ნათლისმცემლის მეორე საჟამნო პირველისგან აღმოსავლეთით დგას. საძირკვლიდან მოყოლებული წინამძღვარმა აღაპიმ ააშენა (1710 წ.), ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ მოიხატა (1714 წ.). ეგვტერის კანკელი ხეზე კვეთის შესანიშნავი ნიმუშია. დანარჩენ 12 სამლოცველოში მხოლოდ სალიტანიო ხატებია დაპრძანებული.

მონასტრის ფარგლებს გარეთ მისი 12 კათიზმა (მცირე ზომის სამლოცველო), 13 სენაკი კარეასის მიმართულებით, 3 ფილოთეოსის მონასტრისაკენ და 10 კარეასის ტერიტორიაზე და მის მახლობლად მდებარეობს. ერთ-ერთი მათგანი – წმიდა დიმიტრის სენაკი ლავრის წარმომადგენლობაა.

ივერთა სამზრუნველოს ეკუთვნის, ასევე, იოანე ნათლისმცემლის, ანუ ივერიელთა სავანე (სკიტი) მონასტრის დასავლეთით, მთების მხარეს. ეს ბერძნული იდიორითმული (თვითცხოვრებულთა) სკიტი 1730 წელსაა აგებული, მაშინ როდესაც მისი ეკლესია (Kyriakon) 1779-ში აშენდა და ფრესკებით 1799 წელს მოიხატა. დღესდღეობით სავანე 8 კალივას (დაბის მსგავსი მონაზონთა დასახლება) ფლობს, სადაც რამდენიმე (5 ან 6) მონაზონი მოსაგრეობს.

ძალიან მდიდარია ქართველთა მონასტრის სიწმიდეთსაცავი, რომელიც, ამ მხრივ, ათონის ყველაზე მნიშვნელოვან განძთსაცავთა რიცხვს განეკუთვნება. ის ეზოში ბიბლიოთეკასთან ერთად უფრო გვიან აგებულ ერთსართულიან შენობაშია განთავსებული. აქ ინახება უნიკალური საგანძური – ოქროქსოვილით შეკერილი შესამოსლები, სიწმიდეთა სამსახურებლები, საეკლესიო ჭურჭელი, ჯვრები, ზიარების თასები, მედალიონები, სამღვდელოთმთავრო თავსაბურავები (მიტრები), პატრიარქ დიონისე IV-ის სრული სამეუფო შესამოსელი, გრიგოლი V-ის პალეკარტი (მანტია), მოხელსაქმე კოკონა ოროლოგოსის მიერ მოქარგული ბჭის

შესანიშნავი კრეტსაბმელი და სხვა წმიდა საგნები თუ რელიკვიები. დაბოლოს, აქ დაცულია იმპერატორ იოანე I ციმისხიოს (969-976 წწ.) ე. წ. სამღვდელოთმთავრო ბისონი (სამოსი, საკოსი), რომელიც ბიბლიოთეკშია. ის სხვადასხვა სახის მოხატულობის არაბესკებით, 10 ლომისა და 4 ორთავიანი არწივის გამოსახულებებითა დამშვენებული.

მდიდრული და კარგად ორგანიზებულია მონასტრის ბიბლიოთეკა. აქ სხვა-დასხვა მასალაზე დაწერილი და განსხვავებული შინაარსის 2000-ზე მეტი ხელნაწერი და 15 ლიტურგიკული გრაგნილია დაცული. მათ შორის 123 ეტრატზეა შესრულებული, დანარჩენი (23) – ბომბაზინსა (აბრეშუმის ტილოზე) და ქალალდზე. ამათ უნდა დაემატოს, ასევე, დაახლოებით 100 ქართულენოვანი ხელნაწერი. ყურადღებას იმსახურებს ზოგიერთი ბერძნული მანუსკრიპტის ილუსტრაციებიც (განსაკუთრებით №№1, 5, 55, 56, 111, 463, 874 და სხვ.). ხელნაწერთა განყოფილების გარდა, ბიბლიოთეკში 20 000-ზე მეტი ბეჭდური წიგნია დაცული, ზოგიერთი მათგანი არქეტიპი და ძველბეჭდური გამოცემაა.

აქვე ინახება დიდად ფასული დოკუმენტები იმპერატორებისა და პატრიარქების, უპირველეს ყოვლისა, ოქრობეჭდები იმპერატორების – კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (946 და 958 წწ.), რომანოზ II-ის (960 წ.), ბასილი II-ის (980 წ.) და სხვ. ქართველთა ლავრას ათონის 20 მონასტრის იერარქიაში მესამე ადგილი უკავია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ათონის საბჭოს საბუთებს ქართველთა სამზრუნველოს წინამძღვარი თუ წარმომადგენელი ხელს აწერდა პროტოსის (პირველის) ან ათანასე დიდის ლავრის ილუმინის, ხოლო 1366 წლიდან – ყოველთვის ვატოპედის წარმომადგენლის შემდეგ, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონია. ეს ქართველთა ლავრის გარკვეული დაღმავლობის ნიშანია, რაც განსაკუთრებით XV საუკუნეში გამოიკვეთა. ამჟამად ივერთა სამზრუნველო ზოგადცხოვრებითი, ანუ ერთად

მოწესეობის ლავრაა (1990 წლიდან). როგორც ითქვა, უნინ აქ ქართველი მონაზვნები ცხოვრობდნენ; მათი საუკუნოვანი მოღვაწეობის შედეგად მონასტერი ქართველთათვის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი იყო. უკანასკნელი ქართველი ბერი 1955 წელს გარდაიცვალა. ამჟამად იქ ასამდე მოწესეა, რომლებიც ლავრასა და მის გარეთ – სკიტსა და სენაკებში იღვწიან. მათ შორის არც ერთი არ არის ჩვენი თანამემამულე.

ზემოთ შევნიშნეთ, რომ ქართული წერილობითი მონაცემები ქართველთა მონასტრის ზემომოყვანილ ისტორიას, ერთი მხრივ, ავსებენ და, მეორე მხრივ, ბევრ საკითხს ჰქონენ ნათელს და საყურადღებო დეტალებს გვაწვდიან; კიდევ უფრო დავაზუსტებთ სათემელს: ქართული წყაროების სახით ხელთ გვაქვს უტყუარი, დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც უშუალოდ და ზედმინევნით გადმოსცემს ლავრის დაარსების ისტორიას, რის ჭეშმარიტებაშიც ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ქართველთა სამზრუნველოს საფუძვლის ჩაყრის უმთავრესი წყარო წმიდა გიორგი მთაწმიდელის „წმ. იოანესა და წმ. ექვთიმეს ცხოვრებაა“. ქართველთუ უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებში ივერთა მონასტრის დაარსების ისტორია მოკლედ ასეა წარმოდგენილი:

თავიდანვე შევნიშნავთ, რომ წმ. იოანესა და წმ. ექვთიმეს გამოჩენამდე ქართველები წმიდა მთაზე უკვე ჩამოსულნი ჩანან – მათ სამყოფს ათო ეწოდებოდა; ეს მოსაგრეები იყვნენ მოსე (971 წლამდე), დიდი ათანასე (971-981 წწ.), არსენი და სხვანი, რომლებიც ზემოხსენებულ ათოს სამზრუნველოში, აგრეთვე, წმ. კლიმენტოსის მონასტერსა და ათანასე დიდის ლავრაში მოწესეობდნენ; თუმცა წმიდა მთაზე ქართული მონასტერი ამ დროისათვის არ არსებოდა.

ქართველთა ლავრის საძირკვლის გამჭრელმა წმ. იოანემ, რომელიც იყო „ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპ-

თავგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოვ მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მხნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა“, „დიდებამ ამის სოფლისად შეურაცხყო და ნაგევად შეჰრაცხა“; მან თავდაპირველად მოღვაწეობა ტაო-კლარჯეთის ოთხთა ეკლესიაში დაიწყო (წმ. იოანესა და მისი ვაჟის, წმ. ექვთიმეს შესახებ ივერიის მონასტრის XI საუკუნის მოღვაწე ეზრა ათონელი წერს: „იქადის ტაო, ქვეყანად იგი თქვენი, თანამკვიდრითურთ თქვენთვის, ყოვლად ქებულნო, რამეთუ მიერ აღმოსცენდით, წმიდანო, იოანე და ეფთვიმი სანატრელნო, და განანათლეთ ნათესავი ქართველთავ“); მოგვიანებით წმ. იოანე ბითვინიის ოლიმპოზე გადავიდა, სადაც ერთერთ მონასტერში „უმთა არა-მცირედთა ჯორთა მსახურებისა ლვანლი ახოვნად თავს იდვა და სხვანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხნი სიმდაბლითა აღასრულნა“. აქ იგი წმ. ათანასე ათონელთან (920-1000 წწ.) ერთად მოსაგრეობდა.

ოლიმპოზე ჩამოიყვანა წმ. იოანემ თავისი ვაჟიც, ექვთიმე, X საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს კი წმ. ათანასე დიდის კვალს გაჰყვა – ათონზე გადავიდა ექვთიმესთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად; ათანასე დიდს ლავრა უკვე დაეარსებინა (963 წ.). იოანე მის ახლოს დასახლდა (965 წ.) და „ყოველთავე საქმეთა მორჩილებისათა სიმდაბლით და უდრტვინველად იქმოდა“. პორფირი უსახენსკის მოჰყავს დიდი ათანასე ათონელის სიტყვები „იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის ცხოვრების“ ბერძნული ტექსტის მიხედვით; ესაა წმ. ათანასეს ანდერძისა და მისივე „წყალობის წიგნების“ სხვადასხვა ნაწილში დაცული უწყებანი; მოვიყვანთ ამ ცნობებს სრული სახით:

„მე, ათანასე, საწყალობელი ბერი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღვარი, ათონელი, უსაფრთხოებისათვის წინამდებარე „წყალობის სიგელს“ ხელის მოწერით ვადასტურებ, რათა ჩემი წყალობა იყოს ჭეშმარიტი და მყარი.



არა რაიმე საჭიროების, ან დაცინვის, ან ფარისევლურად, ან კანონიერების უცოდინარობის გამო ვაკეთებ ამას, არამედ გონების ჩარევითა და საკუთარი ნებით, როგორც ამბობენ, აზრითა და მოსაზრებით და რჩეულ მამებთან შეთანხმებით, რომლებიც თვითონვე აწერენ ხელს და ადასტურებენ წყალობის ამ სიგელს, მიძღვნილს მართლმორწმუნე ბერისა და წინამდლოლის, იოანე ქართველისადმი, ხოლო მისი საშუალებით – კლიმენტოსად წოდებული უბრნყინვალესი მონასტრისადმი.

როცა უდვითისნიერესი იოანე მოვიდა ჩვენ მთაზე, შემომიერთდა მე, საწყალობელსა და ცოდვილს, და დამემორჩილა გლახაკს, – ღვთის ნებითაც და მისი საკუთარი თავმდაბლობისა და ღვთისნიერობის გამოც; ასრულებდა ქველი ცხოვრების მრავალსა და ნაირგვარ წესს და მისი სული პრეწინავდა და ანათებდა, როგორც მზე. მიაღწია რა სრულყოფას, ბევრი და დიდი სამსახური გაგვინია და თავისი შეხედულებებით გვწინამდლვრობდა.

მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ის სრულ მორჩილებაში იყო, ემსახურებოდა არა მარტო ღმერთს, არამედ მეც, საწყალობელს და სხვა ძმათა მიმართაც ისეთი მზრუნველი იყო, როგორც მანამდე არავინ ყოფილა. იგი თანაბარი ყურადღებით ეპყრობოდა მათაც, ვინც მიატოვა შთამომავლობა და იმათაც, ვინც მითავითვე განუდგა ამას.

სანატრელმა იოანემ მრავალჯერ დიდი გაჭირვებით გადაცურა ზღვა სამეფო ქალაქისაკენ, ბევრ მეფეს წარუდგა და ებასა.

დაწყებული მარადსახსენებელი უფალი ნიკიფორეს დროიდან ვიდრე დღევანდელობამდე, იოანე მიღებული იყო მეფეთა კარზე, მას პატივით ეპყრობოდნენ, რადგან ახსოვდათ პრეწინვალე მეფეთაგან მისი დიდი სათხოების დაფასება, ამიტომ ასრულებდნენ მის სათხოვარს და წყალობდნენ ჩვენს მონასტერს.

იოანეს თხოვნით, უფალმა მეფე იოანემ გვიბოძა ქრისობული (ოქრობეჭედი), რომლის ძალითაც კუნძულ ლემნოსს ყოველ წელიწადს უნდა მოეცა ორას ორმოცდაოთხი ნომიზმა, რომელსაც დღევანდლამდე ვლებულობთ.

მეფე ბასილიმაც, რომანოზის ძემ, მეორე ქრისობული მისცა სამგზის სანატრელ იოანეს, რომლითაც კუნძული ნეონი, ახლა ევსტრატიონი რომ ეწოდება, მას დაემორჩილა. ამგვარად, ქრისობული და კუნძული ებოძა ჩვენს უძვირფასეს იოანეს, რომელმაც დაბრუნების შემდეგ ისინი ჩვენს მონასტერს გადმოსცა.

იოანე კეთილ საქმეს მარტო მაშინ კი არ გვიკეთებდა, როცა ჩვენს ლავრაში იმყოფებოდა, არამედ მაშინაც კი, როდესაც იგი წავიდა მონასტრიდან და ღვთის შეწვნით აღმართა და აღაშენა თავისი მონასტერი კლიმენტოსი. იგი არ წყვეტდა ჩვენს მწყალობლობას და, სახარების სიტყვებით რომ ვთქვათ, მსხვერპლად მოჰკონდა საკუთარი სული ჩვენთვის და ჩვენი მონასტრის აღდგენისათვის. მაშინაც და ახლაც იგი იღვწის, რათა შექმნას და გაამყაროს ჩვენს გასაჭირს, ყოველთვის უხვად განგვიყითხავს ხოლმე“.

და ისევ წმიდა ათანასეს ანდერძში ვკითხულობთ: „ეპიფროპად ვტოვებ უფალ იოანეს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ირჯებოდა დიდი დათმინებით, მორჩილებითა და სიმშვიდით, გვწინამდლვრობდა მეც და მთელ ძმობასაც.“

მსურს, ჩემი სიკვდილის შემდეგ, თუ შესაძლებელია, მან ისევ ჩვენთან ერთად წინანდებურად იცხოვროს აქ, როგორც აქაური ძმობის მფარველმა და წინამდლობმა, რადგან იგი ჩვენი მწყალობელია და განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ წმიდა სულია, ყველასაგან გამოირჩევა და თანაც საცნაური გახადა ჩემთვის თავისი თავმდაბლობა და ჩვენი ძმობისათვის – უბადლო სიყვარული და ჭეშმარიტი რწმენა (ეს ყველაფერი გამოცდილებით ვიცი, რადგან ერთად განვვლეთ ცხოვ-

რება, ერთად ვიღვაწეთ და ვიცხოვრეთ ამ მთაზე; იგი ხშირად მოდიოდა ჩვენ მონასტერში).

ხოლო სიკვდილის წინ, მანაც ისევე, როგორც მე, ეპიტროპად დატოვოს სულიერი მემკვიდრე უფალი ეფთვიმე – თავისი შვილი სულითაც და ხორცითაც.

ეფთვიმემაც აღსასრულის წინ იზრუნოს, რათა ჩვენი მონასტრის წინამძღვრად დაინიშნოს ისეთი პირი ჩვენსავე მონასტრიდან ან მთაწმიდის სხვა ადგილიდან, რომელსაც ღირსად სცნობს ასეთი საქმისათვის და რომელიც მთელ ძმობას ატარებს ქველი ცხოვრების გზით“.

რამდენიმე წლის შემდეგ ათონელ ქართველებს დიდი თორნიკე ერისთავი შეუერთდა, რომელიც თავის ქვეყანაში აღკვეცილიყო მონაზვნად; იოანეს ის ჯერ ოლიმპოზე ეძებდა, ბოლოს ათონზე მიაგნო და „კურთხევაი მონაზონებისა“ მისგან მიიღო. ათანასემაც დიდი პატივით შეიწყნარა თორნიკე, რადგან არა „უმეცარ იყო მის საქმესა და წარჩინებულობასა და ახოვნებასა“.

სწორედ ამ პერიოდში მიაშურა ათონს არაერთმა ქართველმა, რის გამოც, იოანემ ათანასეს მონასტერში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნია და დიდი ლავრის შორიახლოს თანამოაზრებთან ერთად წმიდა იოანე მახარებლის ეკლესია და სენაკები ააგო. ეს 969 წლის ახლო ხანებში განხორციელდა, რადგან ამ წლის დოკუმენტში იოანესა და თორნიკეს სენაკია მოხსენიებული. რამდენიმე წნის შემდეგ ბიზანტიის მეფისწნულების – ბასილისა და კონსტანტინეს წინააღმდეგ მცირეაზიელი ფეოდალი, ბარდა სკლიაროსი აჯანყდა. საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის მიმართა დავით კუროპალატის (961-1001 წწ.), რისთვისაც შუამავლობა ათონელ ქართველებს სთხოვა. ათანასემ და იოანემ ეს მისია იოანე თორნიკუფილს მიანდეს. დავით კურაპალატი 12• 000 მხედრით დაეხმარა ბიზანტიელებს, ჯარს სათავეში თორნიკე ჩაუყენა. როგორც ჩანს, ქართველებმა მნიშვნე-

ლოვანი როლი ითამაშეს ბარდა სკლიაროსის ლაშქრის დამარცხებაში (979 წ.) და დიდალი ალაფიც იგდეს ხელთ. ამის შემდეგ უკვე მკვიდრი საფუძველი შეიქმნა იმისათვის, რათა ათონზე ქართველთა ლავრა დაარსებულიყო – საამისოდ როგორც მატერიალური სახსრები, ასევე მორალურ-პოლიტიკური მოტივაციაც იყო შემზადებული; ბიზანტიის იმპერატორებმა ქართველებს, „რომელნიც ადგილი და სოფელი სთხოვეს, ყოველი ოქრობეჭდითა დაუმტკიცნეს;“ ამიტომაც ქართველთა კეთილი განსასვენებელი ძველი დროიდანვე „ივერთა სამეფო მონასტრად“ იწოდება (ივერთა სამზრუნველოს პროილუმენი დიონისე, 1721 წელი).

ლავრის მშენებლობის დაწყებამდე ქართველებმა ათონის პროტოს თრჯერ გადასცეს განძი: 980 წელს, როდესაც სამზრუნველოს აგებას შეუდგნენ და 983 წელს–მშენებლობის დასრულების შემდეგ. ასე აღიმართა „მონასტერნი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთისმშობელისა სახელისა ზედა და წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა ფრიადითა ოფლითა და ღვაწლითა. და ადგილი მრავალნი, მონასტერნი და სადაყუდებულონი გარემოის დიდისა მონასტრისა ვიდრე იმერად ზღვამდე თვისითა საფასითა იყიდეს“.

ამასთან ერთად, ბასილი II-მ (976-1025 წწ.) იოანე ბერსა და თორნიკე სვინგელიზს (პატრიარქს დამორჩილებულ პერს) 980 წელს ოქრობეჭდით (ქრისობულით) გადასცა შემდეგი მონასტრები: ლეონტიისი თესალონიკში, კოლოვუსი ერისოში და კლიმენტიონისა ათონის მთაზე. სწორედ ამ უკანასკნელის ადგილზე აღმოცენდა ივერთა მონასტერი, რომელსაც ივირონი ეწოდა, თუმცა ერთხანს ძველი სახელიც შემორჩა. წმ. იოანეს დიდი ძალისხმევით ქართველთა სავანემ 984 წელს ნაოსნობის უფლებაც მოიპოვა.

ჩვენი წინაპრები მონასტერს შემდეგნაირად მოიხსენიებენ: „დიდი ლავრაი“ (გიორგი მცირე), „დიდი ლავრა ქართველთავ“ (ეზრა ათონელი), „ლავრა და

დიდებული“ (ზოსიმე მონაზონი), „ქართველთა დიდებული მონასტერი“ (პ. კონჭოშვილი), „მონასტერი ცათა მოძახვი ქართველთა“ (ფ. შაქარაშვილი) და ა.შ.

ერთ-ერთი ცნობით, ქართველთა სამზრუნველოს დამარსებელი, იოანე და იოანე თორნიკყოფილი, ძმები არიან: „მოგვიხსენენით მე, იოვანე, და სულიერად და ხორციელად ძმად ჩემი იოვანე თორნიკყოფილი და შვილი ჩემი ეფთვიმე“.

985 წლისათვის ქართველთა ლავრა ჩამოყალიბებული სამონასტრო კომპლექსია. მისი ქტიოტორების აღიარებას კი, როგორც ზემოთ ითქვა, ათონელი ქართველი მამების ცხოვრების აღმნერებული ბერძნულებნოვანი ტექსტის შექმნაც ადასტურებს. ივერიელმა მოწესებმა თავიდანვე მიზნად დაისახეს ბიზანტიური ლიტერატურის ქართულ ენაზე გადმოღება, რაშიც, წმ. იოანეს სურვილით, განსაკუთრებული წვლილი მისმა ძემ, წმ. ექვთიმემ შეიტანა. მან თარგმნა არაერთი სასულიერო ძეგლი, რომლებიც გამოკვეთენ ქართული ქრისტიანული კულტურის მნიშვნელობასა და მიზანდასახულობას – ყოფილიყო მსოფლიო მართლმადიდებლობის განუყოფელი ნაწილი.

წმ. იოანეს (წინამდლვრობდა 980-1005 წლებში) გარდაცვალების შემდეგ ლავრის მეორე წინამდლვარი წმ. ექვთიმე გახდა (1005-1019 წ.), რასაც სხვადასხვა დოკუმენტი ადასტურებს, კერძოდ: კლიმენტიონის მონასტრის ოქმი (1008 წ.), პროტოსის სიგელი (1015 წ.), წინამდლვართა შეთანხმება (1016 წ.), პროტოს ნიკიფორესა და ათონელი წინამდლვრების დადგენილება (1017 წ.), ასეთივე ხასიათის მეორე საბუთი (1018 წ.) და სხვ.

როგორც შეინიშნა, ერთ-ერთი ცნობით, 1001 წელს ათონის დიდი ლავრის წინამდლვრის, წმ. ათანასეს თანახმად, ქართველთა სამზრუნველოს გაძლოლასთან ერთად, წმ. ექვთიმე ათონის დიდი ლავრის, იმავე ათანასე დიდის მონასტრის, „სულიერ ეპიტროპად“ ანუ

მზრუნველად დაინიშნა. წმ. იოანეს გარდაცვალების შემდეგ წმ. ექვთიმე ამ თანამდებობაზე სიკვდილამდე იყო (წმ. ათანასეს ანდერძით, წმ. ექვთიმემდე ეს თანამდებობა წმ. იოანეს ეპყრა). წმ. ექვთიმე არ ყოფილა ფორმალური „სულიერი ეპიტროპი“ ათონის დიდი ლავრისა; ჰაგიოგრაფის უწყებით, „არცა პროტი, არცა სხვანი მამასახლისნი თვინიერ მისისა ბრძანებისა არარას იქმოდეს და იშვიათი დღედ გარდახდის, რომელსა ათი ანუ თბუთმეტი მამასახლისი არა მოვიდა მათ წინაშე; და კვალად ზრუნვამ დიდისა ლავრისა, საქმე მძიმე და მრავალფერი, მის ზედვე იყო, რამეთუ დიდსა ათანასის მისდა მიენდო საურავი და დახედვად და განგებად მისი“. მართლაც, ათონის მთის ჩვენამდე მოლწეულ დოკუმენტებს წმ. ექვთიმე ხელს ათანასე დიდის ლავრის იკონომოსის ტიტულითაც ანერს. ამ მონასტერზე იგი სიცოცხლის ბოლომდე ზრუნავდა.

წმ. ექვთიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან განსაკუთრებით ისიცაა ხაზგასასმელი, რომ იგი არა მხოლოდ ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულ ენაზეც თარგმნიდა; ამის ნიმუშია ჰაგიოგრაფიული თხზულება „სიბრძნე ბალაკვარისა“, რომელიც მან ქართულიდან ბერძნულ ენაზე გადმოიღო, რის შემდეგაც ლათინურად, ხოლო მოგვიანებით მრავალ ევროპულ ენაზეც ითარგმნა. წმ. ექვთიმეს დამსახურების აღიარებას ადასტურებს მისი ცხოვრების აღმნერელი არა მხოლოდ ვრცელი ბერძნული ტექსტი, არამედ, სვინაქსარული რედაქციები, საგალობლები, რომელთაგან ზოგიერთი ბიზანტიურ სადღესასწაულო პრაქტიკაში შევიდა, სხვადასხვა აღაპი (№№ 13, 50, 71, 155.) და ა.შ.

წმ. ექვთიმეს თანამოღვაწენი იყვნენ შემდეგი მამები: იოანე გრძელის ძე, არსენი წინამდიდელი ეპისკოპოსი, ოქროპირი, ლირსი იოანე ხახულელი, ნეტარი პერი გრიგოლი, საბა, ახალი აბრაჟამ სტუმართმოყვარე, ზაქარია მირდატის

ძე, არსენი, თეოფანე ხუცესი, მიქაელი, გიორგი, იოანე გარერჩელი, ბასილი ბაგრატის ძე და „სხვანი მობაძენი მათნი“.

წმ. ექვთიმეს მოღვაწეობის გამო, დავით კურაპალატს ასეთი სიტყვა წარმოუთქვამს; „მადლობა ღმერთსა, რომელმან ჩვენთა ამათა უამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა“. სწორედ მეფის დავალებით ამრავლებდნენ კიდეც წმ. ექვთიმეს თარგმანთა ნუსხებს.

წმ. ექვთიმეს გადადგომის შემდეგ ქართველთა სამზრუნველოს წინამძღვარი გიორგი I (1019-1029 წწ.) გახდა, რომელმაც ძველი წესები შეცვალა, „ბერძენი ფრიად რამე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრეკა“, ამასთანავე, თანამემამულენი შეავინროვა, „ვითარცა წასხურნი რაიმე და უნდონი, უგულებელს-ყვნა და შეამცირნა“; ქართველებსაც და თავისთავად წმ. ექვთიმესაც „უძნდა საქმე ესე“, თუმცა ისიც საინტერესოა, რომ გიორგის ბიზანტიის საიმპერატორო კარის გულისწყრომაც დაუმსახურებია – რომანიზ III-ის (1028-1034 წწ.) დროს მას „განდგომილებაი და ორგულებაი“ დასწამეს და კუნძულ მონოვატზე გადაასახლეს (როგორც ჩანს, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო, სადაც გარდაიცვალა კიდეც), თუმცა „წმიდა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ავტორი გიორგი მცირე წმ. ექვთიმეს მომდევნო წინამძღვარს „გიორგი დიდად“ და „მაშენებლად“ მოიხსენიებს; ბერძნული წყაროების მიხედვითაც, ლვთისმშობლის მიძინების მთავარი ტაძარი სწორედ მისი აგებულია; ამას საყდრის წარწერაც ადასტურებს, რომელშიც აღმშენებელი ქართველი მონაზონი გიორგი იხსენიება.

1029 წელს მონასტრის ბერძნებმა და მათ მხარეზე გადასულ ქართველ მონაზონთა ერთმა ნაწილმა სათავეში ჩაიყენეს ქართველი წინამძღვარი გიორგი II (1029-1035 წწ.). ბერძნებისადმი მტრულად განწყობილმა ქართველებმა, რომლებიც შედარებით მრავალრიცხოვანნი

უნდა ყოფილიყვნენ, მას „გიორგი უკეთური“ შეარქევს. უცნობია, როდის გადაყენების იგი, თუმცა, სავარაუდოა, რომ ეს 1035 წლის მახლობლად უნდა მომხდარიყო. გიორგი II-ის წინამძღვრობის დროს ქართველმა ბერძნებმა სულიერ მამად ბერი გრიგოლ შავი (წინამძღვრობდა 1035-1041 წლებში) მიიჩნიეს. გრიგოლმა იმპერატორ მიხეილ IV პაფლაგონიელის (1034-1041 წწ.) დახმარებით შეძლო ძალადობის შეჩერება და ივერიელთა სამზრუნველოს ჩამორთმეული მამულები დაუბრუნა (ლეონდარი, ერისო, მელინძიანე და სხვ.). ამ და სხვა საქმეებში მას გვერდით ბერი არსენი ედგა, რომელმაც შეცვალა კიდეც იგი. არსენის დროს ბერძნები მთელი მონასტრის ხელში ჩაგდებას შეეცადნენ (1040 წ.), როდესაც მიხეილ IV თესალონიკში ჩავიდა, მაგრამ იმპერატორმა „ფრიადითა გამოძიებითა განბჭო და ეკლესიად და მონასტერი ყოვლითურთ მონაგებით და სიმდიდრით“ ქართველებს დაუმტკიცა.

მომდევნო წინამძღვრის, სიმეონის (დაახლ. 1041-1042 წწ.) დროს იქნა მოძიებული სხვადასხვა დოკუმენტი – სწორედ მათ საფუძველზე შეიქმნა ათონზე ქართველ-ბერძენთა ურთიერთობების „მოსახსენიებელი“; მასში მონასტრის ქართველებისადმი კუთვნილება, ლავრის დაარსების ისტორია, წმ. იოანეს, თორნიკესა და წმ. ექვთიმეს ლვანლი იყო ხაზგასმული, აგრეთვე, მომდევნო წინამძღვრების – გიორგის, გრიგოლისა და არსენის საქმიანობა გახლდათ დახასიათებული და ა. შ.

სიმეონის შემდეგ იღუმენი სტეფანიზ ხარტულარი გახდა (1042-1044 წწ.). სწორედ მის დროს ჩამოვიდა შავი მთიდან წმ. გიორგი III ათონელი და ქართველთა სამზრუნველოში დაკვიდრდა. აქ განაგრძო მან თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. 1042 წელს იგი დეკანოზი, ხოლო 1044-1056 წლებში უკვე ქართველთა მონასტრის წინამძღვარი გახდა. წმ. გიორგის ენერგიული საქმიანობის შედეგი

იყო, რომ ლავრას ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე მონომახი (1042-1054 წწ.), ბაგრატ IV და მისი დედა მარიამი, ფარსმან თმოგველი, სანანო ქველისძე და სხვანი დიდად დაეხმარნენ. წმ. გიორგიმ თავისი გამორჩეული წინამორბედების – წმ. იოანე ათონელის, წმ. ექვთიმეს, იოანე გრძელისძისა და არსენ ნინომიდელის ნეშტები ლვთისმშობლის ეკლესიაში გადმოასვენა.

წმ. გიორგის შემდგომი წინამდღვრები იყვნენ არსენ ფარსმანყოფილი (1056-1059 წწ.), თეოდორე (1059-1066 წწ.) და გიორგი ოლთისარი (1066-1077/78 წწ.). თეოდორეს დროს არაერთი ქართველი დაეხმარა ლავრას, მათ შორის, ბაგრატ IV-ის ურჩი ვასალი, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი, რომელიც „მოვიდა წმიდასა ამას მონასტერსა და მისცა ეკლესიასა წმიდისა ლვთისმშობლისასა ასი დრაჟკანი“.

გიორგი ოლთისარმა წმ. გიორგი ათონელის ცხედარი დასვენა „ლუსკუმასა შინა მარმარილომისასა გიორგისთანა მაშენებლისა, ვითარცა მეორე მაშენებელი და შემამკობელი ეკლესიათა“. ამავე დროს, გიორგი ოლთისარმა „ზღუდენი მოავლინა მონასტერსა, და ოქროპეჭედი აიღო, მრავალთა ზრუნვათა და ჭირთა გარენარმდელი“. ეს მან ბაგრატ IV-ის ასულის, დედოფალ მარიამ მართაყოფილის თანადგომით შეძლო, რომელიც ბიზანტიის ორი იმპერატორის – მიხეილ VII-ისა (1071-1078 წწ.) და ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081 წწ.) მეუღლე იყო.

ლავრის საკეთილდღეოდ თავდადებით იღვწიდნენ გიორგი ოლთისარის მომდევნო წინამდღვრებიც – იოანე ბუქასძე (1085-1104 წწ.), ევგენი (XII საუკუნის პირველი მეოთხედი), ბასილი (XII საუკუნის მესამე მეოთხედი) და სხვანი. ევგენის წინამდღვრობისას განსაკუთრებით გააქტიურდა პეტრინონის მონასტერთან ურთიერთობა, რაც ბულგარეთის ქართველთა სამზრუნველოს მხრიდან, უპირველეს ყოვლისა, მატერიალური მხარდაჭერით გამოიხატა.

ივერთა ლავრას უდიდესი საგანძური და დომენები (მამულები) შესწირა „მონაზონმა მარიამმა, კუროპალატ ბასილაკის ასულმა, კუროპალატ სუმბათ ბაკურიანის მეუღლებ“, კალიმ. ეს უკანასკნელი ბულგარეთის ერთი დიდი რეგიონის გამგებლის (კუროპალატის), ზემოხსენებული სუმბათ-საბა ბაკურიანის ცოლი იყო და ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქართველთა მონასტრისთვის აურაცხელი საუნჯე გაიღო, რასაც, თორნიკეს ნაბოძვერთა შემდეგ, ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლავრის გასაძლიერებლად (სუმბათი და კალი-მარიამი ლავრის სულთა მატიანეში, ანუ აღაპთა წიგნში მოიხსენიებიან).

ივერთა სამზრუნველოზე წმიდა მეფე დავით ალმაშენებელმაც დიდად იღვანა, რომელმაც „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თავისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნებეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორლალეთისანი... აღავსნა კეთილითა“.

1170 წელს ლავრის იღუმენი პავლე გახდა (1170-1183/84 წწ.), რომელმაც მონასტერი დავალიანებული ჩაიბარა. ის კონსტანტინოპოლიში ჩავიდა, დიდი ძალისხმევით შეძლო სამზრუნველოს ხარკისგან გათავისუფლება და ათონზე დაბრუნებულმა მრავალმხრივი აღმშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო: ააგო ნავმისადგომის კარი, ყოვლადწმიდის ეკლესია, აამაღლა მონასტრის ზღუდენი. კარეასში ააშენა სენაკები და ა.შ. ამ პერიოდში უხვი შემოწირულობები გამოაგზავნეს წმ. თამარ მეფემ, აბულასან და პავლე ქუთათელებმა, ანასულიმ, გრიგოლ და იოანე ქობულისძებმა და სხვ. მრავალი საფასით ეწვია ათონს კათოლიკოსი წიკოლოზ გულაბერისძე, რომელმაც „ეკლესია მთავარანგელოზთაი აღაშენა ყოვლითურთ“.

1184 წელს წინამდღვარი პავლე გიორგი V-მ შეცვალა, ეს უკანასკნელი კი – მაკარიმ (წინამდღვრობდა XII საუკუნის მიწურულს), თუმცა მონასტრის მომ-

დევნო პერიოდის ისტორია ნაკლებადაა ცნობილი. მხოლოდ რამდენიმე უწყების გამოყოფა შეიძლება: 1229 წელს ლავრას ეწვია საბა სერბი და ივერიის პორტაიტის ღვთისმშობლის ხატს ეთაყვანა; 1259-ში მონასტრები, მათ შორის, ქართველთა სამზრუნველოც ჯვაროსნებმა დაარბიეს; საბედნიეროდ, ლავრას ბიზანტიის სამეფო კარი დაეხმარა – იმპერატორმა მიხეილ VIII პალეოლოგმა (1261-1282 წწ.) გადასახადებისაგან გაათავისუფლა და დაუმტკიცა ძველი სამფლობელოები (რადოლინი, დოვრენიკია, ერისო, მელინძიანე და სხვ.).

XIII საუკუნის 80-იან წლებში ათონი კიდევ არაერთხელ იავარქმნეს ლათინებმა, რომელთაც ბერებს კათოლიკობის მიღება მოსთხოვეს. უარის მიღების შემდეგ ქართველი მონაზვნების ნაწილი იტალიაში წაიყვანეს, ნაწილი კი ზღვაში დაახრჩვეს. ეს ძალადობა მიხეილ VIII პალეოლოგისა და ლათინადმპრძნობი პატრიარქის, იოანე ვეკას დროს მოხდა, თუმცა მალე ანდრონიკე II-მ (1282-1328 წწ.), ტახტზე ასვლის შემდეგ, ივერთა ლავრას საგანგებო სიგელით (1283 წ.) ადრინდელი უფლებები დაუდასტურა და ძველი მიწები დაუმტკიცა; მაგრამ ამით პრობლემები მხოლოდ დროებით მოგვარდა, რადგან 1304 წელს მონასტერი ჯერ თურქებმა, 1306-ში კატალონიელებმა, ხოლო 1308 წელს არაბებმა დაარბიეს. ამ უკანასკნელებმა მთავარი ღვთისსახლის (Kyriakon) დანგრევაც განიზრახეს, მაგრამ მარმარილოს სვეტების დაძვრა და გუმბათის ჩამოქცევა ვერ შეძლეს (პორფირი უსპენსკი).

1310 წელს საგანგებო სიგელით ქართველთა ლავრა სხვადასხვა გადასახადისგან გათავისუფლდა და კიდევ ერთხელ დაუმტკიცდა მიწები (მელინძიანე, ერისო და სხვ.).

1320-1324 წლებში თურქმა მექობრეებმა არაერთხელ დაარბიეს ათონი. 1345 წლიდან წმიდა მთა გარკვეული პერიოდის მანძილზე სერბთა მეფე სტეფანე

დუშანის (1331-1358 წწ.) გამგებლობაში შევიდა – მან თავისი მამულები ბიზანტიის მრავალი სამფლობელოსა და, მათ შორის, ათონის მთის შემოერთებითაც განავრცო. 1346 წლის საბუთით სტეფანე დუშანმა ივერთა მონასტერი გადასახადებისაგან გაათავისუფლა. ამ პერიოდში ლავრის წინამდღვარი ქართველი იოანე იყო, რაც წმ. პანტელეიმონის მონასტრის 1348 წლის ერთ-ერთი დოკუმენტით დასტურდება, რომელსაც ხელს „ცოდვილი იოანე მღვდელ-მონაზონი, წინამდღვარი ქართველთა მონასტრისა“ აწერს. იოანე ქართველი 1363 წელს კვლავაც წინამდღვარი იყო, ქართველთა სამზრუნველო ჯერ კიდევ მდიდარი ლავრა გახლდათ მრავალი სენაკით, მომცრო ტაძრით, მეტოქით, კუთვნილი გლეხებითა და სხვ., რაც იოანე კანტაკუზინის (1347-1355 წწ.) ქრისოპულებით დასტურდება.

როგორც ჩანს, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურმა დასუსტებამ ბერძნების მოძალება გამოიწვია, მით უფრო, რომ ქართველი მოწესების რაოდენობამ საგრძნობლად იყო. ბერძნებმა მიიმსრეს პროტოსები, აგრეთვე, კონსტანტინოპოლის პატრიარქი კალისტე I (1350-1363 წწ.) და ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი მიიტაცეს. კალისტე I-ის გადაწყვეტილებით, ქართველებს ჩამოერთვათ მთავარი ტაძარი, აეკრძალათ მნიშვნელოვანი ხარისხების დაკავება და სამოღვაწეოდ მცირე საყდარი მიეჩინათ. თუმცა კალისტეს ბრძანებულება მაშინ ბოლომდე არ განხორციელდა, რადგან ლავრა ქართველებისთვის პატრიარქს არ უბოძებია და, აქედან გამომდინარე, არც ჩამორთმევის უფლება ჰქონდა. როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართველთა მონასტრის დაფუძნება სხვადასხვა ეპოქის ბიზანტიის იმპერატორთა საგანგებო ქრისოპულებით დამტკიცდა, ამიტომ 1363 წლის ერთ-ერთ საბუთს „მამა ქართველთა მონასტრისა დიმიტრი“ ხელს ქართულად აწერს. ქართულადვეა ხელრთვა სხვა წინამდღვრებისა 1399 და 1513

წლების დოკუმენტებზე; ეს უკანასკნელი ზოგრაფისა და კასტამონიტის მონასტრების ურთიერთობას ეხება.

ყოველივე ზემოთქმულს ამყარებს ის მონაცემებიც, რომელთა მიხედვით, ქართველი მოსაგრეების თხოვნით თანამემამულებს მეფე-დიდებულები — ყვარყვარე და მზეჭაბუკ ათაბაგები, ლევან კახთა მეფე, აშოთან მუხრანბატონი, ერეკლე II და სხვანი დიდად დაეხმარნენ. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, მონასტრის „სასწრავულო და მისა კერძო გოდოლნი და სენაკი განუახლებია მეფესა ალექსანდრესა ქართველსა, რუსის საყდრისა კარზედ რომ მეფე ალექსანდრე წერია, იმას“, ანუ საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ს (1412-1443 წელი).

1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცუმის შემდეგ მთაწმიდა სულთან მუჰამედ დამპყრობლის დედის, მარას საკუთრებად გამოცხადდა. ოსმალოთა ბატონობის უამს როგორც სხვადასხვა ეროვნების, ასევე ქართველების მდგომარეობაც მეტად დამზიდდა; ამის გამო 1492 წელს ათონელი ბერები საქართველოში ჩამოვიდნენ და დახმარების სათხოვნელად სამცხის ათაბაგს, ყვარყვარე II-ს (1451-1498 წელი) ესტუმრნენ. ყვარყვარე, და მოგვიანებით მისი ვაჟებიც — ქაიხოსრო (1447-1500 წელი) და მზეჭაბუკი (სამცხეს 1500-1515 წლებში განაგებდა) დიდად დაეხმარნენ ლავრას. მზეჭაბუკის დავალებით მთაწმიდაზე მხატვარი და კალიგრაფი ამბროსი გაგზავნეს, რომელმაც იქ მრავალი საფასე ჩაიტანა (აღაპი № 162-ე). ამბროსიმ ივერიის „პორტატის ღვთისმშობლის ხატი“ მოჭედა მძიმედ. ამ ყოველივემ საუკუნის დამდეგისთვის რამდენადმე გამოასწორა მონასტრის მდგომარეობა და ქართველ მოწესეთა რიცხვმა იმატა, რასაც ის გარემოებაც აპირობებდა, რომ წინამძღვარი ეროვნებით ქართველი იყო. 1511 წელს აქ თეოდოსის მღვდელმონაზონი ჩავიდა, რომელმაც ბერძნულ ენაზე 1259-1514 წლების ქართული ლავრის ისტორია აღნერა;

გაგრძელება კი 1592-1626 და 1659-1674 წლებისა სხვა ბერძენმა მოღვაწეებმა აღნუსხეს. ეს ტექსტი XVII-XVIII საუკუნეებში ქართულად ითარგმნა სათაურით — „მოთხოვნა უშმვენიერესი მონასტრისათვის ივერთამსა, რომლისა თანამდებარიან ცნობად ყოველნი მონაზონნი“.

მომდევნო ხანაში ფილოთეოსის მონასტრზე დიდად იზრუნეს ლევან კახთა მეფემ (1520-1574 წელი) და მისმა ძემ ალექსანდრემ (1527-1605 წელი). ფილოთეოსის განახლებული ტაძრის კედელზე ლევანის „ხატია ტანითა მომალლო, მოხუცებული, მნითური, ცხვირკავი, თმითა და წვერითა სპეტაკი, მოსილი გვირგვინითა და პოდირითა; ხოლო ალექსანდრე მეფე — ჰასაკითა მცირე, მშვენიერი სახილავი, თმითა მომავო, მოსილი იგიცა გვირგვინითა“ (ტიმოთე გაბაშვილი). რა თქმა უნდა, ლევანი ივერთა მონასტერსაც ეხმარებოდა.

XVI საუკუნის 40-50-იანი წლების შესახებ ცნობები არაა შემონახული; თუმცა, ერთ-ერთი უწყებით, 1562 წელს ბასილი ქუთათელს ლავრისთვის გლეხები შეუწირავს. 1567 წელს კი ათონის მთას პილიგრიმი ფილიპე შაქარაშვილი ეწვია და შეძლებისდაგვარად დაეხმარა ივერთა სამზრუნველოს. მის ჩანაწერებში შემდეგი ცნობაა დაცული: პალესტინიდან „მთასა ათონისასა მშვიდობით მივიწიე მონასტერსა ამას ცათა მობაძავსა ქართველთასა; ვიხილე ეკლესია სასოისა ჩვენისა პორტატისა ღვთისმშობლისა ფრიად ძველი და მოშლილი, დაქცეული, ცვარისა და წვიმისა არა დამჭირველი. ასის დრაპეკანის ოქროდ მქონდა, შევეხვენე მამასა და ყოველთა ძმათა, თუ: „აღმაშენებიერ თამაზის სულისათვის-მეთქი.“ გაცვალეს ოქროდ და ეს ყოვლად წმიდასად ეკლესიად ახლად აღვაშენებინე და ტყვიითა გადავაბურვინე“.

XVI საუკუნიდან ათონის მთით განსაკუთრებით რუსეთის საიმპერატორო კარი და სასულიერო წოდება დაინტერესდნენ — ეს რუსეთის იმპერიის პიზანტიის მემკვიდრედ წარმოდგენამ განაპირობა.

1584-1586 წლებში რუსი მეფები ქართველთა ლავრას დახმარნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც სულთანმა სელიმმა ათონის ყველა მონასტერს მამულები ჩამოართვა (1586 წ.), ბუნებრივია, ქართველების მდგომარეობაც დიდად გაუარესდა – მას უმძიმესი ვალები დაედო. მამებმა „კლიტენი მონასტრისანი“ ზემოხსენებულ კახთა მეფე ალექსანდრეს გამოუგზავნეს დახმარების სათხოვნელად; ალექსანდრემ დავალიანებულ სამზრუნველოს 12•000 ოქრო გადასცა. პერ-მონაზვნებმა აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში შეკრებილი შემონირულობებით ლავრა უმძიმესი ვალებისგან გაათავისუფლეს. მონასტერს დაახლოებით 1592-1610 წლებში უნგროვლახეთის მთავარი მიხაილ II-ც დახმარა – მისი სახსრებით ტაძარი საქართველოდან მიწვეულმა მარკოზ მღვდელმონაზონმა მოხატა.

XVII საუკუნის სხვადასხვა მონაცემით, ქართველთა სამზრუნველოში აღდგენით- აღმშენებლობითი საქმიანობა გრძელდებოდა: აიგო სენაკები (1604 წ.) და „ახალი სასნეულო ზემო ნავთსაყუდელსა სახლსა“ (1610 წ.); შეიქმნა „მხატვრობა და წმიდაი ტრაპეზი, სააიაზმე და კარისაბჭე კამარებით“ (1614 წ.) და წყალგაყუნილობა, აგრეთვე, „ორი წყაროიცა გარე“ (1617-1619 წ.); აშენდა კამარები საწნახელებისთვის (1620 წ.) და „ნავთსაყუდელთა სახლი გოდლითურთ“ (1622 წ.); აიგო „ქვემოთ ძეველისა სასნეულოისა სახლისა კამარები“ (1670 წ.), აგრეთვე, კამარები სატრაპეზოში (1672 წ.); მოიხატა ორი ეგვტერი (1674 წ.) და ა. შ. მართალია, ყველა ეს სამუშაო პერძენთა წინამდლობისას (გაბრიელ ათონელის, პართენიოს ხუცესის, დანიელ გორომელის, იერემია კონსტანტინოპოლელისა და სხვათა) განხორციელდა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ქართველობასთან დაახლოებული პირი იყო; მაგ., გაბრიელ ათონელის შესახებ ერთ-ერთ წყაროში შენიშნულია, რომ ის „მოვიდა ივერიით“ (ლ. მენაბდე).

ქართველთათვის ამ მძიმე პერიოდში ჩვენი ქვეყნიდან ლავრის მნიშვნელოვანი დახმარება არ შეწყვეტილა, კერძოდ: გაბრიელ ათონელის წინამდლობისას სენაკების ასაგებად საქართველოდან მიღებული „ნარსაგებელი“ გამოიყენეს (1604 წ.), იმავე გაბრიელის დროს გაკეთებული წყალსაცავის (1619 წ.) პერძნული წარწერის უწყებით, წყალი სერმაზან (შერმაზან) ქართველისა და ნიკოლოზ ვალახიელის საფასით გაუყვანიათ; თეიმურაზ I-ს „მმიდის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის მთაწმიდას“ „მრავალნი თვალინი, მარგალიტნი, ოქრო და ვერცხლი და სოფლები“ შეუწირავს; 1642 წელს როსტომ მეფის (1638-1652 წ.წ.) მეუღლემ, მარიამ დედოფალმა მონასტერს გლეხები და მამულები უწყალობა; ძველი ათონური წყაროს ცნობით, სატრაპეზო მოიხატა და მისი კამარები გაკეთდა „საქართველოსთვან უგანათლებულესისა ბატონისა აშოთანისავს“ „ნარსაგებლით“; ამავე აშოთან მუხრანბატონმა 1680 წელს ლავრის კარიბჭესთან ეკლესია ააგო, სადაც ღვთისმშობლის ხატი დაასვენა; 1683 წელს ტაძარი ფრესკებით მთლიანად მოასატვინა უნგროვლახელმა მთავარმა იოანე სერბან კანტაკუზენმა. სამწუხაროდ, აშოთანისეული „გუმბათიანი ტაძარი პორტატიისა“ 1849 წელს დაინგრა; ათონის კარაკალას მონასტრის ტაძრის დაქცეული გუმბათი და პალატი კი არჩილმა, იმერეთის მეფეები, მისმა ძმამ გიორგიმ, ქართველთა ბატონმა ვახტანგმა და აშოთანმა განახლეს და ტყვიით „გარდაჭედეს“. ათონის დახმარება გიორგი XI-ის მიერ 1678 წლის საბუთით დასტურდება და ა. შ. ამ პერიოდში მთაწმიდას მოსალოცად ტიმოთე იკორთელი (1622 წ.), პავლე დორიაული (1630 წ.), ელისე საგინაშვილი (1640 წ.) და სხვანი ეწვივნენ.

XVII საუკუნიდან კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთის დაინტერესება ათონით; გახშირდა როგორც მთაწმიდელი პერების რუსეთში საკალმასოდ მოგზაურობა, ასევე, რუს მმართველთა დახმარება

ათონისადმი. 1628 წელს მეფე მიხაილ ფიოდოროვიჩს (1613-1645 წწ.) მოსკოვში ივერთა მონასტრის არქიმანდრიტი აკაკი ეწვია და წმიდა ეგნატეს ნაწილები ჩაიტანა; 1648 წელს რუსეთში ივერიის პორტატის ღვთისმშობლის ხატის ასლი ჩააპრძანეს და მოსკოვში – წმ. ნიკოლოზის მონასტრში დასვენეს. 1653 წლიდან ეს უკანასკნელი ქართველთა მონასტრის მეტოქად დამტკიცდა. 1660-1663 წლებში ათონის მთის ღავრებს ესტუმრა და აღნერა არქიმანდრიტმა თეოფანემ. 1665 წელს ათონის ბიბლიოთეკები გაიცნო რუსმა მოღვაწემ ა. სუხანოვმა, საიდანაც 498 ხელნაწერი წამოიღო, მათ შორის, 156 ივერთა ღავრიდან. საყურადღებოა, რომ ჩამოტანილი ტექსტებიდან ანტიკური პერიოდის ავტორების – ჰომეროსის, ჰესიოდეს, ეზოპესა და სხვათა თხზულებებიცაა, რაც ქართველთა მონასტრის ბიბლიოთეკის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას მოწმობს.

დაახლოებით ამავე პერიოდში, კერძოდ, 1713 წელს ვენეციაში გამოქვეყნდა ნარკვევი – „მთაწმიდაზე აღმართულ იბერთა ღავრის დაარსება და საკვირველი გამოჩენა წეტარი ქალწულის ხატისა, რომელსაც პორტატისას უწოდებენ“; მასში მოცემულია ცნობები ქართველთა სამზრუნველოს დაარსების, თორნიკე ერისთავის გმირობის, წმიდა ექვთიმეს მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობის, ღვთისმშობლის ხატისა და სხვათა შესახებ. სწორედ ამ ნაშრომით გაიცნო დასავლეთ ევროპამ ივერთა მონასტრის დედაღვთისას ხატის ისტორია.

1725 და შემდეგ 1744 წლებში ათონზე იმოგზაურა რუსმა ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკო (1701-1747 წწ.), რომელმაც მონასტრები, მათ შორის, განსაკუთრებით ქართველებისა აღნერა. სხვადასხვა ხასიათის წყაროს გამოყენებით მან სავანის ისტორია, ქართველთა აღმშენებლობითი საქმიანობა, მთავარი ტაძარი (Kyriakon), უმდიდრესი ბიბლიოთეკის ხელნაწერები მიმოიხილა, ფილოთეოსში კი ქართველ-

თა ნაკვალევზეც მიუთითა.

1734-1736 წლებში წმიდა მთაზე დომენტი ბაგრატიონი იმყოფებოდა – მან გაიცნო ქართული ხელნაწერები, გადმოიღო რამდენიმე საგალობელი და სახარება შესწირა ღავრას „საოხად სულისა და გამოხსნისათვის მართლმადიდებელისა ქართველთა ეკლესიისა უცხოთა ნათესავთა მონებისაგან“.

XVIII საუკუნეში ათონზე ტიმოთე გაბაშვილმა სამჯერ იმოგზაურა-პირველად 1755 წლის მინურულიდან 1756 წლის მაისამდე, მეორე – 1756-ის ივლისიდან შემოდგომამდე, მესამედ კი 1758 წლის გაზაფხულზე. ტ. გაბაშვილმა ათონის შესახებ საკმაოდ სრული ცნობები თავის თხზულებაში „მიმოსლვა“ გადმოსცა, აღნერა ათანასე დიდის ღავრა, ვატოპედი, ხილანდარი და ა.შ. შეეხო ქართველთა ნაკვალევსაც ფილოთეოსის მონასტერში – კახთა მეფების, ღევანისა და ალექსანდრეს აღმშენებლობით საქმიანობასა და მთავარ ტაძარში მათ ფრესკებს; კარაკალაში ქართველ მეფე – დიდებულთა მიერ აღდგენითი სამუშაოების ჩატარებასა და, ამის გამო, მათი მოსახსენებლის დაწესებასა და ა.შ. ტ.გაბაშვილმა არაერთ ღავრაში მოინახულა თანამემამულები, მაგალითად, „მღვიძარეთა დაყუდებულთა ადგილში, რომელსაც უწოდიან კაფსოკალივა“, ნახა ანთიმოს ჯავახი, გერასიმე ატოცელი, გერასიმე ფცელი, ხრისტოდულო საქარელი, გრიგოლი კახი; დიონისეს მონასტერში – თეოდორე, „სოფლისაგან უსისტყისა, ყმა საყდრისა სამთავისისა“, გაბრიელ ღვანკითელი და სხვ.

ივერთა ღავრაში ტ.გაბაშვილმა ჩაინერა სხვადასხვა გადმოცემა, აგრეთვე, ქართველთა მოღვაწეობის დამადასტურებელი წყაროები (გიორგი წინამძღვრისა, ღვთისმშობლის ხატის), მიუთითა ფრესკებზე (აშოთან მუხრან-ბატონის, ნიკოლოზ კათოლიკოსის), აღნუსხა ქართველ მეფე-დიდებულთა შენირულობანი (ღევან კახთა მეფისა, აშოთან მუხრანბა-

ტონისა, სიმონ მეფისა, მარიამ დედოფლისა, ბაქარ მეფისა), გაიცნო „მონაზონი ფილოსოფოსნი: მელეტი, ოთაკომ და ფილოთეოს“, დაათვალიერა წიგნთსაცავი და აღნერა რამდენიმე ხელნაწერი. საყურადღებოა, რომ ტ. გაბაშვილმა „მიმოსლვა“ ათონზე ყოფნისას დაწერა – ნაშრომი თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ისთვის ყოფილა განკუთვნილი და მასში ლავრის ტუშით შესრულებული ილუსტრაცია ჩართული; ტ. გაბაშვილმა ქართველთა მონასტრის მრავალ ნაგებობას წარწერები გაუკეთა, რომლებშიც მითითებულია, ვინ რა ააგო.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ათონზე იმოგზაურა მწერალმა ი. გედევანიშვილმა – მან მრავალი საინტერესო ცნობა აღნისა, მათ შორის, მიუთითა, რომ მონასტერი „შემოზღუდვილია დიდის გაღავანითა, დიდად მაღალი, არა რომელიმე კიბე ვერ შეჰსწუდების და ციხე ესე მონასტრისა არს ზარბაზანებწყობილი“. იმ დროს იქ 400 მონაზონი მონესეობდა.

XVIII საუკუნეში ქართველთა მხრიდან ლავრისადმი დახმარებამ შესამჩნევლად იკლო, თუმცა არ შეწყვეტილა, კერძოდ, თეიმურაზ II-მ 1746 წელს, სოლომონ I-მა 1757-ში, ერეკლე II-მ 1769 და შემდეგ 1791 წლებში მნიშვნელოვანი შემონირულობანი გამოაგზავნეს.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, რასაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა – ბერძნებმა ქართველები შეავინწროვეს და საბოლოოდ გამოდევნეს. დახმარება თითქოს რუსეთის მხრიდან იყო მოსალოდნელი – მონასტერი ისტორიულად ქართველებს ეკუთვნიდათ და ახლა კი რუსეთს უნდა გადასცემოდა, რადგან საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, მაგრამ მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ ევროპაში, ნაპოლეონის რუსეთში შეჭრამ და ა.შ. პრობლემის მოგვარება გადადო. სწორედ ამ პერიოდში ჩამოვი-

და ათონზე მღვდელმონაზონი ლავრენტი გოგელაძე (1812 წ.), რომელმაც ასეთი სიტყვებით შეაფასა შექმნილი სიტუაცია: „ახლა ვინც ღირს იქმნეთ აქ მოსვლად და ამისა ხილვად, ვტიროდეთ სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთასა და დაკარგვისათვის მონასტრისა ამის ნათესავისა ჩვენისა“.

საბერძნეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისას ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ ბერძენმა მონაზვნებმა დატოვეს მონასტერი – ზოგი მტრის სისასტიკეს გაერიდა, სხვები აჯანყებაში იღებდნენ მონაწილეობას; ქართველებს შორის აღმოჩნდნენ ისეთი მოსაგრები, რომლებმაც არ მიატოვეს ლავრა – მათ საერთო ენა გამონახეს ოსმალოთა ჯარის უფროს, წარმოშობით ქართველ ლაბუტ-ფაშასთან, იხსნეს ივერთა და ზოგიერთი სხვა მონასტერიც. ამ მონესეთა შორის ბესარიონ (ვენედიტი) ქიტიშვილი და ილარიონ ყანჩიშვილი გამოიჩინდნენ. ეს ყველაფერი 1821-1830 წლებში მოხდა, რის შემდეგაც ათონზე დაპრუნებულმა ბერძნებმა კვლავ შეავინწროვეს ქართველთა მცირერიცხოვანი საძმო. ჯერ მთავარი ტაძარი იგდეს ხელთ, შემდეგ სულ გამოაძევეს ისინი მონასტრიდან და სამოლვანეოდ ილია წინასწარმეტყველის სავანე (სკიტი) მიუჩინეს. მამა ბესარიონი მონაფეებთან ერთად აქ გადასახლდა, ხოლო მამა ილარიონი განმარტოებით დამკუიდრდა სამხოლოები.

1845 და მომდევნო წლებშიც ქართველთა მონასტერს პორფირი უსაბენსკი ეწვია, რომელმაც ვრცლად აღნერა აქაურობა – ადგილმდებარეობა, დიდი და მცირე ღვთისსახლები, სამწირველოები, კოშკები, ხატები, სინმიდეთსაცავები, სხვადასხვა გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრება და სხვ. 1849 წელს აქ პლატონ იოსელიანი იყო; მან გადმოწერა უცნობი ტექსტი „ცხრა ძმა კოლაელის მარტვილობისა“, მონასტერს შესწირა ვახუმტი ბატონიშვილის „ისტორია გეორგიისა ანუ

ყოველსა საქართველოშა“ და გასამრავ-  
ლებლად წამოიღო ათონის ბიბლია.

მამა ბენედიქტეს გარდაცვალების შემ-  
დეგ (1861 წ.) ქართველთა მდგომარეობა  
განსაკუთრებით გაუარესდა; ბერძნებმა  
საძმოში მონაზონთა და ქართველი მომ-  
ლოცველების მიღება საგანგებო გადაწ-  
ყვეტილებით აკრძალეს. მხოლოდ მამა  
ბენედიქტეს ოთხ თანამოსაგრეს დართეს  
ნება, ლავრიდან სიცოცხლის ბოლომდე  
საკვები მიეღოთ, ქართველთა უფლებები  
კი საბოლოოდ უარყვეს.

ამ პერიოდის ქართველთა ლავრის ის-  
ტორია საგანგებოდ გამოიკვლია აკაკი  
ბაქრაძემ. მოვლენები ასე განვითარდა:

მამა ბენედიქტეს გარდაცვალებამდე  
(1861 წ.) 1858 წელს ათონზე ვახტანგ  
ბარკალაია (1834-1911 წწ.) იყო ჩასული.  
მას აქ სურდა მონაზვნად აღკვეცა, მაგ-  
რამ ბერძნებმა უარით გამოისტუმრეს.  
დაბრუნდა თუ არა საქართველოში, ვ.  
ბარკალაია ქუთაისში გაბრიელ ეპისკო-  
პოსს წარუდგა და ქართველთა ლავრა-  
ში შექმნილი ვითარების შესახებ უამბო,  
რამაც გაბრიელ ეპისკოპოსი დიდად და-  
ამწუხრა. მცირე ხანში ვ. ბარკალაია ბე-  
ნედიქტეს სახელით მონაზვნად აღიკვეცა  
და შემდეგი შინაარსის სიგელიც მიიღო:  
გადავწყვიტეთ, განვაახლოთ წმ. იოანე  
ღვთისმეტყველის კინობია, ანუ უდაბ-  
ნო, ახლოს იბერთა ლავრისა. ჩვენი მი-  
ზანია, მოწესეობის მსურველმა ყველა  
ქართველმა პოვოს თავშესაფარი, სტუ-  
მართმოყვარეობა, დახმარება. ამ გადაწ-  
ყვეტილების ასრულება დავავალეთ ბერ  
ბენედიქტეს. დამხმარედ მივეცით მორ-  
ჩილი ივანე ხოშტარია. ჩვენი ეპარქიების  
ქალაქად და სოფლად ამათ ნებაყოფლო-  
ბით შეაგროვონ შენირულობანი, აღად-  
გინონ და განავრცონ წმ. იოანე ღვთის-  
მეტყველის სენაკი, შეიძინონ მამულები  
უდაბნოსათვის, მიიღონ და დაამშვიდონ  
ყველა ჩვენი თანამემამულე ათონზე. სი-  
გელს ხელს აწერდნენ გაბრიელი, ეპის-  
კოპოსი იმერეთისა, ტარასი, ეპისკოპოსი  
სამეგრელოსი და გაბრიელი, ეპისკოპოსი

### გურიისა.

როგორც კი ბენედიქტემ კალმასობის  
– შენირულობათა შეგროვების უფლება  
მიიღო, მაშინვე შეუდგა საქმეს, 35 ათას  
მანეთს მოუყარა თავი და 12 ქართველი  
მონაზვნის თანხლებით 1868 წელს ათონს  
მიაშურა. იმ დროს აქა-იქ დარჩენილი  
თითო-ოროლა ქართველი მოწესე სამოწ-  
ყალოდ აფარებდა თავს სხვადასხვა ბერ-  
ძნულ თუ არაბერძნულ სამზრუნველოს.  
მამა ბენედიქტემ ქართველთა ლავრას  
მიაშურა და მიღება ითხოვა. ბერძნებმა  
ჯერ მტკიცე უარი უთხრეს, მაგრამ რო-  
დესაც მათმა იღუმენმა ილარიონმა 100  
ოსმალური ლირა მიიღო, გული მოულ-  
ბათ და დასთანხმდნენ, რომ წმ. იოანე  
ღვთისმეტყველის სენაკი გაეყიდათ 3000  
მანეთად. ამ ფაქტთან დაკავშირებით გა-  
ცემულ ომოლოგონში (1868 წ.) აღნიშნუ-  
ლია:

1. მიუხედავად გაყიდვისა, როგორც  
იბერთა მონასტრის საკუთრების განუ-  
ყოფელი ნაწილი, წმ. იოანე ღვთისმეტ-  
ყველის სენაკი ლავრის მფლობელობაში  
რჩება;

2. სხვა სენაკთა მოსაგრეების მსგავ-  
სად, მამა ბენედიქტემ და მისმა თანამო-  
წესებმა მონასტრის სასარგებლოდ ყო-  
ველნიურად გადასახადი უნდა გაიღონ;

3. ისინი ბეჯითად უნდა ემსახურონ  
ლავრას და იღვანონ წყნარად, მოსაგრის  
ცხოვრების წესის შესაბამისად.

წმ. იოანე ღვთისმეტყველის სენა-  
კი სრულიად იავარქემნილი იყო. ათონის  
წეს-განგების თანახმად, მამა ბენედიქ-  
ტემ ბერძნენთავან თანხმობა მიიღო და  
ქართველთა მონასტრისგან ყველა საჭი-  
რო სამშენებლო მასალა იყიდა. ბერძნებ-  
მა სენაკის აგების გეგმაც განიხილეს და  
დალოცეს კიდეც. ქართველებმა მცირე  
სენაკის ნაცვლად 50 მონაზვნისათვის  
განკუთვნილი ნაგებობა აღმართეს, რა-  
მაც ბერძნები აღაშფოთა და მასალების  
მიწოდება შეწყვიტეს. დამხმარედ ქარ-  
თველებს წმ. პანტელეიმონის რუსული  
მონასტრის წინამდლვარი იერონიმე მო-

ევლინათ, რამაც ბერძნები კიდევ უფრო გააღიზიანა – მათ მოშალეს სენაკისკენ მიმავალი ყველა გზა, აშენებული ნაგებობის გუმბათი ჩამოანგრიეს, რუსთიდან ჩამოტანილი ზარი წაიღეს, შემდეგ კი წლიურად 60 მანეთი ხარკი დააკისრეს ქართველებს. 1875 წელს სენაკის მშენებლობა მაინც დასრულდა, თან მცირე სამზრუნველოს სახე მიიღო და იძერიელთა ახალ მონასტრად იწოდა (Neo-Iberike Mone); კონფლიქტი ბერძნებსა და ქართველებს შორის კიდევ უფრო მწვავდებოდა. ამ დროს ახალ სამზრუნველოში 40-მდე ქართველი მონაზონი მოსაგრეობდა.

ზემოხსენებულ დაპირისპირებას დაწვრილებით აღწერს დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი, რომელიც აქ 1899 წლის 27 ივნისიდან 17 ივლისამდე იმყოფებოდა და ბერძნთაგან საკუთარ თავზე იწვნია უსამართლო, მტრული და უხეში დამოკიდებულება.

რამდენიმე წლით ადრე, 1882-ში, ათონზე გერასიმე ნადარეიშვილი ყოფილა, რომელმაც აქ მეორე, 1887 წლის მოგზაურობისას სხვადასხვა პირის ფრესკათა ქართული ნარწერების – „საქართველოს მეფენი, აღმაშენებელნი და განმაახლებელნი ივერიის მონასტრისა“ და „დედოფლალი ნესტან-დარჯვანის“ ნაცვლად ბერძნული ნახა: „ბიზანტიელი მეფენი, აღმაშენებელნი ივერიის მონასტრისანი“ და „ირინე დედოფლალი“. გ. ნადარეიშვილი ათონზე სულ 40-მდე ქართველ მოწესეს შეხვედრია. პეტრე კონჭოშვილისთვის კი მავან კეთილგანწყობილ ბერს უთქვამს, ივერიის მონასტრის ერთ-ერთ სართულში უძვირფასესი განძია შენახული: გვირგვინები და სკაპტრები ქართველთა მეფეების, სამი სახარება და ამ მონასტრის ამშენებლის, თორნიკე ერისთავის საჭურველი – ხმალი, ჩაფხუტი, ფარი, ჩაჩქანი და მშვილდი, მაგრამ ამ განძს არავის ქართველთაგანს არ აჩვენებენ.

ქართველებმა დახმარება რუსთის საელჩოს სთხოვეს, მაგრამ, საბოლო-

ოდ, აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან ბერძნები გააფთორებით იბრძოდნენ იმის-თვის, რათა რუსული, ანუ წმ. პანტელეიმონის მონასტრივით ქართველთა ლავრაც რუსების ხელში არ აღმოჩენილიყო. ამის რეალური საფრთხე კი არსებობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ათონზე იმ დროისათვის მოწესე 42 ქართველი მონაზვნის გამოძევებაც კი განიზრახა პროტატმა; თუმცა შემდგომ ეს გადაწყვეტილება შეცვალა.

რუსთის საელჩო გარკვეულ მხარდაჭერას მოგვიანებითაც გამოხატავდა, მაგალითად, მან ბერძნებს ქართველთა მიმართ გამოჩენილი უსამართლო დამოკიდებულების გამო 1902 წელს მთლიანი შემოსავალი დაუკავა. რუსთის საელჩოს კი წმ. პანტელეიმონის მონასტრის მამებმა ასეთი ორი რჩევა მისცეს:

1. აუკრძალეთ ქართველთა ლავრის წარმომადგენელს რუსეთში გამგზავრება;
2. დააკავეთ მონასტრის შემოსავალი რუსეთიდან და კავკასიიდან.

1909 წელს ქართველ მოსაგრეთა პრობლემამ კიდევ წამოიწია წინ, მას შემდეგ რაც ქართული სავანის (სკიტის) შექმნის საკითხი წამოიჭრა. 1911 წლის 28 თებერვალს ივერთა მონასტრის კრება იძულებული გახდა, ნანილობრივ დაეკმაყოფილებინა ქართველთა მოთხოვნა, თუმცა საკითხი მაინც ვერ გადაწყდა. ამას ქართველ მონაზვნებს შორის განხეთქილებაც დაემატა, რაც ბოლოს, კერძოდ, 1919 წელს ბერძნების მიერ ქართველების გაძევებით დასრულდა. დატოვეს მხოლოდ 3 მონაზონი, რომლებიც დროთა მანძილზე მიიცვალნენ. ასე დასრულდა 50-წლიანი ბრძოლა ლავრის დასაპრუნებლად.

ისმის კითხვა: მაინც რა იყო ბერძნთა ასეთი გააფთორების მიზეზი, რატომ უწევდნენ ისინი ამგვარ გაშმაგებულ წინააღმდეგობას ქართველების ისტორიულად კანონიერ მოთხოვნას?

ამ კითხვის პასუხად აკაკი ბაქრაძეს გაზეთ „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედო-

მოსტში“ 1911 წლის 11 ივნისს 6. დურნოვის სტატიის ერთი ამონარიდის პერიოდზე მოჰყავს: ქართველებსა და ბერძნებს ისტორიული მეგობრობა აკავშირებდათ. ისინი საერთო ენას კარგად გამოიქცნიდნენ და მესამე პირის საქმეში ჩარევა, თუნდაც ეს მესამე პირი რუსეთი იყოს, საჭირო არ გახლდათ. ეს ჩარევა ბერძნებს არწმუნებს, რომ რუსებს ქართველები კი არ აინტერესებთ, არამედ საკუთარი მიზნისთვის იბრძვიანო.

მართლაც, ბერძნებს ჰქონდათ უფლება, ასე ეფიქრათ; გაუქმებული იყო ქართული სახელმწიფო, მომსაპარი გახლდათ ქართული ეკლესის ავტოკეფალია. საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და, ბუნებრივია, როცა რუსები საქართველოს ან ქართველთა უფლებებზე საუბრობდნენ, გულისხმობდნენ რუსეთს. ასე რომ, ქართული ლავრა თავის ოდინდელ პატრიონს კი არ უნდა დაბრუნებოდა, არამედ რუსებს. ამ უკანასკნელთა ეს სწრაფვა, ფაქტობრივად, მთელი ათონის ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად. მონასტრის ქართველებისთვის დაბრუნება რუსეთს წმიდა მთაზე კიდევ ერთ მტკიცე დასაყრდენს აძლევდა. ამას ბერძნები კარგად ხედავდნენ და ყოველგვარად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველების სახით რუსების აქ გაბატონებას. ლავრას კი ქართველებს არავინ დაუთმობდა, უბრალოდ, იგი რუსებით აივსებოდა და გარუსდებოდა ისევე, როგორც საკუთრივ საქართველოში იყო გარუსებული ქართული ეკლესია-მონასტრები.

XIX და XX საუკუნეების მიწურულსა და დასაწყისში ქართველთა სამზრუნველოს წვეულმა უცხოელმა თუ ქართველმა მეცნიერებმა ს. ლამბროსიმ, ა. ცაგარელმა, დ. ბაქრაძემ, ნ. მარმა, ა. ბაქრაძემ, ა. ხახანაშვილმა, გ. სმირნავმა, ი. ფანცულაიამ, მოგვინებით კი რ. ბლეიკმა (1931 წ.) და ე. სონდერზმა (1952-1953 წწ.), მრავალი დაბრკოლების მიუხედავდ, შეძლებისდაგვარად აღწერეს ლავრის სიწმიდეები, შენობა-ნაგე-

ბობები და ხელნაწერები; თუ რამდენად მდიდარი იყო ქართველთა მონასტერი საეკლესიო საუნჯით, ამას მოწმობს ს. ლამბროსის ცნობა აქ დაცული თუნდაც მხოლოდ ხელნაწერების შესახებ: ათონის ოც მონასტერში 5766 ხელნაწერი ინახებოდა, მათგან ქართველთა ლავრაში – 1386 (1880 წლის მონაცემით). ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ქართველი მოწესების მიმართ პატივისცემა იმ პერიოდშიც და ახლაც განსაკუთრებულია. ამას ადასტურებს ორი ძველი დროის მოლვანის, ტიმოთე გაბაშვილისა და პახუმ ჯაფარიძის (შემდგომში წილკნელი ეპისკოპოსი პავლეს) ჩანაწერები. ქართველთა ლავრაში ჩასული ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით, როდესაც თანმხლებ პირებთან ერთად ის მონასტერს მიუახლოვდა, მონაზვნებმა „შექნეს რეკა ზართა და მოგვეგებნენ სკეოფილაკი“ (განძის მცველი) თეოკლიტე და წინამძღვარი ნათანაელი და უმრავლესნი ლირსი ძმანი და მამანი, ვგონებ, სამასნი ოდენ, და მოგვართვეს მღინარი და კვერთხი; და შევედით ეკლესიად და თაყვანის ვეცით ჯერისაებრ. და იტყოდენ „შეგვინყალენს“ მეფეთათვის ქართველთასა და ვიამბორეთ ურთიერთას“. პახუმ ჯაფარიძე კი ათონის მთიდან 1907 წელს სამშობლოში ასეთი შინაარსის წერილს აგზავნის: „აქაური ბერები ანგელოზებრივ ცხოვრებას ატარებენ; მყუდროება, სიმდაბლე, ერთმანეთის უწყინარობა, ბევრი ლაპარაკი აკრძალულია, მხოლოდ სულიერ საუბრებს ჩამოუგდებენ ერთმანეთს. ქართველებს რუსები და ბერძნები ათონის გვირგვინს უწოდებენ“.

აქვე მოვიყვანთ თანამედროვე ათონელ მამათა მიერ გამოთქმულ რამდენიმე შეფასებას საქართველოს დიდი სულიერი მოძღვრის, კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის შესახებ:

მამა ბესარიონი, ზოგრაფის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი: „უწმინდესმა ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა, ათონზე სტუმრობისას მე იგი არ

მინახავს, მსმენოდა, რომ ქართველებს განსაკუთრებული პატრიარქი ჰყავთ, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; ეს საოცარი სულიერების მქონე ბერია, სწორედ ისეთი, როგორებიც ძველ ათონზე მოღვაწეობდნენ; მის შესახებ ბევრი წავიკითხე წიგნში, რომელიც სქემარქიმანდრიტ ვიტალის ცხოვრებაზე მოგვითხოვს... წავიკითხეთ, აგრეთვე, 2004 წლის სააღდგომო ეპისტოლე და დავინახეთ, რომ ეს მართლაც წმინდა ადამიანია; ასეთ ადამიანებს პატივი უნდა მივაგოთ და თავყვანი ვცეთ, რადგან მათზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, ისინი გვიჩვენებენ სწორ მართლმადიდებლურ გზას“.


მამა კალინიკე, ქართველთა მონასტრის ყოფილი წინამძღვარი, მღვდელმონაზონი: „საქართველოს ეკლესიას გამორჩეული მწყემსმთავარი ჰყავს და თავმდაბალი და მოღვაწე მღვდელთმთავრები. მე საქართველოს პატრიარქი გავიცანი ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი ეპისკოპოსი იყო, კუნძულ როდოსზე, მართლმადიდებელთა სინოდზე. იგი გამორჩეულად თავმდაბალი ადამიანია, ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით აღსავს. მთელი გულით უყვარს თავისი სამწესო და ენირება მას“.

მამა ამბროსი, ზოგრაფის მონასტრის წინამძღვარი: „ვფიქრობ, რომ უნმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სახით ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მამასთან გვაქვს საქმე; ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ გახლავთ; როდესაც იგი ათონის მთაზე ჩამობრძანდა, თვით უდიდესი მამებიც კი გაოცებულნი იყვნენ მისი სიბრძნითა და სულიერებით. ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც ასეთი მწყემსმთავარი ჰყავს. მე მჯერა, რომ ივერია გაპრინცინდება“.

აქვე გავიხსენებთ დიდი ქართველი მოაზროვნისა და თეოლოგის, პეტრე იბერის (V ს.) შეგონებას, ანდერძად რომ უღერს ნებისმიერი ეროვნების ჭეშმარიტი ღვთისმოსავისთვის: „შვილწო და ძმანო და საყვარელნო ქრისტეს ღმრთისანო! ყოველისა პირველად დაიცევით წმიდაი და მართალნი სარწმუნოებად წმიდისა სამებისა, და მოიგეთ სასოებაა, სიყვარული, სიმდაბლე, სულგრძელობა, მოთმინებად და სახიერებაა; შეიტკბეთ გლახაც-მოწყალება, სტუმართ-მოყვარეობად და უცხოთა შეიწყნარებდით და განუსვენებდით, ყოველნივე შვრებოდეთ შრომასა სულიერსა და საღმრთოსა. ყოველნივე ჰპაძავდით საღმრთოთა და წმიდათა კაცთა, ყოველთა კეთილნი საქმენი და სათნოებანი წმიდანი მოიგენით. წინამძღვართა დაემორჩილენით, ვითარცა ღმრთისა ანგელოზთა და სიტყვათა მათთა დაიმარხევდით, ვითარცა პირისაგან ღმრთისა გამოსრულთა“.

ქართველთა მონასტრის ისტორიისა და სიწმინდების შესწავლის კუთხით საკვლევი კიდევ ბევრია. ცნობილია, რომ წმიდა მთაზე ხელოვნების უამრავ შედევრს ჯერ მზის სინათლე არ უნახავს, რადგან მონასტრების სიწმიდეთსაცავებსა და განძთსაცავებშია დაბრძანებული – მათი არა მხოლოდ შესწავლა ვერ შეძლეს მეცნიერებმა, არამედ ხილვაც კი. ამიტომ მხოლოდ არქივთა და ყველა სხვა ცნობილი თუ უცნობი საუნჯის სრული გამოკვლევის შემდეგ გაჩნდება სიღრმისეული მსჯელობის შესაძლებლობა ქართველთა ლავრის 1000 წელზე მეტი წენის ისტორიის, ხელოვნებისა და ბერმონაზვნური ცხოვრების შესახებ.


## 6 გზა ზაზურაშვილი



სოფიალოგია დარჩავის სამსახურში:  
ვლადიმირ სოლოვიოვი

ნიგნილ „რესოფობია ან პოეტური იმპერიალიზმი  
ლომონოსოვილან ევრაშენომადე“

ვლადიმირ სოლოვიოვი (Владимир Соловьев, 1853-1900) – რუსეთის მეცნიერე-



ბათა საიმპერატორი აკადემიის საპატიო  
აკადემიკოსი, რელიგიურ-მისატიკური ყა-  
იდის ფილოსოფოსი, პოეტი, პუბლიცის-  
ტი, ესეისტი, ესთეტიკური მრნამსით კი  
„პოსტრომანტიკოსი“ თუ პრესიმბოლის-  
ტი – რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთ  
მამამთავრად გვევლინება. მისმა ტრან-  
სცენდენტურ-აპოკალიფსურმა შეხედუ-

ლებებმა (რაც მის პოეზიაშიც მკაფიოდ  
აისახა) დიდი გავლენა იქონია არა მხო-  
ლოდ მომდევნო თაობის რუს რელიგიურ  
ფილოსოფოსებზე, არამედ ისეთ გამო-  
ჩენილ პოეტებზეც, როგორებიც არი-  
ან ალექსანდრ ბლოკი და ანდრეი ბელი  
(მათ ცნობილი ფილოლოგი და ლიტერა-  
ტურათმცოდნე მიხაილ გასპაროვი ერთ-  
ერთ თავის წერილში „სოლოვიოველებ-  
საც“ უწოდებს).

აი, სოლოვიოვის ცნობილი „სასაფუძ-  
ვლო სიმბოლისტური“ სტრიქონები:

Милый друг, иль ты не видишь,  
Что все видимое нами –  
Только отблеск, только тени  
От незримого очами?

საყვარელო მეგობარო, ნუთუ ვერ  
ხედავ,  
რომ ყველაფერი, რასაც ვხედავთ –  
მხოლოდ ანარეკლია, მხოლოდ  
ჩრდილებია  
იმის, რისი დანახვაც თვალს არ  
ძალუდს?

ვლადიმირ სოლოვიოვის ფილოსოფი-  
ის ღერძს, „ყოვლისერთობის“ («Вседи-  
нство») იდეასთან ერთად წარმოადგენდა  
იდეა „სოფიის“ შესახებ: გამარტივებუ-

ლად თუ ვიტყვით (თუკი საერთოდ შე-საძლებელია სოლოვიოვის ნააზრევის გამარტივებულად გადმოცემა), „სოფია“ სოლოვიოვისათვის ეს მსოფლიო სუ-ლია, ერთგვარი მისტიკური კოსმიური არსებაა, რომელიც ღმერთს მიწიერ სამ-ყაროსთან აერთიანებს; ამასთან, „სო-ფია“ ქალურია, მარადიული ქალურობის ღმერთში გაცხადებაა და იმავდროულად სამყაროს შესახებ ღვთის ჩანაფიქრია. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სო-ფიის ასეთი გაგება ინვევს ასოციაციებს ნეოპლატონიზმთან (გარდამოსვლა იდე-ალურიდან, ღვთიურიდან ფენომენოლო-გიურისკენ, რეალურისკენ, სადაც „შეა-მავლის“ როლს სწორედ მარადიული სო-ფია = სიბრძნე ასრულებს), გოეთესთან (მარადიული ქალურობა), შელინგთანაც (მსოფლიო სული) და სხვ.

ეს ბუნდოვანი „არსი“ თუ „კოსმიური ხატი“ სოლოვიოვს მისტიკურ გამოცხა-დებად მოევლინა, რაც მან კიდეც ასა-ხა მოკლე პოემაში „სამი პაემანი“ («Три свидания») და ჩემი მხრით დავძენ, რომ მისი არც მარტივად და არც რთულად გადმოცემა დიდ ნათელს არ ჰქონის მას. ამასთან კავშირში, ალბათ, ნიშანდობლი-ვია ის ფაქტიც, რომ ვ. სოლოვიოვითა და მისი „სოფიით“ ქართველ მწერალთა შო-რის უპირველესად მითოლოგიზებისადმი სხვებზე მეტად „მიდრეკილი“ გრიგოლ რობაქიძე დაინტერესდა<sup>1</sup>. აქვე, ალბათ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოლოვიოვის ეპისტემოლოგიისა და მეტაფიზიკის შე-სახებ პირველი დისერტაცია 1909 წელს გერმანულ ენაზე ჰალეს უნივერსიტეტში გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერ-მა, შემდგომში ქართული ფსიქოლოგიის სკოლის დამარსებელმა დიმიტრი უზნა-ძემ დაიცვა; ამასთან, უზნაძე ბევრ სა-საფუძვლო საკითხში (მაგალითად, „ომის ფილოსოფიაში“ და სხვ.) არ ეთანხმებოდა სოლოვიოვს.

•

**ექსკურსი:** აი, მაგალითად, რას წერს რობაქიძე: „არსებობენ შემოქმედნი...

<sup>1</sup>. ვ. სოლოვიოვის „სოფიალოგია“, რომელიც საფუძვლად დაედო რუსულ რელიგიურ სიმ-ბოლიზმს (ე. წ. თეორიულ სიმბოლიზმს), გარდა გრ. რობაქიძისა, მკაფიოდ აირეკლება ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში. ეს საკითხი დაინტერესებულმა მკითხველმა, შეიძლება, იხილოს წიგნში: ა. გომართელი, ქართული სიმბოლისტური პროზა, 1977. – რედ.

შეყვარებულნი მიწის სხეულში... მაგ-რამ... ისინი სხვა რამესაც განჭვრეტენ: ... ისინი საგნებს ხედავენ, მაგრამ საგნების იქით სხვა საგნებს ჭვრეტენ: „ახალ ცას და ახალ მიწას“ (ბრჭყალებში ჩასმული ხატოვანი თქმა ცნობილი ფილოსოფო-სის ნიკოლაი ბერდიაევის ერთ-ერთი წე-რილიდანაა აღებული – 6. ზ.)... მათთვის მიწა სამყაროს სულია, სოფია, მარადი-ული ქალურობა; და ის ელის განაყოფი-ერებას მზისაგან და დაბადების მარა-დისობისაგან... აპოკალიფსური რიტმის სულის პოეტები განსაკუთრებით მრავ-ლადაა რუსეთში, არსებითად, კატას-ტროფულ ქვეყანაში. ამ რიგის პოეტებს მიეკუთვნებიან: ვლადიმირ სოლოვიოვი, დოსტოევსკი, მერეუკოვსკი, ბლოკი. ეგ-ვიპტის გადამწვარ უდაბნოებში ხედავ-და სოლოვიოვი „მას“, უსახელოს (სამყა-როს სულს: დედამიწას). ეს ხილვა პოეტმა მთვარისებური ჭვრეტის რბილ ხაზებში დააფიქსირა, – „სამ საუბარში“ კი ის ჭეშ-მარიტად წმინდა იოანეს მგზნებარე... ენით ალაპარაკდა“ (გრიგოლ რობაქიძე. პორტრეტები. რუსულიდან თარგმნა მა-ნანა კვატაიამ. თბ.: „არტანუჯი“, 2012).

•

სოლოვიოვის „სოფიის“, ალბათ, ყვე-ლაზე „საინტერესო“, მართლაცდა ორი-გინალურ, ანალიზს მიაკვლევთ თანამედ-როვე რუსი ფილოსოფოსის და სოციო-ლოგის, იმავდროულად, პირნავარდნი-ლი დერუავნიკის, ნეომპერიალისტის – საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის ლიდერის – ჩვენთვის კარგად ცნობილი ალექსანდრ დუგინის (Александр Дугин, დაიბ. 1962) წიგნის – „მარტინ ჰაიდეგერი: რუსული ფილოსოფიის შესაძლებლობა“ («Мартин Хайдеггер: возможность русской философии») მე-14 თავში. დუგინი აქ ამ-ბობს, რომ რუსი რელიგიური ფილოსო-ფოსებისა და რუსი პოეტების სოლოვი-ოვისეული „სოფია“ სულ სხვა, რუსული

სოფიაა და, აი, რა ყოფილა ის (ქვემოთ ყველა ხაზგასმა დუგინისაა): „ქალი ქალური თვისებებით... ქალი ქალურობის აპოგეაში, მისი სულისშემხუთველი სილამაზით, მოუხელთებელი ორაზროვნებით, მუდმივი თამაშით, მოქნილი განუსაზღვრელობით, მიძნედილი სინაზით, დედობრივი ზრუნვით, ბნელი ტანჯვით, არაპროვოცირებული აღტყინებით, სილრმით, მამაკაცებისთვის უცნობი კაეშნით. მისი სრულყოფილება არასრულყოფილებაშია... მისი ზღვარი უძირო უფსრულშია; მისი შუქი ბნელია; მისი აზრი მინისკენ ისნრაფვის და ცდილობს, პირველ შემხვედრ სოროში შეძვრეს; მისი სული (დუ) პატიობს; ის მუდამ შობს ლამაზსაც და მასინჯსაც, კარგად გაკეთებულსაც და წუნსაც და ყველაფერი ეს მას უყვარს და ყველაფერ ამაზე ის ზრუნავს. რუსული სოფია მკვებავი ძინა, ის ნათლიაა (Восприемница), ის დედაა. ის სიზმრების მატერიაა... ის საერთოდ არის სხვა, განსხვავებულია ყველაფერ იმისაგან, რისი წარმოიდგენაც შესაძლებელია – ფენომენურშიც და იდეალურშიც, მაგრამ ის არის ისეთი სხვა, რაც ყველაფერს ხდის ამად (Эти), თავისი თავის ჩათვლით“.

მე, პირიდად, მიჭირს ამ ბნელმეტყველების კომენტირება: შეფასება მყითხველისთვის მიმინდვია. სამართლიანობა მოითხოვს, ალინიშნოს, რომ დუგინი მაინც „აზუსტებს“ სოფიის არსა: „რუსული ფილოსოფია – ეს არის ფილოსოფია მოწიერი სოფიისა. ალბათ, ყველაზე უკეთ ეს იგრძნეს რუსმა პოეტებმა: ტიუტჩევმა და ბლოკმა“ – განაგრძობს დუგინი; შემდეგ მას მოჰყავს ტიუტჩევის ერთ-ერთი ლექსი ლამეული ქარის და ქაოსის შესახებ, სადაც ასეთი სტრიქონიცაა – „Про дреиний хаос, про родимый!“ [„უძველესი ქაოსის, მშობლიური ქაოსის შესახებ“]; და ასეთი დასკვნა გამოაქვს: „მშობლიური ქაოსი – აი, რუსული სოფიის ჭეშმარიტი სახელი“.

და კიდევ – აი, რა კომენტარს ურთავს დუგინი ბლოკის ერთ-ერთ გამონათქვამს: „წესრიგი არის მღელვარების, შფოთვის (тревога) საპირნონე, რაც იწვევს გულდაჯერებულობის, სტაბილურობის განცდას. რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს რაღაც, რაც აშფოთებს წესრიგს,

ცდილობს შეარყიოს ის. მაგრამ ეს მოიაზრება, როგორც წესრიგის მიმართ გარედან მომდინარე... ასეა დასავლეთში. ხოლო რუსეთში თვით წესრიგია შემაშფოთებელი (тревожен). ქაოსი მის გარეთ კი არ არის, არამედ მასშია, როგორც მისი ყველაზე „საიდუმლო ნაკვთი“. თვით წესრიგი დაფარული ქაოსია; გონიერება – შეშლილობის კერძო შემთხვევაა; ჩვენი დამაბრმავებელი შუქი – სიბნელეა.“ და ბოლო ციტატა დუგინიდან: „ქაოსისა და მისი მუშაობის საზრისი ჩვენთვის გაუგებარია, იგი ჩვენს გამჭოლად მოქმედებს და იგი თვითონაა ის ინსტანცია, რომელსაც მიეპარა გაგება. ჩვენ ვერასოდეს შევხვდებით ქაოსს პირისპირ, რადგან ის არასოდესაა მხოლოდ ერთ მხარეს. მას აქვს სახე – ეს ჩვენი, რუსული სახეა, მაგრამ სარკეში ის არ ირკლება. ეს ჩვენი სულის სახეა. ეს არის სოფიის სახე“. (აქ ხაზგასმა ჩვენია – 6. ზ.).

მაპატიოს მკითხველმა ასეთი ვრცელი ციტირებისთვის, მაგრამ ვფიქრობ, ეს საჭირო იყო ტიუტჩევის მეტამითოსა („ცისკარი 1852“, 2015, №3) და მისი განშტოების სოლოვიოვის სოფიალოგიის დღევანდელი „ქმედითი ძალის“ წარმოსაჩენად.

და ეს სრულიადაც არ არის სახუმარო რამ – ასეთ „მისტიკურ შეხედულებებზე“ ქევს დღევანდელი რუსეთის ევრაზიულობის ბნელით მოცული, აგრესიული, ნეომიზერიალისტური იდეოლოგია, რომელიც „სამეცნიერო ენაზე“ პირველად გასული საუკუნის 20-იან წლებში „ჩამოაყალიბეს“ რუსმა ემიგრანტმა მოაზროვნებმა, უპირველესად კი ლინგვისტმა და ფილოსოფოსმა, ასევე პირნავარდნილმა იმპერიალისტმა, ნიკოლაი ტრუბეცკოიმ (მის შესახებ იხ. ქვემოთ – ექსკურსი).



**ექსკურსი:** საერთოდ, რუსული ევრაზიულობა, როგორც ისტორიოსოფიური სწავლება და შემდგომ პოლიტიკური მოძრაობა, საბოლოოდ მე-20 საუკუნის ოციან წლებში გაფორმდა ევროპაში, რაშიც დიდი როლი შეასრულა ცნობილი რუსი რელიგიური ფილოსოფოსის და საზოგადო მოღვანის სერგეი ტრუბეცკოის (Сергей Трубецкой, 1862-1905)



შვილმა, რუსმა ემიგრანტმა, ლინგვისტმა და ფილოსოფოსმა ნიკოლაი ტრუბეცკოი<sup>1</sup> (Николай Трубецкой, 1890-1938) და ზოგიერთმა სხვა რუსმა ემიგრანტმა მოაზროვნებ. ნ. ტრუბეცკოი მიიჩნევდა, რომ რუსეთი კიევის რუსეთის მემკვიდრე კი არ არის, არამედ – მონძლოლთა მონარქიის და ამის აღიარების შემდგომ ნ. ტრუბეცკოიც, არსებითად, მითისქმნით დაკავდა, კერძოდ იმის შესახებ, რომ რუსებს და მომთაბარებს ერთმანეთთან აკავშირებს განსაკუთრებული თანდაყოლილი განწყობილება თუ „ყოფითი აღმსარებლობა“, რომელიც დაფუძნებულია პირადი ერთგულების, გმირობის, სასულიერო იერარქიის და სამყაროს უმაღლესი სანიისის იდეებზე და ეს ფასეულობები შეუთავსებელია ევროპულ მერკანტილიზმსა და მეშჩანობასთან. იგი სრულიად უარყოფითად აფასებდა პეტრე I-ის და ეკატერინე II-ის რეფორმებს და მიიჩნევდა, რომ მათ განვითარების სწორი, ბუნებრივი გზიდან გადაიყვანეს რუსეთი სწორუ, უცხო და არაპროდუქტიულ ევროპულ გზაზე. ტრუბეცკოის აზრით, ევრაზიულობა სწორედ მედასავლეთების განახლებული ანტითეზა. საბჭოეთის მიმართ მას ორჭოფული დამოკიდებულება ჰქონდა: ერთი მხრივ, ის პოზიტიურად აფასებდა იმას, რომ საბჭოთა რუსეთი (= ბოლშევიკური იმპერია – ნ. ზ.), აზიური ხალხების მონაწილეობით, ფაქტობრივად, უპირისპირდებოდა ევროპას, ანუ ევრაზიულობის პროექტის კონტექსტში მოქმედებდა; თუმცა, მეორე მხრივ, ის მკაცრად აკრიტიკებდა ბოლშევიკებს ინტერნაციონალიზმის ხისტი იდეოლოგიის გამო.

ნიკოლაი ტრუბეცკოის, აღნათ, ყველაზე ცნობილი წიგნია „ჩინგიზი“ ყაენის მემკვიდრეობა“ („Наследие Чингисхана“), სადაც, სხვა ნეომბერიალისტურ თბუსებთან ერთად შეტანილია 1925 წელს შექმნილი ობუსი „კავკასიის ხალხების შესახებ“ («О народах Кавказа»)<sup>2</sup>, სადაც

<sup>1</sup>. ტრუბეცკოის ევრაზიული თეორიის შესახებ იხილეთ „ცისკარი 1852“, 2015, №1 – თინათინ ბოლქვაძის შესავალი წერილი და მისივე თარგმანი ტრუბეცკოის სტატიისა: „საერთოევრაზიული ნაციონალიზმი“ (რედ.).

<sup>2</sup>. ტრუბეცკოის სტატიის სრული ქართული ვერსია დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იხილოს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ალმანახში – „ლიტერატურა და სხვა“. 2001, №1 (გიორგი ნინიძის თარგმანი) – რედ.

ვკითხულობთ (ქვემოთ ხაზგასმა ყველანია):

„ქართველებმა თებერვლის რევოლუციის დროიდან მიაღწიეს მათი უფლებების აღიარებას ავტონომიაზე მაინც... მაგრამ იმის გამო, რომ ეს გარემოება ქართული სეპარატიზმის ნარმოშობის საბაბს იძლევა, ყოველი რუსული მთავრობა ვალდებულია, ებრძოლოს ამას. თუკი რუსეთს სურს ბაქოს ნავთობის შენარჩუნება (რის გარეშეც სათუოა არა მხოლოდ ამიერკავკასიის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის შეკავებაც), მან არ უნდა დაუშვას დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა. ქართული პრობლემის სირთულე იმითაა გაპირობებული, რომ საქართველოს გარკვეული წილი დამოუკიდებლობის არაღიარება დღეს უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო მისი სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარება დაუშვებელია. აქ უნდა შერჩეულ იქნას შუა ხაზი და თან ისეთი, რაც ქართულ გარემოში რუსოფობიური განწყობილებების განვითარებისათვის საბაბად არ გადაიქცევა.“

აი, ნ. ტრუბეცკოის კიდევ რამდენიმე „მოსაზრება“:

„უნდა გავიცნობიეროთ ისიც, რომ ქართული ნაციონალიზმი მხოლოდ იმდენად იძენს მავნე ფორმებს, რამდენადც იმსჯვალება ევროპეიზმის ცნობილი ელემენტებით. ამგვარად, ქართული საკითხის სწორი გადაწყვეტა შეიძლება, მიღწეულ იქნას მხოლოდ ქემმარიტი ქართული ნაციონალიზმის, ანუ ევრაზიული იდეოლოგიის განსაკუთრებული ქართული ფორმის, ნარმოშობის პირობებში. (...)“

„არა მხოლოდ ძველი დაყოფა გუბერნიებად... არამედ სამ ძირითად ოლქად დაყოფაც (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) უნდა გაუქმდეს. ამიერკავკასიის ულუსი (გავიხსენოთ წიგნის სათაური, საიდანაც ვციტირებთ – ნ. ზ.) უთუოდ უნდა დაიყოს, ძველი მაზრების მეტ-ნაკლებად



შესაბამის, ნვრილ ოლქებად ...“ (...)

„მაგრამ ზემოთქმული ჯერ კიდევ არ გულისხმობს იმას, რომ შეიძლება უფრო დიდი ერების მიერ უფრო მცირეთა შთანთქმის სწრაფვის ნახალისება. ასეთი სწრაფვა არსებობს ზოგიერთ სასაზღვრო ოლქში ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის: შეიმჩნევა სწრაფვა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გაქართულებისა, დაღესტნის სამხრეთი ოლქების და ზაქათალის ოლქის გათათორებისა. რახან ამ შემთხვევებში საუბარია განსაზღვრული ნაციონალური იერის დეფორმაციაზე, ამიტომ საჭიროა ამ მოვლენასთან ბრძოლა – შესაბამისი ხალხების ნაციონალური ნინაალმდეგობის მხარდაჭერის გზით.“ (...)

და, აი, უკანასკნელი ნინაადადება ამ ნერილისა, ბოლო „ბრილიანტი“:

„აფხაზეთში ოფიციალურ ენად უნდა მიჩნეულ იქნას აფხაზური, უნდა ნახალისდეს აფხაზური ინტელიგენციის განვითარება და მას უნდა ჩაგაგონოთ გაქართულებასთან (ც ერუსულის აუცილებლობა).“

იხ. <http://coollib.com/b/197682/read> დუგინის ნინასიტყვაობითურთ!

•

დავუბრუნდეთ სოლოვიოვს. რაგვარადაც გინდა გავიაზროთ მისი „ყოვლისერთობა“ და „სოფია“, უთუოა, რომ სოლოვიოვის მისტიკური ნააზრევიც „მყარად იდგა“ დერჟავნიკულ-იმპერიალისტურ საფუძველზე, თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს, ისიც ვთქვათ, რომ მისი დერჟავნიკობა აგრესიულ შოვინიზმში არასოდეს გადაზრდილა (ამის მაგალითად ანტისემიტურ იმპერიაში რუსი ებრაელობის მიმართ მისი ლოიალური, მეტიც, მფარველური დამოკიდებულების აღნიშვაც იქმარებდა); ესეც სათქმელა: სოლოვიოვი უთუოდ პროგრესულად აზროვნებდა, როდესაც აკრიტიკებდა სლავიანოფილურ-ნაციონალისტურ შეხედულებებს და რუსეთს დასავლური, საერთო ქრისტიანული კულტურის თრგანულ ნაწილად მოიაზრებდა:

О, Русь! в предвиденье высоком

Ты мыслью гордой занята;  
Каким же хочешь быть Востоком:  
Востоком Ксеркса иль Христа?

ო, რუსეთ! მაღალი განჭვრეტისას  
შენ ამაყი აზრით ხარ შეპყრობილი;  
მაშ, როგორი აღმოსავლეთი გინდა,  
იყო:  
ქსერქსეს თუ ქრისტეს აღმოსავლეთი?

ამ თვლასაზრისით, სოლოვიოვი „მედასავლეთე“ იყო და „მედასავლეთობას“ ასე განსაზღვრავდა: „ეს არის ჩვენი საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის მიმართულება, რომელიც აღიარებს სულიერ სოლიდარობას რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის; ისინი განუყოფელი ნაწილებია ერთი კულტურულ-ისტორიული მთლიანობისა; მთლიანობისა, რამაც, ამასთანავე, მთელი კაცობრიობა შეიძლება, მოიცვას. ...რწმენისა და გონების, ავტორიტეტისა და თავისუფლების დამოკიდებულება, რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთებაშირი და ორივე მათგანის კავშირი პოზიტიურ მეცნიერებასთან, პირადი და კრებსითი საწყისების საზღვრები; ასევე, განსხვავებული კრებსითი ერთიანობების ურთიერთდამოკიდებულება, ხალხის მიმართება კაცობრიობასთან, ეკლესიისა – სახელმწიფოსთან, სახელმწიფოსი – ეკონომიკურ საზოგადოებასთან. ყველა ეს და სხვა მსგავსი საკითხი ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთისთვის“.

მაგრამ მაინც... ამ ციტატაშიც კი მოიძებნება „იმპერიალისტური ალზია“ (იქ, სადაც სოლოვიოვი, თითქოს გაკვრით, ეხება საკაცობრიო კონტექსტს). აი, მისი ცნობილი ნაშრომის „რუსეთი და მსოფლიო ეკლესია“ ერთი მოკლე ნაწყეტი: „აღმოსავლეთის ეკლესიის სხეული ერთიანი არ არის. იმ ერებს შორის, რომლებიც მასში შედიან, ორმა უმთავრესმა მისცა ამ ეკლესიას სახელი, რომელსაც ოფიციალურად ბერძნულ-რუსული ეკლესია ენოდება“.



მე არ დავკარგავ დროს იმის საძიებლად, თუ როდის, რა პერიოდში ერქვა ასეთი სახელი აღმოსავლურ ქრისტიანობას ოფიციალურად (და ერქვა თუ არა საერთოდ; გამორიცხული არაფერია – კონსტანტინოპოლის საპატრიიარქო დროდადრო რუსეთის ცარების ხაზინიდან მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას იღებდა); ამ შემთხვევაში სხვას გავუსვამ ხაზს: ამ ორი წინადადებიდანაც ჩანს, რომ რუსეთის „უზენაეს მისიაში“ არც ვლადიმირ სოლოვიოვს ეპარქებოდა ეჭვი.

აი, კიდევ რას წერს ის წერილში – „ხალხისადმი სიყვარული და რუსული ხალხური იდეალი“ («Любовь к народу и русский народный идеал. Открытое письмо к И.С. Аксакову»): „ჩვეულებრივ, რო-დესაც ხალხს უნდა თავისი ერი შეაქოს, თვით ამ შექებაში გამოხატავს ეროვნულ იდეალს – მას, რაც მისთვის საუკეთესოა, ყველაზე მეტად სასურველია. ასე, მაგა-ლითად: ფრანგი მშვენიერ საფრანგეთსა და ფრანგულ დიდებაზე საუბრობს (*la belle France, la gloire du nom français*); ინ-გლისელი სიყვარულით ამბობს: „მეცლი ინგლისი“; გერმანელი თავის ეროვნულ იდეალს ეთიკურ დონეზე ამაღლებს და სიამაყით ამბობს: „die deutsche Treue“ (გერმანული ერთგულება). რას ამბობს ასეთ შემთხვევაში რუსი ხალხი, რით აქებს რუსეთს?.. ის ლაპარაკობს მხო-ლოდ „წმიდა რუსეთზე“... აი, იდეალი: არც ლიბერალური, არც პოლიტიკური, არც ესთეტიკური, არამედ ზნეობრივ-რე-ლიგიური.“

სოლოვიოვმა რუსული პოეტური მი-  
თოლოგია კიდევ ერთი „ცნებით“ გაამ-  
დიდრა. წავიკითხოთ მისი ცნობილი ლექ-  
სი „პანმონლოლიზმი“ (ეს „ისტორიოსო-  
ფიური სიტყვა“ თუ ტერმინი სოლოვიო-  
ვის გამოგონილია – აზის წარმოსახვითი  
ურდისა, თუ, ზოგადად, – არაქრისტია-  
ნული სამყაროდან, მომდინარე გამანად-  
გურებელი ჰიპოთეტურ-აბსტრაქტული  
საფრთხის აღსანიშნად):

Панмонголизм! Хоть слово дико,  
Но мне ласкает слух оно,  
Как бы предвестием великой  
Судьбыны божией полно.  
(...)  
Судьбою павшей Византии  
Мы научиться не хотим,  
И всё твердят льстецы России:  
Ты - третий Рим, ты - третий Рим.

Пусть так! Орудий божьей кары  
Запас еще не истощен.  
Готовит новые удары  
Рой пробудившихся племен.

От вод малайских до Алтая  
Вожди с восточных островов  
У стен поникшего Китая  
Собрали тьмы своих полков.

Как саранча, неисчислимы  
И ненасытны, как она,  
Нездешней силою хранимы,  
Идут на север племена.

О Русь! забудь былую славу:  
Орел двухглавый сокрушен,  
И желтым детям на забаву  
Даны клочки твоих знамен.



მოინევენ ჩრდილოეთისკენ ტომები. // ო, რუსეთო! დაივინყე გარდასული დიდება: / ორთავიანი არწივი (= რუსეთის იმპერიის გერბი - ბ. ზ.) განადგურებულია / და ყვი-თელ ბავშვებს (= აღმოსავლეთაზე იელებს - ბ. ზ.) გასართობად / აქვთ მიცემული შე-ნი დროშების ნაკუნძები // დაემორჩილება თრთოლით და შიშით / ის, ვინც შეძლო სიყვარულის აღთქმის დავინყება... / და მესამე რომი აოხრებულია, / ხოლო მე-ოთხე აღარ იქნება.

აი, რა კომენტარს ურთავს ამ ოქუსს  
რუსი ემიგრანტი ლიტერატურათმცოდნე  
და ფილოსოფოსი კონსტანტინ მოჩულ-  
სკი (Константин Мочульский. 1892–1948):  
„სოლოვიოვი, რომელიც რუსული იმპე-  
რიის სულის (dux) განსახიერებაა, რო-  
მელმაც შექმნა დიდებული ხატი რუსული  
თეოკრატიული იმპერატორისა, მესიი-  
სათვის ამქვეყნიური სამეფოს მშენებ-  
ლისა, – ხატი, რომელმაც მაქსიმალური  
სისავსით გამოხატა იმპერიული უნივერ-  
სალიზმი, რუსული დერუავის მსოფლიო  
განფენილობა, – სწორედ სოლოვიოვმა  
პირველმა იგრძნო ამ იმპერიის განწირუ-  
ლობა... «И третий Рим лежит во прахе»  
[„და მესამე რომი აოხრებულია“]. მისმა  
მომდევნო თაობამ განიცადა ამ საშინელი  
წინასწარმეტყველების აღსრულება...“  
(სამწუხაროდ, ფერფლად ქცევა დიდხანს  
არ გაგრძელდა, ფენიქსი – წითელი იმ-  
პერიის სახით – მალევე აღსდგა – ნ. ზ.).

მართლაც, სოლოვიონვა რუსეთის „მე-სამე რომობა“ უპერსპექტივოდ მიაჩნია, ის – თავისი „სოფიალოგის“ კონტექსტში – ავითარებს ტიუტჩევის გამოგონილ და მის მიერვე შემდგომ – რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის „სასარ-გებლოდ“ – უარყოფილ იდეას ეკლესიის ერთიანობის შესახებ, რომლის რელიგიური ცენტრი რომია (რომის პაპია), ხოლო საერო ცენტრი – მოსკოვი (რუსეთის ცარი), რაც, ჩემი აზრით, სხვა არა არის რა, თუ არა რუსეთის ჰეგემონიის უტოპიური პიპერბოლირება. კარგია, რომ ეს უტოპია უტოპიად დარჩა, თორემ, ვინ იცის, რა ბეჭი ეწერდა ვატიკანსა და მთლიანად

ევროპას!..

აქ ერთს დავამატებ: როგორც ტიუტჩევისადმი მიძღვნილ მონაკვეთში უკვე აღვნიშნეთ, ტიუტჩევით უპირობო აღტაცება ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი-ვითაა, რომელიც უტყუარად ამჟღავნებს ამა თუ იმ პიროვნების „აზროვნების „იმპერიალისტურობის ხარისხს“. ტიუტჩევი რუსი სიმბოლისტების კერპი იყო. სოლოვიოვი წერილი „ფ.ი. ტიუტჩევის პოეზია“ («Поэзия Ф.И. Тютчева») ვარშავის აღებისადმი მიძღვნილი ტიუტჩევის ლექსითაც კი აღტაცებულია, თუმცალა, იმავდროულად, თავისი კომენტარებით მის ერთგვარ „შერპილებას“ ცდილობს; აი, რას წერს ის: „ტიუტჩევის რუსეთისადმი რწმენა უშუალო, ორგანულ გრძნობაზე არ იყო დაფუძნებული, არამედ ეს იყო შეგნებულად გამომუშავებული მრნამსი. ამ რწმენის პირველი, ...მაღალპოეტური გამოსახულება მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მოგვცა შესანიშნავ ლექსში „ვარშავის აღების გამო“. მოძმე ხალხთან ბრძოლაში რუსეთი მხეცური ინსტინქტებით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ მხოლოდ აუცილებლობით, რათა „დერჯавы ცელостъ соблюсти“ [„დერჟავის მთლიანობის უზრუნველსაყოფად“] (...)

რწმენა იმისა, რომ რუსეთს მაღალი  
დანიშნულება გააჩნია, თავად პოეტსაც  
ნაციონალური მეტოქეობითა და გამარ-  
ჯვების უხეში ზარ-ზეიმით გამოწვეულ  
წვრილმან და ბოროტ გრძნობებზე მაღ-  
ლა აყენებს, — განაგრძობს სოლოვიოვი.  
ბოლო სტრიქონებში პილონეთისადმი  
მიმართვა პატრიოტი მგოსნებისათვის  
უჩვეულო ჰუმანურობით სუნთქვას:

Ты ж, братскою стрелой пронзенный,  
Судеб свершая приговор,  
Ты пал, орел одноплеменный,  
На очистительный костер.

Верь слову русского народа:  
Твой пепл мы свято сбережем,  
И наша общая свобода  
Как феникс возродится в нем.“



შენ კი, ძმური ისრით განგმირულო, /  
ასრულებდი რა ბედისწერის განაჩენს, /  
შენ დაეცი, არწივი იმავე თემისა, / გან-  
საწმენდელ კოცონზე. / დაუკერე რუსი  
ხალხის სიტყვას: / ჩვენ ნმიდად შევინა-  
ხავთ შენს ფერფლს / და ჩვენი საერთო  
თავისუფლება / ფენიქსივით აღდგება  
მასში.

ამ პასაჟის შეფასება მკითხველისათ-  
ვის მიმინდვია. მე კი ამ მონაკვეთს ასე  
დავასრულებდი: ვლადიმირ სოლოვიოვის  
მისტიკურად გართულებული თუ გაბუნ-  
დოვანებული იდეები, ასევე, მისი „მედა-  
სავლეთეობა“ მაინც მთლიანად თავსდე-  
ბა ტიუტჩევის მეტამითის ჩარჩოში, რა-  
საც ადასტურებს კიდევ ერთი ცნობილი  
რუსი რელიგიური ფილოსოფოსი **ნიკო-  
ლაი ბერდიაევი** (Николай Бердяев, 1874-

1948): „ვლ. სოლოვიოვი ცნობს სლავი-  
ანებისა და რუსეთის დიად მისიას, ის  
რუსული მესიანიზმის ფილოსოფოსია.  
ყველაფერი, რაც კი შემოქმედებითი და  
მნიშვნელოვანი იყო XIX საუკუნის რუ-  
სული აზროვნების ისტორიაში, რუსეთის  
მისის აღიარებას უკავშირდებოდა. მაგ-  
რამ რუსეთის მსოფლიო მისის რწმენა,  
იმავდროულად, რუსული სულის (dux)  
სილრმეებში დაუნჯებული, სიმართლის  
რწმენაა, რომლის მსოფლიოსთვის გა-  
საცხადებლად არის რუსეთი მოწოდე-  
ბული. და ეს სიმართლე შეიძლება იყოს  
მხოლოდ სიმართლე რელიგიური, სიმარ-  
თლე ქრისტიანული, მართლმადიდებლუ-  
რი აღმოსავლეთის მისტიკური გამოცდი-  
ლების სიმართლე“.

აი, ასე...

## აზა გასინიძე



### ოქროს თევზი


წყაროს წყალში ექებდა  
მზის სხივების ლიცლიცს.  
ამიტომაც გამხდარა  
ოქროსფერი ისიც.

ჩქერალში რომ ელვარებს,  
ოქროს ათინათია.  
დასრიალებს წყაროში  
ოქროს თევზი პანია.

### ირემი

ალბათ, ადრე მიატოვა დედამ  
და მზერაში ჩაებუდა სევდა...

წყაროსაკენ გზას ბილიკით იგნებს,  
საოცარი თვალები აქვთ ირმებს.



## რა კეთილი ხარო

არასოდეს მინახავს  
საოცრება მსგავსი:  
ქარმა ოქროს ფოთლებთან  
დღეს იცეკვა ვალსი.

ფარფატ-ფარფატ შეფრინდა  
ფულუროში ერთი.  
გაიხარა ციყვუნამ –  
ქარს მადლობას ვეტყვი!

საჩუქრისთვის მადლობა,  
შემოდგომის ქარო.  
თუმც აშარს გეძახიან,  
რა კეთილი ხარო!

## თაგუნიას სახლი

რაც თაგუნას გადახდა,  
ამბავია ძველი:  
სახლის ასაშენებლად  
მოიპარა ყველი.

გამოხრა და ოთახში  
სკამი დადგა ლორის.  
თხილისაგან ნათურა  
ჩამოკიდა ორი.

მერე ტკბილად მიირთვა  
ყველიცა და ლორიც  
და ის თხილის ნათურაც  
მიაყოლა ორი.

ასე შემოეჭამა  
თაგუნიას სახლი.  
იმის მერე აშენება  
არც უცდია ახლის.

## გიორგობა

ტყეები რომ გააშიშვლა,  
არ აღელვებს დიდად.  
შარიშურა ფოთლები  
მიმოფანტა მინდვრად.

გიორგობა – მადლიანი –  
განა ისე წავა,  
ფეხევეშ არ გაგვიფინოს  
მარჯანი და ქარვა!

## სახალისო ნოტები

დო – ყვავილებს უმღერის,  
რე – გაცივდა წუხელის,  
მი – სიჩუმეს ვერ იტანს,  
ფა – აუღერებს ფლეიტას.

სოლ – იმღერებს არიებს,  
ლა – რომანსებს არიგებს.  
სი – ყველაზე ბოლოა,  
გვატყუებს, რომ სოლოა.

## პიანისტი

საკონცერტო დარბაზს ავსებს  
საოცარი ბგერები.  
პიანისტზე დედამ მითხრა,  
აქვსო ოქროს ხელები.

როცა ხელებს დავაკვირდი,  
ოქრო არც მინახია.  
უფროსებს კი რას გაუგებ –  
უცნაური ხალხია.

## დაავიზუდა, ეტყობა

არ გიშვებდი ბაცაცას,  
ჩაგირაზე კარები.  
იმის მერეც ბოსტანში  
რატომ დაიარები?

გაიფიქრა ყურცქვიტამ:  
დაგვიბერდა პაპილო.  
დაავიწყდა, ეტყობა,  
რომ დათესა სტაფილო.

## აბა, რას იფიქრებდა

არემარეს ანათებს  
მთვარის შუქი მკრთალი.  
ფისუნიამ ღამურებს  
გააყოლა თვალი.



გაიფიქრა: თაგვები  
დაფრინავენ გუნდად;  
აშკარაა, ვარსკვლავებთან  
მეგობრობა უნდათ.

ფისო, ამის მნახველი,  
ვეღარ მალავს წყენას.  
აბა, რას იფიქრებდა  
თაგუნების ფრენას.

## მითხარ, რატომ ყივი

– თუ არავის უხილავს  
მზის პირველი სხივი,  
ალიონზე, მამალო,  
მითხარ, რატომ ყივი?

– ალიონზე, ბავშვებო,  
მუდამ ხდება ასე:  
ვიყივლებ და მზის სხივიც  
გაბრწყინდება ცაზე!

– ამის მერე, მამალო,  
რას აკეთებ, ნეტავ?  
– ვიქექები ეზოში,  
ფეტვის მარცვალს ვკენკავ.

## ფულურო

ნაძვის ხეზე ფულუროა –  
ვისი არის, ნეტავ?  
ჩამიჩუმი არ ისმის,  
ვერც ვერავის ვხედავ.

აბა, ვინ არ ინატრებს  
ამისთანა ბინას?..  
შევიხედე ფულუროში –  
ციყვუნიას სძინავს!

## მინდორშია ჭარა

თეთრი ლრუბლის დარად,  
მინდორშია ფარა.  
პანაწინა მწყემსიც  
სალამურით ხელში.

შორს გაისმის ტკბილი  
საამური სტვენა.  
ალბათ, ესმით ვარდებს  
სალამურის ენა...



## 3 1 ს ი ც გ ე ლ ა ქ ი ბ



### სოფელი, რომელსაც ქალაქობა უნდოდა ციკლიდან „სოფლისა და ქალაქის ზღაპრები“

სოფელი პატარა სულაც არ იყო. სოფლის კვალობაზე დიდიც კი ეთქმოდა. ორი წისქვილი იდგა, ორივე ერთ მდინარეზე – ერთი სოფლის თავში, მეორე – ბოლოში; სამი ნახირი დადიოდა; სოფლის თავში, აი, სწორედ წისქვილთან ახლოს, რკინიგზის ბაქანიც კი იყო, რომელსაც დღეში ორჯერ – დილით და საღამოს კივილით მიუახლოვდებოდა ხოლმე მატარებელი. დილით – დიდი ქალაქიდან მომავალი, საღამოს – დიდ ქალაქში მიმავალი.

სოფელს უთენია ასობით მამლის ყივილი აღიძებდა. ეს მამლები ყველა ოჯახის საქათმეში თითო მაინც იყო. დაიწყებდნენ ჯერ აღმოსავლეთის მხარეს მცხოვრები მამლები, აჟყვებოდნენ სამხრეთით მობინადრე მამლები, მერე კი ჩრდილოეთის და დასავლეთის მამლებიც შეუერთდებოდნენ და მათ ძახილში მზეს, ძალიანაც რომ სდომოდა, რაღა დააძინებდა? შეიძმუშნებოდა, გაახელდა თვალს და – ჰომ, მოვდივარ, მოვდივარო, – ერთს კი ჩაიბუზლუნებდა და თმაგაშლილი ამოგორდებოდა ხოლმე ცაზე.

ამ დროს ყოჩალი და გამრჯე სოფლელები უკვე მინდორში იყვნენ და ან ხნავდნენ, ან თესავდნენ, ან მოსავალს იღებდნენ – გააჩნია, წელიწადის რა დრო იყო. მხოლოდ ზამთრის დღეები თენდებოდა გვიან-გვიან, შეცივნულ ცაზე მზესაც

რომ ეზარებოდა გამოსვლა და უცდიდა, მამლების ყივილთან ერთად როდის ამო-იწვერებოდა ბუხრებიდან კვამლის სვეტები, რომ ამით მაინც გამთბარიყო.

ზაფხულობით სოფლის მდინარეზე ერთი უივილ-ხივილი ისმოდა – მთელი სოფლის ბავშვები აქ მიდიოდნენ საბანაოდ და გასართობდა. რამდენიმე ადგილას ჰქონდათ მოწყობილი საბანაო და უბნების მიხედვით ნაწილდებოდნენ. შუადღისას მდინარეს სოფლის ნახირი მიაკითხავდა ხოლმე – მათაც ხომ უნდოდათ გაგრილება და დარწყულება. ბავშვები, ამ დროს უკვე დაღლილები, ან ქვიშაში ისხდნენ, ან იქვე, მდინარის ნაპირას, ხეების ჩრდილში გრილდებოდნენ და ათას რამეს თამაშობდნენ.

ერთი სიტყვით, სოფელს ყველაფერი ჰქონდა, რაც უნდა ყოფილიყო სოფელში, მაგრამ მაინც უკმაყოფილო იყო და ქალაქობა უნდოდა.

იყითხავთ – სოფელს ხომ ქალაქი არა-სოდეს ენახა და რატომ უნდოდა ქალაქობა ან რა იცოდა ქალაქის შესახებო?

დაგავიწყდათ? სოფელში ხომ მატარებელი გაივლიდა ხოლმე, თანაც, დღეში ორჯერ.

სწორედ მატარებელი უყვებოდა სოფელს ქალაქის ამბებს.

მიუახლოვდებოდა თუ არა სოფელს,

დაიწყებდა ქაქანს და ქოთქოთს, ბაქან-ზეც არ ჩუმდებოდა და ვიდრე სოფელს არ გასცდებოდა, უამრავ ჭორს თუ თავისი თვალით ნანახს უყვებოდა. ჭორებს მგზავრებისგან ისმენდა და არც კითხულობდა, მართალი იყო თუ ტყუილი; თავად რაც ენახა, იმას ხომ წყალი არ გაუვიდოდა.

სწორედ მატარებლისგან იცოდა სოფელმა, რომ ქალაქში დიდი, ძალიან დიდი სახლები იდგა; ქალაქში დიდი, ბევრად უფრო დიდი მდინარე მიედინებოდა, ვიდრე სოფელში. ამ მდინარეზე კი უფრო მეტი, უფრო დიდი და უფრო ლამაზი ხიდი იყო; ქალაქში ბევრი ადამიანი ცხოვრობდა, რომლებიც სულაც არ დადიოდნენ მინდორში სამუშაოდ; ქალაქში ბევრი გასართობი იყო და განსაკუთრებით საღამობით უამრავ ადგილას გაისმოდა სიმღერის და ცეკვის ხმები; ქალაქში ბევრი სხვადასხვა შენობა იდგა – სოფლის ორი წისქვილივით კი არ იყო, უამრავი ქარხანა გუგუნებდა, უამრავი სხვადასხვა ნაგებობით იწონებდა თავს; ქალაქში ფართო და მოასფალტებული გზები იყო, სადაც უამრავი მანქანა დაქროდა, სოფელს კი არ ჰეგვდა, ერთი მთავარი გზა რომ ძლივს მოეასფალტებინათ და იქაც თითო-ოროლა მანქანა თუ გაივლიდა, დანარჩენ მტკრიან თუ ტალახიან გზებზე კი ტრაქტორები და ველოსიპედები დადიოდნენ... ერთი სიტყვით, სოფელს ალარ მოსწონდა საკუთარი თავი და უნდოდა, ქალაქივით დიდი და ლამაზი ყოილიყო – ქალაქობა უნდოდა.

ერთ დღესაც, როდესაც მატარებელი სოფელს, ჩვეულებისამებრ, ძახილით და ჩუქჩუქით მიუახლოვდა, სოფელმა თავისი სურვილი გაანდო – ქალაქობა მინდაო. მატარებელმა გაოცებისაგან ისე დაიქინა, სულ ღრუბლებივით გაუშვა ბოლი და ბაქანთან არც იყო მიახლოებული, რომ მძლავრად დაამუხრუჭა.

– რად გინდა ქალაქობა?  
– როგორ თუ რად? თავად არ მიამბობ ხოლმე, რა კარგია ქალაქში? რამდენი

გასართობია, რამდენი ხალხი... უამრავი შენობა და უამრავი მანქანაა...

– მერედა, რა არის მაგაში კარგი? შენთან რომ მოვდივარ, მთელი ძალით ვსუნთქავ, რომ ფილტვები სუფთა ჰაერით ამევსოს. ქალაქში კი ისეთი გამონაბოლქვა, სუნთქვა ჭირს.

– მე ქალაქობა მინდა, – გაჯიუტდა სოფელი. – მოდი, ქალაქობანა მაინც მეთამაშე!

– სათამაშოდ სად მცალია, გზას უნდა გაუდგე და საღამოზე ისევ ქალაქში დავბრუნდე!

– აი, ხომ ხედავ... – მოიწყინა სოფელმა. – შენ ქალაქში უნდა დაბრუნდე, მეკი...

– რომ შემეძლოს, სულაც არ დაპრუნდებოდი, – ამოიქშინა მატარებელმა და ნელ-ნელა გზას გაუდგა. – არ მოიწყინო, შენ ძალიან კარგი სოფელი ხარ.

სოფელმა მაინც მოიწყინა. იფიქრა, იფიქრა და მდინარეს სთხოვა – მოდი, ქალაქობანა მეთამაშეო.

– ერთ ადგილას რომ გავჩერდე, დავჭაობდები, მე უნდა გზა განვაგრძო, – უთხრა მდინარემ. – აბა, როგორ გეთამაშო?

– მოდი, ქალაქობანა მეთამაშე, – ახლა გზაზე მიმავალ ერთადერთ ავტომობილს სთხოვა სოფელმა.

– არ მცალია, ჩემი პატრონი მიმყავს, – მხიარულად დაუსიგნალა მანქანამ და გზა გააგრძელა.

კიდევ უფრო მოიწყინა სოფელმა. თავშაქინდრული იდგა და ფიქრობდა. უცებ რალაც აზრმა გაუელვა: რადგან ყველა სადღაც იჩქარის, მეც ქალაქისკენ წავალ და როცა იქნება, ხომ მივალ. ვნახავ მაინც, როგორია.

იმ დღიდან სოფელმა მართლაც ქალაქისკენ აიღო გეზი. ჯერ ერთი სახლი გაჩნდა სოფლის განაპირას, მერე – მეორე. გადიოდა დრო, ემატებოდა სახლებს სახლები და სოფელიც ქალაქის მხარეს მიიწევდა.

ერთ დღესაც აღმოჩნდა, რომ სოფელი

ისე გაზრდილიყო, სოფელი აღარ ეთქმოდა. დაიწყეს სოფელში დიდმა მანქანებმა სიარული, მოვიდნენ ამწები და ბულ-დოზერები. მოზიდეს სამშენებლო მასალა და გაჩაღდა ახალი მშენებლობები. დააგეს ახალი გზები, დაანგრიეს ძველი სახლები და მათ ადგილას რამდენიმე-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები წამოჭიმეს.

სოფელი სიხარულით აღარ იყო – ნატ-ვრა უსრულდებოდა, დიდი სოფელი მალე პატარა ქალაქად გადაიქცა. მაგრამ, რაღაც მაინც ვერ იყო რიგზე. დილაბით თანდათან იკლო მამლების ყივილმა, ძროხების ზმუილმა და ძალლების ყეფამ. მდინარის კალაპოტი ქვის დიდრონ კედლებში მოაქციეს და სანაპიროები თანდათან მოასფალტებულმა გზებმა შეცვალა. აღარ ისმოდა ბავშვების ურიამული და ყიუინა. ჯერ ერთი წისქვილი დაშალეს, მერე – მეორე და მათ ადგილას ქარხნები ააშენეს. მდინარეზე ახალი ხიდები გადეს და ახლა უამრავი მანქანა დადიოდა გზებზე. მისი ნაცნობი ერთი მატარებლის ნაცვლად კი ახლა დღეში რამდენიმე მატარებელი ჩაუქროლებდა ხოლმე.

სოფელს ახლა ქალაქობანას თამაში აღარ სჭირდებოდა, რადგან უკვე ქალაქი იყო. მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა. და აი, ერთ დღეს ქალაქს, რომელიც ოდესალაც სოფელი იყო, თავისი ნაცნობი მატარებელი მიუახლოვდა მხიარული ქოთქოთით. ძალიან გაუხარდა ნაცნობი მატარებლის დანახვა და როგორც კი ვაგზალზე გაჩერდა (ბაქანი უკვე პატარა იყო ქალაქისთვის და, რა

ხანია, მის ადგილას მოზრდილი ვაგზალი აეშენებინათ), სოფელი, უფრო სწორად, ქალაქი, რომელიც ადრე სოფელი იყო, გამოელაპარაკა:

– რამდენი ხანია, აქეთ აღარ ყოფილ-ხარ. რატომ არ ჩანდი?

– მე სხვა სოფლებისკენ გამგზავნეს. შენ ახლა უკვე ქალაქი ხარ და აქეთ ახალი მატარებლები გამოუშვეს. დღეს, უბრალოდ, ერთი მატარებელი ავად გახდა და ვიდრე მოარჩენენ, მე გამომიშვეს. როგორ ხარ, მოგონის ქალაქობა?

სოფელი, რომელიც ახლა ქალაქი იყო, გაჩუმდა.

– რას გაჩუმებულხარ? ხომ გინდოდა ქალაქობანას თამაში? ახლა კი თამაში აღარ დაგჭირდება, რადგან ისედაც ქალაქი ხარ, – გაულიმა მატარებელმა.

– ჰო, მაგრამ... მგონი, სოფლად ყოფნა ჯობდა, – ჩუმად ჩაიბუტბუტა ქალაქმა, რომელიც ადრე სოფელი იყო.

– სადაც არა ვართ, იქ კარგი გვგონია... და არ ვუფრთხილდებით იმას, რაც გვაქვს – სევდიანად გაიღიმა მატარებელმა და დაიძრა. – მაგრამ მაინც ერთ ადგილზე დგომას წინ სიარული და სიახლეები ჯობს. არ მოიწყიო, დრო გავა და შენ უკვე დიდი ქალაქი გახდები, – მხიარულად დაიკივლა და სიჩქარეს მოუმატა.

– აბა, მომავალ შესვედრამდე!

ქალაქმა, რომელიც ერთ დროს სოფელი იყო, სევდიანად გააყოლა თვალი მიმავალ მატარებელს, იხტიპარი არ გაიტეხა და ჩუმად გაიმეორა – ერთ ადგილზე დგომას წინ სიარული და სიახლეები ჯობს. მე დიდი ქალაქი უნდა გავხდე!

## პატარა ღრუბლის სიმღერა

თეთრი ღრუბლის ქულობა  
არ გეგონოთ ხუმრობა!

ჯერ პატარა ფთილა ვარ,  
ჯერ თამაში მაცალეთ –  
ხან ბაჭიად ვიქცევი,  
ბალახზე რომ ბანცალებს.

ხან ბელი ვარ პატარა,  
ბურდღუნა და დანდალა.

ხან კვიცი ვარ, მივქრივარ  
ცაზე ფაფარაშლილი,  
მთის წვერს გადავევლები,  
არაფერი მაშინებს.

ხან ბურთივით მრგვალი ვარ,  
ხან აფრა ვარ გაშლილი.  
ქარი რომ დამიბერავს,  
გავქროლდები მაშინვე.

ჯერ თამაში მაცალეთ,  
ჯერ მაცალეთ გართობა...  
გავიზრდები დიდი და  
წვიმად მერე წამოვალ.

## ტურაგენტი

სააგენტო გახსნა მელამ  
– ტურიზმს უნდა მივხედო!  
ვარიკებმა ულრან ტყისკენ  
იქნებ, გამოიხედონ!

საქათმიდან გამოვიდნენ,  
მოიარონ ქვეყანა.  
იქნებ, ზოგი ულრან ტყეში  
ბედსაც გადაეყაროს.

მე რა? განა ჩემზე ვფიქრობ –  
მელა მაგის კაცია?  
მინდა, ტყესაც გავუნიო  
პოპულარიზაცია!

ტურისტები გვეწვევიან,  
ტურაგენტი ვიქნები...  
ამ დროს ტურამ გაიგონა  
ხმამალი ფიქრები,

შეჩერდა და დაუკივლა  
– აბა, აბა, რა ხდება?  
ტურა მე ვარ, ტურაგენტი  
მელა როგორ გახდება?

ჩემს საქმეში ნუ ეჩრები,  
თათი ყველგან ნუ გიდევს!  
ტურამ უნდა მოუაროს  
ვარიკელა ტურისტებს!

## იუბილარი

ხმაურია ულრან ტყეში,  
ისმის ჟივილ-ხიცილი.  
მელაკუდა სტუმრებს იღებს,  
ყველას ხვდება ღიმილით.

მოუტანა მგელმა მელას  
ქათმის ფორმის ტორტი და  
ციყვმა თხილის ტკბილი ნუგა  
ჩამოყარა ტოტიდან;  
დათვმა – რბილი სათამაშო,  
ქულა-ქულა წიწილა.

მელამ გულში ჩაიხუტა  
და ალარ მოიცილა.  
კურდღელმა თქვა – რომ მივიდე,  
დამიტოვებს, ალბათ, და  
ჯობს, ფოსტაში გავიარო,  
გავუგზავნი ამანათს.

ტურამ მელას ყვავილების  
თაგული მიართვა,  
(მინდვრად თავად დაუკრეფავს –  
გამოვალო იაფად).

გაშლილია დიდი სუფრა,  
მართლაც სანაქებოა...  
სურნელია საუცხოო,  
უფრო კარგი – გემოა.

ჩამოასხა მელამ დოქტი  
ყურძნის ტკბილი ნაქაჩი...  
ხეზე დახტის აქეთ-იქით,  
ვერ ისვენებს კაჭკაჭი.  
– რა ხმებია, მელას სოროს  
კარი რად აქვს ღიაო?

ჩხიკვმა უთხრა – მელაკუდა  
იუბილარიაო!

## ჭვება

შორიდან ქუხილით გვატყობინებს  
– ე-ჰე-ჰე! მოვდივარ, მოვდივარო...  
მტვრიანი ქუჩები უნდა მოვრწყო,  
სხვებივით ზარმაცი როდი ვარო!

შეაპუნით ფანჯრებზე აკაკუნებს  
(გალუმპა ხეებზე ბელურებიც),  
– გამოდით ეზოში, ვითამაშოთ!  
გამოდით, ბავშვებო, გეყურებათ?

ბავშვებს კი დედები არ უშვებენ,  
თამაშზე არავინ არ ყაბულობს.  
მარტოა წვიმა და გუბეებში  
პატარა ბავშვივით დატყაპუნობს.

## ძილისპირული

ძილისპირულს უმღერის  
დედა თაგვი წრუნუნებს.  
უფროსები თვლემენ და  
ნაბოლარა წუნუნებს:

– მე არ მინდა სიმღერა,  
მომიყევით ზღაპარი!..  
თან მამიკო თაგვისკენ  
ჩუმად თვალებს აპარებს.

– შენ უმღერე ამათ და  
თუ არ გამებუტები,  
ზღაპარს მამა მიამბობს,  
მამას ჩავეხუტები!





## გაბა ნახასიმვიტი

### პატარა ზეპრა

#### ზღაპარი

შობის ღამე ახლოვდებოდა. ცაც უჩვეულოდ თეთრი იყო და თოვას აპირებდა. რატომლაც დღის განმავლობაში ძალიან დავიღალე, თუმცა დიდი არაფერი საქმე გამიკეთებია. პაპაჩემის დანატოვარ ტახტზე წამოვწექი და ტკბილად ჩამეძინა. ისე, როგორც ბავშვობისას. პაპას ფერადი ფანქრებით დახატული ზეპრა მესიზმრა. უცნაური, სხვანაირი, პატარა ზეპრა.

– ეი, გამარჯობა, – მიესალმა პატარა ზეპრა წითელგულა ჩიტს, რომელიც ხის ტოტზე იჯდა და მხიარულად უსტვენდა.

– როგორ ხარ... გილოცავ, – უეცრად შეწყვიტა სტვენა.

– რას მიღოცავ?

– დამდეგ შობას, რა თქმა უნდა, – გაიკირვა ჩიტმა.

– ეეჭ, აღარ მახსოვდა, რომ შობა მოდის.

– რატომ? ისეთი რა დაგემართა? – შეწუხდა ჩიტი.

– აბა, როგორ? აღმოვაჩინე, რომ ყველა ზეპრა თეთრია შავი ზოლებით.

– მერე?

– რა მერე... მე კი შავი ვარ და თეთრი ზოლები მაქვს.

ჩიტმა ზეპრა ყურადღებით აათვალიათვალიერა.

– უი, მართლა, – თქვა გაკვირვებულმა, – მაგრამ, რატომ ღელავ, ისეთი რა არის...

– შენთვის ადვილია, – იწყინა ზეპრამ.

– რა გწყინს, ისეთი რა გითხარი? ხოიცი, რომ ყველას მაინც... ყველას ძალიან გვიყვარხარ.

– მადლობა, – წაიბურდლუნა პატარა ზეპრამ და თავი ჩაქინდრა.

– იცი, რას გეტყვი? ლამით მესტუმრე და ჩემს დამზადებულ საშობაო საკენჭე დაგპატიუებ. მგონი, ძალიან გემრიელი გამომივიდა. გელოდები, – ჩიტმა მხიარულად ჩაუსტვინა და სახლისკენ გაფრინდდა.

– ეეჭ, რატომ გავჩნდი ასეთი. არავის არ ესმის ჩემი, – თავისთვის დაიჩივლა ზეპრამ.

•

ტყეში ერთი, ყველასგან გამორჩული, დათვი ცხოვრობდა. ჩვეულებრივ, დათვები ზამთარში იძინებენ ხოლმე. ზამთრის პირს ისიც იძინებდა. მხოლოდ საშობაოდ ფხიზლობდა. შობას ეგებებოდა, თაფლს გემრიელად მიირთმევდა და გაზაფხულამდე ისევ ძილს აგრძელებდა. ძალიან საინტერესო აზრები მოსდიოდა თავში. განსაკუთრებით, როცა საყვარელ თაფლს შეექცეოდა. ამიტომაც ბრძენი, ფილოსოფოსი დათვი შეარქვეს. პატარა ზეპრამაც მოიფიქრა და მასთან მივიდა. რა თქმა უნდა, თავის ზოლებზე ჰკითხა.

– ჰმ, – ჩაფიქრდა დათვი, – ეს საკმაოდ რთული კონცეფციაა.

– ეგ რაღაა? – გაიკირვა პატარა ზეპრამ.

– ხომ, – ჩაფიქრდა ისევ დათვი. დინჯ, მურა სახეზე მოისვა დიდრონი, ლონიერი თათი. – მაშასადამე, ეს არის, როცა რაიმეს აყალიბებ...

– რას აყალიბებ?

— ჭკვიანურ აზრებს, ცხადია... ხოო, სულ ალარ კითხულობენ წიგნებს ჩვენი ბავშვები, მაგრამ ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.

— ჩემი ზოლების ვერაფერი გავიგე და აპა, რა უნდა ჩამოვაყალიბო? — იწყინა ზეპრამ.

— ხოო, მაშასადამე, — ჩაფიქრდა ჩვეულებისამებრ დათვი, — ჰმ, მოდი ამაღამ ჩემთან და ისეთი საშობაო თაფლით გაგიმასპინძლდები, რომ ეს შენი ბრიყვული ზოლები სულ დაგავიწყდეს...

•  
იმედგაცრუებული ზეპრა სახლში ბრუნდებოდა — თავჩაქინდრული და დარდიანი. გზაზე ხნიერი კუ შემოხვდა. რა არ უნახავს ამ კუს ქვეყანაზე: ომი, მშვიდობა, შიმშილი ფუფუნება, ღალატი, სიყვარული. ამბობდა, რომ პრეისტორიული ხანაც კი ახსოვდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, მგონი, ცოტა მეხსიერება ღალატობდა, თანაც ამ ბოლო დროს ერთი უცნაური რამეც დასჩემდა: ცხოველები ადამიანებს დაქმსაგავსხნენ და ხმას არავის გავცემ, სანამ ისევ არ გაცხოველდებიანო, — დაიფიცა და უყოყმანოდ შეასრულა. სულ დუმდა. არავის ელაპარაკებოდა, მაგრამ პატარა, დარდიანი ზეპრა უსაზღვროდ შეებრალა და თავისი ფიციც უმალ დაარღვია.

— ნუ ხარ ასე სევდიანი. დღეს დარდი არ შეიძლება, შვილო.

— რატომ? — ჰკითხა გულუბრყვილოდ პატარა ზეპრამ.

— შობა ღამე დგება...

რა თქმა უნდა, ზეპრამ თავის ზოლებზე ჰკითხა.

— ეს არ არის მთავარი, შვილო, — მიუგო კუმ.

— აბა, როგორ?

— მთავარია, რომ კეთილი ხარ.

— მართლა, რატომ ვარ კეთილი? — გაუკვირდა პატარა ზეპრას, — მხიარულმა ჩიტმა და ფილოსოფოსმა დათვმაც მითხრეს, რომ ვუყვარვარ.

— აბა, როგორ? — გამოაჯავრა თბილად, — ხომ გახსოვს, რატომ ხარ კეთილი.

— რატომ?

— არ გახსოვს? მხიარულმა ჩიტმა საშობაო საკენე დაკარგა, შენ კი ნამცხვარი აჩუქე.

— იფ, რა გემრიელი იყო. — ნერწყვი მოადგა პატარა ზეპრას.

— ფილოსოფოსი დათვიც შობა ღამეს ვერ ილვიძებდა და შენ გააღვიძე.

— ჰმ, გაუხარდა და იმდენი თაფლი მაჭამა... როგორ არ მახსოვდა, — დაიმორცხვა პატარა ზეპრამ, სირცხვილისაგან ისე გაწილდა, რომ ზოლებიც აღარ უჩანდა.

— თქვენ რა სიკეთე გაგიკეთეთ?

— მე არ მჭირდება შენი სიკეთე... აუცილებელი არ არის, ვინმემ სიკეთე გაგიკეთოს, რომ გიყვარდეს. ხომ ხედავ, არავის ველაპარაკებოდი და ხმა მარტო შენ გაგეცა, რადგან ყველაზე კეთილი ხარ.

— მართლა? ყველაზე კეთილი? — დაიბნა პატარა ზეპრა.

— ჰმ, შვილო. ნურაფერზე დარდობ. აიხედე მაღლა, როგორი თეთრი, ნათელი ცაა. მაღლე შობა გვესტუმრება და თოვლიც წამოვა, სხვანაირად თეთრი თოვლი.

— ეი, მართლა რა კარგია რომ სხვანაირი ვარ... — გაიხარა პატარა ზეპრამ.

ამ დროს გამეღვიძა. მომეჩვენა, რომ ასეთ ბედნიერს არასოდეს გამღვიძებია. თითქოს უფალი მესტუმრა სიზმრად; ამ სხვანაირი კეთილი ზეპრის სახით. ფანჯარაში გავიხედე — უკვე თენდებოდა. გარეთ სხვანაირი სითეთრით თოვდა.



## თეთრი მარტორქა

- იცი, პაპა, როგორი ცუდი სიზმარი ვნახე.
  - რა დაგესიზმრა – დევი?
  - არა.
  - გველეშაპი?
  - არა, აბა, თუ გამოიცნობ?!
  - ოოო, უეჭველად გუდიან კაცს ნახავდი.
  - ვერ გამოიცანი.
  - აბა?
  - მარტორქა.
  - მერე რა მოხდა?!
  - როგორ რა მოხდა?! ვა, ძალიან ბოროტი მარტორქა იყო.
  - ცხოველები სულაც არ არიან ბოროტები.
    - ეს რო ძალიან ბოროტი იყო.
    - ოოო, მაინც როგორი?!
    - როგორი და შავი.
    - მერე, მერე?!
    - თანაც ერთი რქა ჰქონდა.
    - მარტორქაა და რამდენი ექნებოდა.
    - ვაა, ერთი, მაგრამ ძალიან დიდი, საშიში და წვეტიანი. ძროხას ორი აქვს და სულ არ მეშინა.
    - მერე ერთი რქის შეგეშინდა?!
    - მარტო რქის არა, იმ რქით მომდევ- და და თან ფერებს იცვლიდა.
    - ოოო, რა ფერის რქა ჰქონდა?!
    - ვაა, რქა კი არა, ფერებს მარტო თვითონ იცვლიდა.
    - აბა, შავი იყოო...
    - თავიდან შავი იყო, მერე გაყავის- ფრდა, მერე სისხლივით გაწითლდა და ისევ გაშავდა. თანაც, როგორც კი ისევ შავი გახდა... უკვე მეწეოდა.
    - მერე, მერე?!
    - უჹ, კიდევ კარგი, გამეღვიძა.
    - ოოო, – პაპას გულიანად გაეცინა.
- მოდი, კეთილი მარტორქა უნდა დაგიხა- ტო, თეთრი მარტორქა.

●

პაპამ ფანქარი აიღო და მარტორქა დამიხატა, რომელიც ფურცელზე თეთრი იყო.

რქაც თეთრი ჰქონდა, საშიში და წვე- ტინი კი არა. თვალები კეთილი, ძალიან კეთილი. იმ შავი მარტორქის თვალები სულ არ მახსოვს, ისე შემაშინა.

იღლის ნინ ფურცელი ბალიშის ქვეშ დავიდე და ტკბილად ჩამეძინა.

●

ზოოპარკში აღმოვჩნდი. მარტო ვი- ყავი, თან უკუნი ღამე იყო, საშინლად ბნელოდა. ცხოველებს ეძინათ. ზო- გი თვლემდა, ზოგი ფშვინავდა, ზოგიც ხვრინავდა. მგონი, ადამიანებსაც ეძინათ. ცოტა შემეშინდა. ერთი-ორჯერ დავიძა- ხე, არ ვიცოდი, ვის ვეძახდი, მაგრამ მა- ინც. არავის გაუღვიძია, არც ხმა გაუცია. უეცრად ტირილი მომინდა – კი არ შემე- შინდა, მოვიწყინე, დავლონდი.

– აქა ვარ, ბიჭუნა! – მომესმა ძახილი. ხმა თოთქოს მეცნობოდა, მაგრამ საიდან? ვერაფრით ვხვდებოდი.

იქნებ, მომეჩვენა. დაბნეული აქეთ- იქით ვიყურებოდი. უცებ შევამჩნიე, რომ სიბნელეში რაღაც ანათებდა. თეთრად და შორიდან. შორი, თეთრი სინათლისა- კენ ფრთხილი ნაპიჯით დავიძარი.

– მოდი, კეთილო ბიჭუნავ, თამამად, ნუ გეშინა!

●

გალიაში თეთრი მარტორქა დამხვდა.

- ვა, შენ ის მარტორქა არ ხარ?!
- მაინც რომელი?!
- როგორ რომელი?! პაპამ რო დამი- ხატა.

– ოოო, აბა, ვინ გეგონე?!

– მერე, რატომ არ მეღაპარაკებოდი?!

– ფურცლიდან როგორ დაგლაპარაკე- ბოდი?!

- გალიიდან რო მელაპარაკები?!
- აქ შენთან შესახვედრად მოვედი.
- ვა, გალიაში რატომ?!
- ოოო, ვიცოდი, გიყვარს ზოოპარკი.
- ვა, საიდან იცი?! ძალიან მიყვარს.
- შეგიძლია, კარი გამიღო?!
- მოიცა, მოიცა...

•

თენდებოდა, მზე ნელა, ზანტი სიმ-სუბუქით ამოდიოდა. ჩვენც არსად ვჩქა-რობდით და გარიურაჟის სხივებისკენ მივსეირნობდით.

ალბათ, უკვე იღვიძებდნენ ცხოვე-ლებიც და ადამიანებიც...

- და სხვა ცხოველები?!
- რომელი ცხოველები?!
- ვა, ზოოპარკში რომ დავტოვეთ.
- ოოო, — გაიცინა თეთრმა მარტორ-ქამ.
- ნეტავ, ისინიც წამოგვეყვანა?!
- მერე, ზოოპარკში სიარული აღარ გინდა?!
- როგორ არ მინდა?!
- სიარულიც გინდა და წამოყვანაც?!

- ვაა, რატომ, რა უჭირს?!
- რომ არ ლაპარაკობენ?!
- ვასწავლი.
- ოოო, კარგია. იქნებ, გათეთრებაც შეგიძლია.
- ისე ვერ წამოვლენ?
- ოოო, ისე ვერა.
- პაპას რომ ვთხოვო?!
- რა უნდა სთხოვო?! — მკითხა თეთ-რმა მარტორქამ.
- რა და, შენსავით, ყველა ზოოპარკის ცხოველი თეთრად დამისატოს.
- მაშინ შეიძლება.
- ზოოპარკში ვინდა დარჩება?!
- აპა, გამოიცანი?!
- თეთრი დათვი?!
- ეგ ხო ისედაც თეთრია.
- ვა, ჰოდა, პაპა როგორლა გაათეთ-რებს?!
- გაათეთრებს, გაათეთრებს, უფრო თეთრს დახატავს.
- და ყველას წამოვიყვანთ?!
- აუცილებლად, კეთილო ბიჭუნა. დრო მოვა და ყველას.





## ანონს გარემო

### ცნობილი აარქალული წიგნები

ნამდვილი ღირებულების მქონე მხატვრულ ნაწარმოებს ყოველთვის უკიდურესად თავისუფალი აზროვნება წარმოშობს. ეს თავისუფლება მეტნილად ვერ თავსდება ხოლმე სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში. ასე იყო ოდითგან და ასეა დღესაც. ამიტომაც არსებობდა და არსებობს ცენზურა. თუკი ლიტერატურის ისტორიას ცენზურული შეზღუდვების კუთხით გადავავლებთ თვალს, საინტერესო სურათი გადაგვეშლება.

იოპან ვოლფგანგ ფონ გოეთეს ეპისტოლარული რომანი „აალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ არნახულად პოპულარული გახდა. ოცდახუთი წლის ავტორმა სახელი მოიხვეჭა, ნაწარმოები კი XVIII საუკუნის მთავარ ლიტერატურულ სენსაციად იქცა. ამ რომანმა მთელი ევროპის აალგაზრდობა შეძრა და ააფორიაქა.

ვერტერისა და ლოტეს ურთიერთობა გოეთეს ბიოგრაფიულ ფაქტებს უკავშირდება. თომას მანს ეკუთვნის რომანი „ლოტე ვაიმარში“, სადაც დიდი გერმანელი მწერლის ბიოგრაფია მხატვრულად გაშლილი და განზოგადებულია. აქ არის მოყვანილი გოეთეს ცხოვრების ის მონაკვეთიც, რომელიც ლოტეს ეძღვნება. თომას მანი წერს: „ვერტერში“ აღიბეჭდა გოეთეს დიდი ნიჭიერება, ამ წიგნის უკიდურესმა ემოციურმა მგრძნობელობამ

აღფრთოვანების ქარიშხალი გამოიწვია, ყველა საზღვარი გადალახა და მთელი ქვეყნიერება გააპრუა“.

გოეთემ მთელი თაობის მრნამსი გამოხატა. მან უფროისი თაობის რაციონალიზმის და მორალური დიდაქტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა. ეს ნაწარმოები იმ ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო, რომელსაც მოგვიანებით აღსარებით უწოდეს.

ვერტერის თვითმევლელობას გერმანელ და ფრანგ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს შორის მიმბაძველები გამოუჩინდნენ. კრიტიკოსები თავს დაესხნენ მზერალს, ისინი გმობდნენ ავადმყოფური მგრძნობელობის გალვივებას და დამანგრეველზეგავლენას. ლაიფციგის თეოლოგის ფაკულტეტმა გაავრცელა თავისი მოწოდება, სადაც მოითხოვდა ნაწარმოების აკრძალვას იმ მოტივით, რომ თვითმკვლელობის პროპაგანდას ყოველი დრო და ეპოქა ეწინააღმდეგებოდა. დანიაში აიკრძალა ამ წიგნის თარგმანი, რადგან სახელმწიფო რელიგია, ლუთერანული დოქტრინა უპირისპირდებოდა თვითმკვლელობას.

თავის მემუარებში კი გოეთე წერდა: „მე სინამდვილე პოეზიად ვაქციე, რამაც თავისუფლება და შვება მომანიჭა, ჩემი მეგობრები კი მიიჩნევდნენ და ალბათ

არასწორად ფიქრობდნენ, რომ პოეზია უნდა ვაქციოთ სინამდვილედ, ცხოვრებაში უნდა გავითამაშოთ ეს რომანი და ბოლოს თავი მოვიყლათ.“ უკანასკნელად, 1939 წელს „ვერტერი“ აკრძალა ესპანელმა დიეტატორმა ფრანსისკო ფრანკომ.

ყველას გვახსოვს სტენდალის შესანიშნავი რომანი „წითელი და შავი“, რომელიც ქართულად გერონტი ქიქოძემ თარგმნა. არაერთხელ აღნიშნულია, რომ ეს თარგმანი ესთეტიკური ღირებულების მქონეა და ზედმინევნით კარგად გადმოსცემს დედნის უღერადობას.

მდაბიო წარმოშობის ნიჭიერი ჭაბუკი უულიენ სორელი თავდავინუყბით ცდილობს სოციალური სტატუსის მოპოვებას. წაპოლეონის დროს სამხედრო სამსახურის გზით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა. ბურბონების ეპოქაში კი კათოლიკური ეკლესია იქცა ახალ ასპარეზად. უულიენიც სწორედ ამ გზას დაადგა, თუმცა ეს გზა იოლი არ გახლდათ, ვინაიდან სემინარიაში მოსახურებად ლათინურის და თეოლოგიის შესწავლა იყო საჭირო. უულიენსაც ცდა არ დაუკლია და ქალაქ ვარიერის მდიდარი მერის ბატონ დე რენალის ოჯახში მოეწყო გუვერნიორად.

უულიენი ქალაქის მერის მეუღლესთან სასიყვარულო ურთიერთობას ხლართავს. მას შემდეგ კი, რაც ანინიმური წერილის მეშვეობით ამ ფარულ კავშირს აეხდება ფარდა, ჭაბუკი ტოვებს ოჯახს და ბეზანსონის სემინარიაში განაგრძობს სწავლას. საეკლესიო გარემოცვა ფარისევლობის და უნიჭობის ბუდეა. ახალგაზრდა სემინარისტების სწრაფვას უფრო ეკონომიური საფუძველი აქვს, ვიდრე სულიერი და ინტელექტუალური.

სემინარის შემდეგ უულიენ სორელი პარიზში განაგრძობს მოლვანეობას. ის თავად მარკიზ დე ლა მოლის პირადი მდივანი ხდება. ცხადია, მხოლოდ ამას არ დასჯერდება და მარკიზის ქალიშვილთან, მატილდასთან გააჩადებს რომანს. მატილდა დაფეხმიდება და მარკიზი იძულებულია დათანხმდეს მათ ქორწინე-

ბას. უულიენს განაღდებული აქვს ტიტულიც, ქონებაც და შემოსავალიც. მაგრამ სწორედ ამ დროს მარკიზი იღებს ქალბატონ დე რენალის მამხილებელ წერილს, სადაც უულიენის ისტორიაა მოთხრობილი. მარკიზი წყვეტის ქორწინებას. შურისძიების უინით შეპყრობილი უულიენი ეკლესიაში სასიკვდილოდ იმეტებს ქალბატონ დე რენალს – ესვრის მას.

უულიენს უმკაცრესი განაჩენი გამოუტანეს და მას გილიოტინაზე სიკვდილი ლოდება. „სიმართლე რომ ვთქვათ, – ფიქრობს უულიენი – ქრისტიანული ღმერთი დამთრგუნველია, მე თუ იმქვეყნად შევხვდები მას, ის მე დამთრგუნავს, გამანადგურებს.“

სტენდალს უთქვამს, ჩემი მკითხველების რიცხვი მცირე იქნება და აღიარება კი სიკვდილიდან ორმოცდათი წლის შემდეგ თუ მეღირსებაო. მისი წინასწარმეტყველება უტყუარი გამოდგა. მწერლის სიცოცხლეში რომანი „წითელი და შავი“ ხოლოდ ერთხელ გამოიცა. ეს წიგნი აკრძალა კათოლიკურმა ეკლესიამ მისი ანტიკლერიკალური შინაარსის გამო.

ჩარლზ დიკენსის რომანში „ოლივერ ტვილტი“ არის ერთი პერსონაჟი – ფეჯინი – რომელიც არაერთხელ მოიხსენიება, როგორც „ებრაელი“. IX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში არსებობდა გარკვეული შაბლონი, რომელიც ებრაელებისადმი დამოკიდებულებაში მუღავნდებოდა და მათ ხასიათს ქმნიდა. „ოლივერშიც“ მსგავსმა შაბლონმა იჩინა თავი. ფეჯინის ჟღალი თმა და წვერი ეშმაკის ადრეულ გამოსახულებებთან ასოცირდებოდა. ვინ არის ფეჯინი? ეს არის თაღლითი, რომელსაც კაუჭის მსგავსი ცხვირი აქვს, გრძელი სერთუეი აცვია და ფართოფარფლებიანი ქუდი ახურავს. 1830 წელს ლონდონში ებრაელებს ეკრძალებოდათ მაღაზიებს ფლობა, ადვოკატებად მუშაობა, საუნივერსიტეტო ხარისხის მიღება და პარლამენტარობა. მათი მოღვაწეობის სფერო უაღრესად ვიწრო იყო, ამიტომაც ინგლისელი ებრაელები, რო-

მელთა რიცხვი 20 ათასიდან 30 ათასამ-დე აღწევდა, ცხოვრების სარჩოს ძველი ტანსაცმლის გაყიდვით და მევაბშეობით მოიპოვებდნენ. 1830 წელს მოეწყო ეპრა-ელი შემსყიდველის აიკი სოლომონსონის სასამართლო. ეს ბრალდებული ფეჯინის მსგავსად შეისყიდიდა მოპარულ ძვირფა-სეულობას, ტანსაცმელს და ქსოვილებს. სასამართლო პროცესმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფეჯინის სახის შექმნი-სას.

დროთა მანძილზე ინგლისში ეპრა-ელთა მდგომარეობა შეიცვალა ან, უკეთ რომ ვთქვათ, გაუმჯობესდა. ამისდა კვა-ლად დიკენსმაც შეცვალა თავისი პერ-სონაჟი, მაგრამ ფეჯინი მაინც ფეჯინად დარჩა. 1949 წელს ბრუკლინელმა ეპრა-ელმა პროტესტი გამოთქვეს საშუალო სკოლაში „ოლივერ ტევისტის“ სწავლების გამო. მათ აღძრეს სარჩელი განათლების სამმართველოს წინააღმდეგ. მათი პრო-ტევისტის მიზეზი დიკენსისეული პერსონა-ჟი ფეჯინი და შექსპირისეული შაილოკი გახლდათ. ბრუკლინელი ეპრაელები ფიქ-რობდნენ, რომ ეს პერსონაჟები წაციონა-ლურ სიძულვილს აღვივებდნენ. სასამარ-თლომ მათი სარჩელი გააუქმა, ვინაიდან ამ წიგნების აკრძალვისთვის სათანადო მტკიცებულება არ არსებობდა.

ცენზურა მისაიღ ლერმონტოვის „დე-მონსაც“ შეეხო. გენიალური რუსი პოეტი პირველივე პუბლიკაციიდან პოლიტიკუ-რად არასაიმედოდ იქნა მიჩნეული. მისი ცნობილი ლექსი „პოეტის სიკვდილზე“ რევოლუციურ მონოდებად აღიქვეს მე-ფის რუსეთის დიდმოხელეებმა.

პოემა „დემონი“ ლერმონტოვის სი-ცოცხლეში არ დაბეჭდილა. პირველად ამ პოემის გამოქვეყნება სცადა ა. კრაევსკიმ თავის ლიტერატურულ უურნალში, მაგ-რამ ნაწარმოების ნაცვლად გამოქვეყნდა ამგვარი ინფორმაცია: „დემონი“ არ ქვეყ-ნდება რედაქციისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“. მოგვიანებით კრაევ-სკის მცდელობას ცნობილი კრიტიკოსი ბელინსკიც შეუერთდა. ისინი ერთობ-

ლივად ცდილობდნენ ამ პოემის გამოქ-ვეყნებას. ამ მცდელობამ შედეგი გამო-ილო. ნაწყვეტები პოემიდან გამოქვეყნდა უსათაუროდ და მკითხველის გამოხმა-ურებაც გამოიწვია. „დემონის“ პირვე-ლი სრული ვარიანტი გამოქვეყნდა 1856 წელს კარლსრუეში. ამას მოჰყვა კვლავ საზღვარგარეთული პუბლიკაციები ბა-დენსა და ბერლინში.

ალექსანდრ გრიბოედოვის პიესა „ვაი ჭკუისაგან“ გამოქვეყნებისთანავე სამ-თავრობო წრეებმა პოლიტიკურ სატირად მიიჩნიეს. ასეთმა ვერდიქტმა, რასაკვირ-ველია, ცენზურაზეც მოახდინა გავლენა. ცენზორების შიში ძნელი ასახსნელი არ იყო: მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი თავადი გოლიცინი ამბობდა, გრიბოე-დოვმა მთელ მოსკოვზე დაწერა პასკვი-ლიო. 1826 წელს პიესის ავტორი დეკაბ-რისტების საქმის გამო დააპატიმრეს. ამან კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება. დაპატიმრებული გრიბოედოვი უარყოფ-და დეკაბრისტებთან თანამშრომლობას. მწერალი გამომძიებელს მიუთითებდა თავის ერთ-ერთ პერსონაჟზე. მართლაც პიესაში გამოყვანილი იყო ერთი საცოდა-ვი და სასაცილო „შეთქმული“ პერსონა-ჟი, გვარად რეპეტილოვი. გრიბოედოვი ოთხთვიანი პატიმრობის შემდეგ გაათა-ვისუფლეს, თუმცა ამით ამ ბრწყინვალე ნაწარმოების ხვედრი ოდნავადაც არ შემ-სუბჟექტულა. საბოლოოდ კი გრიბოე-დოვმა ისე დაასრულა თავისი სიცოცხლე, რომ „ვაი ჭკუისაგან“ არც გამოქვეყნებუ-ლი უნახავს და არც სცენაზე დადგმული. ესეც ბედის ირონიაა.

ჯორჯ ორუელის „1984“ ანტიტოტა-ლიტარული რომანია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტურმა იდეებმა დაიპყრო საბჭოთა კავშირი და აღმოსავ-ლეთ ევროპა. გაჩნდა შიში იმისა, რომ ტოტალიტარული სისტემა აშშ-ის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მონა-პოვარს ზიანს მიაყენებდა. ჯორჯ ორუ-ელის რომანი, რომელიც პირველად 1949 წელს გამოქვეყნდა, სწორედ უკიდურესი

ტოტალიტარიზმის წინასწარი განჭვრეტა გახლდათ, ამიტომაც ეწოდა მას „1984“. უნდა ითქვას, რომ ორუელმა ტოტალიტარული სახელმწიფოს ნიშნები ზედმი-ნევნით ზუსტად წარმოაჩინა. ამგვარი რეალობა უკვე არსებობდა და ამ რეალობის გათვალისწინება მწერალს არ გასჭირებია, თუმცა ამავე დროს ორუელმა ძლიერი წარმოსახვის მეშვეობით მომავალი განჭვრიტა და უკვე არსებული ნიშნების უკიდურესობამდე გამდაფრება შეძლო. პიროვნების სრული ნიველირება, მასაში გათქვეფა, ძალადობა, ცრუინფორმაციის პროპაგანდა, საზოგადოების ჩაკეტილ სივრცეში მოქცევა, შიში და ძრნოლა ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე – ყოველივე ეს კონკრეტული პერსონაჟების ხასიათების და სიუჟეტური განვითარების საშუალებით გადმოსცა.

ეს წარმოები საბჭოთა კავშირში და სხვა ტოტალიტარულ ქვეყნებში იმთავითვე იკრძალებოდა. მოგვიანო პერიოდში „1984“ ამერიკის შეერთებულ შტატების საჯარო სკოლებში აიკრძალა, როგორც მოზარდებისთვის არასასურველი ლიტერატურა. დღესდღეობით ეს წიგნი XX საუკუნის მსოფლიო კლასიკად არის ქცეული.

XX საუკუნის აკრძალულ წიგნებზე როცა არის საუბარი, არ შეიძლება დავივიწყოთ ბორის პასტერნაკის „დოქტორ შივაგო“. ეს მწერლის პირველი და უკანასკნელი რომანია, რომელმაც არამხოლოდ მსოფლიო სახელი მოუქვეჭა მას, არამედ ნობელის პრემიაც არგუნა. ბორის პასტერნაკი ლირიკოსი პოეტი იყო, წერდა მოთხოვნებს და ესეებს, თარგმნიდა სხვადასხვა ევროპული ქვეყნების ლიტერატურას. „დოქტორ შივაგო“ შექმნა საზოგადოებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, ვინაიდან ის მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ამ რომან-ეპოპეაზე. ფაქტობრივად მან მთელი თავისი ცხოვრებისეული ცოდნა და გამოცდილება ჩადო ამ წიგნში. ექმი შივაგო არის რომანის მთავარი გმირი და წარმოები

მის ბედისწერაზე მოგვითხრობს. რომანი რუსეთის ისტორიის კატაკლიზმებით აღსავს პერიოდს მოიცავს – XX საუკუნის დასაწყისი, 1917 წლის რევოლუცია, სამოქალაქო ომი, 1930-იანი წლების ტერორი. ეპილოგში უივაგოს სიკვდილის შემდეგ მოქმედება მეორე მსოფლიო ომის ფონზე ვითარდება. ეპილოგი შეჯამებაა წარსულისა და განჭვრეტა მომავლის.

სტალინის ეპოქის დამთავრებისთანავე საბჭოთა ცენზურა შესუსტდა. 1953 წელს პასტერნაკი განაცრძობს რომანის წერას. რეპრესიების წლებში მწერალი დუმდა, თარგმანებით გადიოდა ფონს. მან თარგმნა გოეთეს „ფაუსტი“, შექსპირის მთავარი პიესები, კლასისტის დრამატურგია, დასავლური ლირიკა. ეს თარგმანები უმაღლეს პროფესიულ დონეზეა შესრულებული.

ახლა უშუალოდ „დოქტორ შივაგოს“ ისტორია. რომანი დამთავრებისთანავე ბორის პასტერნაკმა ე. წ. „გოსიზდატ-ში“ („სახელგამი“) გაგზავნა. მოსკოვის ამ გამომცემლობისგან ავტორმა დადებითი პასუხი მიიღო, რაც იმას ნიშნავდა, რომ წარმოები გარკვეული ხნის შემდეგ გამოიცემოდა. ამით გულდაჯერებულმა მწერალმა ვრცელი ასლი იტალიელ გამოცემელ ჯანჯაკომო ფელტრინელის გადაუგზავნა და აი, ამის შემდეგ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: „გოსიზდატმა“ აკრძალა წიგნის გამოცემა იმ მიზეზით, რომ წარმოებში ბოლშევიკური რევოლუცია წაჩინები იყო, როგორც სასტიკი დანაშაული. ხელისუფლების სახელით გარკვეული წრის ჩინოვნიკებმა პასტერნაკისგან მოითხოვეს იტალიაში გაგზავნილი დენდის ასლის უკან დაბრუნება. ჯანჯაკომო ფელტრინელი დედანი უკან აღარ დააბრუნა. წიგნი გამოიცა იტალიაში ორ ტომად და აქედან დაიწყო პორის პასტერნაკის სახელის აღზევებაც და მწერლის მორალურთან ერთად ფიზიკური განადგურებაც. ჯერ ნობელის პრემიაზე ათქმევინეს უარი, მერე მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, შემდეგ კი

ისეთი გარემოცვა შეუქმნეს, რომ ფაქტობრივად მომაკვდინებელი მარტოობა დაეუფლა. „დოქტორ ჯივაგო“ მხოლოდ „პერესტროიკის“ პერიოდში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირში.

1940 წელს უურნალ „ლენინგრადის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ანა ახმატოვას ლექსები. პოეტს მანამდე თხუთმეტი წლის განმავლობაში ერთი ლექსიც კი არ დაუბეჭდავს. სტალინის გამონათქვამიც კი გავრცელდა, რატომ აღარსად ჩანს ანა ახმატოვაო.

უურნალში გაკეთებულ პუბლიკაციას მალე პოეტის წიგნიც მოჰყვა. ახმატოვას, ლიდია ჩუკოვსკაიას სიტყვით, ძალზე აწუხებდა ის გარემოება, რომ წიგნში ვერ ჩართო პოემა „რეკვიემი“. ეს პოემა პოეტის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, მხოლოდ „პერესტროიკის“ პერიოდში გამოქვეყნდა. პოემა ფაქტობრივად გოდებაა დაკარგული ქმრის და დაპატიმრებული ვაჟიშვილის გამო. ახმატოვას წიგნები ლენინგრადის მწერალთა ფარდულში განათვეს. როგორც ამბობენ, სამასი ცალი მწერლებს დაურიგეს, გასაყიდად კი საერთოდ არ გამოუტანიათ.

ამ პერიოდში უდანოვმა ერთ-ერთი პარტიული მუშაკის მოხსენებითი ბარათი მიიღო, სადაც ასეთი ვითარება იყო აღნერილი: „ამ წიგნში რევოლუციურ და საბჭოთა თემაზე დაწერილი ლექსები არ იძოვება. ახმატოვას ლექსურ ნაგავს ორი წყარო წარმოშობს: ღმერთი და „თავისუფალი“ სიყვარული. „მხატვრულ“ სახეებს სამისოდ პოეტი საეკლესიო ლიტერატურაში ეძიებს. აუცილებელია გავრცელების პუნქტიდან ამ ლექსების ამოღება“.

ა. უდანოვი სასტიკ რისხვას აფრქვევდა: „როგორ იხილა ამ წიგნმა დღის შუქი? ვინ წამონია წინა პლანზე? როგორია „მთავლიტის“ პოზიცია?

ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად, „ახმატოვას წიგნის გამო“ მეცნიერი საყვედური გამოეც-

ხადა გამომცემლობას და „მთავლიტს“. ეს ლექსები მოხსენიებულია, როგორც „რელიგიურ-მისტიკური“. უდანოვისეული რეზოლუციის შემდეგ წიგნის ტირაჟი გაერთა.

ჯონ სტეინბეკის ცნობილი რომანი „მრისხანების მტევნები“ მუდმივად იკრძალებოდა, თავიდანვე ასეთი ბედი დაპყვა. არადა, რაც უფრო მატულობდა აკრძალვის სიხშირე, მით უფრო მეტ სახელს იხვეჭდა წიგნი. ეს რომანი იმთავითვე ბესტსელერად იქცა. წიგნის დაწვის ბრძანება რომ გაიცა ისტ-სენტ ლუისში, მაშინ 11340 ეგზიმპლიარი გაიყიდა. მცირე ხნის შემდეგ სარეკორდო რაოდენობა გასაღდა – 430 ათასი ცალი.

წიგნზე თავდასხმა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გრძელდებოდა. კანზასის შტატში ოცი საჯარო ბიბლიოთეკიდან ამოიღეს რომანი. მიზეზი ასე გამოითქმოდა: მკითხველის შეურაცხყოფა, უხამსობა, „ცხოვრების ტლანქი გამოსახვა“, ქალების აბურად აგდება, მათი ლირსების შელახვა. ნიუ-იორკის შტატში, ბუფალოში ბიბლიოთეკების ქსელის უფროსმა უარი განაცხადა ამ წიგნის შეძენაზე ნაწარმოების „ვულგარულობის“ გამო. ილინოისის შტატში, ისტ-სენ – ლუისში ბიბლიოთეკის საბჭოს წევრებმა ჯერ წიგნების დაწვა გადაწყვეტილებამ ხალხში ფორიაქი გამოიწვია, ეს ნაწარმოები „უფროსებისთვის განკუთვნილი“ წიგნების თაროზე შემოდეს. ესეც ერთ-ერთი ნაცადი ხერხი იყო რომელიმე წიგნის განრიდებისა.

აკრძალული წიგნების განხილვა არა მგონია ერთ საუურნალო წერილში მოთავსდეს. ყოველივე ამას უფრო ვრცელი პუბლიკაცია უნდა მიეძღვნას. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით იკრძალებოდა წიგნები, მაგრამ ამ წიგნების მაღალმხატვრულობა ძლევდა დროისა და სივრცის ვიწრო ჯებირებს და მარადისობაში გადაჰქონდა თავისი სათქმელი...

## თავის ლოტენბორი



### ალდორონის სიმღერები

**მთარგმნელისაგან:**

„Le comte de Lautreamont“ – დედანში ასეა. მე ჯერჯერობით – „თავადი ლოტრეამონი“ – ქართული თარგმანის ამ ვარიანტზე ვარ შეჩერებული, თუმცა იმასაც ვფიქრობ, ცხადა, რომ უფრო სწორი „თავადი ლოტრეამონისა“ ან „ლოტრეამონის თავადი“ შეიძლება იყოს; ან, იქნებ, მთავარიც – „მთავარი ლოტრეამონის“ ან „ლოტრეამონის მთავარი“... არ ვიცი, ვნახოთ. გაუკვეველია ამ სიტყვის – „ლოტრეამონი“ – მნიშვნელობაც, „ლატრეამონი“ – (და არა „ლოტრეამონი“) – სათაურია ეჟენ სიუს ერთი რომანისა და ნაწილი მკვლევრებისა ფიქრობს, რომ იქიდანაც შეიძლება იყოს ნასესხები ეს ფსევდონიმი, შეიძლება სიტყვის თამაშიც იყოს და ავტორის მშობლიური კუთხის, ურუგვაის, ნოსტალგია იყითხებოდეს ამ სახელშიო, ფიქრობენ სხვები (– „სხვა არის მონტე“ – ასე კითხულობენ ამ სიტყვას, ანუ მონტევიდეო მაინც სულ სხვა არისო ვითომ) – და, ცხადია, არცთუ უსაფუძვლოდ, მაგრამ რუსულად, მაგალითად, – გრაფიო, გრაფი ლოტრეამონიო – ასეა თარგმნილი. გრაფია, მოგეხსენებათ, მონტე-კრისტოც – (ქართულადაც ასეა თარგმნილი) – და არ არის, მე ვფიქრობ, მთლად ხელალებით უგულებელსაყოფი აქ არც ეს სიტყვა – „გრაფი“ – და არც ეს ერთი შეხედვით უცნაური დაკავშირება ამ ორი გრაფისა ერთიმეორესთან, მით უფრო, რომ „ლ-ოტრ“ ფრანგულად სხვას, ანუ მეორეს ნიშნავს და მერე ამას აქაც – „მონ“ – ეს სიტყვა მოსდევს, რაც მთას ნიშნავს ფრანგულად (და ესპანურადაც – „მონტე“)

– ანუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვა (მეორე) მთის თავადზე, ან გრაფზეა ლაპარაკი და ეს წიგნიც სწორედ იმ მეორე, ანუ სხვა თავადს – გინდა გრაფს – ეკუთვნის. მეშინა, მეტისმეტი არ მომივიდეს და ამჯერად ამიტომ აქ ამ მონტე-კრისტოს „ქრისტოს“ თაობაზე არას ვამბობ, მაგრამ აი „Maldoror“-ს – ამ სახელს – რაც შეეხება, სრულიად ნათელია, რომ პირველი ნაწილი ამ სიტყვისა „Mal“ სიავეს, ანუ ბოროტებას ნიშნავს ფრანგულად (შეადრეთ ბოდლერის „Les fleurs du mal“, ანუ „ბოროტების ყვავილები“) და ამაზე ყველა თანხმდება, მაგრამ რატომ „დორონ“? გამოთქმულია ვარაუდი, თითქოს აქ შიში უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ შიში „ორორ“ ინგლისურად არის და არა ფრანგულად, – ფრანგულად „ორერ“ არის შიში. მარჩიელობენ, ერთი სიტყვით, ასე მკვლევრები და მეც, ან უკვე ვითარცა მთარგმნელი ამ თხზულებისა, თავს უფლებას ვაძლევ ამიტომ, ის შემოგთავაზოთ, რასაც მე ვფიქრობ. ეს „დორონ“, ჩემი აზრით, შეიძლება სულაც ამ თავადი ლოტრეამონის ნამდვილ სახელსაც – ისიდორს – უკავშირდებოდეს: „ისის“ ნაცვლად „მალ“ + „დ-ორ“ და მერე ისევ ეს „დ-ორ“, მაგრამ უკვე გაორმაგებული, ანუ „დორონ“, – რატომ გაორმაგებული და შეიძლება სულაც იმიტომ, რომ „ორ“ ფრანგულად ოქროს ნიშნავს, „ორორ“ კი განთიადს, ანუ – უფრო გასაგები რომ იყოს – „ავრორას“...

უცნაური, ძალიან უცნაური წიგნია ეს „მალდორონის სიმღერები“, ახალგაზრდო-

ბიდანვე მიზიდავს და სახტად მტოვებს. რამდენჯერაც დავაპირე თარგმნა, იმდენჯერ გადავიფიქრე. არც იყო, კაცმა რომ თქვას, ჩემს ახალგაზრდობაში არავინ ამისი დამბეჭდავი ჩვენში და აი ახლა, აგერ, ამ ხანდაზმულობის უამს წამიცდა ბოლოს და ბოლოს მაინც ხელი. კიდევ უფრო უცნაურად აღიქმებოდა, ცხადია, ეს წიგნი იმ დროს, როდესაც დაიწერა. ტექსტში გაბნეული მრავალრიცხვანი ლიტერატურული, ფილოსოფიური, მეცნიერული, ბიბლიური თუ ბიბლიოლოგიური რემინისცენციული ხასიათის ალუზიები თუ წიაღსვლები (ზოგჯერ პირდაპირი ციტატებიც კი – სწორად თუ არასწორად უბრჭყალებოდ მოხმობილი) – საგონებელში აგდებს მკითხელს და საამისოდაც არის, ცხადია, ჩაფიქრებული. სათანადო კომენტარებს მოითხოვს, რა თქმა უნდა, ესე ყოველი, რასაც, ამ თხზულების თარგმანს რომ დავასრულებ, (თუ დავასრულე, ანუ ასაკმა თუ ინება ჩემმა და დამასრულებინა) – და მერე ცალკე წიგნადაც თუ გამოვეცი, აუცილებლად დავურთავ შეძლებისდაგვარად ამომწურავს. ამჯერად კი მე აქ მხოლოდ ერთი – პირველი – სიმღერის თარგმანს გთავაზობთ ამ „მალდორორის სიმღერებისას“ – სულ ექვსია...

ისიდორ დიუკასი, ანუ იგივე ეს „თავადი ლოტრეამონი“ – (ამ „მალდორორის სიმღერებისა“ და კიდევ „პოეზიების“ ორი წიგნის ავტორი) – მონტევიდეოში დაიბადა 1846 წელს და 1870 წელს 24 წლის ასაკში გარდაიცვალა პარიზში, სავარაუდოდ – (დანამდვილებით ვერც ამას ვერ ამბობენ) – ჭლექით. მამამისი, ფრანსუა დიუკასი, საფრანგეთის გენერალური საკონსულოს ნდობით აღჭურვილი კანცლერი იყო მონტევიდეოში, დედა – უკეტ დავაზაკი – გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა 1847 წელს, სავარაუდოდ (ისევ და ისევ სავარაუდოდ), თავი მოიკლა. ბავშვობა ამ ისიდორმა ურუგვაიში გაატარო. მერე სწავლობდა საფრანგეთში, ჯერ ლიცეუმში და მერე პოლიტექნიკურ სკოლაში, პირველი ცდები „მალდორორის სიმღერების“ გამოქვეყნებისა – (იმხანად ჯერ მარტო პირველი სიმღერისა) უშედეგოდ დასრულდა, მერე ორმა გამომცემელმა ერთდროულად დაბეჭდა, მაგრამ არავითარი გამოხმაურება ამას არ მოჰყოლია. იმოგზაურა ურუგვაიში და ბოლოს ისევ საფრანგეთს დაუბრუნდა. მის პარიზულ ბინაში იყო მარტო წიგნები, ერთი სანოლი და ერთი პიანინო, მუშაობდა დამით, დაწერილს ხმამალლა კითხუ-

ლობდა პიანინოს თანხლებით, პიანინოს ტაქტს აყოლებდა თითოეულ ფრაზას და რომ იტყვიან, ასე აგიუბდა მეზობლებს. დანამდვილებით სხვა ბევრი არაფერი არ არის ცნობილი მისი ამ ხანმოკლე პარიზული ცხოვრების თაობაზე; პო, კიდევ ყავას სვამდა თურმე უზომოდ და გამუდმებით. ამ წიგნის („მალდორორის სიმღერების“, ექვსივე სიმღერისა ერთად) – პირველმა გამომცემელმა წიგნის უკე გამზადებული ტირაჟის გავრცელებაზე მოულოდნელად უარი თქვა. – „იმიტომ, რომ პროკურორის შეეშინდა“, – ასეთ ჩანაწერს დატოვებს ამ ამბის თაობაზე თავად ავტორი. მოგვანებით ბელგიაში გამოიცა ეს წიგნი, მაინცადამანიცანც დიდი აღტაცებითა და კეთილგანწყობით არც იქ არ შეხვედრია არავინ და მალე დავიწყებასაც მიეცა, მაგრამ გამოხდა ხანი და ჩვენი „ცისფერყანწელების“ თაობის ფრანგი სიურრეალისტი პოეტები ერთ მშვენიერ დღეს ძველ ფოლიანტებში ქექვისას შემთხვევით სადღაც გადააწყდნენ იმ პირველ გამოცემას, დაინტერესდნენ, შეისწავლეს, აიტაცეს და ეს „თავადი ლოტრეამონი“ (გნებავთ, „ლოტრეამონის თავადი“) თავიანთ უშეუალო წინამორბედად და მასწავლებლად აღიარეს...

თავიანთ წინამორბედად აღიარებდნენ თავად ლოტრეამონს დადაისტებიც. დადაისტები ფუტურისტებს ემიჯნებოდნენ, რადგან ფუტურისტებმა „იმპრესიონიზმს ცეტრიდანული მოძრაობა აიძულეს და ისლა მოახერხეს, რომ ფოტოგრაფიულად აღებეჭდათ ეს სწრაფვა“; ემიჯნებოდნენ კუბიზმსაც, რაც მათი აზრით „რემბრანტისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი“ იყო და მეტი არაფერი; ფიქრობდნენ, რომ „ყველაზე დიდი მონაპოვარი შეიძლება სწორედ არაფრის კეთება იყოს“ და ზოგმა მათგანმა მოგვიანებით სწორედ ამ „სიურეალიზმში“ გადაინაცვლა და მას შეუერთდა. ჩვენში ეს არ მომხდარა, ჩვენ „სიურრეალისტები“ – ამ სახელით „წოდებულნი“ – არა გვყოლია, ჩვენში მერე, მოგეხსენებათ, სულ სხვა დრო დადგა და, შეიძლება ითქვას, რომ თავად იმ დრომ გადაინაცვლა სიურრეალიზმში, მაგრამ აი „დადა“ უკვე იყო ჩვენშიც და „დაიყეფა“ კიდეც ერთი დაყეფება. „პოეტის ყეფა“ სათაურია დადაისტური ლექსების იმ ერთადერთი კრებულისა, რომელიც იმ ხანად გამოიცა ჩვენში და რომლის გარეკანზეც ავტორის სწორედ კუბისტური პორტრეტია გამოსახული. ეგ არის, ხანმოკლე, ძალიან ხანმოკლე გა-

მოდგა გასული საუკუნის ოციანი წლების ეს ჩვენი ან უკვე მრავალგზის ქებული და განქიქებული „მოდერნზმი“ ეგრეთ წოდებული. ხანმოკლე და ამასთანავე, არსებოთად, ეროვნული – ზედმეტად ეროვნულიც კი. ბოდლერის „ბოროტების ყვავილებს“ ბესიკის „ბალში რგავდნენ“, მოგეხსენებათ, „ცისფერყანწელები“, – და არამარტო ისინი – ეროვნულები იყვნენ, არსებითად, ვთქვათ, იგივე ფიტურისტებიც, რომელთაც, რაღა თქმა უნდა, რომ მხარი ჰქონდათ ნაქცევი აქაც – მომავალი წინ ეგულებოდათ და ნარსული უკან. სამშობლო, ვითარცა ხატი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანს ხდიდა თვალსაწირს და მთელი ქვეყანა, ანუ სახატე აღარ აღიქმებოდა ამიტომ

მთლად ისე სათანადოდ. არადა, დატოვა მაინც ამ მრავალმხრივმა ძალისხმევამ თავისი კვალი ჩვენს მწერლობაში და არამარტო გალაკტიონისა და „ცისფერყანწელების“ შემოქმედებაში, და არამარტო ამ კონკრეტული თაობის ჩვენი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებაში, სხვათა „მათ უკან მომავალთა“ შემოქმედებაშიც დატოვა. კვლევა უნდა და იკვლევენ ამას ჩვენში, არის მეტ-ნაკლებად საინტერესო ნაშრომებიც ყოველივე ამის თაობაზე, – ძველიც და ახალიც. მე არა ვარ მკვლევარი და ამჯერად აქ მეტის თქმის უფლებას ვერ მივცემ ჩემს თავს, ისიც არ ვიცი, უნდა მეთქვათ არა ასე სახელდახელოდ ის, რაც ეს-ეს არის მოგახსენეთ...

## პირველი სიმღერა

•  
ეამებოდა ზეცას, მეყსეულად გათამა-მებული და მყისვე ამდენადვე გაბორო-ტებული მკითხველი შეუმცდარად რომ გაიკვლევდეს გზას ამ შავპნელი სტრი-ქონების კორიანტელში – ამ, ჯერაც ფეხ-დაუდგამ, გაუვალ ჭაობებსა და კლდოვანი ორწოხების ციცაბოებში – რადგან, მკაცრ ლოგიკას თუ არ მისდია და თავი-სივე უნდობლობის თანანადები ჭუუა არ იხმარა, ისე განიმსჭვალება ამ წიგნიდან აალებული სასიკვდილო ათინათების მი-მოქროლით, როგორც შაქარი იუდინთება წყლით. ყველას არ წაეკითხება ეს წიგნი, უხიფათოდ მხოლოდ ზოგიერთებმა შე-იძლება დაიგემოვნონ ეს მნარე ნაყოფი. ამიტომ – სულით მორცხვები ვინცა ხართ – გიჯობთ, ამთავითვე უკან დაიხიოთ, ვიდრე ამ გაუკვალავ ნიადაგზე დაადგამდეთ ფეხს, გიჯობთ, უკან გადადგათ ნაბიჯი – უკან და არა წინ! – ისევე როგორც ვაუიშვილი არიდებს თვალს აღტა-ცებულ მზერას თავისი დედისას, რომელიც მას აღემატება; ან კიდევ – როგორც თვალსაწირს დადევნებული შეცივნული წეროების გუნდი უკუიქცევა ზამთარში გულგახეთქილი და თავგზააბნეული, რადგან ვერ გაუგია, საიდან ამოვარდა

ასე უცებ ეს წარლვნის წინამორბედი ქარი. მენინავე წერო, რომელიც ყველაზე უფრო ხნიერია მათ შორის და ამიტომ წინ მიუძღვის გუნდს, თავს ძალას ატანს ამ დროს, როგორც ყველა ჭკუათმყოფელი პიროვნება იქმოდა, და, შესაბამისად, ნისკარტსაც ანკლაპუნებს მალიმალ უკ-მაყოფილების ნიშნად (არც მე არ ვიქნებოდი კმაყოფილი მის ადგილზე!), – მისი ბებერი კისერი კი – ბუმბულგაცლილი და წეროების სამი თაობის თანამედროვე – სულ უფრო და უფრო იძაგრება ამ დროს იმ საფრთხის მოლოდინში, რასაც სულ უფრო და უფრო მზარდი ღრუბელი უქადის. მრავალგზის გაიხედ-გამოიხედავს გარეირგვლივში, გამოცდილი თვალით დაზვერავს სივრცის ოთხივე მხარეს და პირველი (რადგან მას ეგების, კუდით უჩვენოს გზა სხვა წეროებს, რომელთაც ჭკუით აღემატება) სწორედ ის მისცემს ცას სტვირს, დაიყვირებს, საერთო მტერი რომ უკუაგდოს და რაღაცა გეომეტრიულ ფიგურას შემოხაზავს ჰაერში. ეს შეიძლება სამკუთხედიც იყოს, მაგრამ მესამე კუთხე არ გამოუჩნდება ამ უცნაური მძლევარი ფრინველის კამარას. ასე იქნება თუ ისე – ერთი კუთხიდან მიუდგება თუ მეორიდან – კაი გამოცდილი

კაპიტანივით მიიკვლევს ეს მეწინავე წეროც გზას თავისი ნავსაყუდელისაკენ იმ თავისი ფრთების სავსავით, ბელურისას რომ არაფრით არ აღემატება თითქოს. არ არის სულელი, სულ სხვა გზას ირჩევს – ფილოსოფიურსა და სწორს...

•

რაო, მკითხველო? ხომ არ გინდა, რომ ახლავე, ამთავთვე სიძულვილზე ჩამოგიგდო სიტყვა ამ თხზულებაში? მერედა, ვინ გითხრა, რომ არა, ვინ გითხრა, რომ სულ მალე სიამით არ აჭყლობინდები, როდესაც ამ აურაცხელ ბინიერებაში იმყოფ თავს, ვინ გითხრა, რომ შენ გემოზე არ შეისრუტავ ამ ბინიერებას შენივე მზვაობრობით გაფართოებული ხმელი ნესტოებით და ვეშაპივით დინჯად და ბატონკაცურად არ შეუშვერ მუცელს ამ საამურად მოჟამულ ჰაერს, ვერ შეიგრძნობ მნიშვნელობას იმისას, რასაც იქმ, ვერ ჩასწოდები მნიშვნელოვნებას შენივე ყოვლად კანონზომიერი მადისას, – დინჯად, დინჯად და ბატონკაცურად წითლად მორიალისას? გარწმუნებ, დიდ სიამეს მოჰკვრის ესე ყოველი ორივე ბინძურ ხვრელს შენი დაღრეჯილი სიფათისას. ო, ურჩხულო, ვინძლო ის მაინც მოახერხო როგორმე, რომ სამი ათასჯერ ზედიზედ შეისუნთქო მარადისობის ეს წყეული სუნთქვა! შენი ნესტოები გამოუთემელი კმაყოფილებისაგან ისე უთავბოლოდ განირთხმებიან ამ უძრავ აღტყინებაში, რომ უკეთესს ველარაფერს ველარც ინატრებ. ისე გაიტრუნებიან, როგორც სუნნი და სურნელნი, რადგან მოყირჭდებათ იმათაც ეს ბედნიერება ისევე, როგორც ანგელოზებს ყირჭდებათ თავიანთი ბედნიერება ცათა შინა.

•

ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას ისიც თუ რა კეთილი იყო მალდორორი თავიდან, ვიდრე ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა (და აი, ითქვა კიდეც უკვე ეს ორიოდე სიტყვა) – მერელა შეამჩნია ანაზდად,

რომ ბოროტებისათვის იყო გაჩენილი – ბედია ეს, გარდაუვალობაა გასაშტერებელი! მალავდა, რაც გაეწყობოდა, თავის ხასიათს წლების მანძილზე, მაგრამ, იმის გამო, რომ არ იყო მისთვის ბუნებრივი ეს სიკეთე, დღენიადაგ სისხლი უვარდებოდა თავში და ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ აღარ შეეძლო უკვე ამგვარი ყოფის გაძლება, გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ და დაადგა ბოროტების გზას, თხემით ტერფამდე განიმსჭვალა ამ ტკბილი და ტკბილზე უტკბილესი ატმოსფეროთი! ვინ იფიქრებდა?! პატარა ბავშვს რომ მიეფერებოდა, – წითელლოყებას – უნდოდა სამართებლით აეთალა მისთვის ის ლოყები. ასეც იქმოდა ხშირად, სამართალი რომ არ აღდგომოდა წინ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მისგანვე გამომდინარე საზღაურთა გრძელი კუდით. არ იყო მატყუარა, აღიარებდა სიმართლეს და ამბობდა თავისივე პირით, რომ სასტიკი ვარო. გესმით კაცთაგანნო – ის ახლაც ბედავს ამის აღიარებას აგერ ამ კალმით, რომელიც ახლა უკნეალებს ხელში. ნებასაც აღემატება მისას და ნებისყოფასაც მისივე ძალა... წყევლაა ეს! ქვა ლამობს, თავი დააღნიოს თავისივე სიმძიმის კანონს. შეუძლებელია ეს, შეუძლებელია, რომ ბოროტება სიკეთეს შეერწყას, აი ამისი თქმა მინდოდა...

•

ზოგი იმიტომ წერს, რომ ტაში დაუკრან იმ კეთილი თვისებების გამო, რასაც ადამიანური წარმოსახვა მიაწერს გულს და როგორადაც თავად მოაქვს თავი. მე არა, მე ჩემი ნიჭი იმ აღფრთოვანებას მინდა ვამსახურო, რასაც სისასტიკე იწვევს. განათუ არ შეიძლება, რომ სისასტიკე განგების იღუმალი ნებით იყოს მართული? განათუ არ შეიძლება, რომ გენიოსი იყო, თუ სასტიკი ხარ? შეიძლება და მე ამას ჩემი სიტყვით დავამტკიცებ, თქვენ ისლა დგრჩენიათ, რომ ყური დამიგდოთ, – თუ ინებებთ, რაღა თქმა უნდა, რომ დამიგდოთ ყური... უკაცრავად, მომეჩვენა,



რომ თმა დამიღვა ყალყზე, მაგრამ ეგეც არაფერი, ხელი გადავისვი და ჩემი თმა უმალვე ისევ იმ პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. ის, ვინც მღერის, სულაც არ ფიქრობს, რომ უცნობია მისი სიმღერა, პირიქით – თავი მოაქვს იმით, რომ იმაზე, რაზეც მისი ამპარტავანი და ბოროტი გმირი ფიქრობს, ყველა ადამიანს უფიქრია...

•

რაც თავი მახსოვს, სულ იმას ვუყურებ, თუ როგორ ალენჩებენ მხარმოკლე ადამიანები – ყველანი, თვინიერ ყოველგვარი გამონაკლისისა – თავიანთივე მსგავსთ, როგორ ხრნიან სულებს ყველანირი საშუალებით და როგორ მოაქვთ მერე ამითი თავი. განდიდებას ეძახიან ამს. მეც მიცდია ამგვარი სიცილი, მაგრამ ამისი მიბაძვა შეუძლებელი იყო... ავიღე მერე ერთი ბასრი ჯაყვა და ხორცი დავისერე იმ ადგილებში, სადაც ტუჩები ერთიმეორეს უერთდებიან. ერთი წამი იყო, კინალამ დავიჯერე, რომ მივაღწიე მიზანს, მაგრამ სარკეში დავინახე მერე ჩემი პირი, ჩემივე ნებისყოფის ძალით რომ იყო მოკვდინებული... საშინელი სანახავი გახლდათ, სისხლი ღვარად მოედინებოდა ორივე ჭრილობიდან და ხელს მიშლიდა იმის დანახვაში, რასაც სხვები სიცილს ეძახდნენ. ვადარებდი ერთხანს, მაგრამ ჩემი სიცილი აშკარად არ ჰგავდა იმ სხვებისას, ანუ მე არ ვიცინოდი. დავინახე თუ როგორი უშნო თავები ებათ ადამიანებს და რა მედიდურად გადაატარებდნენ ხოლმე მზერას შავ-ბნელ ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალებით ბედითად წილებულომილ ყველა გაჭირვებას, ფოლადივით ნაწრთობ სიხისტეს ყველას: ვეშაპთა სისასტიკეს, ყმაწვილთა უტიფრობას, დამნაშავეთა უაზრო რისხვას, პირმოთნეთა ღალატს... ყველაზე უფრო საოცარი მაქციები სწორედ ესენი იყვნენ – მღვდლებივით ძალმოსილნი, გარემოცვათაგან ყველაზე უფრო მოხერხებულად დამალულნი. დაე, მორალისტებმა მოუნახონ გული და ყვე-

ლას თავისი საზღაური დაატეხონ თავს ცათა სიმაღლიდან! ისინი მე ყველა ერთადა მყავს ნანაზი: ხან, როგორც უკვე გაფუჭებული ბავშვები, ზეცას უღერებდნენ მუშტებს – ეტყობა, ჯოჯოხეთის რომელიმე მოციქულისაგან იყვნენ გულმოცემულნი – ერთდროულად სინდისის ქენჯნითა და სიძულვილით იყო აღსავსე იმათი მზერა, სიჩუმეში გატრუნულნი ვერ ბედავდნენ ამაზე უფრო უხამსსა და ყოვლისმომცველ ფიქრს, რადგან ასე და ამდენად იყვნენ ჯერხნობით მოცულნი უსამართლობითა და შიშით, ასე და ამდენად აცრუებდნენ ჯერხნობით ყოვლად მოწყალე ღმერთის თანალმობას... ხანაც ყოველნამიერად, ბავშვობიდან მოყოლებული და ვიდრე ღრმა სიძერემდე, ისე წყევლიდნენ და კრულავდნენ ყველას და ყველაფერს, რაც სუნთქავს, რომ საერთო აზრს ვერა და ვერ გამოიტანდი. წყევლიდნენ და კრულავდნენ ყველასა და ყველაფერს – თავიანთ თავსაც, განგებასაც... აბახებდნენ ქალებსა და ბავშვებს, აუბატიურებდნენ სხეულის უკლებლივ ყველა ნაწილს, რაიც სიწმინდისათვის იყო ზეგარდო დანიშნული. ჰოდა, ადიდა ზღვა, შთანთქა, თავის უძირო წიაღში ჩაიტანა ყოველივე, ამოვარდა გრიგალი, იძრა მიწა, დაამხო სახლები, ნაირ-ნაირმა სენმა დარია ხელი მღოცველ ოჯახებს, მაგრამ ადამიანები ამას არას დაგიდევდნენ. იშვიათად, მაგრამ მინახავს ესეც – ზოგი წითლდებოდა და ფითრდებოდა იმის გამო, რაც ჩაიდინა. წარლენებო – გრიგალთა დებო – როგორ დავიჯერო, რომ ლამაზები ხართ? პირმოთნე ზღვაო – ხატო ჩემი გულისა, – მიწავ – წიაღო გამოუცნობო, – სფეროთა ბინადარნო, სამყაროო მთელო, ღმერთო, რომელმან შეჰქმენ ესე ყოველი ასე ბრწყინვალედ, შენ გეუბნები, შენ – ერთი ადამიანი მაინც მაჩვენე, კეთილი რომ იყოს! მაგრამ თან ძალაც გამიორკეცე ამ დროს შენივე მადლით, თორემ სული გამძვრება უმალ ამ ურჩხულის შემხედვარეს... სიკვდილით ხომ ისედაც ვკვდებით, არა?

•

ორ კვირას უნდა ზარდო ფრჩხილები... ო, რა ტყბილია, ლოგინიდან რომ წამოაგდებ მერე მოულოდნელად პატარა ბიჭს, რომელსაც დედის რძე არ შეშრობია ჯერ პირზე, შუბლზე რომ გადაუსვამ თითქოს ხელს, ფართოდ გახელილი თვალებით რომ დააშტერდები და უცებ, მოულოდნელად რომ ჩაარჭობ ამ ბრჭყალებს თოთო გულ-მკერდში ისე, რომ არ მოკვდეს... რადგან, თუ მოკვდა, მერე აღარ იქნება ისეთი საბრალო. მერე ლოკავ მის ჭრილობებს და სისხლს სწოვა ამ დროს, რომელიც მარადისობასავით უნდა გაიწელოს, ბავშვი ტირის. არაფერი არ შეედრება იმ სისხლის გემოს, ამ ჭრილობებიდან რომ გადმოედინება – თბილს ჯერ კიდევ – თვინიერ მისივე მარილივით მწუთხე ცრემლისა. ადამიანო, არასოდეს არ გიგემია შენივე სისხლი? არც შემთხვევით, ვთქვათ, ხელი რომ გაგიჭრია, მაშინ? ხომ გემრიელია, არა? იმიტომ, რომ გემო არა აქვს. ესეც არ იყოს, განათუ არ გახსოვს, კაეშანი რომ შემოგწოლია გულზე, თავი ბალიშში რომ ჩაგირგავს და პირისახეს შენივე თვალთაგან გადმომდინარე ის სითხე გისველებდა, რომელიც შენივე მუჭქებში იყრიდა თავს? განათუ არ მიგიტანია უნებლიერ ის ცრემლიანი მუჭი პირთან იმ ბავშვივით, კბილები რომ უკანკანებს აკანკალებულს და ალმაცერად გაცქერის თავის მეტოქეს? ხომ გემრიელია, არა? იმიტომ, რომ ძმრის გემო აქვს. იტყვით – ვისაც ყველაზე უფრო უყვარს, იმის ცრემლებსო – მაგრამ სასახლეში ბავშვის ცრემლია ყოველთვის ყველაზე უფრო გემრიელი. ღალატი არ ძალუძს ამ ცრემლს, რადგან ჯერ არ უწყის, რა არის ბოროტება, ღალატი – ადრე თუ გვიან – იმ ქალს ხელენიფება მხოლოდ, ვისაც უყვარს... სხვათა ანალოგიებს ვეყრდნობი, ამას რომ ვაძბობ, თორემ მე, პირადად, არც მეგობრობისა არა მცოდნია რა და არც სიყვარულისა არასოდეს – არც იქნებოდა, ალბათ ეს მისაღები ჩემთვის, და თუ იქნებოდა,

კაცთაგან მაინც არა. მოკლედ, შენივე სისხლი დ შენივე ცრემლი თუ არ გეზიზლება ადამიანს, რა გიშლის ხელს, მოზარდის სისხლსა და ცრემლს რომ არ დაენაფო დანდობილად? აუხვიე თვალები იმ დროს, როცა მის ხორცს სერავ, მერე კი, როცა ამ არამქეყნიურ ყვირილს გაიგონებ და დაიგემოვნებ – უთანასწორო ბრძოლაში დაჭრილი და მტრის ზურგში მოქცეული მეორის ყვირილის მსგავსს – გაიქეცი უცებ იქიდან, თითქოს მეწყერს გაურბოდე და შემოირბინე მერე ისევ მეზობელი ოთახიდან მის საშველად. გაუხსენი ხელები, მოაცილე შეშინებული თვალებიდან სახვევი და ისე დაენაფე კიდევ ერთხელ მის სისხლსა და ცრემლს. ჰო, რა დამაჯერებელი იქნება შენი მონანიება! სინათლის სხივი, რომელიც არასოდეს არ გვტოვებს და ამავე დროს ასე იშვიათად იჩენს თავს, თვალისმომჭრელად გაბრწყინდება უცებ, მაგრამ უკვე გვიანი იქნება. ჰო, როგორ მდუღლარებს გული, იმ უცოდველი ადამიანის ნუგეშინის ცემის საშუალება რომ მიეცემა, ვისაც რაღაცა დაუშავა: – „ყრმაო უცოდველო, რად იტანჯები ასე სასტიკად, ვინ ჩაიდინა ეს საშინელება, სახელიც კი რომ არ ვიცი, რა დავარქვა? ჰო, შე საწყალო, როგორ იტანჯები! დედაშენს რომ სცოდნოდა ეს, ხომ აღარ დაიტირებდა ასე გულმდუღლარედ თავის მიცვალებულს, ის დამნაშავე რომ აღმერთებს, რომელიც მე აღარა ვარ უკვე, ვაგლახ! რაღაა, აბა, კეთილი და ბოროტი? ნუთუ მართლა ერთი და იგივეა ის, რის წინაშეც ასე გააფთრებით ვალიარებთ ჩვენს უსუსურობას და ის, რისი მეშვეობითაც უსასრულობას გვინდა ვეზიაროთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს? ერთი და იგივეა თუ სხვადასხვა? დიახ, დიახ – ერთი და იგივეა უმაღ... ეს რომ არა, აბა სხვას რას შეიძლება მიქადდეს მე განკითვის დღე? შემინდე, ყრმაო, სწორედ ის არის ახლა შენ წინაშე, ვინც დაგილენა ეგ ძვლები დ ვინც ეგ ხორცი დაგინაწევრა, შენი სხეულის სხვადასხვა ნაწილებს რომ დასთრევს ახ-

ლა უკან. ჩემი სნეული გონიების ბოდვაა ეს თუ იდუმალი ინსტინქტი შენი, რაიც არ არის დამოკიდებული ჩემს გონიერებაზე – არ არის დამოკიდებული იმაზე, რამაც მე ამ ბოროტი ქმედებისაკენ მიბიძგა – არნივის გონიერებისა არ იყოს, მოულოდნელად რომ დააცხრება ხოლმე თავს თავის მსხვერპლს... არადა, მეც ხომ ისევე ვიტანჯები, როგორც ჩემი მსხვერპლი? შემინდე, ყრმაო, როცა იქნება, ჩვენ დავტოვებთ ამ ცხოვრებას და ვისურვებდი, ერთიმეორეს შერწყმულთ გვენახა ერთმანეთი მარადისობაში – ერთარსებად ქმნილთ, ტუჩი ტუჩზე მიერთებულთ. ასეც რომ მოხდეს, ჩემი სასჯელი არ იქნება მაინც სრული – მაშინ უკვე შენ მომდგები მე და დამისერავ ხორცო შეუსვენებლად – კბილებითაც და ფრჩხილებითაც, ერთითაც და მეორითაც. მე სურნელოვანი სათამაშოებით მოვიკაზმავ სხეულს, ამ მსხვერპლშენირვით რომ გამოვისყიდო ჩემი დანაშაული და ისევ ორივენი ერთად დავიტანჯებით – შენ იმითი, რომ ხორცებს დამისერავ, მე კი იმითი, რომ დაგასერინებ ხორცებს – ტუჩი ტუჩზე გვექნება მინებებული. ჰოი ქერათმიანო თვალშუშუნა ყრმაო, განათუ მართლა იქმ შენ იმას, რასაც ახლა მე გირჩევ? შენ არა, მე მინდა, რომ შენ ეს ჩაიდინო და ამგვარად დაამშვიდო ჩემი სინდისი... ასე თუ ილაპარაკებ, შეძლებ, ერთდროულად ბოროტებაც ჩაიდინო და თავიც შეაყვარო იმას, ვის მიმართაც ამ ბოროტებას სჩადიხარ. ბედნიერებაა ეს – ის ბედნიერებაა, რისი მიღწევაც არის შესაძლებელი. მოგვიანებით ბიჭი შეიძლება საავადმყოფოშიც დააწვინო, რადგან უნარშეზღუდულს თავის რჩენა არ შეეძლება. – კეთილიაო – იტყვიან მერე შენზე და შიშველ ფეხებს დაფნის გვირგვინითაც შეგიმოსვენ. არა, მე არ მინდა, შენი სახელი დავწერო აქ, ამ ფურცელზე, რომელიც ბოროტების უწმიდესობას ეძღვნება, – ვიცი, რომ შენს მოწყლებას საზღვარი არ აქვს, მაგრამ მე ჯერ კიდევ ვარსებობ მაინც!

•

სიძვასთან ვარ შეერული, ოჯახებში რომ უწესრიგობა ვთესო... მაგონდება ის ღამე, ამ სახიფათო კავშირს რომ უძლოდა წინ: საფლავი დავინახე ანაზდად, ჩემს წინაშე რომ აღმართულიყო ერთი სახლივით დიდი ჭის ხმაც შემომესმა: – „მე გაგინათებ და წაიკითხე, რაც აქ წერია, ჩემი მოგონილი არ არის ეს უზენაესი წესრიგი“. სისხლისფერმა სინათლემ მოიცვა უცებ თვალსაწიერი, კბილები ამიკანკანა და ხელები ჩამომაშვებინა, რომელილაც ჩამონგრეულ კედელს დავეყრდენი, რომ არ წავქცეულიყავი და ისე ამოვიკითხე მერე იქ ეს: „აქ განისვენებს ყრმა, რომელიც ფილტვების სისუსტით მოკვდა – თქვენ იცით, რატომაც. წუ ილოცებთ მისთვის“. კაცთაგან ბარე ორი ვერ მოიკრებდა იმდენ სიმამაცეს, რაც მე მოვიკრიბე მაშინ. ამ დროს ერთი ლამაზი შიშველი ქალი მოვიდა და წამონვა ჩემს ფერხთით. მე უხალისოდ ვეუბნები – „შეგიძლია, წამოდგე ფეხზე!“ – ხელს ვუწვდი – იმ ხელს, რომლითაც ძმათა მკვლელობა სწვდება ხოლმე ყელში თავის დას. სინათლის მფრქვეველი ჭია მეუბნება – „აიღ ქვა და მოკალი!“ მე ვეკითხები – „რატომ?“ ის კი – „ფრთხილად იყავი, უსუსტესო, რამეთუ უძლიერესი ვარ მე! სიძვა ჰქვია ამას.“ თვალებზე ცრემლი მომადგა, გულში რისხვა ჩამიდგა და ვიგრძენი თუ როგორ მომიცვა უცებ რაღაც უცნაურმა ძალამ. დავწვდი ერთ ლოდს, რის ვაი-ვაგლახით ავზიდე მკერდამდე, მერე მსარზე გავიდე, ავიტანე მთის მწვერვალზე და იქიდან დავამხე თავზე ის ლოდი იმ სინათლის მფრქვეველ ჭიას. ჭია მიწაში ჩაიმარხა კაცის სიმაღლეზე, ლოდი კი ექვსი ეკლესის სიმაღლეზე აქანდა მაღლა. მერე ტბაში ჩავარდა და უზარმაზარი ორმო გაჩნდა იქ, რომელიც შხუილშხუილით ამოავსო უმალვე ნაპირებიდან მოვარდნილმა წყალმა. სიმშვიდემ დაისადგურა ტბის ზედაპირზე, სისხლიანი სინათლე აღარ ანათებდა იქაურობას. –

„ვაგლახ! ვაგლახ!“ – შემომძახა ლამაზ-მანმა. – „ეს რა ჩაიდინე?!" მე ვუთხარი, – „მე შენ მირჩევნიხარ იმას, რამეთუ მებ-რალებიან უბედურები, რა შენი ბრალია, თუ მარადიულმა სამართალმა შეგქმნა ასეთი?“ იმას კი ასე მომიგო: „ადამიანები გამამართლებენ მე ერთ მშვენიერ დღეს. ახლა კი გამიშვი, ვინდლო ზღვის ფსკერ-ზე დავმალო ჩემი უსაშველო ნაღველი. მე მარტო შენ და ზღვის უფსკრულში მორიალე ურჩხულებს არ გეზიზღებით. კეთილი ხარ შენ, გემშვიდობები იმას, ვინც შემიყვარე“. მერე მეც ამას ვეუბნები: „მშვიდობით, მშვიდობით, მე შენ სულ მუდამ მეყვარები... დღეის ამას იქით მე უარს ვამბობ სათხოებაზე“. ჰოდა, ამიტომაც ვამბობ – ო, ხალხნო, ზამთარში ქარის ზუზუნს რომ გაიგონებთ ზღვათა სანაპიროთა ზედა, დიდ-დიდ ქალაქთა ზედა – რომელნიც, კაი ხანია უკვე, მე მგლოვობენ – პოლარულ გამყინვარებათა ზედა... თქვით ასე: „ლმერთმა კი არა, სიძვის გააფთრებულმა სუნთქვამ გადაგვიარა, მონტევიდეოულის კვნესასთნ შერწყმულმა-თქო“. მე გეუბნებით ამას, ყრმანო, მე! აღივსენით სათხოებით და დაიჩიქეთ, ადამიანები რწყილებზე მეტნი იმიტომ არიან ამქვეყნად, რომ ლოცვები აღავლინონ ცად!

•

ზღვათა სანაპიროებზე, სოფლებში, უკაცრიელ მიდამოებში, ყველას მიგიქ-ცევიათ უეჭველად ყურადღება თუ როგორ ასხვაფერებს ყველაფერს ღამით ყვითელი და ბუნდოვანი მთვარის შუქი: ხეთა ჩრდილები ხან მალიმალ, ხანაც ნელ-ნელა მიმოდიან აქეთ-იქით, მოკლდებიან, გრძელდებიან, მინაზე განირთხებიან... ერთ დროს, ოდეს ჩემივე ახალგაზრდობით ვიყავი ფრთაშესხმული, ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა ეს ამბავი და საოცნებოდ განმანყობდა, მაგრამ მივეჩვიე მერე და მერე. ქარი თავის მწარე ჰანგებს აკვნესებს იმ ხეთა ფოთლებში, მიკიოტი ისე ეხმიანება ბედის ამ

სამდურავს, რომ თმა დაგიდგება ადამიანს ყალყზე ამის გამგონეს. აი ამ დროს აიწყვეტენ ხოლმე ჯაჭვებს ძალლები, უგზო-უკვლოდ გამორბიან სოფლებიდან, აქეთ-იქით აწყდებიან და მერე უცებ... ჩერდებიან, გაფაციცებით იყურებიან აქეთ-იქით გაცეცხლებულნი, გულის სიღრმემდე შეძრულნი. სპილოები სიკვდილის წინ სიცარიელეში მიმოატარებენ ირგვლივ უკანასკნელ მზერას, უსასოოდ წამოწევენ ერთი წამოწევა ხორთუმს და ყურებს ჩამოყრიან ხოლმე. სპილოებიც კი ჩამოყრიან ხოლმე ყურებს... ძალლები არა. ძალლები თავს მაღლა წევენ ამ დროს, კისრის ძარღვები ეპერებათ და ერთიმეორის მიყოლებით იწყებენ ყეფას... ხან მშიერი ბავშვის ტირილს წააგავს ეს ყეფა, ხან სხვენში შეყუული კატისას, ხან მშობიარე ქალისას, ხან მომაკვდავისას, შავი ჭირისაგან რომ ხდება სული საავადმყოფოში, ხანაც ქალწული ქალის გულში ჩამწვდომ ღვთაებრივ სიმღერას... უყეფენ ჩრდილოეთის ვარსკვლავებს, სამხრეთის ვარსკვლავებს, აღმოსავლეთის ვარსკვლავებს... უყეფენ მთვარეს, მთებს, ღამეულ სიჩუმეს, მიკიოტებს – წყვდიადში რომ ჩაუქროლებენ ხოლმე ფრენით ისე, რომ ლამის პირი-სახეზე ეხებიან ფრთებით, ბაყაყები და თაგვები რომ მასევთ ნისკარტით თავიანთი პატარებისათვის; უყეფენ კურდღელს, წამის უსწრაფესად რომ უჩინარდება მათ თვალნინ; უყეფენ ქურდს, თავქუდმოგლეჯილი რომ გარბის იმ სახლიდან, სადაც რაღაცა მოპარა; მცურავს, ბუჩქებში რომ გაისრიალებს ანაზდად და ბეწვებს რომ აუშლით ხოლმე მთელს ტანზე; უყეფენ თავიანთივე ყეფას, თვითონვე ეშინიათ ამ ყეფის; უყეფენ მყვართ, რომელთაც უმალვე პირისაკენ გააქანებენ ხოლმე (აბა, რა ეგონათ, ჭაობი რომ მიატოვეს?); უყეფენ ხეებს – ვერ გაუგიათ, რა საიდუმლოს ინახავენ ხეთა ფოთლები – და დაკვირვებით აშტერდებიან თავიანთი ჭკვიანი თვალებით; უყეფენ ობობას ქსელებს, სადაც ისინი მიიკვლევენ გზას



თავიანთი საცეცებით, სამშვიდობოს რომ გააღწიონ; უყეფენ ყვავ-ყორნებს, ვერა-ფერი რომ ვერ მოინადირეს იმ დღეს და ხელმოცარული და დაღლილნი ბრუნდებიან შინ; უყეფენ განაპირა კლდეებს და შუქურას, უხილავი გემის ანძიდან რომ მოჩანს; უყეფენ ტალღების ხმაურს, უყეფენ დიდრონ თევზებს, შავ-შავი ზურგები რომ უელავთ წყლიდან და უმალ წყალ-შივე რომ უჩინარდებიან; უყეფენ ადამიანებს, დამმონებელთ ძაღლების ჯიშისას... მერე ისევ სოფლებისაკენ გარბიან, ორმოებს გადაევლებიან თავზე თავიანთი დასისხლიანებული თათებით, არ ეპუებიან არც გზებს, არც ბილიკებს, არც ბალახს, არც შუაზე გადამსკდარი კლდის ნატეხებს, გეგონებათ, ცოფმა დარია ხელი და წყალს ეძებენ სადმე, აუტანელი წყურვილი რომ მოიკლანო. ვაი დაგვიანებული მგზავრის ბრალი ამ დროს! დაეცემიან თავს, გაგლეჯენ, შესანსლავენ ეს სასაფლაოების მემუდამენი! პირიდან სისხლი სდით ამ დროს ღვარად, რადგან ამგვარი ტრაპეზით იშვიათად ანებივრებენ კბილებს. ვერც ერთი მხეცი ვერ მიეკარება ახლოს მათს ამ ხორციან ულუფას, ყველა კისრისტეზით გაურბის განზე შიშისაგან აკანკალებული. რამდენიმე საათის მერე კი – გასავათებული და ქანცგანწყვეტილი ამდენი უთავბოლო სირბილით, მიმკვდარებული და ენაგად-მოგდებული – უკვე ერთიმეორისკენ იწევენ ისე, რომ არ უწყიან არაფერი იმისი, რასაც სჩადიან, გლეჯენ ერთმანეთს ნაკუნებად წარმოუდგენელი სისწრაფით. სისასტიკეში არ არის აქ საქმე. დედაჩემ-მა მითხრა ერთხელ ჩამქრალი მზერით: – „ლოგინში სოფლის ძაღლების ყეფა თუ შემოგესმა ანაზდად, საპანი ნაიფარე თავზე, წაუგდე ყური დ სასაცილოდ ნუ აიგდებ ამ ამბავს, მარადისობის დაუოკებელი წყურვილია ეს, ის კაეშანია, რომელიც შენიც არის, ჩემიც არის და ყველასია საერთოდ, ყველა იმ უნდილი და უსუსური არსებისა, რაც კი და ვინც კი დავიარებით ამქვეყნად, ეს სანახაო-

ბა შენ სულიერად აღგამაღლებს და ამიტომ ნებას გრთავ, უყურო კიდეც ამას სანდახან შენი ფანჯრიდან“. იმ დროიდან მოყოლებული წმინდად ვინახავ ჩემი მკვდარი დედის ამ ანდერძს – ძაღლებისა არ იყოს, მეც მიველტვი მარადისობას... ვერ ვიქმაყოფილებ ვერც მე მარადისობის წყურვილს. მე დედაკაცისა და მამაკაცის ნაშიერი ვარ, როგორც მითხრეს, და მიკვირს – რაღაცა უფრო მეტი მეგონა ჩემი თავი. სხვაფრივ, აბა, რას დავეძებ, საიდან მოვდივარ, ჩემთვის რომ ეკითხათ, ვამჯობინებდი, რომ ვეშაპის ნაშიერი ვყოფილიყავი, ვისი შიმშილიც წარლვნების მეგობარია, ან ვეფხისა, ვისი სისასტიკეც საყოველთაოდ ცნობილია. არ ვიქნებოდი, ალბათ, ასეთი ბოროტი. შორს დაიჭირე ჩემგან თავი ყოველმან ჩემმან შემყურებან – ჩემს სუნთქვას შხა-მი მოჰყვება. არავინაა ჯერეთ მნახველი ჩემი შუბლის მწვანე ნაოჭებისა; არც ჩემი პირისახის სისხლიანი ძვლებისა, დიდრო-ნი თევზების ფრთა-ხერხემალს რომ წაა-გავს, იმ კლდეების წვეტიან ქიმებს რომ წააგავს, ზღვათა სანაპიროებს რომ გად-მოსცერიან მაღლიდან და სადაც მე ხში-რად მიხეტიალია იმ დროს, როცა ჩემი თმა ჯერ კიდევ სხვა ფერისა იყო. ადა-მიანთა საცხოვრისებს თვალდაყვლები-ლი რომ ვუტრიიალებ ლამის წყვდიადში, წარლვნის ქარები რომ მიპუნავენ თმას გზაზე დაგდებულ ქვასავით მარტოს, პი-რისახეზე ხავერდის პატარა ნაჭერს ვი-ფარებ იმ მჭვარტლივით შავს, ბუხრის საკვამურს რომ ავსებს; რად მინდა ჩემმა თვალებმაც დაინახოს ის ძლევამოსილი სიძულვილით ალსავსე დამცინავი მზე-რა, რასაც უზენაესი მიაპყრობს ხოლმე სიმახინჯეს? ყოველ დილით, როცა სხვა-თათვის მზე ამბოდის და სიხარულსა და სიმხურვალეს მიმოაფენს გარეირგვლივს, როცა არც ერთი კუნთი არ იძვრის ჩემს პირისახეზე და ჩემს საყვარელ გამოქ-ვაბულში შეყუული მივშტერებივარ ამ წყვდიადით მოცულ სივრცეს, ჩემივე სა-სოწარკვეთით ვთვრები, როგორც ღვი-

ნით, და ჩემი ყოვლისშემძლე ხელებით-ვე ვკლავ ჩემს მიერვე დაქუცმაცებულ გულს. არადა, ვგრძნობ ამ დროს, რომ კიდევ უფრო მეტი გახელებაც ხელმეწი-ფება! არადა, ვგრძნობ იმასაც, რომ მე არა ვარ ერთადერთი, ვინც ასე იტან-ჯება! ვგრძნობ, რომ ვსუნთქავ. საყე-ლოს ვისწორებ იმ სიკვდილმისჯალივით, თავის ხვედრზე რომ ფიქრობს და თან უნებლიერ კუნთებს ათამაშებს. საყელოს ნელ-ნელა ვისწორებ – ხან მარჯვნიდან მარცხნივ გადავეცავ, ხან მარცხნიდან მარჯვნივ და ასე... საათობით. უცებ არ ვკვდები. დროდადრო, როცა ჩემი საყე-ლო ერთი მიმართულებით აღარ იკეცე-ბა და ვეღარც მეორე მიმართულებით ვეღარ ვკეცავ, ჩემს თვალსაწიერს ვუს-წორებ მზერას, იშვიათ ღრიფობს ვაშ-ტერდები მცენარეული საფარით დაფა-რული შემოსასვლელისას და ვერაფერს ვერ ვხედავ თვინიერ ჩემს თვალნინ მო-რიალე სოფლების აცეკვებული ხეებისა და ჩიტებისა იმ მიღმიერ სივრცეს რომ სერავენ იქ. მე ეს სისხლს მიჩქროლებს და გონებას მიფორიაქებს... ვინ მირ-ტყამს თავში ამ რკინის კეტს, როგორც გრდემლს ჩაქუჩის?

## •

ახლა მინდა, ხმამაღლა და გამოთ-ქმით წაგიითხოთ ის, რასაც, ცოტაც და, თქვენი ყურით გაიგონებთ. ყურად იღეთ ყოველივე, რასაც ეს სტროფი შეიცავს და გულში ჩაიმარხეთ ის შთაბეჭდილება, რასაც უეჭველად მოახდენს ის თქვენს გახუნებულ და შეწუხებულ წარმოსახვა-ზე. არ იფიქროთ, რომ სიკვდილის პირასა ვარ, არა ვარ ჯერ ჩინჩხი და არც სიბე-რე არ მანერია ჯერ კიდევ შუბლზე. ასე, რომ ამოიგდეთ თავიდან ჩემი შედარება მომაკვდავ გედთან და ურჩხულის გარ-და სხვას წურას ნუ დაინახავთ ჩემი სა-ხით, რის დანახვასაც – მე ბედნიერი ვარ იმით, რომ თქვენ ვერ შეძლებთ და რაც ამ უჩიხულის სულზე გაცილებით უფრო ნაკლებად საშინელია. არადა, არა ვარ მე

დამნაშავე... კმარა ამაზე ლაპარაკი! არც ისე დიდი ხნის წინათ ვნახე მე ხელახლა ზღვა, იმ გემის შიგთავსიც დავათვალიე-რე, საიდანაც ზღვას გადავყურებდი, გუ-შინდელივით მახსოვს ყველაფერი. ასე, რომ შეინარჩუნეთ თქვენც სიმშვიდე, თუ შეძლებთ, ისევე, როგორ მე ვინარჩუნებ, როცა ყოველივე ამის თქვენთვის შემო-თავაზებას ვაპირებ და ნუ განითლდე-ბით იმაზე ფიქრით, თუ „რა არის მაინც ადამიანი!“ ჰოი, რვაფეხავ, ჰოი, ხედვავ თავისი თავის! შენ, ვისი სულიც განუ-ყოფელია ჩემი სულისაგან; შენ, დედა-მინის ბინადართაგან ულამაზესო; შენ, ბარე თოხი ასეული ძუძუმწოვრის მკვე-ბავო მბრძანებელი; შენ, ვინც ასე ღირ-სეულად ითავსებ შენში, ვით ბუნებრივ ჭურჭელში, ურთიერთობის სათნოებისა და ღვთაებრივი მადლის სრულ თანხმო-ბასა და ურღვევ კავშირს; რატომ არა ხარ ჩემთან, შენი ტყვიის მუცელი ჩემს ალუმინის მკერდს რატომ არ ეწებება, რატომ არ ვზივართ ახლა ერთად კლდის ნაპრალთან და ერთად არ შევცემით იმ სანახაობას, რისი ცქერაც მე ეგზომ მი-ზიდავს?

## •

ჰოი, ბებერო ოკეანევ, ბროლის ტალ-ლებანი! ო, როგორ ჰეგავხარ შენ წაცე-მი იუნგას დალილავებულ ზურგს! შენ ხომ დედამინის ზურგსაც ერთ უზარმა-ზარ დალილავებულ ლაქად აჩნიხარ... მომწონს ეს შედარება! შენი უსაშველოდ ნაღვლიანი სუნთქვა შენივე სულს დაჩ-ნეულ უნაზეს ჩურჩულს წააგავს ერთი შეხედვით, თითქოს მეტროფეთა შენთა იგონებდე ანგარიშმიუცემლად, მძიმე დასაბამს იგონებდე თითქოს ადამიანის სიცოცხლისას, წარუშლელ კვალს რომ ტოვებს მის სულში და არასოდეს არ ტო-ვებს. სალამი შენდა, ბებერო ოკეანევ!

ჰოი, ბებერო ოკეანევ! შენი ჰარმონი-ულად სფერული სხეული – გეომეტრი-ულად უნაკლო – მე ადამიანთა ვინრო თვალებს მაგონებს, ისეთივე ვინროს,

როგორიც ლორებსა აქვთ – ან ღამეულ ფრინველებს, უკეთ რომ გაიკვლიონ გზა წყვდიადში. არადა, ადამიანს სულ ლამაზი ჰერნია თავისი თავი, რაც ეს თავი ახსოვს. მე რომ მკითხოთ, თავმოყვარეობის გამო ჰერნია ასე, თორემ სინამდვილეში სულაც არ არის ლამაზი და თავადვე ეპარება ეჭვი იმაში, რომ ლამაზია. ასე რომ არ იყოს, აბა, რატომ შესედავდა თავისივე მსგავსთ ასეთი ზიზლით? სალამი შენდა, ბებერო ოკეანევ!

ჰოი, ბებერო ოკეანევ! შენ თავად ხარ თავადი, თავისთავადობა ხარ ხორცეს-ხმული, შენ მარტო შენივე თავს ჰეგავხარ მარად და მარად, სხვას არაფერს! შენ არასოდეს არ იცვლები ძირფესვიანად, შენი ტალღები ალაგ-ალაგ თუ ბობიქრობს, ალაგ-ალაგ სრულ სიმშვიდეში სუფევს. შენ არ ჰეგავხარ ადამიანებს, რომელნიც ერთიმეორეს დაძგერებული ძალების დანახვაზე ყოველთვის ჩერდებიან ქუჩაში, მაგრამ არასოდეს არ ჩერდებიან, როდესაც ადამიანს მიასვენებენ – არ ჰეგავხარ ადამიანს, რომელსაც დილით რომ კარგ გუნებაზეა, სალამოს ცხვირ-პირი ჩამოსტირის, დღეს რომ იცინის და ხვალ ტირის... სალამი შენდა, ბებერო ოკეანევ!

ჰოი, ბებერო ოკეანევ, ვინ იცის, კიდევ რას არ მალავ შენ შენს წიაღში ისეთს, ადამიანს რომ გამოადგებოდა? ვეშაპი აკი მიართვი უკვე... არა, შენ არ ახარბებ ბუნებისმეტყველ მეცნიერებს შენს ყოველ საიდუმლოს, თავმდაბალი ხარ, არ ჰეგავხარ ადამიანს, სულ უბრალო წვრილ-მანებითაც კი რომ მოაქვს მიწყივ თავი. სალამი შენდა ბებერო ოკეანევ!

ჰოი, ბებერო ოკეანევ! ვინ იცის, რა გინდა რა გვარი ჯიშის თევზებს არ ასაზ-რდოებ შენ შენს წიაღში – ძმობას არც ისინი არ ეფიცეპიან ერთიმეორეს, ხასიათითაც და აგებულებითაც ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ ანომალია იქნებოდა, ასე რომ ყოფილიყო, მაგრამ ადამიანიც ასეა და ადამიანს არა აქვს

ასეთივე საპატიო მიზეზი საამისოდ. 30 მილიონმა ადამიანმა რომ მოიყაროს თავი ერთი ციცქანა მიწის ნაკვეთზე, ყველა უმაღ იმას ცდილობს, რომ თვითონ გაიდგას ფესვი ამ მიწაზე და ყველა იმას ფიქრობს, რომ იძულებულია, არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოს თავისი მეზობლის საქმეში. ადამიანთა დიდი და უნივერსალური ოჯახი ისეთი უტოპიაა, რომ არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. დიდი თუ პატარა ყველა თავის გამოქვაბულშია გამოკეტილი და იშვიათად, რომ იქიდან თავისივე მსგავსს გამოხედოს, რომელიც თავის მხრივ აგრეთვე თავის გამოქვაბულშია გამოკეტილი. ვინა თქვა, რომელმა ჭუათმყოფელმა თქვა ეს, რომ თითქოს შესაძლებელია კაცთა მოდგმის ერთობა და ერთსულოვნება? უმაღურობა სჭვივის შენი ნაყოფიერი ძუძუების შემყურე ადამიანის მზერაშიც, რადგან უმაღ იმ უთვალავ მშობელზე იწყებს ფიქრს, შემოქმედის წინაშე რომ იჩენენ უმაღურობას და ღვთის ანაბარა სტოვებენ თავინთი საცოდავი შესაქმის ნაყოფთ. სალამი შენდა, ბებერო ოკეანევ!

მნარეა შენი წყლები, ბებერო ოკეანევ! იმ ღვარძლის გემო აქვს, კრიტიკოსები რომ აპკურებენ დიად ხელოვნებას, მეცნიერებას... ყველაფერს, საერთოდ. გენიოსს თუ მოპერეს სადმე თვალი, უმაღვე – შეურაცხადიაო – იტყვიან, – ალნაგ სხეულზე იტყვიან – კუზიანიაო. ცხადია, რა თქმა უნდა, რომ ადამიანი ძალიან განიცდის იმას, რომ არ არის სრულქმნილი. არადა, მეტწილად თავის თავს უნდა უმაღლოდეს ამას – აი სწორედ ამ კრიტიკას უნდა უმაღლოდეს... სალამი შენდა, ბებერო ოკეანევ!

ბებერო ოკეანევ! რა ხერხს არ მიმართავს ადამიანი და როგორ არ უწყობს ხელს მეცნიერებას, მაგრამ ვერა და ვერ სწვდება შენი წიაღის თავპრუდამსვევ სიღრმეებს. თევზები? თევზები კი, თევზები სწვდებიან, ადამიანები – ვერა. მესულ ამას ვეკითხები ჩემს თავს – ოკეანის სიღრმეთა წვდომაა უფრო იოლი

თუ შეცნობა ადამიანის გულისა? ვინ იცის, რამდენჯერ მიფიქრია ამაზე გემბანზე მდგარს, გემი როცა ჩემს ქვემოთ წყალს მიაპობდა და მთვარის ანარეკლი ანძებს შორის დახტოდა ბურთივით ჩემს თვალნინ, რამდენჯერ დამვიწყებია ყველაფერი ისე, რომ მარტო ეს კითხვა მიტრიალებდა თავში – რომელი უფრო ღრმაა და შეუცნობელი მანც, ოკეანე თუ ადამიანის გული? ჩემი ოცდაათნლიანი ცხოვრებისეული გამოცდილება თუ საკამრისია საიმისოდ, რომ პირუთვნელი აზრი ვიქონიო ამ საკითხზე, უნდა მოგახსენოთ, რომ რაოდენ ღრმაც უნდა იყოს ოკეანის წიაღი, ადამიანის გული მანც გაცილებით უფრო ღრმაა და მოუდგომელი. ბევრი მართალი ადამიანი მინახავს მეც, სამოცი წლისა რომ მომკვდარა და სიკვდილის წინ უთქვამს – სიკეთის მეტი არა დამითესია რა ამ ქვეყანაზეო. ქველმოქმედებას გულისხმობდნენ, რა თქმა უნდა, – დიდი ეშმაკობა არ უნდა ამასო, – ამბობდნენ, ყველას შეუძლია ეს მოიმოქმედოსო. არადა, ვის შეუძლია თქვას, ორი ადამიანი – ჯერ კიდევ გუშინ ერთომეორეს რომ აღმერთებდა – რად მიინევს დღეს ერთი ალთას და მეორე ბალთას, ერთი აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით – ასეთი ზიზღით, შურისძიების ასეთი დაუკეტელი წყურვილით, ასეთი სიყვარულითა და ასეთი სინდისის ქენჯნით სულ ერთი და ერთადერთი გადაპრუნებული სიტყვის გამო თავისივე ამაყ სიმარტოვეში გამოხვეული? სასწაულია ეს, სასწაული, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეორდება და სულაც არ არის ამის გამო ნაკლებად სასწაულებრივი. გაუგებარია, რატომ იგემოვნებს ადამიანი არამცთუ მხოლოდ ზოგადად თავისივე მსგავსთა თავლაფის დასხმას, არამედ თავისი უახლოესი ადამიანისასაც კი, ვისთან ერთადაც თავადაც ლაფი ესხმება მერე თავს? კიდევ ერთი მაგალითი და დავამთავროთ ამჯერად ეს ერთი წყება ლაპარაკი ამაზე. პირმოთნეა ადამიანი, „ჰოს“ ამბობს და „არას“ გულისხმობს.

ამიტომაც არის მერე, ასე რომ ენდობიან ადამიანები ერთიმეორეს და თავი ისე მოაქვთ, რომ სულაც არ არიან ვითომეგონისტები. ფსიქოლოგიას ძალიან დიდი პროგრესი ელოდება ჯერ კიდევ წინ, ძალიან ბევრი რამ აქვს ჯერ კიდევ აღმოსაჩენი... სალამი შენდა, ბებერო იკეანევ!

ბებერო ოკეანევ! შენ ისეთი ძლიერი ხარ, რომ ადამიანებმა საკუთარ ტყავზე იწვნიეს შენი ძალა, რა არ სცადეს შენს დასამორჩილებლად, მაგრამ ვერა და ვერ დაგიმორჩილეს, რაღაცას ისეთს გადაანყდნენ, რაც იმათ შესაძლებლობებს აშკარად აღმატებოდა. ოკეანე დაარქვეს მერე სახელად იმ რაღაცას. ისე ეშინიათ შენი, რომ შენივე პატივისცემას შთააგონებთ ეს შიში. შენ კი ამ დროს შენს ნებაზე ატრიალებ ჰაერში იმათ უზარმაზარ მანქანებს – რა გინდა რა გვარს. ხან ცაში აისვრი ტანმოვარჯიშესავით, ხანაც შენივე წიაღში აყურყუმალებ, ნებისმიერ აკრობატს რომ შეშურდებოდა, ისე. უხარიათ, თუ გადაგირჩნენ და ერთხელ და სამუდამოდ არ ჩაითრიე შენს მდუღარე წყლებში უგზოდ და ურკინიგზოდ ისე, რომ თვალიც კი ვეღარ მოჰკრან ვეღარასოდეს თუ საით მიაქანებ და რა ყოფაში არიან იქ თევზები, საითაც შენ ამათ მიაქანებ, – რაც მთავარია, რა ყოფაში არიან თავად ამ დროს. – მე ოკეანეზე უფრო ჭკვიანი ვარო, – ამბობს კაცი; შეიძლება, შეიძლება ასეც იყოს, შეიძლება კი არადა, კაი გვარიანი სიმართლეც არის ეს, მაგრამ ოკეანე მაინც გაცილებით უფრო მეტ ეჭვს აღუძრავს ადამიანს, ვიდრე ადამიანი ოკეანეს – არ სჭირდება ამას ბევრი ფიცი და მტკიცი. აი ამ ყოვლისმნახველ პატრიარქს, ამ ჩვენი ცაში გამოკიდული პლანეტის პირველ ჟამთა თანამედროვეს სიბრალულის ღიმილს ჰავრის ეს ჩვენი საერთაშორისო საზღვაო ომები. შეიკრიბება სადმე კაცობრიობის ხელით ქმნილი ასიოდე ლევიტელი, ატყდება მერე ზარბაზნების ბათქაბუთქი, დაჭრილების კვნესა და ეს ყველაფერი მარტო იმიტომ, რომ მარადისობის კიდევ სულ რამდენი-

მე წამი მოკლან ადამინებმა. მთავრდება ბოლოს ეს წარმოდგენა და ოკეანე შთან-თქავს ყველაფერს. მისი ხახა ყველაფერს იტევს და ვერ გაიგებ, სად რას მიაქანებს. ამ უაზრო კომედიას ბოლოს ის აგვირგვინებს, რომ რომელიმე მძლევარი თოლია გაკვირვებული გადმოიხედავს ციდან და წამოიძახებს: – „აბა, ეს რა-სა ჰგავს! ეს-ეს არის, აქ რაღაცა შავი წერტილები მიმოდიოდნენ, თვალის და-სამხამება ვერ მოვასწარი, რომ სადღაც გაქრნენ უცებ უკვალოდ!“ სალამი შენდა, ბებერო ოკეანებ!

ჰოი, ბებერო ოკეანევ – დიდო ბერბიჭავ კარგუნსხავო – შენ როდესაც შენივე უნდილი სიმარტოვის ათინათებს შეავლებ ხოლმე თვალს, მიწყივ შენივე იმ სრულქმნილების შესაბამისი სიამაყით გევსება გული, მე რომ ასე გულწრფელად ვასხამ ახლა ხოტბას. უდრტვინელობაა ის უზენაესი ნიჭი, რაიც შენ მოგმადლა შემოქმედმა. ტკბილია შენი სუნთქვა – თანაბარი, უშფოთველი და უძლეველი, გამოუცნობი და მიუწვდომელი. დაუღალვად უნანავებ შენ შენი ტალღებით შენივე სასიქადულო სამფლობელოს ყოველ კუთხე-კუნჭულს, ერთიმეორეს ეხუტებიან მიწყივ მიჯრით შენი ტალღები, ერთი რომ დაინევს დაბლა, უმალვე მეორე ალიმართება მის ადგილზე, ქაფება და დნება იმის დასტურად, რომ ამ ქაფივით ეფემერულია ყოველივე ამ სამყაროში (ადამიანებიც ხორცშესმული ტალღები არიან, ისინიც ასე რიგრიგობით კვდებიან და დნებიან, მაგრამ ადამიანები უხმაუროდ კვდებიან ტალღებისაგან განსხვავებით). მძლევარი ფრინველი დანდობილად დაეშვება ხოლმე შენს ტალღაზე, ისვენებს და იმეორებს იმ გზას, რასაც ტალღა გადის ამ დროს, ვიდრე კვლავ ძალას მოიცემდეს და ფრენითვე გააგრძელებდეს მერე ისევ თავის საპარო მომლოცველობას ცათა შინა. ვისურვებდი, რომ შენი სიდიადის სულ მცირე ანარეკლი მაინც დამენახა ადამიანში. მეტისმეტს მოვითხოვ, ვიცი და ვიცი, რომ ჩემი ეს

გულწრფელი სურვილი შენ კიდევ უფრო განგადიდებს. უსასრულობის ხატია შენი ზნეობრივი სიდიადე, ფილოსოფო-სის ფიქრივით დიდია, ქალის სიყვარულივით დიდია, დიდია, როგორც ჩიტის ღვთაებრივი სილამაზე, როგორც ოცნება პოეტისა... შენ ღამეზე უფრო მშვენიერი ხარ! მითხარი, ოკეანევ, გინდა, დავძმობილდეთ? ალელდი, ალელდი ოკეანევ, კიდევ უფრო ალელდი, რომ ღვთის რის-ხვას შეგადარო! გამოაჩინე შენი თეთრი ბრჭყალები და დაისერე შენივე გული... აი ასე! ჰოი, საშინელო, ბინძურო ოკეანევ! მე ვარ ერთადერთი, ვისაც შენი ეს-მის, ვისაც შენსავით დაცემა ხელენიფება და ვინც შენივე ფერხთით განირთხმება ამიტომ ნასხვისარია ადამიანის სიდიადე და მე არაფერს არ მავალდებულებს: შენ კი, შენ მავალდებულებ. შენ როცა გიყურებ და რომ ვხედავ თუ როგორ ამაყად მოაბიჯებ და როგორი ლივლივით დაგყვება უკან მთელი შენი ამალა, როგორ გიმშვენებს თავს ქაფის გვირგვინი, როგორ აჯახებ ერთიმეორეს და ერთმანეთში რევ შენს ტალღებს, როგორი აღსავ-სე ხარ საკუთარი თავის ღირსების შეგნებით, როგორ აშინებს ადამიანს შენი სინდისის ქენჯნის ზმუილი მაშინაც კი, როცა ნაპირიდან შემოგცერის და შენგან არავითარი საფრთხე არ ემუქრება, მე ვრწმუნდები, რომ არა მაქვს არანაირი გამორჩეული უფლება, რომ შენ გედრებიდე. აი ამიტომ – შენი ასეთი ალმატებულობის გამო – მე მზადა ვარ, შენ მოგიძლვნა მთელი ჩემი სიყვარული (არავინ არ უწყის, თუ რა შეიძლება დაიტიოს იმ სიყვარულმა, რასაც მე სილამაზისადმი ლტოლვა აღმიძრავს) – შენვე რომ არ მაიძულებდე, გულამოსკვნილმა ვიფიქრო იმაზე, ვინც ჩემი მსგავსია და ვინც ასე სასაცილოდ განსხვავდება შენგან. ასეთი სასაცილო სხვაობა სხვა, ალბათ, არც არსებობს. ჰოდა, აი ამიტომ არ შემიძლია, რომ მიყვარდე. მეზიზლები. მაშ, რატომლა ვპრუნდები ისევ და ისევ შენთან? რად მინდა, რომ შემეხო და მო-

მეფერო გახურებულ შუბლზე? არ ვიცი, რა არის შენი დანიშნულება და იმიტომ. მინდა, ვიცოდე ყველაფერი, რაც შენ გე-სება. მითხარი ბარემ, რომ ჯურლმულთა თავადის საცხოვრისი ხარ. მითხარი... მითხარი, ოკეანევ (მარტო მე მითხარი, გული რომ არ გაუსკდეს იმას, ვისაც ოცნებების მეტი სხვა არც არაფერი არა სცოდნია თავის დღეში), რომ სატანის სუნთქვაა ის, რაც ამ წარლვნებს მოავლენს ხოლმე და შენს მარილიან ტალღებს ღრუბლებში ისვრის. უნდა მითხარა, რადგან გავიხარებ, თუ მეცოდინება, რომ ჯოჯოხეთი ასე ახლოა ადამიანთან. გამიხარდება, თუ სწორედ ეს იქნება სულ ბოლო სტროფი ამ ჩემი ქებისა. მერე ისლა დამრჩება, რომ კიდევ ერთხელ მდაბლად დაგიკრა თავი და უმალვე გამოგემ-შვიდობო. ჰო, ბებერო ოკეანევ ბროლის ჭავლებიან! თვალები ცრემლით მევსება და სათქმელს ვეღარ ვუყრი თავს, რადგან გული მიგრძნობს, რომ მოვიდა დრო, ისევ ადამიანების უხიაგ საზოგადოებას დავუპრუნდე. რა გაეწყობა, თავს ძალა დავატანოთ და ალვასრულოთ, ვითარცა ვალი, ყველამ ჩვენ-ჩვენი დანიშნულება ამ დედამინაზე. სალამი შენდა, ბებერო ოკეანევ!



სიკვდილის პირას მყოფს (სწორედ სა-სიკვდილო სარეცელზე ვწერ ახლა ამას) – მე ვერავინ ვერ მნახავს მღვდლებით გარშემორტყმულს. წარლვის წყლებში მინდა ვირწეოდე ამ დროს ან ზეზურად ვკვდებოდე სადმე გორზე შემდგარი. არა იმიტომ, რომ თვალები მინდა ალვაპყრო მაღლა, არა! ვიცი, რომ ჩემი გაქრობა სრული იქნება და არავითარი შენდობის იმედი არ შეიძლება მქონდეს არსაითგან... ჰეი, რომელი ხარ მანდ, კარის შემოღებას რომ ლამობ ჩემს საფლავში? აკი ვთქვი, აქ არავინ შემოვიდეს-მეთქი?! ვინც არ უნდა იყო, ახლავე მოცილდი კარებს! იქნება, გგონია, რომ ჩემს პირისახეზე – აფთრის პირისახეზე!

(ამ შედარებას სწორედ იმიტომ ვიყენებ, რომ არ არის ზუსტი – აფთარი ჩემზე გაცილებით უფრო ლამაზი და საამო შესახედავია) რაიმეს გულის ამაჩუყებელს ან შიშს ამოიკითხავ? მოდი, მოდი, აბა, და თვითონვე დარწმუნდები, რომ ცდები. ჩვენ ახლა უმკაცრესი ზამთრის ღამეში ვართ. სტიქია სტიქიას ეხლება ყოველი მხრიდან, ადამიანს რომ თავზარი დასცეს და მოზარდმა თავის უახლოეს მეგობარზე შურისძიება ჩაიფიქროს – თუ ისიც ისეთია, როგორიც მე ვიყავი ახალგაზრდობაში... ქარის გულსაკლავმა ზუზუნმა რომ გააბეჭროს კაცობრიობა. რაც ქარი არსებობს, კაცობრიობაც არსებობს! ძმას, რომელსაც ვერავინ ვერ ხედავს, უყვარს იმისი ყურება თუ რას აკეთებენ მისი ძმები. არნივს, ყორანს, პელიკანს უკვდავს, გარეულ იხვს, წეროს, ამ მარადიულ მძლევარს, ყველას და ყველაფერს ანაზდეული სიცივე შეუდგება ტანში, ელვის საზარელი და თვითერმაყოფილი სპექტრით განათებულ ჩემს უგვან აჩრდილს რომ დაინახავს ცათა შინა მოფარფატეს. ყველას ეცოდინება თუ რას ნიშნავს ეს: ხმელეთზე – გველებს, გომბეშოებს, ვეფხვებს, სპილოებს; ზღვაში – ვეშაპებს, ზვიგენებს, თევზებს ნაირ-ნაირს, ეშვები-ანსა თუ უეშვებოს; გააოგნებთ ბუნების კანონის ეს არნახული უგულებელყოფა. ადამიანი კი გაჩენის დღეს დაიწყევლის და მინაზე დაცემა შეშინებული და აკან-კალებული. „დიახ, ასეა, მე თქვენ თანდაყოლილი სისასტიკით აღგემატებით ყველას, სისასტიკით, რომელსაც თვითონაც ვერ მოვრევივარ, რადგან არ არის ეს დამოკიდებული ჩემზე. ამით ხომ არ არის გამოწეული თქვენი გამოუვალი სასონარკვეთა და ამის გამო ხომ არ იქცევით ყველანი უცებ ჩემთა ფეხთა მტვრად? ან, იქნებ, იმიტომ, რომ ცას მოწყვეტილი და ჯერარნახული უცხო სხეული გგონივართ სისხლის წვიმების მფრქვეველი? ჩემი ვეება, შავი ღრუბლის მსგავსი სხეული მართლაც აწვიმეს სისხლის წვიმებს, მაგრამ თქვენ ნუ გეშინიათ, ბავშვებო, მე თქვენი

დაწყევლა არც კი მიუიქრია. საამისოდ მეტისმეტად დიდია ის ბოროტება, რაც თქვნ გაქვთ ჩადენილი ჩემს მიმართ და მეტისმეტად დიდია ის ბოროტებაც, რაც მე მაქვს თქვენს მიმართ ჩადენილი და შეუძლებელია ამიტომ, რომ ნებაყოფლობითი იყოს, ყოვლად შეუძლებელი. თქვენ თქვენი გზა გაქვთ ცხოვრებაში, მე – ჩემი, ჩვენ ისე ვგვართ ერთმანეთს, რომ აუცილებლად უნდა დავჯახებოდით – ის ზარიც, რაც თავს დავატეხეთ ერთიმეორეს, ზიარი და გარდაუვალი იყო“. ამის გაგონებაზე, ვიცი, ნელ-ნელა წამოწევენ თავებს ადამიანები, ლოკოკინებივით წაიგრძელებენ კისრებს, რომ დაინახონ ვინ ელაპარაკება მათ ასე და ამგვარად. წამოწითლდებიან უმალ, ისე აღელდებიან და ისე დაელრიჯებათ უცებ პირისახეები რისხვისაგან, რომ, მგლები რომ მგლები არიან, იმათაც კი შიშის ზარს დასცემენ. წამოხტებიან უცებ ფეხზე, ვებერთელა ზამბარებით მაღლა ასროლილებივით. წყევლა ამას ჰქვია! ხმის ჩახლეჩამდე დაიწყებენ ყვირილს – მიცნეს, ესე იგი. ადამიანებს მერე ცხოველებიც აჰყვებიან ამა ქვეყნისნი, შეუწყობენ ერთმანეთს სმებს – ალარავითარი ურთიერთზოზლი და ურთიერთსიძულვილი! – საერთო მტრის, ანუ ჩემი სიძულვილი გააერთიანებთ. სრული და საყოველთაო თანხმობა დაისადგურებს მათ შორის. ქარებო, თქვენი იმედილა მაქვს, ამისროლეთ მაღლა, მაღლა, მეშინია ამ ვერაგობისა. ჰო, ჰო, დავეკარგოთ ამათ თვალთაგან, რაც შეიძლება მაღლე, დავემაყოფილეთ იმით, რაც უკვე ვნახეთ... მადლობელი ვარ შენი, ფრთოსანო ნალისმჭედელო, რომ გამომაფხიზლე შენი ფრთების ტლაშუნით, შენი, ვისი ნისკარტიც ცხენის უნაგირს წააგავს. ახლა ვხვდები, რომ ჩემი ავადმყოფობა არ იყო, სამწუხაროდ, სასიკვდილო და უხალისოდ ვუბრუნდები ისევ ცხოვრებას. არადა, ამბობდნენ, შენ იმიტომ მოფრინდი თითქოს ჩემთან, რომ ჩემი სისხლი უნდა გეწოვა... რად არ გამომწოვე, ნეტა, ის სისხლი?

●

ოჯახს ლამპის ირგვლივ მოუყრია თავი, ლამპა მაგიდაზე დგას:

– მომაწოდე, ჩემო ბიჭო, მაკრატელი, აგერ, იმ სკამზე დევს...

– აქ არის, დედა...

– ნადი, მაშ, მეორე ოთახში ნახე... გახსოვს ის დრო, ჩემო კეთილო ბატონო, ბავშვს რომ ვნატრობდით, იმასთან ერთად კიდევ ერთხელ რომ გვინდოდა გაგვევლო ჩვენი ცხოვრების გზა, ჩვენი შემწე რომ გვინდოდა ყოფილიყო სიბერეში?

– მახსოვს. ღმერთმა შეისმინა ჩვენი ნატვრა, ბედის სამდურავი არ გვეთქმის, ჩვენს ედუარდს ღმერთმა დედის სათნოება მოპმადლა...

– მამისა კი კაცური თვისებები...

– აი მაკრატელი, დედიკო, ვიპოვნე ...

და ბიჭი მიუბრუნდა თავის საქმეს... მაგრამ ვიღაცის აჩრდილი აღიმართა ამ დროს უცებ კარებში, უყურა იმან ერთასნ მის თვალწინ გადაშლილ ამ სურათს და:

– ამას რას ვხედავ?! რამდენი უბედური ჰყავს გამჩენის და ამათ რა მიზეზი აქვთ ვითომ ისეთი, ასე რომ შეყვარებიათ ეს ცხოვრება? განვედ მაღლდორორ, გაეცალე ამ უშფოთველ კერას, შენი ადგილი არ არის აქ!

და წაიდა...

– არ ვიცი, რა მემართება, მაგრამ ვგრძნობ, რომ ყველა ადამიანური თვისება ერთბაშად ამიჯანყდა სულში, ერთიმეორეს ეხლება და მაფორიაქებს, რაღაცა ძალიან მძიმედ მაწვება გულზე...

– მეც იმავეს განვიცდი, ცოლო, გული მიკანკალებს, რაღაცა ცუდი არ დაგვემართოს... ღმერთის იმედი ვიქონიოთ, ის არის ჩვენი შემწე...

– დედიკო, სუნთქვა მიჭირს, თავი მისკდება...

– შენც, ჩემო ბიჭო? მოდი, ძმრით დაგიზელ შუბლსა და საფეთქლებს...

– ო, არა, დედიკო...

ხედავთ, როგორ უღონოდ მიესვენა სკამის საზურგეზე?



— ვერ გამიგია, რა მემართება, რაღაც ვერა ვარ კარგად, ყველაფერი მაღიზიანებს...

— ო, რა ფერმერთალი ხარ?! გული მიგრძნობს, გათენებამდე რაღაცა ისეთი მოხდება, რაც სამივეს სასონარკვეთილების ტბაში ამოგვაყოფინებს თავს...

შორიდან თითქოს სულ უფრო და უფრო გაუსაძლისი ტკივილის გამაყრუებელი ხმა ისმის...

— ჩემო ბიჭო!

— ჰო, დედიკო, მეშინია...

— იტანჯები, არა? მითხარი...

— არა, დედიკო, არ ვიტანჯები, არა... არ ვამბობ მართალს...

მამა ვერა და ვერ მოსულა გონს: — ასეთი ყვირილი ხანდახან უვარსკვლავებო ღამის სიჩუმეში ისმის ხოლმე. გესმის თითქოს, მაგრამ ის, ვინც ამ ხმას გამოცემს, შენთან ასე ახლოს მაინც არ არის. ეს ხმა სამი მილის მანძილზე შეიძლება წამოიღოს ქარმა, ქალაქიდან ქალაქშიც შეიძლება წამოიღოს... მსმენია ეს ამბავი, მაგრამ აქამომდე არასოდეს არ შევსწრებივარ. ცოლო, შენ უბედურებაზე მელაპარაკები, მაგრამ რა უნდა იყოს იმ ადამიანის უბედურებაზე უფრო დიდი უბედურება, ვინც ამ სიშორიდან უფრთხობს ძილს თავისივე მსგავსი?

— შორიდან სულ უფრო და უფრო გაუსაძლისი ტკივილის გამყინვავი ხმა მესმის...

ეამბოდა ზეცას, მისი დაბადება ასე რომ არ დასდგომოდა ყელზე ქვეყანას, გულიდან რომ გადაიგდებდეს ამას ქვეყანა... დადის ასე, დაიარება ქვეყნიდან ქვეყანაში, ყველგან ყველას ეზიზლება, — ზოგი ამბობს იშვიათი სახეობის სიგიჟე სჭირს ბავშვობიდანვეო, ზოგს მიაჩნია, რომ მისი ეს სიგიჟე თანდაყოლილია და თვითონვე რცხვენია ამისი, — და რომ მისი მშობლებიც ამ ამბავს გადაჰყვნენ. ამბობენ იმასაც, რომ ყველაფერი იმ მეტსახელის ბრალია, ბავშვობაში რომ შეარქვესო, იმან გააპოროტა და ვერა და ვერ მოინელა მერე ეს ამბავი, მაშინ დარ-

წმუნდა ერთხელ და სამუდამოდ, რომ ადამიანები პოროტები არიან და რომ ის პოროტება, რაც ადამიანის სიცოცხლის პირველ წლებშივე იჩენს თავს, სულ უფრო და უფრო მატულობს მერე და მერე, რაც ხანი გადისო. მეტსახელად კი — „ვამპირი“ — აი რა შეარქვეს ბავშვობაში...

— შორიდან ყოვლად აუტანელი ტკივილით გამოწვეული ყვირილი მესმის...

დასძენენ აგრეთვე, რომ დღე და ღამე — გაუთავებლად და შეუსვენებლად — ავი სიზმრები ესიზმრება და სულ სისხლი სდის ამიტომ პირიდან და ყურებიდან; აჩრდილები დასტრიალებენ თავს გამუდმებით და — ხან ტკილად, ხან რისხვით — სულ იმ ბინძურ მეტსახელს უტრიალებენ და ჩასძახიან ყურში, რომელსაც ქვეყნიერების დასასრულამდე ვერსად ვერ გაექცევაო. ზოგი იმასაც ამბობს, რომ სიყვარულმა ჩააგდო ამ დღეში, ეს თავგანწირული ყვირილი იმაზე მეტყველებს, რომ შორეულ წარსულში ჩადენილ რომელილაც დანაშაულს ინანიებს და ვერ მოუნაიებიაო. აი უმრავლესობა კი მაინც იმ აზრს იზიარებს, რომ ისეთივე აუწონავი სიამაყით იტანჯება, როგორითაც სატანა იტანჯებოდა თავის დროზე, რადგან ღმერთს ედრებოდაო...

— შორიდან ყოვლად აუტანელი და გაუსაძლისი ტკივილით გამოწვეული ყვირილი მესმის...

— ჩემო ბიჭო, საშინელებაა ეს, ადრეა ჯერ შენთვის ამისი ცოდნა, გული მწყდება, რომ ამ ასაკში სწვდება შენს ყურს ეს ყვირილი, დიდი იმედი მაქვს, რომ შენ არასოდეს არ მიბაძავ იმ კაცს...

— მითხარი, ედუარდ, მითხარი, რომ არ მიბაძავ...

— დედიკო, საყვარელო, მე ხომ შენი მოვლენილი ვარ ამქვეყნად, პირობას გაძლევ — უმანკო ბავშვის მოცემულ პირობას თუ რაიმე აზრი აქვს — რომ მე არასოდეს არ მივბაძავ იმ კაცს...

— ასე, ჩემო ბიჭო, დედას უნდა დაუჯერო ყველაფერი, რასაც გეტყვის, აღარ ისმის უკვე ის კვნესა...

– ცოლო, მორჩი საქმეს?  
 – ორიოდე ადგილიდა დამრჩა ამოსა-  
 კემსი შენს პერანგზე, წუხელ გვიანობამ-  
 დე შევრჩი ამ საქმეს, მაგრამ ვერ დავამ-  
 თავრე...

– კარგი აბა, მეც ჩავიკითხავ პარემ  
 ამას, რასაც ვკითხულობ, ვისარგებლოთ  
 ამ ლამპის შუქით, ვიდრე არ გაპარუ-  
 ლა და დავამთავროთ ყველამ ჩვენ-ჩვენი  
 საქმე...

ბიჭი: – კი, ცოცხლები თუ დაგვტოვა  
 ლმერთმა...

– მოდი, თვალუშუნა ანგელოზო,  
 მოდი ჩემთან – დილიდან დაღამებამდე  
 სულ შენს ნებაზე ისეტიალებ ველ-მინ-  
 დფრებში, სულ არ იმუშავებ, არა... ჩე-  
 მი თვალისმომჭრელი სასახლის კედლები  
 ვერცხლით არის ნაგები, ოქროს სვეტები  
 აქვს და მარგალიტის კარიბჭები, რო-  
 ცა მოგინდება, მაშინ დაიძინებ ზეციური  
 ჰანგების ხმაზე ისე, რომ არც კი ილოცებ  
 ძილის წინ. დილით, როცა ცხრათვალა  
 მზე ნათელს მოჰყვენს ქვეყანას და ტო-  
 როლა მხიარული ულურტულით გაედევ-  
 ნება ამ მზეს ცის დასალიერისაკენ, შენ  
 შეგეძლება კვლავაც განაგრძო ლოგინში  
 ნებივრობა, ვიდრე არ დაიღლები. სულ  
 ძვირფასზე უძვირფასეს ხალიჩებზე ივ-  
 ლი, ყველაზე უფრო სურნელოვანი ყვა-  
 ვილების სუნით გაბრუებული...

– დროა, დავასვენოთ ხორციც და სუ-  
 ლიც, წამოდექი, ოჯახის დედავ, წამოწიე  
 შენი ღონიერი თეძოები, დაასვენე შენი  
 ხელები ნემსის ჭერისაგან, მეტისმეტი  
 არაფერი არ ვარგა...

– ო, რა ტყილი ცხოვრება გელის,  
 რომ იცოდე! მე შენ ჯადოსნურ ბეჭედს  
 მოგცემ, როცა მოგინდება, შეატრიალებ  
 შენკენ და უმალვე ზღაპრული ფერიებით  
 გარშემორტყმელ უფლისწულად გადაიქ-  
 ცევი...

– აბა, შეინახე ანი, ცოლო, შენი ხელ-  
 საქმე უჯრაში და მეც ამ ჩემს ქალალ-  
 დებს ავალაგებ აქედან...

– მერე ისევ წალმა მოატრიალებ იმ  
 ბეჭედს და ისევ ისეთი გახდები, როგო-

რიც ხარ. ამას იმიტომ გეუბნები, რომ  
 მიყვარხარ და მინდა, ბედნიერი იყო.

– მომწყდი თავიდან ვიღაცა ხარ, ხე-  
 ლი გამიშვი...

– ბავშვური ოცნება ნუ წაგილებს, ჩე-  
 მო ბიჭო, ჯერ ძილს ნუ მიეცემი, ერთობ-  
 ლივი ლოცვა ჯერ არ დაგვიწყია და არც  
 შენი ტანსაცმელი არ მიგილაგებია ჯერ  
 სკამზე... დაიჩოქე! ჰო ყოვლად ძლი-  
 ერო, ყველგანმყოფო და მარადმყოფო,  
 ამოუწურავია შენი სიკეთე...

– განათუ არ გიზიდავს შენ ეს ნაკა-  
 დული, ეს პანაწუნა წითელი, ცისფერი  
 და ვერცხლისფერი თევზები, აგერ, ამ  
 კამკამა წყალში რომ ირევიან? ისეთი ლა-  
 მაზი ბადე გექნება, რომ ეს თევზები თა-  
 ვისით შეცურდებიან შიგ და პირთამდე  
 ამოავსებენ იმ ბადეს... ხედავ ამ კენჭებს,  
 მარმარილოსავით რომ გაუდით ბზინვა?

– დედიკო, შეხედე, როგორი ბრჭყა-  
 ლები აქვს! მეშინია, მაგრამ სინდისი  
 სუფთა მაქვს, არაფერი არა მაქვს მოსა-  
 ნანიებელი...

– ხომ ხედავ, როგორ ვიჩოქებთ შენს  
 ფერხთით შენი სიდიადისადმი მოწინე-  
 ბით აღსავსენი? ამპარტავნული აზრი თუ  
 გაგვიელვებს რაიმე თავში, უმალვე უკუ-  
 ვაგდებთ, გამოვაფურთხებთ ზიზღით და  
 შენვე შემოგწირავთ, ვითარცა მსხვერპლს  
 უპატიებელს...

– ... პატარა გოგოებთან ერთად იბა-  
 ნავებ, პატარა გოგოები შემოგხვევენ  
 მკლავებს და, ამოხვალ თუ არა წყლიდან,  
 მაშინვე ია-ვარდის გვირგვინს დაგიწნა-  
 ვენ – პეპლებივით გამჭვირვალე ფრთები  
 ექნებათ და გრძელი ტალღოვნი თმები...

– როგორი ლამაზიც უნდა იყოს შე-  
 ნი სასახლე, მე აქედან ფეხს მაინც არ  
 მოვიცვლი, შენ ისე ტკბილად შელაპარა-  
 კები, რომ თვითმარქებია მგონიხარ, ვიღა-  
 ცა ხარ, მშობლების მიტოვება არ არის  
 კარგი საქციელი, მე არა ვარ უმაღური  
 შვილი, ის შენი გოგოები დედაჩემის თვა-  
 ლებზე უფრო ლამაზები ვერ იქნებიან...

– რაც თავი გვახსოვს, სულ შენ გა-  
 დიდებთ, ასე იყო აქამომდე და ასე იქნე-

ბა ყოველთვის, ვიდრე შენივე ნებით არ დავტოვებთ ამქეყნას...

— ისინი შენ უსიტყვოდ დაგემორჩილებიან და მარტო იმას ეცდებიან დღე-ცის-მარე, რომ როგორმე თავი მოგაწონონ. ჩიტს თუ ინატრებ ისეთს, დღე და ღამე რომ გალობს, იმასაც უმალვე მოგართმევენ, თოვლის ოთხთვალას თუ ინატრებ, ერთ თვალის დახამსამებაში მზეზე რომ აგიყვანოს, მოგართმევენ იმასაც. თუ გინდა, იმ გველსაც მოგართმევენ, მთვარეზე რომ არის დამალული და კუდზე აპრეშუმის ძაფით ჰყავს გამობმული ყველა ჩიტი, რაც კი ამქეყნად არსებობს, დამიჯერე, დამიჯერე, რასაც გეუბნები...

— რაც გინდა, ის ქენი, მე ლოცვას მაინც არ შევწყვეტ იმისათვის, რომ ვინმეს შენგან საშველად ვუქმო, ვიცი, შენი სხეული მაშინვე აორთქლდება, როგორც კი მე ხელით შევხები, მე არ მეშინია შენი...

— არა არის რა შენზე დიდი თვითიერი იმ ალისა, ამ უმანკო გულიდან რომ ამოდის ახლა...

— იფიქრე, იფიქრე იმაზე, რასაც გეუბნები, თუ არ გინდა, რომ მერე ინანო...

— მამავ ზეციერო, დაგვიცავი ყველა უბედურებისაგან, რაც ჩვენს კერას შეიძლება დაატყდეს თავს...

— მაშ, არ მცილდები, სულო ბოროტო?

— დაიფარე ჩემი ცოლი, ყველა გაჭირვებაში ჩემს გვერდით მდგომი და ნუგეში ჩემი...

— კარგი, მაშ, რაკი უარმყოფ, აგატი-რებ და კბილს კბილზე გაკანკანებინებ ჩამომხრივალივით!

— დაიფარე ჩემი ვაჟი, ვისი ბაგებიც ჯერ არც კი შეხსნილა ცხოვრების განთიადის საკოცნელად...

— მახრჩობს, დედიკო! მამა, მიშველე! სუნთქვა მიჭირს... ლოცვა მომაშველეთ!

გრვინვა გაისმა ცათა შინა ირონიისა, ჰაერმა, ვითარც სინათლის სვეტში, თავისივე სვეტში მოაქცია არწივი, შემოეჭდო, შეპოჭა და მიწას დაანარცხა გულგახეთქილი...

— გული ალარ უცემს, მკვდარია ესეც, ესეც მაშინ მოკვდა, როდესაც მისი ნაყოფი მოკვდა, ნაყოფი, რომელსაც მე ველარც კი ვცნობ, ისეა სახეცვლილი... ცოლო ჩემო და შვილო ჩემო, მაგონდება ის დრო, როდესაც მე ქმარი ვიყავი და მამა ვიყავი...

აი ამ სურათის შემყურემ თქვა მაშინ, რომ ვერაფრით ვერ შეეგუებოდა ამგვარ უსამართლობას. თუ მართლა ასე ჭრიდა ის ძალუფლება, რაც მას ქვესკნელიდან ებობა, ან — უფრო სწორად — რასაც თავად ეძებდა იმ ქვესკნელში, მაშინ ამ ბიჭს გათენებამდე არც უნდა მიეტანა სული...

•

იმან, ვინც ტირილი არ იცის (რაკილა ტკივილს სულ შიგნი-შიგან მალავს), ირგვლივ მიმოიხედა და დაინახა, რომ ნორვეგიაში იმყოფებოდა და ფოროას კუნძულებზე კლდეთა ნაპრალებში ზღვის ფრინველების ბუდეების ძიებას ადევნებდა და თვალს — გაუკირდა, რომ უფსკრულის თავზე გამობმული ის სამასმეტრიანი თოკი, რომელიც მაძიებელს იჭერდა, ეგზომ მაგარი და გამძლე შეერჩიათ. რარა და ეს უკვე ადამიანური სიკეთის საოცარ გამოვლინებად მიიჩნია და თვალებს არ უჯერებდა... თვითონ რომ შეერჩია ეს თოკი, რამდენიმე ადგილას დასერავდა უეჭველად, ადვილად რომ გამწყდარიყო და მაძიებელი პირდაპირ ზღვაში ჩავარდნილიყო... ერთ სალამოსაც სასაფლაოსკენ აილო გეზი და მოზარდებს, რომელთაც ახალმკვდარი ლამაზმანების ცხედრების გაუპატიურება ანიჭებთ სიამოვნებას, შეეძლოთ, თუ მოისურვებდნენ, გაეგონათ იმავდროულად, მაგრამ მათი მოქმედებებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ეს საუბარი:

— მესაფლავევ, ხომ არ გინდა, გამესაუბრო? ვეშაპიც ამოჰყოფს ხოლმე ხანდახან თავს წყლიდან, თავის უდაბურ გარეირგვლივში ანაზდად გამოჩენილ გემს რომ მიადევნოს თვალი, ცნობისმოყვარეობა სამყაროსთან ერთად იშვა...

— არა, მეგობარო, არ შემიძლია, კაი ხანია უკვე, მთვარის მკრთალი შექი დას-თამაშებს ამ საფლავების მარმარილოებს. ის დროა, როცა ადამიანებს ჯაჭვით დაბ-მული, ვარსკვლავებით მოჭედილ შავ ცა-სავით სისხლიანი ლაქებით დაწინწკლულ სუდარებში გახვეული ქალები ესიზმრე-ბათ. მძინარე ადამიანი სიკვდილმისჯი-ლივით კვნესის, ვიდრე გაიღიძებდეს და დაინახავდეს, რომ ცხადი სიზმარზე გაცილებით უარესია. მე ახლა ეს საფ-ლავი უნდა ვთხარო აქ დილამდე შეუს-ვენებლად, დილისთვის რომ მზად იყოს, ასეთ სერიოზულ საქმეს როცა ხარ შე-ჭიდებული ადამიანი, შეუძლებელია, ორი რამ ერთდროულად აკეთო.

— საფლავის თხრა ამას სერიოზული საქმე ჰგონია! შენ ფიქრობ, რომ საფლა-ვის თხრა სერიოზული საქმეა?

— ველური პელიკანი მკერდს მიუშ-ვერს ხოლმე საბურჯვნად თავის პა-ტარებს ისე, რომ არავინ არა ჰყავს ამ დროს ამ თავდადების მოწმე თვინიერ იმისა, რომელმან ასე ინება შეექნა მისი ეს ამგვარი სიყვარულიც, ვინძლო ადამი-ანს სირცხვილის გრძნობა დაუფლებოდა და შეიძლება ამისი გაგება. ახალგაზრდა კაცი სხვის მკლავებში რომ დაინახავს იმ ქალს, რომელსაც აღმერთებდა, სასო-ნარკვეთას ეძლევა, სიგარას სიგარაზე ეწევა და შეიძლება ამისი გაგება. ლი-ცეცუმის მოსწავლეს წლები საუკუნეებად ეჩვენება, იძულებულია, დილიდან დალა-მებამდე და დალამებიდან გათენებამდე დაემორჩილოს ვიღაც ცივილიზაციასთან მწყრალად მყოფი გამოყრუებული რეგ-ვენის ნებას, რომელიც არც ერთი წუ-თით არ აცილებს თვალს, გული ბოლმი-თა და სიძულვილით ევსება ამ დროს და აღარ იცის უკვე, როდის სად და როგორ ამოხეთქავს ეს ბოლმა და სიძულვილი, ღამით ის ფიქრი არ აძინებს, რომელიც დღისით იმ ლიცეცუმის კედლების გარე-ირგვლივს უტრიალებს, აუცილებლად რომ უნდა დასტოვოს, ადრე იქნება თუ გვიან, აუცილებლად უნდა მოშორდეს ამ

ჯოჯოხეთს და შეიძლება ამისი გაგება. მაგრამ საფლავის თხრა? ეს უკვე ბუნებ-რობის ყოველგვარ ზღვარს სცილდება ხშირად. როგორ ფიქრობ, უცნობო, იო-ლია, ამ წერაქვით დაძრა ის მიწა, რომე-ლიც, ჯერ ერთი, ჩვენი მარჩენალია და მერე მყუდრო სარეცელიც არის ჩვენი, როდესაც უკვე აქვე განვისვენებთ და-ცული იმ ქარებისაგან, ასე უმოწყალოდ რომ უბერავს ყოველი მხრიდან ამ ჩვენს სოფელ-ქვეყანას, თუკი წერაქვის ყოველ დაბაყუნებაზე იმ ადამიანების ლოყებს ეხები, ოდესალაც რომ ცოცხლები იყვნენ და ახლა შენ აპრუნებ ისევ თავიანთ სამ-ფლობელოებში, სადაც, შენი წერაქვის გადამკიდე, ყოველი მათგანი ყოველ სა-ლამოს ხედავს იმ აალებულ ჯვარს, რო-მელზეც ცეცხლის ენებით იწერება აი ეს მარადიული კითხვა — უკვდავია თუ მოკვდავი სული? მე ყოველთვის მიყვარ-და სამყაროს შემოქმედი, მაგრამ სიკვდი-ლის შემდეგ ჩვენ თუ ალარ ვარსებობთ, მაშ, რატომძა ვხედავ, აბა, ასე ხშირად დამით, თუ როგორ იხსნება აქ ყოველი საფლავი და რა ფრთხილად იცილებენ ამ საფლავების ბინადარნი თავიანთ ტყვიის-ფერ სუდარებს, რათა სუფთა ჰაერი ჩა-ისუნთქონ?

— კარგი, დაანებე თავი ახლა მუშაო-ბას, განცდებმა ქანცი გაგაცალეს უკვე, ლერწამივით ირწევი, სიგიურ იქნება, შენ რომ ახლა მუშაობა განაგრძო, მე ძლიე-რი ვარ, მე დავიკავებ შენს ადგილს, შენ გვერდზე გადექი და მირჩიე, რა და რო-გორ უნდა გავაკეთო, თუ რამე ისე არ გამომივიდა, როგორც საჭიროა...

— როგორი დაკუნთული მკლავები აქვს, რა მსუბუქად იქნევს წერაქვს, საა-მურია პირდაპირ საყურებლად...

— ტყუილ ეჭვებს ნუ აჲყვები, ყველა ეს საფლავი, ამ სასაფლაოზე რომ არის მიმობნეული მინდვრის ყვავილებივით (სიმართლეს მოკლებულია ეს შედარება) ფილოსოფოსის მშვიდი და აუღელვებე-ლი კომპასით მიდგომას იმსახურებს. სა-ხიფათო ზმანებამ დღისითაც იცის მოს-

ვლა, მაგრამ უფრო ხშირად ლამით გვეწვევა ხოლმე. ამიტომ ნუ გაგიკვირდება ის დაუჯერებელი ხილვები, რაც, როგორც შენ გვინია, შენს თვალებს ეჩვენებათ ახლა. დღისით, როცა სული ისვენებს, ჰკითხე შენს სინდისს და ეჭვიც არ შეეპარება, ისე გიპასუხებს, რომ ღმერთი, რომელმან შექმნა ადამიანი თავისივე სულის ნაწილისაგან, მინიერი სიკვდილის მერე თავისივე წიაღში აბრუნებს ამ თავის შედევრს. რა გატირებს, მესაფლავევ, ქალი ხომ არა ხარ? ნუ გავინწყდება, ჩვენ ამ ანძებდალენილ ხომალდზე იმისათვის ვიმყოფებით, რომ დავიტანჯოთ. პატივია ეს ჩვენთვის, რამეთუ ღმერთმა ასე განსაჯა, რომ ჩვენ ძალგვიძს, გავუმკლავდეთ ამ ტანჯებას. მითხარი, აბა, თუ შენი ყველაზე უფრო საწუკვარი სურვილი მართლა ის არის, რომ ადამიანი არ იტანჯებოდეს, რის მაქნისი იქნებოდა ამ ტანჯების გარეშე სათხოება – ის იდეალი, რისკენაც ყველა მივისწრაფვით? მითხარი, ჰო, მითხარი – შენი ენაც ხომ ისევეა ქმნილი, როგორც ყველასი?

– სადა ვარ? ასე უცებ რამ გამომ-ცვალა? ნუგემინის სუნთქვას ვგრძნობ თითქოს ძალუმს და მალამოდ ეცხება ეს სიტყვები ჩემს შუბლს ისე, როგორც გაზაფხულის ნიავი ელამუნება იმედის მომცემად მოხუცებულს. ვინ არის ეს კაცი, ეგზომ ტებილი ენით მოუბარი? ჰირველივე შემხვედრს არა ჰეგავს. მუსიკასავით ჩამესმის მისი ხმა, ვერაფერს ვერ შევადრი ამ ჰანგს. მისი ლაპარაკი მირჩევნია სხვათა სიმღერას. არადა, რაც უფრო ვაკვირდები, მით უფრო ნაკლებად გულ-წრფელი მეჩვენება მისი გამომეტყველება. გამომეტყველება ერთია თითქოს, სიტყვები კი სხვა. მარტოოდენ ღვთის სიყვარულით შეიძლება იყოს შთაგონებული ის სიტყვები, რასაც ის წარმოთქვამს. დალიანი და დანაოჭებული შუბლი აქვს. სასიქადულოა თუ სამარცხვინო ეს დალი, ასე ნაადრევად რომ ასე აპერებს? მონინებას უნდა იწვევდეს მისი ნაოჭები თუ ზიზლს? არ ვიცი და არც მინდა ვი-

ცოდე, მეშინია. სულ იმასაც რომ ამბობდეს მართლა, რასაც არ ფიქრობს, მაინც კეთილი სურვილებით იქმს, ალბათ, ამას, მოყვასის თანალმობა ჯერ კიდევ შერჩენია, მე ვფიქრობ, ცოტაოდენი და ის თუ ამოძრავებს? თავის ფიქრებშია ჩაძირული. მე არ ვიცი, რას ფიქრობს, მაგრამ გაორმაგებული ძალისხმევით ეკვეთა აგერ ამ მისთვის უჩვეულო სამუშაოს. ვერც კი ამჩნევს, ოფლი რომ ჩამოსდის წურწურით პირისახეზე, აკვანში მწოლიარე ჩვილი რომ გინახავთ, იმაზე უფრო სევდიანი გამომეტყველება აქვს. ო, რა პირქუშია! შენ აქ საიდან გაჩნდი, უცხოელო? მომეცი ნება, შეგეხო იმ ხელით, რომლითაც ცოცხლებს იშვიათად ვეხები – მეცოდინება მაინც რაც არ უნდა იყოს, როგორ მოვიქცე. ეს შენი თმა საუკეთესოა მათ შორის, რაც მე ოდესმე მინახავს და აბა ვინ გათამამდება ასე და ვინ იტყვის, რომ მე არ ვიცი კარგი თმის ფასი?

– რა გინდა ჩემგან, ვერ ხედავ, საფლავს ვთხრი – ლომი არ უნდა გააღიზიანო, ვიდრე თავის საქმეს არ მორჩება. არ იცოდი? ანი გეცოდინება, თუ არ იცოდი... მიდი, ჰო, მიდი, აისრულე შენი წადილი...

– ის, რაც ახლა თრთის ჩემს ხელში და მეც ასე მათრთოლებს, ხელით როცა ვეხები, ხორცია უეჭველად, წყალი არ გაუვა ამას, ცხადია, ესე იგი, ეს და არ არის სიზმარი. ვინ ხარ მაინც, ვინ, ასე რომ გამოიდე თავი და ჩემს მაგივრად თხრი ახლა აგერ ამ საფლავს, მაშინ, როცა მე თითს თითზე არ ვაკარებ, თითქოს ვინმე უქნარა და ზარმაცი ვიყო? ახლა ძილის დროა ან იმისი დროა, რომ დასვენება მეცნიერებას შესწირო მსხვერპლად, ის დროა, როცა ყველა შინ არის და არავინ არ ტოვებს კარს ღიას ქურდების შიშით. ყველა თავის ოთახში იკეტება და უკეთესს ვერც ვერაფერს ვერ იქმს მაშინ, როდესაც ბნელში დანთქმულ ბუხრის ჩრდილს ჯერ კიდევ ძალუძს, თავისი სიმბურვალის ნარჩენებით გაათბოს ოთახი. შენ არა, შენ ასე არ იქცევი, შენი

სამოსელი შორეული ქვეყნის ბინადრის სამოსელს ჰგავს...

— თხრას აღარა აქვს უკვე აზრი, სულერთია, მაინც არ დავიღლები, ახლა მოდი, გამხადე და ჩამანვინე ამ საფლავში...

— ჩვენ ისე უცნაურად ვსაუბრობთ ეს ერთი ხანია, რომ არც კი ვიცი, რა უნდა გითხრა... სიცილი მოგენატრა, ეტყობა.

— ჰო, ჰო, სიცილი მინდა, ნულარ აქ-ცევ ყურადღებას იმას, რასაც მე გეუბნები....

წაიქცა ანაზდად ამ დროს უცხოელი და მესაფლავებ უმალ ხელი შეაშველა:

— რა გემართება?

— ჰო, ჰო, შენ მართალი ხარ, ტყუილი ვთქვი — დავიღლე და იმიტომ გავაგდე ხელიდან ეს ნერაქვი... პირველად შევეჭიდე ამ საქმეს... ნულარ მიაქცევ ყურადღებას იმას, რასაც მე გეუბნები....

— ჩემი თვალსაზრისი სულ უფრო და უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს: ამ კაცს, ვიღაცაა, რაღაცა საშინელი კაეშანი ტანჯავს. ფიქრიც კი არ მინდა იმაზე, რომ რამე ვკითხო. ისე მებრალება, რომ მირჩევნია, არაფერი არ დავინამდვილო. არც თვითონ არ მეტყვის არაფერს, რომც ვკითხო, დარწმუნებული ვარ. გულისნადების გამხელა ორმაგი ტანჯვაა, როცა თავად ეს გული არ არის საგულეში.

— გამოშვი, გავეცლები ამ სასაფლაოს, წავალ ჩემი გზით....

— სად წავალ? ვერ ხედავ, ფეხზე ვეღლარ დგები, მუხლები გეევეთება, დაიპნევი სადმე, გზას ვერ გაიგნებ, ჩემი ვალია, რომ ეს უხეში სარეცელი შემოგთავაზო, სხვა მე არ გამაჩნია, მაგრამ მენდე — ჩემი სტუმართმოყვარეობა შენი საიდუმლოს ხელყოფას არ გულისხმობს.

— ჰო, ტილო პატილსანო, უფრთებო მწერო, ბარე ორჯერ დამაყვედრი, ალბათ, კიდევ, სათანადოდ რომ არ ვაფასებდო შენს ჭკუა-გონებას და, ვინ იცის, იქნებ, მართალიც კი იყავი, რადგან არც მე არა ვარ ახლა მადლიერი აგერ ამ კაცის... ო, მალდორორის შუქურავ, საით მიუძღვი მის ნაბიჯებს, საით?

— ჩემკენ, ჩემკენ — შინისაკენ! ვინც არ უნდა იყო: კაცის მკვლელი, რომელსაც საპნით ხელის დაბანა დაგავიწყდა იმის მერე, რაც ჩაიდინე და ამიტომ უმალვე იმხილები, როგორც კი ხელებზე დაგხე-დავენ, ძმა, რომელმაც და დაკარგე, თუ შენივე სამეფოდან განდევნილი მეფე, ჩე-მი ჭემმარიტად რომ უკიდეგანო სასახ-ლე იმსახურებს შენი მიღების პატივს. არ არის ეს სასახლე მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით ნაგები, ერთი უბრალო ქონია და მეტი არაფერი, მაგრამ ძალი-ან დიდი წარსული აქვს და ანშეოც სულ იმ წარსულს უხანგრძლივებს და უხან-გრძლივებს. ლაპარაკი რომ შეეძლოს, შენც კი გაგაკვირვებდა — იმას, ვისი გაკ-ვირვებაც, როგორც მე ახლა მეჩვენება, შეუძლებელია. ვინ იცის, რამდენჯერ მი-ნახავს იმასთან — იმ წარსულთან — ერთად ეს კუბოები და ამ კუბოებში მოთავსებული ეს ძვლები, — ჭიბისაგან იმ კარზე უფრო გამოჭმული, რომელსაც მე ვიყავი ხოლმე ამ დროს მიყრდნობილი. ჩემს აუ-რაცხელ ქვეშევრდომთა რიცხვი დღითი დღე იზრდება და იზრდება სულ, თვლაც არ მჭირდება, მათი რიცხვის ზრდა რომ დავინამდვილო. აქაც ისევეა ყველაფერი, როგორ ცოცხლებში — ყველა იმის შესა-ბამის გადასახადს იხდის, როგორც საც-ხოვრისსაც ირჩევს. წუნურაქი თუ გამო-ერევა ვინმე და უარს იტყვის თავის წილ-ხვედრზე, მეც ისევე ვიქცევი, როგორ სა-სამართლოს ალმასრულებლები იქცევიან. კარგ სადილს დახარბებულ ტურებსა და სვავებს, ხომ, აპა რა დალევს?! ვინ-და არ მინახავს აქ სიკვდილის დროშის ქვეშ ჩამწკრივებული: ისიც, ვინც ოდეს-ლაც ლამაზი იყო და არც სიცოცხლის მერე არ დაუშნოებულა; კაციც, ქალიც, მათხოვარიც, უფლისწულიც, ყმაწვილურ ვნებათა ნამცვრევი ყველა; მოხუცებულ-თა ჩონჩხებიც; სიბრძნეც, სიგიჟეც, სი-ზარმაცეც, შრომისმოყვარეობაც; ისიც, ვინც ტყუოდა და ისიც, ვინც მართალი იყო; ამპარტაგნობის ნილაბიცა და თავ-მდაბლობაც მორჩილებისა; ყვავილების

გვირგვინით მორთული ბინიერებაც და გაყიდული უმანკოებაც...

— არა, რა თქმა უნდა, მე არ ვამბობ უარს იმ სარეცელზე, რომელსაც შენ მთავაზობ, შემეფერება მე ეს სარეცელი მანამ, ვიდრე ირიურაჟებდეს, გარიურაჟი კი, ვიცი, არ დაიგვიანებს. მაღლობელი ვარ შენი... კარგი სანახავია, მესაფლავებ, ქალაქთა ნანგრევები, მაგრამ ადამიანთა ნანგრევები მაინც გაცილებით უფრო კარგი სანახავია!

•

ნურბელის ძმა ნელი ნაბიჯით დაიარებოდა ტყეში, სვენებ-სვენებით დაიარებოდა, დროდადრო პირი რომ გაელოდა რამე ეთქვა, მაგრამ, როგორც კი ხმის ამოღებას დააპირებდა, მაშინვე ყელი ეკუმშებოდა და პირი უშრებოდა, ენაზე მომდგარი სიტყვა არა და არ ამოსდიოდა პირიდან. იყვირა ბოლოს: — „მდინარეში დამხრჩვალ ძალლს რომ დაინახავ, ადამიანო — ნაპირზე გამორიყულს — ნუ ეცემი უმალვე ყველასავით, დანით ნუ დაეძერები მისი ლეშის გაბერილ მუცელს და მატლებს ნუ ამოსხამ იქიდან, თორემ იმ ძალლზე უკეთესი არაფრით აღარ იქნები მერე. რას ეძებ მაინც, რა საიდუმლო გინდა გაიგო ასეთი? სიცოცხლის ამ საიდუმლოს შენ კი არა, ვერც მე ვერ გავუგევერაფერი და ვერც ყირულოვანი ოკეანის ბინადარმა ზღვის ლომმა ვერ გაუგო. ფრთხილად იყავი, სადაცაა დაღამდება. დილას აქეთ რომ დაეხეტები აქ ასე უგზო-უკელოდ რას იტყვის შენი ოჯახი და შენი პატარა და, ასე გვიან რომ მიუხვალ შინ? დაიბანე ჩქარა ხელები და დაადექი იმ გზას, რომელიც იქ მიდის, სადაც შენ უნდა დაიძინო... ის რაღა სულიერია ნეტა, აგერ იქ, შორს, ასე უშიშრად და ასე განდაგან რომ მოხტუნავს ჩემკენ — ეგზომ ამპარტავანი და ტანჯული? ნათელი თვალები აქვს თითქოს, მაგრამ მეტისმეტად ღრმა არის მისი მზერა. ვეებერთელა წამნამებსაც ისე აფრებივით აფახულებს, თითქოს მისი არც იყოს. თვალს

ვუსწორებ ამ თვალებს და ურუანტელი მივლის მთელს ტანში. ასეთი რამ იმის მერე არ განმიცდია, რაც ძუძუებს ვწოვდი იმისას, ვისზეც დედას იტყვიან. თვალისმომჭრელი სინათლით არის ზეგარდმოშემოსილი, ვითარცა შარავანდედით. ხმა ამოილო თუ არა, უმალვე ყველაფერს გააურუოლა ერთი გაურუოლება მის ირგვლივ და მერე ყველაფერი მაშინვე დაღუმდა. ანდამატივით ვიზიდავ, ვატყობ, და აღარც მე აღარ ვუწევ წინაღმდეგობას... რა კარგია?! მიჭირს ამისი თქმა შენთვის, ძლევამოსილი ჩანხარ, შენი სახება აღემატება ადამიანისას, სევდიანია, როგორც სამყარო, ლამაზია, როგორც თვითმკვლელობა. გაღმერთებ, რაც გამეწყობა, მაგრამ შენი თვალების დანახვას იმ გველის დანახვა მირჩევნია მაინც, დასაბამითგან ყელზე რომ მყავს შემოხვეული... რაო? გომბეშო ხარ?.. დიადი გომბეშო!.. ბედერული გომბეშო!.. ჩვენ ბოდიში!.. ბოდიში... ბოდიში... კი, მაგრამ აქ რამ მოგიყვანა, ამ წყეულ მიწაზე? რა უქენი ასეთი ამ შენს ლუდუდოებს, ასე სანდომიანად რომ გამოიყურება? მე შენ მაშინ მყავხარ ნანახი, უზენაესის ნებით მაღლიდან რომ ჩამოვარდი, ჯიშ-ჯილაგები რომ დაგემშვიდებინა სხვანი და სხვანი თავ-თავიანთი ყოფით გაბეზრებულნი. დავინახე, როგორ დაეტყებე მაშინ ამ მიწაზე ისე, რომ შენი გველებაშეური ფრთები არც კი შეგიტოკებია. საპრალო გომბეშო! მახსოვს, მე მაშინ უსასრულობაზე და ჩემივე უსუსურობაზე ვფიქრობდი. — აი კიდევ ერთი, ვინც აღმატებულია ჩეგნზე, ყველაზე, ვინც ამ მიწაზე დავიარებით-მეთქი? — გავიფიქრე, — რატომ მე არა ვარ-მეთქი ასეთი? — რას უნდა მიენეროს განგების ეს უსამართლობა-თქო? — მრისხანების უამს ყოვლად ძლიერია, მაგრამ სრულ ჭკუაზე თუ არის, ნეტა, შემოქმედი-თქო? შენ რომ დაგინახე იმ დიდებით შემოსილი, რაიცა მარტოოდენ ღმერთს შეეფერება, წყალ-ჭალებისა და ჭაობების მეუფეო, ერთგვარად კი დავმშვიდდი თითქოს,

მაგრამ იმის მერე სულ უფსკრულებისაკენ გამირბის თვალი ამოდენა და ამხელა სიდიადის შემყურეს! ვინ ხარ, ბოლოს და ბოლოს, ვინ? დარჩი, არ წახვიდე არსად, დარჩი აქ, ამ მინაზე, გაშალე შენი თეთრი ფრთები და ნულარ იხედები მაღლა, ნულარ აფახულებ ასე ამ შენს წამნამებს... თუ წასვლაა, ერთად წავიდეთ! დაჯდა გომბეშო თავის უკანალზე – ასე რომ წააგავს ადამიანის უკანალს. მყვარნი – სხვანი და სხვანი – უმალვე მიმოიფანტნენ აქეთ-იქით თავიანთი დაუძინებელი მტრის დანახვაზე და ესა თქვა მერე: – „ყური დამიგდე, მალდორორ, შემომხედე, წახე, რა სარკესავით მშვიდი ვარ... არც ჭკუა-გონებით არ ჩამოგივარდები... ჩემი ცხოვრების საყრდენი ხარო, რომ მითხარი ერთხელ, პატივი იმ ნდობისა, რაც მაშინ მომაგე, მე არასოდეს არ გამიცრუებია, მე ჭაობის ბინადარი ვარ ერთი და მეტი არაფერი, მართალია ეს, მაგრამ შენი წყალობით, იმის წყალობით, რომ ყოველივე საუკეთესო გადმოვიდე შენგან, სულიერად ავმაღლდი და აი ძალმიძს, აგერ, უკვე შენთან ლაპარაკი. მე მოვედი ახლა შენთან, რათა უფსკრულებიან გისსნა. ყველა, ვინც შენს მეგობრად იწოდება, შიშით შემოგცერის, განგაშის განცდა ეუფლება ყველას შენ დანახვაზე, თეატრში იქნება, ეკლესიაში, თუ სადმე სხვაგან, ხალხმრავალ ადგილზე რომ გადაგეურება – ან კიდევ ფერმიხდილსა და იმ ცხენის ზურგზე გაკრულს რომ მოკრავს თვალს, რომელსაც მხოლოდ ლამამობით ძალუძს გააჭენოს თავისი შავი მოსასხამით შემოსილი მხედარი-მოჩვენება. განაგდე შენგან ეს ფიქრები, ასე რომ გიუდაბურებს გულს, ცეცხლი არ დაგწვეს ისე, როგორც ეს ფიქრები, შენი გონება ისე ავად არის, რომ შენ ვერც კი ამჩნევ ამას, ის სიტყვები, პირიდან რომ ამოგდის, ბუნებრივად იმიტომ გეჩვენება, რომ ჯოჯოხეთური სიდიადით არიან აღსავსენი. უბედური პყავხარ შენ გამჩენს – აბა, მითხარი, რისი თქმა შეიძელი მაინც გაჩენის დღიდან? ჰოი, სავალალო

ნაშთო იმ უკვდავი გონებისა, რაიცა ასეთი სიყვარულით შექმნა ლმერთმა! შენ არა შეგიქმნია რა თვინიერ წყევლისა – მშიერი აფთრის კბილთა ლრჭენის მსგავსისა. მირჩევნია, სულაც არ მქონდეს ქუთუთოები, არ მქონდეს ხელები და ფეხები, მირჩევნია, კაცი მყავდეს მოკლული, ოლონდ არ ვიყო ის, რაც შენა ხარ. მძულხარ და იმიტომ! რისი მაქნისია ეს ამოდენა ღვარძლი? რა უფლებით ხარ მოსული ამ მინაზე? ვინ მოგცა უფლება, სასაცილოდ რომ იგდებ ყველას, ვინც აქცხოვრობს, შე დამპალო, შე ურწმუნოთა რჩეულო! თავი თუ არ მოგწონს, წადი იქ, საიდანაც მოსულხარ! ქალაქელს რა უნდა სოფელში, სადაც უცხოა? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ცათა შინა ჩვენსაზე გაცილებით უფრო დიდი სივრცეებიც არის და იმ სულთა გონიერება ჩვენთვის მიუწვდომელია, – ჰოდა, წადი იქ, გაეცალე ამქვეყნიურ უულმართობას! გამოაჩინე ბოლოს და ბოლოს შენი ღვთაებრივი არსება, რასაც ასე გულდაგულ მაღავ, ამაღლდი ცად, ჩვენ სულაც არ შეგვურდება შენი, შე ამპარტავანო, შენ! მე, აგერ, ისიც კი ვერ გამიგია, ადამიანი ხარ შენ თუ რაღაცა უფრო მეტი? აბა, მშვიდობით, ნუ გექნება იმისი იმედი, რომ ოდესმე კიდევ გადაეყრები სადმე გომბებოს. ჩემი სიკვდილის მიზეზი შენ ხარ მე მარადისობას ვუერთდები, შენი ცოდვები რომ გამოვისყიდო“.

## ●

ლოგიკური თუ არის, ხანდახან იმის მიხედვითაც განსაჯო ადამიანმა თუ რაჩანს და როგორ ჩანს, მაშინ ეს პირველი სიმღერა აქ მთავრდება. მაინცადა-მაინც მკაცრად ნუ განსჯით იმას, ვინც ჯერ მხოლოდ ცდის თავის ლირას, რაოდენ უცნაურადაც უნდა უდერდეს ის ხმა, რასაც მისი ლირა გამოსცემს. მიუკერძოებლობას თუ ინებებთ, ნაკლთან ერთად ზეგარდმო მომადლებულ ნიჭაც უეჭველად დაინახავთ აქ. მე კი მეორე სიმღერის წერას შევუდგები ამასობაში, დროის

მცირე მონაკვეთში რომ შემოგთავაზოთ  
ისიც. გამოუჩინდება მეცხრამეტე საუკუ-  
ნის მიწურულს თავისი პოეტი – იმთავით-  
ვე შედევრით ვერ დაიწყებდა, ცხადია,  
ბუნების კანონს უნდა დამორჩილებოდა.  
ამერიკის სანაპიროზეა იგი დაბადებული  
– იქ, სადაც მდინარე პლატა იღებს სა-  
თავეს და სადაც ორი უხსოვარი დრო-  
იდან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკი-  
დებული ხალხი ახლა ერთიმეორეს უჯიბ-  
რება, ნივთიერ და ზნეობრივ პროგრესს  
გამოდევნებული. სამხრეთის დედოფალი  
ბუენოს-აირესი და კოპწია მონტევიდეო  
მეგობრულად უწვდიან ერთიმეორეს  
ხელს ამ მდინარის გაღმა-გამოლმიდან,  
მაგრამ მარადიული ომის იმპერიას კუდი

კვლავინდებურად ყავარზე აქვს გადებუ-  
ლი სოფლებში და კვლავაც აურაცხელ  
მსხვერპლს იმკის. მშვიდობით, ბერიკა-  
ცო, და იფიქრე ჩემზე, თუ წამიკითხე!  
შენ კი, ყმაწვილო, იმედს ნუ დაჰკარგავ,  
რადგან შენ უკვე პოვე შენი მეგობარი  
ვამპირი აქ ისე, რომ არც კი გიფიქრია  
ამაზე – იმ ძლინკიან ტკიპასაც თუ სათ-  
ვალავში ჩავაგდებთ, ასე რომ გაფხანი-  
ნებს სულ და საშველს არ გაძლევს, შენ  
უკვე ორი მეგობარი გყავს!

პირველი სიმღერის დასასრული.

**ფრანგულიდან თარგმნა  
მამუკა ცეცხლაძემ**

# მიკრო ლაკრბა

ପ୍ରାଣବୟାଲ ଡ୍ରା ଏତ୍କୁହାନ୍ତାଳ ଏନ୍ଦ୍ରପ୍ରଦୀପ



ସତ୍ୟରାଜୀ

A c a c

მოხუცი ხანაშე ცუგბა ფაცხის წინ,  
ეზოში იჯდა. მაღალი ალვის ხის ჩრდი-  
ლი აგრილებდა მის ნაოქიან შუბლს. მუხ-  
ლებზე დამბალი ტყავის ნაჭერი ედო და  
თავის ერთადერთ შვილს – თემირს ქა-  
ლამანს უკერავდა. მოულიდნელად წამო-  
ვარდა ძალი და ყეფა დაინყო. მოხუცმა  
თავი ასწია და უცნობ ახალგაზრდა კაცს  
მოჰკრა თვალი, რომელიც მთელი ძალით  
მორბოდა, მან ჭიშკრამდე ვერ მიაღწია,  
მესერს გადმოევლო და ეზოში აღმოჩ-  
ნდა. ეტყობოდა, მეტად დაღლილი იყო.  
ჭაბუქმა მოხუცთან მიირბინა და დამ-  
ტვრეული აფხაზურით ხვეწნა დაუწყო,  
დამმალეო. მისმა სიტყვის კილომ აფიქ-  
რებინა მოხუცს, რომ მოსული ჩერქეზი  
უნდა ყოფილიყო.

- მდევარი მომდევს, - ქლოშინით  
თქვა ჭაბუკმა, - მიხსენი, მოხუცო, დამ-  
მალე, თუ დამინახეს მომკლავინ.

— სახლში შედი, სახლში! — უცებ წილ-  
ლაპარაკა ხანაშემ და ახალგაზრდა ფაც-  
ხაში შეიყვანა. მან კედელზე კიბე მიადგა  
და სტუმარს თავანზე მიუთითა, — აცოც-  
დი, შვილო, იქ მატყლის გროვაა და და-  
წექი, მშვიდად იყავი, არ შეშინდე, უში-  
შარ ადგილზე ხარ.

— მწუხარება აშოროს შენს მოხუცე-  
ბულობას. — მადლობის ნაცვლად წაი-  
ბუტბუტა ახალგაზრდამ და საჩქაროდ  
აძვრა თავანზე.

Атахмада Цыгэ Ҳанашә иаштаөү, абш—тла атака ашәшьыра дытатәаны, ажәцәеимаакәа изахуан. Иңа затә Т емыр иакәын иззиҗахуазгы. Ус ала шын, Ҳанашә ихы дөсахан днаңышызар, аръыск дыщакуа агәарп даахытын, ашта дааталт. Ҳанашә дөсагылан иааиз асас днеиңүлөйт.

—Бзиала үаабит, дад! Улеи ағныш!

—Бзия убааит! Сыршъразы исышъе тоуп ауаа, ст҃әахы ламыс умазар! —

и хэйт алас.

—Уаан арахь! — ихәан, днаиацысит  
Ханашә. Дыщакуа днеин, акыба ааге  
аны, инадиргылит атзыавара, нас  
инеениырбеит: — Хыхъ ухал, дад,abraхъ!  
Атуан ахъ ухал! Уа аласа ықәуп, унөө  
ины унылатәа. Иааниуа сара дызбап, уара  
умшәан.

Асас атуан ахъ данхала, Ханашэ акыбыа иган, абыны ашътахъ ахәачараңы иттәахит. Нас днаскъан дныгъышы—аапъшиит акыр, аха азәгъы димбейт даауә аны. Дааласшәа днеин днаитцагылан, диазтидаант исас

— Изустада дад сысас. “сырщъразы

მოხუცი გარეთ გავიდა, გაიხედ-გა-  
მოიხედა და რაკი დარწმუნდა, აღარავინ  
ჩანდა, უკან ფაცხაში შემობრუნდა და  
ქვევილას შეიკითხა:

— არ შეშინდე, შვილო, არავინ ჩანს, ალბათ, არავის შეუხედნია შენთვის, რომ ჩემს ეზოში გადმოხტი. ისე კი მითხარი, რატომ გდევნიან და ვინ არის შენი მდევარი. რა დააშავე, რომ მოკვლას გიპი-რებენ?

- კაცი შემომაკვდა, მისი მეგობრები დამედევნენ, შური უნდათ იძიონ.

- რისთვის მოკალი კაცი?

- შეურაცხყოფა მომაყენა. დოლის დროს ჩემს ცხენს მათრახი გადაუჭირა.

– ვინ არის მოკლული, სახელი არ იცი?

- არ ვიცი, მე ხომ თქვენს სოფელში  
პირველადა ვარ.

ამ დროს ძალიშვილი გაბმით დაიწყო ყეფა და ორივენი გაჩუმდნენ.

- ჩუმად, მე წავალ, დავათვალიერებ.
- წყნარად თქვა მოხუცმა და ეზოში გა-

ვიდა.  
შორს, გორაკის წვერზე რამდენიმე

კაცი გამოჩნდა. უკან ხალხი მოსდევდა. მოხუცმა, მზისთვის თვალი რომ აერი-დებინა, შუბლზე ხელი მიიფარა და იქით გაიხედა. ახლა აშკარად ჩანდა, რომ ისი-ნი მისი სახლისაკენ მოდიოდნენ. ხალხი ნელა, მძიმე ნაპიჯით მოძრაობდა. რამ-დენად მის ფაცხას უახლოვდებოდნენ, ხალხის რაოდენობაც იზრდებოდა.

— ესენი, ალპათ, ამისთვის მოდიან, მკვლელს ეძებენ. — გაიფიქრა მან და მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რათა და-ეცვა სტუმარი.

მაგრამ ეს რა არის?! ორიოდე კაცი  
წინ წამოვიდა, ხალხს გამოეყო, დაწინა-  
ურდა, ეზოს ჭიშკარი გამოალეს და შიგ-  
ნით შემოვიდნენ. თან ხალხი შემოჰყვა.  
ეზო აივსო.

ახლა მოხუცმა ნათლად დაინახა, რომ  
მათ ხელით რაღაც ნაბადში შეხვეული  
მოჰქმნდათ.

მოხუცი ადგილზე გაშეშდა. ნაბადს დააჩერდა თუ არა ისე შეირხა, თითქოს მის მოხუც გულს ხანჯალი მოხვედრო-დეს სასიკუდილოდ. ხალხს თეთრწევრა მოხუცი აშვიუ აპიდჟი გამოიყო. აშვიუ

исыштыуп” ззуҳәаз. Умшәан азәгы дызбом ааигәа—сигәа. Узыхдыркъозеи умхәо?

—Ауасы дысшьит, — ихәйт атакс алас.

—Коҳ! Ауасы дысшыт ухәоу!

Дзыхуркъазеи дыушьит аха? —  
Иzymбатэбараҳеит атахмада

— Сөйжәланы сшыхәмаруаз сөйдасит иҗамчала. Уи сара дсысыр иафье зан.— ихәйт алас.

— Убызшәа хәанчашәа избоит.

## Уашауынумада ?

— Ааи, сашәыуң сара.

— Издырит уцәажәашьала. Акыс  
—шәарт ашәуаа шәөуп иаха иаххымзб  
дуу, ушөүжәу даөазәи уеы дасыр.  
Дызустоу умхәо иушыйз?

—Дызыдьруам дызустоу. Иахъадагы дсымбацт.

Ус алашбжы го иалагеит.

— Сышь! Устыхә! Иааит ҳәа сыкоуп!  
— ихәан дындәйлтит Ҳанашә. Днасқыан,  
ааигәа уағ дынимба, алашбжы ахъгаз  
ашқа дыпшуа далагеит хара, инапы  
илахъ иадкыланы. Цкъа данпышы, ибит  
инахаараны цьюкуы ахәы икәланы ишаауз.

“Имбасцәоу арахь аку иахъааяу “— хәа дышхәышүаз, иара иашта агәашә ахь рхы шхаз мбашьо иалагеит. Җкөйнак даараे ұрысын агәашә ааиртит. Ашта иааталеит ауаа маңымкәа, азәгъы даатаргалеит сакасала ауапа иқәышрәни. Дааганы ашәшүырағы даашьтарцеит. Иааицәымб ахан, “Дызустада ари? Иқалазеи? “—хәа азтаахагы имтәкәа, иааиз даарылтын, Ҳанашә дааидгылт Баз Хабыб, иуа бзия, игәыла.

—Үеырбәйәа Ҳанашә, “зеңүш қамле ац ықам”— рхәоит. Уңазатә Темир дыршыит иахъя...

Имч аайлӟан, длеизкәөйт дахъгылаз  
Ханашэ.



მისი ტოლი კაცი იყო და ოჯახის ძე-  
ლი მეგობარი. მან მოკრძალებით, ნაღ-  
ვლიანად შეხედა მასპინძელს და წყნარად  
თქმა:

— ძალა მოიკრიბე, ხანაშე! გამაგ-  
რდი, დღეს შენ დიდი და ძლიერი მწუ-  
ხარება დაგატყდა თავზე. მაგრამ განა  
ამქეცყნად არის ისეთი ძალა, რომელიც  
დროს არ შეენელებინოს და დაესუსტე-  
ბინოს?! თვითონ შენ გისწავლებია ჩვენ-  
თვის: „ძლიერი ხასიათის კაცი დიდ ჭირს  
აიტანს, დიდ მწუხარებას გაუძლებს“.  
დღეს კაცთსაძულველმა ჩერქეზმა შენი  
თემირი მოკლა!

მოხუცს მუხლი მოეკვეთა. მან კანკალით წაიკლო გულზე ხელი და წაიქცოდა კიდევ (კ), რომ ხალხს არ დაუჭირა.

ქალების წივილ-კივილმა ეზო ააფორია.

ორი დღე-ლამე ესვენა ხის ლოგინზე  
შვილის გაციებული ცხედარი. სხვადას-  
ხვა მიზეზით რამდენჯერმე ავიდა მოხუ-  
ცი თავაზზე. აკანკალებული ხელით და-  
ნალვლიანი სახით მიჰქონდა ახალგაზრდა  
ჭაბუკთან ულუფა. მესამე დღეს დაასაფ-  
ლავეს თუ არა თემირი, მისი მეგობრები  
მოხუცთან ერთად დაბრუნდნენ ეზოში.  
შუაღამედე ისხდნენ ისინი მოხუცთან.  
შემდეგ კი გულმოკლული კაცისთვის  
მარტო მოსვენება რომ ეცდიათ, გამოემ-  
შვილობნენ.

— ჩვენ ვიცით, — თქვა ერთმა მათგან-  
მა, თემირის ტოლმა და ყველაზე საყვა-  
რელმა მეგობარმა, — ყველანი ერთად ვერ  
შეგიცვლით შენს თემირს, შენს შვილს,  
მაგრამ ჩვენ შენთან ერთად გავიზიარებთ  
ამ საერთო მწუხარებას. ყოველდღე შენ-  
თან მოვალთ, თითქოს თემირი ცოცხალი  
გვყავდეს, ყველანი მოგეხმარებით, ყვე-  
ლანი მოგიფერებით.

მისი სიტყვები ახლა საზეიმოდ და  
მტკიცებ ისმოთა ეზოში.

— სიტყვას გაძლევთ, — დაუმატა მე-ორემ, — რომ შურს ვიძიებთ. მართალია, მოხერხებულად დაიმაღა ის ჩერქეზი, თვალს და ხელს შუა გაგვიძვრა ტყეში, შეიძლება სადღაც სულ ახლოს არის, აღბათ, ვიღაცა მალავს კიდეც, მაგრამ მალე მოგზიბნით მას, მალე გაიგიბ, მო-

— “Зъба дымғысыц упъа диумыртқысуан”  
—рхэоит. Цыгъх уажааны сара  
сзықәшәаз ауп иахъа уара иухагъаз  
ацәгъара, —дағын Баз Хабаб ацәжәәара...

Аха атахмада ак иахауамзт: ипбсы илшәшәеит. Атқәуара талт ашта. Ағәйлаңа еизеит. Өаха—фымш еихсың ыра рымамзт ахәхәреи, атқәуареи.

— Сызфада? Дызшыда сыркәйн? —  
ихән дтаяит Ханаша ипсү анаа.

— Ашəуаки иареи аækəа шдырхəмаруаз акы ааймаркын, икъарахə аатпəааны дхисит ашəуа. Уи иацъал алазаарын Темырғы, иаразнак акухеит, — ихəйт арпəарцəа руазəы.

— Дабатэиу? Дабаанагеи уи ашёуа ?  
Дыздыруада?

— Уағғыс диздьруам — дарагын  
стаан, аха — ихэйт даёа арьыск. — Азэй  
дицны днеизар акэхап аха, ас ацэгъара  
аниу, дназгагы ихы ирзом, дахзеильные  
мкаант.

– Нас еимаркзи зырхәа?

— Излархәаз ала, еимаркыз уи ауп,  
— Төмөр ашәуа иеы дасит қамчыла. Уи  
хымызб дус ипъхъазеит ашәуа...

— Еилкаауп шыта зегъы...еилкаауп,—  
ихәеит Ханаша деиххальсы

Хаха— хымш аңсы дықәнін аңәартбәй, дыртқыуон, хаха— хымш азғегы имырбакә афатәи ази нхагаланы иитон Ханашә атуан иқтәаз исас. Аңшымш азы, аңсы дыржын, ауаа анеимпы, Темир иқәлацә абыззә Ханашә инае ишталаеит аснықа.

— Агъса иқәшәандаз убри ашәу!  
Абра цьара абна иеенит иеытәахны  
дтәоуп... Амбақәа ҳкит, ҳаихафоит,  
ипъшаара ҳаेуп иахъабалакь, аха  
дахъыхашәом макъана,— ихәит руазәы.

— Даңыртып, дабацари! — ихәит даеазәгы. — Уи шыта уара иунато

ხუცო, მის სიკვდილს. ეს ცნობა, აღმართ, მცირედ მაინც შეგიმსუბუქებს მწეხარე-ბას და დაგამტკიდებს.

ამ სიტყვების შემდეგ თემირის მეგობრები წავიდნენ.

მოხუცი მარტო დარჩა.

ნაღველით სავსე თვალები მოავლო  
გარემოს. ხომ არავინ არის ახლომახ-  
ლოო, გაიფიქრა, მერე მივიდა, ხურჯინი  
ჩამოილო, მსუყე საჭმელით აავსო, კიბე  
თავანზე მიდგა და ჩერქეზ ჭაბუკს და-  
უძახა:

- ჩამობრძანდი, სტუმარო, ჩამობ-  
რძანდი. აქ აღარავინ არის, ყველანი წა-  
ვიდნენ.

როცა სტუმარი კიბეზე ჩამოცოცდა, მოხუცმა ათრთოლებული ხელით გაუწოდა ხურჯინი.

— ნაიღე, — უთხრა მან, — აქ ორი დღის საგზალი დევგს. სახლისაკენ იჩქარე, შვილო, ტყით ახლოსაა გადასასვლელი. ახლა ბნელი ღამეებია, ვერავინ დაგინახავს.

ნელა დახარა თავი სტუმარმა, ნელა  
მიიტანა ტუჩებთან მოხუცის ჩოხის კალ-  
თა, მოკრძალებით ეამბორა მას, სიტყვის  
უთქმელად გავიდა ფაცხიდან და სიპნე-  
ლეში გაქრა.

егыъқам, аха хара упъа ибызцәа хуал ма  
инахмыгзари: сара сазәйкны ҳағынъа  
сұхынхәуам Темыр ишъа сымукәан!

Абас еибырхәан, ицеит аръарцә.  
Имацарап данаанха, Ҳанашә амакәан  
иртәйт фатәыла, нас днеин, акыбыа  
ааиган, атзывара инадиргылан, өааитит  
исас иахъ

— Улеи, дад, сысас, шъта арахь! Сыме ацара соуп, уаха ара уаф дыѣкам.

Дналбаант асас.

Абри аанкыл, сысас! — ихәан, Ҳанашә исас иниирkit амакәан.— Абра амғаныфа тоуп, изуырха, ашәы уғыны уненаанза. Арт, иушызыз ибызцәа, рымакаршы уах уазу...— дынхъайръшит ғадахьшәа инең иуаз амғаҳуастаҳы. — Абри амғаҳәаста уанымтқәа уца: хәдақала уалнагап ии ҳқыта, урт иуштыу удмырбакәа. Нас ушзахәо уцала Нхытқа. Ухалтцып уеібганы. Уца умға бзиаз!

Длақәын, Ҳанашә икәымжә акалт дагәзит асас, нас уаха мхәакәа убри амғахәаста днанылан, иөненеитеп алә ашьцара...

## თარგმნა მ. ასათიანმა



# ტრისტან მახაური



**მისამილ ლაპერაბას ნოველა  
„სტუმარი“ და მისი ლიტერატუ-  
რულ-ფოლკლორული  
პარალელური**

მამამ დაინდო შვილის მკვლელი! თით-ქმის დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ რაც უფრო დაუჯერებელი და ნაკლებ სარ-წმუნოა მოხუცის მოქმედება, მით უფ-რო დიდი ინტერესით იყითხება ნოველა, მკითხველიც მეტი თანაგრძნობითა და პატივისცემით ეკიდება აფხაზი მასპინ-ძლის პიროვნებას.

ნოველა დაწერილია აფხაზური ტრადიციების ღრმა ცოდნით. ხალხურ ზნე-ჩვეულებებსა და ზეპირსიტყვიერ მასალას მიხეილ ლაკერბაი ხშირად იყენებს საკუთარი ნოველების სიუჟეტების ასაგებად. ამის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე: „მეგობრული საუბრების დროს ავტორს ჩემთვის უამბნია, რომ ის, უმეტეს შემთხვევაში, კი არ თხზავს თავისი მოთხოვბების სიუჟეტებს, არამედ მათ ხალხური შემოქმედების სალაროდან იღებს. ამ მიზნით ის ხშირად მოგზაურობს თავის სამშობლოში, განსაკუთრებით არჩევს მივარდნილ სოფლებს, სადღაც მთებში გადაკარგულთ, ეცნობა მოხუცებულ ადამიანებს, ისმენს მათ ნაამბობს და, შინ დაბრუნების შემდეგ, მათ ამუშავებს ნოველების, არაკების, ანეკდოტების სახით. ამრიგად, მიხეილ ლაკერბაის ნაწერებში ჩვენ გვაქვს ბედნიერი შერწყმა ხალხური ზეპირსიტყვიერებისა ცნობისმოყვარე და განათლებული ლიტერატორის ინდივიდუალურ შემოქმედებასთან“ (ლაკერბაი 2012: 7).

## Миха Лакрба иновелла «Асас»-и уи алітература- фольклортә аицәарақәеі

Миха Лакбра иновелла «Асас» атып ында ааннакылоит ашәкәышбы ирәниамтағы. Айсуя литератор Русле ан Каңба иажәәқәа ихыркъацоуп хәа иумпхъазар, «Асас» иссиру пәтамтоуп. Хәарада, айсышәала уи еибү айтамта макъана икәм». (Каңба, 1984:171).

Ановелла ахцәажәара халагаанза, иааркыяңы иахгәалахарапәп уи атәкә: атахмада Цыгә Ҳанашә иаштаңы абш-тла атақа ашшәыра дытатәаны, ажәцәеимақәа иззахуан. Иңазатә Җемир иакәын иззизахуазгы. Ус, аръыс дыще цакуа, агәара даахытын, ашта дааталт. Цюуки дыршырыц ишиштаз иеихәан, дитәахырыц дихәеит. Атахмада аръыс ибызшәа хәнчашәа ианиба, дашшәуаз идырит. Атахмада аръыс диззаант узыхдыркъозеи хәа. Аръыс атак қайтәе ит: аөырбэрра аан икамчыла сөй иасыз аратәи чкәыннак дсамхашыит хәа. Ҳанашә асас атуанахь дхеигалан, дитәахит. Хара имгакәа, игәашә атъхъа ауаа еизеит. Атъсы дрыманы иаауеит. Ишызы аръыс атахмада иңазатә Җемир иакәзаап. Атахмада иаразнак идырит ичкәын дызшүе ыз сасра дышидикылаз, имч аайлзаә ан, длеизкәйәит, аха нас иеирбәбәан, иуажәлар акгы реимхәеит. «Хахәа хымш иңазатә атъацхаңы ацәардәафәи дықәтсаны, дыртқауон, - хатъхьюит ановеелла аәы, - хахәа хымш азәгы имырбакәа,

ՐԵԱԼՎՐԱՋ ԹՈԹԵԾԱՐՈ ՐՈՄԵԼՈ ԱԹԵԱՅԻ  
ԺԱՄԱՆԱԿԱՆ ՍԱԴԱՎՈՎՈՎԱՋ ԱՎՔՈՐՄԱ ԲԻՎԵՆ ԹՈ-  
ՒՐ ԳԱՆՏԱԿՈԼՎԵԼ ԵՆՎԵԼԱՏ, ՉԲՈՋՈԼՈ ԱՐ  
ԱՐՈՍ, ՌԱՄՎԱ ԱՖԵԱՑՄՈՐ ՍԳՄԱՐՄԱՏՈՆ-  
ԾԼՈՒԾՈՎ ԸՆԱՏԱՏԵՐԾՈՎ ԹՎԱՋՄԱՆ ԹՎԱՋՄԱՆ  
ՄԱԼՎԱ ԻՆԱԼ-ԻՓԱ ԹՄԵԼՄԵՋԸ ԵՐԴ ԳԱԺՄՈ-  
ՎԵՄԱՏ, ՐՈՄԵԼՈՎ ԹՈՒՄՈՎ ԹՄԵԼՄԵՋԸ ԵՄ-  
ՏԵՎԵՎԱ ԹԻԵՅՈՎ ԼԱԿԵՐԾԱՏ ԱՄ ԵՆՎԵԼՈՎ  
ՌԻՆԱԱՐԾԵ, ԹԱԳՐԱՄ ԹԻԵՅ ԻՆԵՐԾՈՎ ՎՐՈՎ,  
ԱԳԳՈԼՈ ՋԱ ԹՄԵԼՄԵՋԸ ԹՈՒՄՈՎ ԵՐԴ ԱՐ  
ԱՐՈՍ, ՐԱՎ ԾԱԼՈՎ ՍԱՄԵՆՄԵՐՄԱ ՋԱ Ը-  
ՒՐՎԱՑՄՈՎՈՎ ԵՆՎԵԼՄԵՋԸ ԵՐԴ ԵՐԵՎԱՆ-  
ՎՈՎ ԵՐ ԳՎԱՆՎՈՎՈՎ. ԱՅ, ԵՍ ԱՄԵՆԱՐՈՎՈՎ:  
”ԳԱԺՄՈՎԵՄՈՒ, ՐՈՄԵԼՈՎԾ ԵԱԼԵՄՐԱՎԱԼ  
ՑԵՐԾԵ, ՋՐԱԼՄԻ ՇԵՋՈՒՐԾՈՎ ՎՐՈՎ, ԹՐՈՆ  
ԵՆԻԵՅԵՆԵ, ԵՐԴՄԱ ԹՄԵԼՄԵՋԸ ՋԱ ԳԱ-  
ՎԵՎԱ. ԹՖԵՎՐԵՒԾՈՎԱԳԱԲ ԹԱՎԴԱՍԱԼԵՎԵՎԱՋ  
ՄԱՎԼԵԼՈ ՇԵՎԱՐԾԱ ՑՈՐՎԵԼՈՎԵ ԵՑՈՄԾԻ,  
ՍՎԵԼԱՑՎԵՐՈ ՍԱԲԾՈՎ ԹԱՏԻՆԵՋԾԵ, ՐԱՎ Ի-  
ՌՈՎՈՎ ՋԱ ՍԵԽԵՎԱ, ՋԱՎԵՎԱ ԹԻԵՅ ՏՈՎՈՎ-  
ԵԼՈ. ԹՄԵԼՄԵՋԸ ՋՈՒՐԾԵ, ԱՄ ԵՆՎԵԼՄԵՋԸ ՄԱ-  
ՌԵՆՎԵ ԳԱԺԱՄԱԼԱ ՏԳՄԱՐՄՈ ՍԱՄԵՋՄՈ Ա-  
ԳԳՈԼԱՏ. ԱՄԻԵ ՇԵՄԴԵՋ ԹԱԼՋ ԹԻԵՅ ԵՑՈՄԾԻ  
ՇԵՄՈՎՈՎ ՍԱՄՑԼՈՎԱՐՄ ՑՐՈՎԵՍԻԱ ՋԱ  
ՇԵՄՈՎԱԵՎՈ ԹԻԵՅ ՇՎՈԼՈՎ ԳԱՏԻՍԵԼՈՎԱԵԲ-  
ԸՆ ՑԵՎԵՐԾՈ. ՐՈՐՈՎԾ ԻՐԿՎԵՐԾԱ, ԹԻԵՅ  
ՇՎՈԼՈՎ ԹՄԵԼՄԵՋԸ ՊՄ ԱԳԱԹՈՎՈՎ ԹԻԵՅ  
ԵՐ, ՐՈՄԵԼՈՎ ՄԱՆ ԵՍ-ԵՍ ԱՐՈՍ ՋԱՄԱԼԱ ՋԱ  
ԻԿԵՆԱ ՇՄՈՐՈՎԻՋԵԾՈՎԱԳԱ. ՐՈՎԱ ԹԻՉՎԱԼԵ-  
ԸՆ ՋԱՄԱՐԵԵԾ ՋԱ ՍՎԵԼԱՆԻ ԵՆՎՈԳԵՆԵ  
ԹԱՎ-ԹԱՎՈՎԱՆԹ ՍԱԵԼԵԾԾՈ, ՍԵՎԵԾՄՈՎՄԱ ՄԱՄԱԺ  
ՍԱՄԱԼԱՎՈՎՈ ԳԱՄՈՒՊՎԱՆ ՄԱՎԼԵԼՈ, ՍԻ-  
ՎԵՆԱ ՄԱՍ ՍԵԽԵՎԱՄՈ ԳԹԱ ՋԱ ԳԱՄՎԵՎԱ ՍԱԵ-  
ԼԵԾՈ. „ՇԵԲ ԹՄԵԿԱԼՈ ԻՐՄՈ ԵՐԴԱԾԵՐՏՈ ՎԱ-  
ՇՈՎՎՈՎՈՎ, – ՍԵԽԵՎԱ ՄԱՆ, – ՄԱԳՐԱՄ ՇԵՆԻ  
ՏՈՎՈՎԵԼՈ ՄԵ ԹՄԱՆԾԵՋ, ԳԱԵՖՈ ԻՐՄՈ ՏԳՄ-  
ՄԱՐՄ ՋԱ ՄԵ ԱՐ ՇԵՄՈՎԾՈՎ ՑԵԽԵՎԵՇ ԳԱՎԵՐ-  
ԼՈ ՏԳՄԱՐՄԱՏՈՆԵԾԼՈՎՈՎ ԵՆԵՍԻ. ՑԻՎԵՆ  
ՏՈՎՈՎԵԼՈՎ, ԵՆԳՈ, ՍԱՆԱՄ ԻՐՄԾ ԹՐՎԱՐ-  
ԵԾԸ ԱՐ ՇԵՄՄԻԵՎՈԽԱՐ. ԱՄԻԵ ՇԵՄԴԵՋ ԱԼԱՐ-  
ՍԱՋ ԳԱԺԱՄԵՎԱՐՄ!“ (ԻՆԱԼ-ԻՓԱ 1965: 430).

.....

ՐԱԿՈ ՋՈՎՄԵՆՑՄՈՎ ԵԿԱՐԾԵ ԱՐ ԱՏԱ-  
ԵԼԵՎԾԸ, ՈԺՄԵՅԾԱ ՇՏԱԲԵՔՖՈԼԵԾԸ, ԹՈՒ-  
ՄՈՎ ԻՆԱԼ-ԻՓԱ ՍՎԵԼԵՎԱ ԹԻԵՅՈՎ ԼԱԿԵՐԾԱՏ  
ԵՆՎԵԼՈՎ ՌԻՆԱԱՐԾԵ. ԱՐՏԵՅԵԾԸ ԹՅՄՄԵԼԵ-  
ԸՆ ՄԵՐՄԵ ՎԱՐՈԱՆՑՈՎ, ՐՈՄԵԼՈՎ ԱՐ-

ԱՓԱՏԵԻ ԱՅԻ ԽԱԳԱԼԱՆ ԻԻՏՈՆ ԽԱՆԱՇԵ  
ԱՏԱՆ ԻԿԵՏԵԱՅ ԱՍԱԾ».

ԱՊՇՅԱՄ ԱՅԻ ԱՊԾԵ ԴԵՐՋԻ. ԱՅԱ ԱՆԵԿՎԱ, ԱՏԱԽՄԱ ԱՏԱՆ ԱԵՎ ՅԵ  
ՎԵՑԵԱԽԱՅ ԱՐՊԵԿ ԴԻՊԽԵԻ: «ՈւԼԵ, ԴԱ,  
ՍԿԱՍ ՇԻՏԱ ԳՐԱԽ! ԾՅԱՑԱ ՍՈՒ, ՍԽԱ  
ԱՐԱ ՍԿԵ ԴԵԿԱՄ».

ԴՆԱԼԱԱ ԱՍԱԾ. ԽԱՆԱՇԵ ԱՍԱԾ  
ԻՆԱԿՐԻԿ ԱՄԱԿԵԱՆ.

«ԱԲԻ ԱԱԿՅԼ, ՍԿԱՍ, – ԻԽԵԱԻ, –  
ԱԲՐԱ ԱՄՖԱՆԻ ԹՈՒ, ԻՒԶԻՐԽ ՍԽՆ  
ՍԿԵԱԱՆՃԱ. ՍՇԱԿՅ ԱՓՆԻԿ, ԴԱ! ԱԲԻ  
ԱՄՖԱԽԵԱ ՍԽՆՄԿԱ ՍԿԱ, ԽԵԴԱԼԿ  
ՍԻ ԽԿՏԱ ՍԱԼՆԳՈՒ. ՆԱ ՍԽՆՀԵԱ  
ԽԽԵԿ ՍԽՆՀԵԱ. ԽԽԵԿ ՍԽՆՀԵԱ».

ԴԼԱԿԵՅԻ, ԽԱՆԱՇԵ ԻԿԵՅՄԺԵՅ  
ԱԿԱԼ ԴԱԳԵՅԻ ԱՍԱԾ, ՆԱ, ՍԽԱ ՄԽԵԱԿԵԱ,  
ԱՄՖԱԽԵԱ ԴՆԱՆՎԱՆ, ԻԵՆԵԻԵԱ ԱԼԵ  
ԱՇՅԱՐԱ» (ԼԱԿՐԲԱ. 2012:19).

ԱԲ ԻՊԱԶԱԴ ԴԵՅՇՎԵ ԴՐԵՎՀԱԻՇԵԱ!  
ՍԱ ԻՄԱԽԱ ԽԵԿՍՈՒ, ԱԽ ՍԻ ԿԱԼԱՇԱ ԱՄԱ  
ԽԵ ՇԱԿ ՍԽԵԿՍԱ ԱԿԱ, ԻԽԱ ՍԱՅԵԼՄԽ  
ԱՆ ՍԱՊԽԵՈՒ ԱՐ ԻՆՎԵԼԼԱ, ԱՊԽԱՅ ԻԽ  
Ա ԴԵԻԼԿԱԱԵԱ, ԻԽԱ ՊԱՒ ԻԿԵԱԾՈՒ  
ԱՊՍԱ ԱԳՇԵԱ.

ԱԲԱՍ ԵԻՊՇ ԻԿԱԼԱ ԱԽՏՍ ԱՆԻԵԱ  
ԱՎՏ, ԱԲՐԻ ԻՆՎԵԼԼԱԿ, ՄԱԿՅԱ ԱՅ  
ԻԴՐԻՄ ՍԻ ԻԻԱՇՈՒ ԻԻԱՇԱՄ, ԱԽ ԱՊՍԱ  
ԱՊՇԵԱՄԱՐ, ԱՉԵԿՎԱԿ ՏՎԵՇԱԱՅ ՇԱԵ  
ԼՎԱ ԻՆԱԼ'ԻՅԱ ԻԿԿՎԵԽՐԱԿ ՌՈՒԿ  
ԱԿՆ ՍԻ ԱԳԵՐԱ ԽԻՐԳՈՒ, ՄԻԽԱ ԼԱԿՐԲԱ  
ԱԲՐԻ ԻՆՎԵԼԼԱ ԱՇԿԱ ՌԱՇՈՒ ԱՏԵՅ.  
ԱԽ ՍԻ ԻՍՅՄՏԱ, ԱՏՎՊ, ԻԱԶԽԱՅ ԱՐԲԱ,  
ՍԻ ԴԱԱՐԱ ԻԳԵՎԽԻՐՈՒ, ԱԼԻՏԵՐԱՏ  
ԱՊՎԱՐԱ ԱՓՈԼԿԼՈՐՏ ԽԵՎԽԻՐՏԱ ԻԱԵ  
ԷԿ ԻՆԱԳՅՈՒ ԱԴՎՐԱ ԱՏԱՐԱ ԱԽՎԱԼՄՎՇՈ.  
ԱԲԱՐ ՍԻ ԱԿՎԵՎՎԱԽԱ: “ԱԽԵԱՄՏԱԿ ԻԿՈՒ  
ՐՈՒ ԱՅԱՐԱՎԱ ԱԽՎԻԿ ՆԽԵԱՐԱԿ ԱԵՎ,  
ԱԵՎՐՈՐԱ ԱԱ, ԾՎՅԱ ԵԿՎԵԱԿ, ԱՅՅ ԵԳԻ  
ԴԻՇՆ ԴԵՎՆԱԼԻ. ԻՇՎՏԱ ՐԵԿՆԻՏ ԻԵ  
ԻՇՎԵԱԽՎ ԱՅ ՐԱՋԽԱ ԻԿԵՎԵԱ ԱԳԵԱՐՎ  
ԱԵՎ, ԻՊՎԱ ԱՊՎԵԱ ԵԽԵԱ ԴՅՎԿԵՎԵԱՅ,  
ԻԿԱԿՏԱ ԱՏԵՅ, ԴԻԽԵԱ ԴԵԿԿԵԻՐԽԱՐՎ.  
ԱԲՐԻ ԱԿՎ ԴՅՎԽԵՎԿԱ, ԻԱՐԱՆ  
ԱԿ ԴԻՎԵԱԽԱ ԻՍԱ ԴԱԽՎԵՎՅՄՎՇԱԱՐ  
ԱՏՎՊ ԱԿՆ, ԱԿՎ ԱԱՄՎԿԱ ՍԻ ԻԳԵԱՐՎ  
ԱՎՎԱՎԱ ՎԱԼԻ. ԱՇՎԱՐԱՎԵՎՐԱ ԻԱԳԱ



ტურ ანშპას და ვლადიმერ დარსალიას ნიგბია დამოწმებული. იგი ჩანერილია 1969 წლის აგვისტოში გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფში მცხოვრები ქუნთი ტვანბასგან. აღნიშნული თქმულების მიხედვით, მოხუცის შვილის მკვლელია თავადი ამარშანი. თავადი შეურაცხყოფილი დარჩა იმით, რომ დოლში ვიღაც გლეხის შვილმა აჯობა და ნაწყენმა მის ცხენს მათრახი გადაუჭირა. ახალგაზრდამ მათრახის საპასუხო დარტყმით ცხენიდან ჩამოაგდო თავადი. მიწაზე დაცემულმა თავადმა იძრო პისტოლეტი და მოკლა მოხუცი ცუგბას ვაჟიშვილი, ისარგებლა ხალხში შექმნილი ჩოჩქოლით და გაიქცა. დამოწმებული წიგნის ავტორებს თქმულების ტექსტი მთლიანად არ მოჰყავთ. ისინი ნაწყვეტებს იყენებენ და მსჯელობენ მოხუცის მოქმედებაზე. როგორც მითითებული მასალიდან ირკვევა, მოხუცს სახლში მიუღია შვილის მკვლელი, წმინდად მოუსდია სტუმართმოყვარეობის ვალი და წასვლისას სტუმარი გაუფრთხილებია, ფხიზლად ყოფილიყო, რადგანაც სისხლი რჩებოდა მის კისერზე. ზეპირგადმოცემის მიხედვით, ხალხში ვრცელდებოდა ამბავი მოხუცის მეორე ვაჟიშვილის და მისი პიძის გმირული სისხლისძიებისა, სისხლის აღება კი დიდხანს არ გრძელდებოდა. და ეს კეთდებოდა განზრახ, რათა მკვლელი ყოფილიყო მუდმივი შიშის ქვეშ (ანშპა 1979: 37-38). როცა ეს თქმულება ჩაიწერეს, მიხეილ ლაკერბაი უკვე ცოცხალი აღარ იყო (იგი გარდაიცვალა 1965 წელს). ამიტომ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, თვითონ ავტორმა ვისგან მოისმინა ეს თქმულება და რა სახის იყო იგი, სანამ ლიტერატურულად დაამუშავებდა. მწერლისა და ზეპირსიტყვიერების ურთიერთობის საკითხი მკვლევარისაგან ძალიან ფაქტი მიღებომას მოითხოვს (ამ მხრივ ფასდაუდებელი მწიშვნელობა აქვს ვაჟა-ფშაველას წერილს საკუთარი პოემების ფოლკლორული წყაროების შესახებ).

სტუმრის სიცოცხლის უსაფრთხოება  
წმინდათაწმინდა მოვალეობა იყო კავკა-  
სიელი ხალხებისათვის. მასპინძელი ვალ-

иқаз иңкәйн затәры иңбысыбағ рыме аны. Анағас ишдүрхаз иңкәйн дыштызыз, ииттәахыз асас иакун, уи ала ашьяура дахирпәйт. Аңбысы анышә данарта ауаа зегъырыңыңқақә ианелыт аамшытахь, аб'гәәк иттәахны имаз исас даағнигө ан, иирбит ишәартамз амба, иңыңқа дауижъит. “Уара дыушыит сара сыңқәйн - ихәйт иара, аха уара сара сыгәрағаны упъстазаара снапы ианутцит, сыйлас уакәхит, сара исылшом асасдұларатә хатындың реилагара, апъстазаара уатәасшыит уца, сыйжәлауаа урбаанза. Абри инаркны цыара усықәымшәаит!” (Инал-иңба 1965 ш. 403).

Адокументтә хытхырта ахъарбам азы икоуп агэаанагара, Инал'иңа, Миха Лакрба иновелла атакы еитеихөшәе. Икәоуп ахәамта аబбатәи авариантгы, уи Артур Аншбей, Владимир Дарсале иеи рышәкәи ақны иаарпүшуп. Уа иане тю 1969 шықса, нанхәа мза Гәдота араион ақыта Дәрыгьыш инхо Кәйнә Тәанба икәнитә ирахаз ауп. Ари ахәамта инақәырпүшны, абрыг ичкәын дызшызы атауад Амаршыан иауп. Атауад ихымзү ишьеит аөырға ақны нхабык ихылт дахылааиз азы, уи азыхәан аөыс иөи ақамчы ахиркьеит, арпүс иөи иаахаз ақамчы азыхәан атауад иөи далирғасит. Адгыл икәхаз атауад итапанча аатихын иара уатқека дишиит абрыг Цыгәба ихылт, аилағынтра икалас ихәи иаирхәан ауғашыра зуз дыбналит. Ишъакәырпүшөу ашәкәи авторцәа ахәамта зегзы ааргә ом. Урт ацыптыарахқәа рхы иархәаны абрыг ихымғаңғашы иалаңажәоит. Ари аматәахә ишаҳәаз ала абрыг иөни дидикылеит ичкәын дызшызы, асасдкө ыларатә атас зегзы неигзеит, дане ынаскыегозгы агэыеантара иитит, избанзар ишъаура иара идны даанхон. Ағаңыцтә рәиамтала, ажәлар ркны еитархәон ахтыс, абрыг еги ичкәыни, иабиашеи иқартаз афырхатаратә ашыура, уи анағзара акыр аамта амгит. Уи иазгәатаны инагзан, ашыра зуз еснә ағы ихы ашәарта итагыланы ибарц азы

დებული იყო სიცოცხლეც კი გაეწირა  
სტუმრის გულისთვის, გინდაც მოსისხლე  
მტერი ჰყოლოდა სახლში. ამ საკითხს  
ცოტა მოგვიანებით კიდევ დავუბრუნ-  
დებით, ახლა კი უნდა აღვინშნოთ, რომ  
ლაკერპაის ნოველას პარალელები მო-  
ეპოვება ქართულ ლიტერატურასა და  
ფოლკლორში. ლიტერატურიდან დავასა-  
ხელებთ ვაჟა-ფშაველას უკვდავ პოემას  
„სტუმარ-მასპინძელი“, ხოლო ფოლკლო-  
რიდან ბალადას „შიოლა და მთრეხელი“.  
ვაჟას პოემა 1893 წლით თარიღდება და  
მასში ქისტებისა (ვაინხური მოდგმის  
ხალხი) და ხევსურების პატრიარქალური  
საზოგადოების ფონზე იშლება მოქმედე-  
ბა, ხოლო „შიოლა და მთრეხელი“ მეჩ-  
ვიდმეტე საუკუნის რეალურ ისტორიულ  
ამბავს გადმოგვცემს.

ვაჟა-ფშაველას პოემაში ქისტმა ჯო-  
ყოლა ალხასტაისძემ სახლში ისტუმ-  
რა ხევსური კაცი, რომელიც მისი ძმის  
მკვლელი აღმოჩნდა. ჯოყოლამ ეს ამბავი  
თანამოძმე ქისტებისაგან შეიტყო, მაგრამ  
რადგანაც ზვიადაური უკვე მისი სტუმა-  
რი იყო, ჯოყოლა თანასოფლელ ქისტებს  
მისი მოკვლის საშუალებას არ აძლევდა:

„დღეს სტუმარია ეგ ჩემი,  
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“ (ვაჟა  
1964: 217).

ამ დაპირისპირების დროს ჯოულამ ერთი თანამემამულეც მოკლა, მაგრამ ქისტებმა ის შებოჭეს, სტუმარი ზვიადაური კი წაიყვანეს და თავიანთი მკვდრის – დარლას საფლავზე დაკლეს. ტრადიციული შეხეძულებით, ქისტებს უნდოდათ, ის დარლასთვის შეენირათ, საიქიოში მისი მოსამსახურე გაეხადათ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, რადგან ზვიადაური არ გატყდა, ქედი არ მოიხარა მტრის წინაშე. ქისტები რომ ეუბნებოდნენ: „დარლასამც შეენირებიო“, ზვიადაური პასუხობდა: „ძალლ იყოს თქვენი მკვდრისადა!“ მისმა გმირულმა სიკვდილმა ქისტები ღრმად ჩაფიქრა და ათქმევინა: „კარგი ვაჟკაცი ყოფილა“. ვაჟას პოემა ამით არ მთავრდება, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით აქ შევაჩერებთ ყურადღებას, რაკი სტუმრის მიღებისა და მისი გადარჩენის მცდელო-

(Аншба 1979 ш. '37'38). Ари ахәамта ананыртца Миха Лакраба ипъстазаара далтхъян (уи дыгъсит 1965 ш.). Убри аќынты ҳара ииашацәкъяны ихаздыуе ам алитетуратә апътамтахъ ииае игаанза автор ихата иахынтааигаз ари ахәамта, сахъас иамазгъы. Ағымтеи, ағапьыцтә рәниамтақәи реизықазаашъя азтцаара аттаафы агәөйнүзарала дазне еироуп (абри аган ала ахадара ду амоуп Важа Пұшавела исаламшәкъеси ихатеси поемақәа афольклортә ахытхырткақәа ирызкны)

Асас ипъстазаара ашәартадара, Кае вказ иқәыгынхоз амилатқәа рзы адоух атә таскәа ирылаңхъаזוуп, аңшәма иуе алын асас изы ипъстазаара амеигзара, уи асас иара иаңа бағысы иакәзаргы. Абри азтцаара еита ҳазыхынхәеит, уажәы иазгәахтароуп, Лакрба иновела иаңтәогыы ыкоуп ақыртуа литератуе реи, афольклори рәкны. Алитеттура ақны иаңхәәп Важа Гүшавела “Асаси, аңшәмей”, афольклор ақнытә абаллада “Шыолеи, Мтрехели”. Важа ипоема 1893 шыққаса ибын, уақа ақыстыцәеи (аваинахцәа рмилаттә уаа) ахевсурцәа апатриархратә ауаажәлари ыргәта имәе 17 ашәышыққаса аан имәңбысыз ахтыс атәы ханахәеит.

Важа Җашавела ипоема ақны ақье  
ыст Ҷоқола Алхастаизе иөнү ахъ<sup>1</sup>  
дааигит ахъевсур уафы, уи иара иаша  
гәакъа дызшызыз иакән. Ҷоқола уи атәү  
иашыцә ақыстыцә рәкнүтә иахант, аха  
Звиадаури иара исас ахъиакәыз азы,  
Ҷоқола иқытауаа ақыстыцә уи ишьра  
азин римтит:

“Иахъа уи сара дсысасуп,  
амшын зегбы ишъахаргы” (Важа  
1964 ш. 217)

Абри аиңағылара аан Цьоқола иқытауаа азәй дишьит, аха ақыстыцә уи дәрхәеит, исас Звиадаури дрыманы ицан, рашъя Дарла дахъжыз ахатгәйн ақны дыршыит. Адінтысқәа рыла,



„- რას სჩადით? შემოუძახა: -  
 ვის სტუმარს ჰქონდავთ თოკითა?  
 რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,  
 თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?“  
 (კაჭა 1964: 215).

ჯოულას სიტყვით, თემმა დაარღვია  
თავისი რჯული (სამართალი), დაივიწყა  
ადათი („ვის გაუყიდავ სტუმარი, ქის-  
ტეთს სად თქმულა ამბადა?“), ჩაიდი-  
ნა უნამუსობა და ფეხქვეშ გათელა მისი  
ოჯახის ლირსება.

სალხურ ბალადაში „შიომლა და მთრე-  
ხელი“ ნათქვამია, რომ შიომლა ღუდუშა-  
ურის მკვლელი შემთხვევით მიადგა ში-  
ომლას დის სახლს და მასპინძელ ქალს  
მფარველობა სთხოვა („დაო, ვერ შემინა-  
ხევდი? ცხონებას შენი ძმისასა!“). ქალის  
ქმარი შინ არ იყო, ეს გარემოება კი ზღუ-  
დავდა ქალს ქმრისგან დაუკითხავად სახ-  
ლში მიეღო უცხო მამაკაცი. მაგრამ უმ-  
ნეო ადამიანს შურისმაძიებელნი მოსდევ-  
დნენ, ეს საფრთხე გაითვალისწინა ქალმა  
და უყოყმანოდ შეიიფარა იგი. ცოტა ხნის  
შემდეგ გამოირკვა, რომ ძმის მკვლელი  
შეუფარებია. ქალმა სტუმარმასპინძლო-  
ბის წესს მაინც არ უდალატა და სისხლის  
ასაღებად კარზე მომდგარ ღუდუშაუ-  
რებს (ანუ ძმა-ბიძაშვილებს) თხოვნით  
მიმართა:

„ნუ მახელავთ, ჩემნო მამულნო  
 (ჩემიანებო),  
 ნაჭაპნს ნუ მამჭრით თმისასა“  
 (შანიძე 1931: 15).

„ნაჭაპნის“ ანუ ნაწნავის მოქრა ახლობელი ვაჟკაცის სიკვდილის გამო იცოდნენ ქართველმა მთიელმა ქალებმა. შიოლას დაც იმას ევედრება ძმა-ბიძაშვილებს – სტუმარს ნუ მომიკლავთ, ნუ დამამგლოვიარებთო. შურისძიებით ან-

акыстың аялғанда, уи Дарла ипсісі дае-  
рттар, нырцә уи иматуғыс димазарц азы,  
аха уи анаңзара ылымшештік, избанзар Звө  
иадаури иеримтіт, дұшамхышымғылестік  
иаға иәдәхъя. Акыстың аялғанда “Дарла ипсісі уақтоит”  
“Дарла ипсісі уақтоит”  
Звиадаури атак қайтқанды: “Шэйпісі алакәа дыртқашаа!”  
Уи ифырхаттарала ипсісі аялғанда  
акыр иархәйсіт, иагъднархәйт “ари  
дұрырхатса бзиан.” Важа ипоема арақа  
интәом аха хара макъяныз ара хаане  
гылит, избанзар асас идқылареи уи  
ихъчареи, иекәүрхареи азы имәдәбігу  
аепизод ағымхара ахтап. Цюқола исас  
дизымхЧеңтік, аха уи ишъразы иауаз  
гәартак ауаа иреиңәйт, асасдқыларат  
әрдин’тасқә шейларгоз атәй “Шэйзәу  
закәй? ибжыс иргеи:

Дзысада шахала иәшәхә?  
Изеилажәгозеи ихамоу атаскә,  
Схы аҳынцәзы зақәыштәо?“ (Важа  
1964 ш.’ 215)

Цьоқола иажәахәы ала ахатәү адинтәсқәа рыйзы ңыреит (аиаша), рқъабзқәа рхаштит (“зысас дызтихъада, ақыстыңқәа рұны ианбақалахъоу абриви еиңш?”) аламысадара қатит, итааңқәа рыйпату хыиенит.

Ауаажәлартә баллада “Шыиоле  
еи, Мтрехели” ақны ихәоуп Ҙудушаң  
урى дызшызы ауаң Шыиола, машәырла,  
изымдыркәи иишизы иаҳәшья лығын  
днеит, апъшәма пәхәыс длыҳәеит  
длыҳъярц, дылтәахырц “саҳәшья  
сыбзымтәахри? Башыа иңсы, цқъахааит?  
” апъхәыс лхатца ағны дықамз, уи атагылә  
азаашья ағжыра лнатон апъхәыс лхатца  
ида атәым уағы ағны идкылара. Аха  
ауадафра иақәшәаз ауағы ишъәңәа ишье  
тан, уи ашәарта азпхъагәтанаы апъхәыс  
ажәак мхәакәа дылтәахит. Мач анты  
ашьтахъ идирыхеит, илтәахәыз лашы  
гәакъя дызшызы шиакәыз. Апъхәыс асаң  
сдкыларатә атас еиламгәакәа ашыаураз  
иштаз ауаң Ҙудушаураа (иашыңәи,  
иабиашыңәи) ракъ ахәарала лхы лырхеит  
: Иқалозар уи дшәымшыын, сыйаңәа

თებულმა ძმებმა არ ისმინეს ქალის ვედ-  
რება და სახლის საკვამურში ნასროლი  
ისრით მოუკლეს სტუმარი. ქალი გან-  
რისხდა. ჯერ მოკლული სტუმარი გააპა-  
ტიოსნა და თვალცრემლიანმა გააცილა  
თავის მხარეში – ხევსურეთში მისი ცხე-  
დარი. შემდეგ, როცა ქმარი დაბრუნდა  
ნადირობიდან, ცოლმა ყველაფერი უამბო  
და კატეგორიულად მოსთხოვა სტუმრის  
სისხლი აეღო. ქმარი ჯერ თავიდან ყოყ-  
მანობდა, მაგრამ ბოლოს, ცოლის დაჟი-  
ნებული მოთხოვნით, იძულებული გახდა  
მოეკლა ერთ-ერთი ცოლისძმა. სისხლის  
აღების ჯაჭვური ხაზი გაგრძელდა და ამ  
მკვლელობას კიდევ სამ-სამი კაცის სიკ-  
ვდილი მოჰყვა როგორც ქალის ქმრის,  
ისე მისი ძმების – ღუდუშაურების მხრი-  
დან.

სამივე შესადარებელ ნაწარმოებს ახასიათებს ტიპოლოგიური მსგავსება. თემა ერთია, მაგრამ სიუჟეტი სხვადას-ხვანაირად ვითარდება და, შესაბამისად, განსხვავებულია მათი ფინალიც. განსახილველ ნაწარმოებთა პერსონაჟები კავკასიელები არიან (ლაკერბაის ნოველაში: აფხაზი და ჩერქეზი, ვაჟას პოემაში: ქისტები და ქართველი ზვიადაური, „შიოლა და მთრეხელის“ ბალადაში: ქართველი მთიელები – მოხევეები და ხევსური). სტუმართან ურთიერთობისას ისინი ხელმძღვანელობენ საკუთარი თემოპრივი ადათებით. ეს ადათები კი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „საუკუნეთა წილში ჩამოყალიბებული სტუმარმასპინძლობის ინსტიტუტი მთელი კავკასიის მოსახლეობისთვის უნივერსალური მოვლენა იყო“ და „სტუმრის მკვლელობა ან შეურაცხყოფა ადათითა და ჩვეულებითი სამართლით კავკასიის ყველა ხალხში სისხლ-მესისხლეობას ექვემდებარებოდა“ (ბახია 2010: 170).

სსენტებულ ნაწარმოებებში ერთმანეთს  
უპირისპირდება სტუმარმასპინძლობი-  
სა და სისხლის აღების ადათები და ამ  
დაპირისპირებაში სტუმარმასპინძლობა  
იმარჯვებს. ქართული ანდაზა სტუმარს  
ღვთის კაცად სთვლის: „სტუმარი ღვთი-

Схъэы ипъаны исықеу пышэымъкан  
(Шанизе 1931ш.' 15)

Ирзааигэоу фырхатцак даның слагы, ахцэы пъжара рдирнуан ақыртуа ахэса ашьхааа. Шьиола иахэшь абри азы дрыхэоит лгэашэ иаадгылаз, аешьцэе, абиашьцэе-сысас дшэымшын, ацьабара сышэмьртэн. Ашьяурала амца зкыз аешьцэа иазымзыфрит архэыс лажэа, афны ауацьвял ала ахэыци ахэымпали ала ихысны дыршыит алас. Архэыс дгэмтцит, рапжхяа, иршыз лысас дылтцэыит, нас лыбла лађырзыла итэны, дахьатэиз Хевсуряка амба иыкэылтийт ипсыйбаа. Нас лыгүшема афныкэа шэарыцарантэ дыныхэнхэы, ирхэыс зегын иалхэйт иара убас иаагүцэаны идэлгалийт лысас ишье иурц азы. Лыгүшема зын мап чап иkit, аха нас, ирхэыс дааќэымтзакэа ихэара даेын азы, иабхэйндацэа азэы дишьр акэхеит. Ашьяуратэ адач аура акыр иае цлит, ари ауаөшьра даеа хөбы хөбыла ауяа рыпстазаара иалнахит архэс лхатцеи, иара убас иашьцэа Бүдушауараа рган алагы.

Арт апътамтақәа рыхъагы ирзее ипъшу асахъақәа рымоуп. Атема аке ыуп, аха асиужует еипъшымкәа имәе тъысуеит, иара убас антәамтақәагы еипъшим. Еилыргатәу апътамтақәа рхығасхъақәа Кавказ икәйнхө амилатқәа роуп (Лакраба иновела ақны' апъсө ыуеи, ачыркъези, Важа ипоема ақны' ақыистцәеи акыртуаа Звиадауриаа, "Шьиолеи, Мтрехелии" абаллада ақны" акыртуа ашъхарыуааи, амохевцәеи, ахевсурцәеи). Асас иқны аимадарақәа раан урт анахъагыс ирымоуп рхатәи адат'тасқәа. Арт адатқәа даараја еипъшуп. Арадырраттцааратә литерә түра ақны изгәрәтоуп "ашәышықәсақәа рыла ишъақәырбәзәахаз асасдыларатә аинститут Кавказ икәйнхө зегыи рзы аууниверсалтә тәгылазааша аман", "асас ишъра ма ахъымзб иргара ақъабзқәа рыла Кавказ ауаажәлар зегыи рзы ашье аура атас иатданакуан" (Бахия '2010ш.' 170).



საა!“ ასე მიაჩნიათ აფხაზებსაც. შალვა ინალ-იუა წერს: „აფხაზთა წარმოდგენით, თვით ზეციურ ძალებსაც კი არ შე-ეძლოთ დაერღვიათ სტუმარმასპინძლობის წესი. გამოთქმა: „შენ სტუმარი ხარ თავისი გამჩენის“, „შენ ლეთის სტუმარი ხარ“ გვიჩვენებს, რომ, ძველი გაგების თანახმად, ლმერთსაც კი არ შეეძლო შე-ელახა სტუმართმოყვარეობის წესი და არავის მისცემდა წებას ხელი ეხლო იმ ადამიანისთვის, რომელიც გადავიდა მისი მფარველობის ქვეშ, როგორც სტუმარი. აი, რატომ აფარებდნენ თავს დამნაშავენი ხშირად სალოცავ კერპს ან ტაბარს“ (ინალ-იუა 1965: 431).

ქართული ფოლკლორიდან შეგვიძლია დავასახელოთ ბალადა „ივანეური“, რომლის მიხედვით ხევსურმა ივანეურმა მოკლა ფშაველი ყარტიულისძე, თვითონ ნაც დაიჭრა და ფშაველთა ერთ-ერთი სალოცავის – ცაბაურთის მთავარანგელოზის სალუდეს შეაფარა თავი. ამ სოფლის მცხოვრები ვაჟყაცები ვერ ბედავდნენ თავიანთ სალოცავში შესვლას. ამიტომ სხვა სოფლიდან მოიყვანეს შურისმგებელი ვაჟყაცი ხოშურაული, რომელმაც ცოდვა დაიდო კისერზე და მთავარანგელოზს მოუკლა შეფარებული სტუმარი. მთავარანგელოზი განრისხდა და ხოშურაულის შთამომავლებს დააკისრა ყოველწლიურად სავალდებულო მსხვერპლის შენირვა მათი წინაპრის მიერ ჩადენილი ცოდვის გამო. ამ მსხვერპლშენირვას დღესაც ასრულებენ ხოშურაულები.

ბალადაში „შიოლა და მთრეხელი“ შიოლას მცვლელმა მთრეხელმა თავის შესაფარებლად ახალციხის ყოვლანმინდა ღვთისმშობლის ეკლესიას მიმართა, მაგრამ ეკლესიის კარი დაკეტილი დაუხვდა და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა იძულებული მფარველობა ეთხოვა იქვე ახლოს მცხოვრები უცნობი ქალისათვის, რომელმაც შეიფარა და, ყველას გასაკვირად, ამ სტუმრის მიერ მოკლული ვაჟკაციის და აღმოჩნდა.

„ქართლის ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ სარკინოზთაგან თავდასალწევად მე- ფი აშოგ კურაპალატი ტაძარში შევიდა,

Ара иарбоу аңтамтақәа рұны еиғағылоит асасдқылареи, ашъауратә адат'тақәеи, арт аиғағыларақәа рұны асасдқылара аиаира агоит. Ақыртуа ажәапқала асас анцәа диуағуп хәа дыпхъязоуп: “асас анцәа дитәуп!”, абас ирыпхъязоит аңсуағыы. Шалва Инал’ипә ифуеит: “аңсуаа ргәаанагарала анцәа ихатагы илшомзт асасдқылара атас аилагара. Ахәамта : “уара усаे суп ҳазшаз иқнитет”, “уара анцәа уисае суп”, абарапқәа зегыи иаңнарбоит ажәйтә ахшығрада апшәма идиқылаз асас’ ауағы ихъчара уи дарбынзаалагы азәи иккысра азин иитомзт. Убри азы акәын ацәғъағцәа рхы ахъчаразы хытакыртас аныхақәеи, ауахуамақәеи залырхозгыбы”. (Инал’ипә 1965 ш.’431).

Ақыртуа афольклор ақны иахабар ҳалшоит “Иванеури”, уақа ахевсур Иванеури дишт апшав Картеулизе, иаңа ргыры дхәуит, апшавцәа рныхәартакәа руакы ақны - Цабаурттәи амаалақ хада ауахәамағ, ауарашибырта атып ақны иенитәахит. Ари ақыта ақны инхоз афырхацәа, аныхәартта ахь анеиө ра рзыгәабуамзт. Убри ақнитә даәа қытак ақнитә дааргит ашыуразы афырта Хошураули, уи агәнахара икәиттік аныхәартта дыбыналаны, уақа зөйтәахыз асас дишьит. Амаалық хада дәамтит, Хошураулиа рхыалтшытра иақәиттік, ессышықәсатәи апсататә ашыра, урт рабшытра иқартқаз агәнахара амшала. Абри апсататә ашыра иахъагы инаргзә оит Хошураулиа рыжәла.

Абаллада ақны “Шыолеи, Мтрехелии”, Шыиола дызшызы Мтрехели ихы ахъараз Ахалцыхтәи Ацқацә зегбы, Анцәадзыыхшаз ауахәама ахъ дненит иөитәахырц, аха ауахуама ашә аркын, уи аамыштың ауп аөйтәахраз уақа ааигәара инхоз атъхәыс даналыхәа, ларгы дылтәахит, уи зегбы уамашәа ирбит, ари аасас илтәахызы лашы дызшыыз иакун.

“ქართლის ცხოვребა” აქნება იდეალურ

მაგრამ იქაც შეუცვივდნენ მდევარნი და საკურთხეველთან დაკლეს იგი. ხალხური გადმოცემებიდან და წერილობითი წყაროებიდან მსგავსი მაგალითების მოტანა ძალიან შორს წაგვიყვანს, ერთი კი უნდა აღვნიშნოთ, რომ სალოცავში თუ კერძო ოჯახში თავშეფარებული სტუმარი, ტრადიციული გაგებით, თუმცა ხელუხლებელია (და ხშირ შემთხვევაში გადარჩენილიც), მაგრამ შურისმაძიებელი ადამიანები მაინც არღვევენ ამ საუფლო წესს და სწორედ ეს იწვევს მკვეთრ დაპირისპირებას საზოგადოებაში. ასეთი დაპირისპირება ყველაზე მძაფრად იგრძნობა ვაჟას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“. გავიხსენოთ ისევ ჯოყოლას სიტყვები; „რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა, თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?“ სისხლის აღების წყურვილით შემართული ქისტები არაფრად აგდებენ „საუფლო წესს“. ეს ძალზე აშფოთებს ჯოყოლას. თავდაპირველად ის მხოლოდ თემის წესს იცავს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სტუმარმასპინძლობას, აზროვნებს და მოქმედებს, როგორც ჩვეულებრივი რიგითი მეთემე, მაგრამ მის სულში თანდათან იღვიძებს პიროვნული საწყისები, იკვეთება მისი ინდივიდუალური „მე“. როცა ზვიადაურის ვაჟკაცობით მოხიბლული და ნამტირალევი აღაზა ქმარს გამოუტყდა: „ცრემლები შემინირია იმ შენი მეგობრისადაო“, ჯოყოლამ უპასუხა: „იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა? დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“ (ვაჟა 1964 : 228). აქ უკვე სხვა ჯოყოლა ლაპარაკობს, ის აღარ არის ჩვეულებრივი მეთემე, ის უკვე პიროვნებაა. გამორჩეული პიროვნებაა აგრეთვე აღაზა და მისი ფოლკლორული ტყუპისცალი, შიოლა ღუდუშაურის და, ვინც საკუთარ ძმასავით დასტირის ძმის მკვლელ მთრეხელს: „ლმერთმა გაცხონას, მთრეხელო, სტუმარო, ჩემს სახლში დახარჯულო!“ (შანიძე 1931: 337). ჯოყოლა და აღაზა თემთან მკვეთრად დაპირისპირებული პიროვნებებია, თემის ადათებზე და ყოველდღიურ ცხოვრებაზე ამაღლებული ადამიანები. მათ ამაღლებას სიმბოლუ-

асаркынозцә арыңытә иөйиттәахыр азы ах Ашот Курапалати ауахуама дығналит, уаҳъ иғналит иштәе згы, иара уацәкъа аныхәартә ақны дыршыт, ауаажәлартә ахәамталеи, абыратәи хытқыртақәи рыла ас еиғыш икоу аиғарпышыракә раагара даараја акыр хнанагоит, аха акы азгәахтароуп, аныхәартә аума ма чыдала атаацәара рахъ иненины зөйтүәахыз алас адаттә аиे лкаарала, “еихарак алас кыйс имамкуя, ма ипсы еиқәханы даанхонит”, аха ашье аура иаштыу ауа арт атасқәа еиларгө оит, иара уи амшала ауп ауажәлар рәкны аиғагыларәкәа зыхъьогы. Ас еиғыш икоу аиғагылара зегы реиха ицъбараны иаҳбонит Важа ипоема ақны “Асаси, альшәмей”. Иахгәалахәаршәап Цьоқола иажәакәа: “изеилажәгит анцәа ихаиे таз атасқәа, схы ахәынтың көуапеила изақәштәуе?” ашъаура зыбла ашья хнатказ ақәыстцәа, акғы иағсарымтәит “анцәа итас”. Ари даараја даргәамтцеит Цьоқола, зегы рафхызау уи ижәлар ртас ихъчоит, абри ахтыс ақны асасдқылаә ра, дазхәыңны ихы мөалғыгоит, ижәлар рыхәтак еиғыш, аха уи игәылағы еих а еиха ицәыртцеит ихатәи қазшықәа, иара ихата ихағсахья “сара”. Звиадаури ифырхатцараз, дызтәыуаз Абаза, лхатса иалхәит: “Сылабырз икәыстәит уара уғыза”, Цьоқола атак литеит: “бүтәуа?! анасың қабтит, сара уи сзеилкаарым аха апхәыс еснагы илнаалоит афырхатса бзия иттәуара” (Важа 1964ш.‘228). Арақа ицәажәо даеа Цьоқолак иоуп уи ус баша ижәлар рхатарнак иакәым, уи дхағроуп. Иалукааша хағроуп иара убас Абазагы, уи лфольклортә илыциз, Шиола Будушаури иаҳәшья лауп, уигы лхатәи аешья еиғыш дылтәыуит лашья гәакъа дызшыз Мтрехели : “Уахъ икоу уалхымзааит Мтрехело, сысас, сара сығыны зығсы зхызхыз! ” (Шанизе 1931ш.‘337). Цьоқолеи, Абазеи рыхәлар ирғагылаз хағсахъақәоуп, ажәлар ркъабзқәеи, ессымшатә апстазаарәи иаҳраку уаауп. Урт рыхракыра дыргатас



რად გამოსახავს ვაჟა, როცა ისინი ირეალურ სამყაროში ხვდებიან ზვიადაურს და კვლავ „ვაჟუაცობისას ამბობენ, ერთ-ურთის დანდობისასა, სტუმარ-მასპინძლის წესზედა ცნობის და და-ძმობისასა“ (ვაჟა 1964: 236).

მიხეილ ლაკერბაის ნოველაში პიროვნებისა და საზოგადოების ასეთი დაპირისპირება არ ჩანს. აქ დაპირისპირება ერთი ადამიანის შინაგან სამყაროში ხდება. ეს ადამიანი არის ხანაშე ცუგბა. მის არსებაში ერთმანეთს ებრძვის სტუმრის დაცვისა და სისხლის აღების წესი; აი, წინ უსვენია შვილის ცხედარი, მისი მკვლელი კი სხვენში ჰყავს დამალული. მამა ორ ცეცხლსშუა ტრიალებს. რა ქნას, გასცეს სტუმარი? – თემირის მეგობრები ხომ მის თვალწინ აკუნავენ ჩერქეზ ახალგაზრდას. ეს იქნება ჩვეულებრივი შურისძიება, რომელიც არაფერს შემატებს ტრაგიული მოხუცის ზნეობრივ სახეს. ხანაშე ცუგბას მხატვრული სახის შექმნისას მიხეილ ლაკერბაის აინტერესებს არა ადათების ბრძა მიმდევარი და ოდენ შურისმაძიებელი ადამიანი, არამედ სიკეთითა და მიმტევებლობით გამორჩეული პიროვნება. საბედისწერო წუთებში შვილმკედარი მამა ნებისყოფის არაჩეულებრივ სიმტკიცეს იჩენს და ღირსეულად იტანს განსაცდელს. მოხუცის ასეთი თავდაჭერილი და ღირსეული მოქმედება სტუმრის არსებაშიც ახდენს მეტამორფოზას. ის არა მარტო ფიზიკურად გადარჩენილი, სულიერად გარდაქმნილი ტოვებს მასპინძელი მოხუცის სახლკარს: „ნელა დახარა თავი სტუმარმა, ნელა მიიტანა ტუჩებთან მოხუცის ჩოხის კალთა, მოკრძალებით ეამბორა მას, სიტყვის უთქმელად გავიდა ფაცხიდან და სიბნელეში გაქრა“. სტუმარი ამ უესტით ჩადენილ ცოდვასაც ინანიებს და მოხუცის კეთილ გულსაც პატივს სცემს. აი, ეს არის სწორედ პიროვნების კათარზისი.

მიხეილ ლაკერბაის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შექმნა ვაჟა-ფშაველას პოემისაგან სრულიად განსხვავებული სიუჟეტი, თავი დააღნია ლიტერატურულ გავლენას და მკაფიოდ გამოხატა საკუ-

იააირებით ვაჯა, ნირცე ურთ ვიე ადაური იანიკეშე ეითა „აფირხათა რა ირხეოს : ეიბამშე აზი, ასასი, აქშემარე ათასი, იანეი ბიდარა აეხეშა - აეშვარე აანგვი“ (ვაჯა 1964: 236).

მიხა ლაკრბა ინოველა აქნი ახაერე, აუაჯელა რიბჯარა ეიცაგილა უბაზო. არა აიცაგილა აუასი იარა იხალა იხყი, ისნუტკათა ეილკარე ეიცაგილით. არ აუასი ხანაშე ციგება იუპ. უ იგეის, იხშვი ეიბაფით ასას იხვარე, აშვაურე რიბჯარა: აბარ იაგხე დყეუ იხყლთ დყშენი, უ დყშენ ათან აქნი დთხახნა დიმუპ. აბ ამცა რიბჯარა დყლიუპ. იქანთა რი, ისას დრითარმა ? თეიმირ ისყვიცა იარა იშიბო დეიქეირჯე ეაუეით, უ დყშენ აჩერკა იარა ისას. უ ბაშა აშვაურა აკუხით, უ აბრი დყვეშეას აგეაკრა კამეთ, აქნი აკები აქსახუამ. ხანაშე ციგება ისახარკართა ხეაცე აიკერება არა არა ადამიანი არამედ სიკეთითა და მიმტევებლობით გამორჩეული პიროვნება. საბედისწერო წუთებში შვილმკედარი მამა ნებისყოფის არაჩეულებრივ სიმტკიცეს იჩენს და ღირსეულად იტანს განსაცდელს. მოხუცის ასეთი თავდაჭერილი და ღირსეული მოქმედება სტუმრის არსებაშიც ახდენს მეტამორფოზას. ის არა მარტო ფიზიკურად გადარჩენილი, სულიერად გარდაქმნილი ტოვებს მასპინძელი მოხუცის სახლკარს: „ნელა დახარა თავი სტუმარმა, ნელა მიიტანა ტუჩებთან მოხუცის ჩოხის კალთა, მოკრძალებით ეამბორა მას, სიტყვის უთქმელად გავიდა ფაცხიდან და სიბნელეში გაქრა“. სტუმარი ამ უესტით ჩადენილ ცოდვასაც ინანიებს და მოხუცის კეთილ გულსაც პატივს სცემს. აი, ეს არის სწორედ პიროვნების კათარზისი.

მიხა ლაკრბა იხვევა აზი იხეათეუპ, უ იაგეთით ვაჯა წევალე იპოე მა ზინვაგი ეიპშემ ასიუჯე, იკა ალიტერატურა ანყრა დასნი, იალე

տարո մրճամსօ. օգո „մժոბլույրո ხալնես պոյզա-ցեղովրեծօն, գրագութիւն, Յե-նորսութպատրիւրեծօն նոմշյեծօն մեծալույր դամշաբացեծա մշյալդա ալալ-մարտալո մշյալմեծօն ցուլնրցյելոնծօն, Տոնքուս-նամյասօնոնծօն լրմա ցրմենոնծօն” (Քյուր-լույլօ 1983: 209). ման նովելամո նոնա პլանից դապյոնա աճամոնալուրոն դա ամոտ սամականուրո մեցլո դալդա այեանո զա-ցուս Տոնքովնույր լուրսեծաս – ալամուսս.

### ՃԱԹՈԿԱՐԵՑՄԱՆ ԼՈՒՐԵՐԱԾՎՈՅ


1. անմեծա 1979: արգուր անմեծա, վլա-դոմյուր դարսալուս, մոեյուլ լակյուրծան (թյ-մոյմեցեծօնու Տոնքուրցի), „ալամարա“, Տոնքումո, 1979 (րուսուլ յնանց).
2. ծանօա 2010: սալոռմէ ծանօա-ոյ-րուամբուլո, այեանու շենոնլոցօն, „յնո-ցերսալո“, տձ., 2010.
3. զայսա 1964: զայսա-ցմազըլա, տեծոյ-լույնոն, թ. III, „սածքուտա սայարտվելու“ տձ., 1964.
4. ոնալ-ույտա 1965: մալզա ոնալ-ույտա, այեանու ծանօա, „ալամարա“, Տոնքումո, 1965 (րուսուլ յնանց).
5. լակյուրծան 2012: մոեյուլ լա-կյուրծան, ալամուսս (այեանու նովելլույն), „լուրերագուրուն մոյթյումո“, տձ., 2012.
6. յապծա 1984: րուսլան յապծա, մոեյ-ուլ լակյուրծան, „մերանո“, տձ., 1984.
7. մանույ 1931: ազակո մանույ, ხալ-սուրո Տոնքուս, I, եյշուրույնո, „սահելցա-մո“, թու., 1931.
8. Քյուր-լույլօ 1983: ոտար Քյուր-լույ-լուս, յարտուլ-այեանուրու լուրերագու-րույր-կուլուրույնո պուրտուրունոն, „նա-կագույնո“, տձ., 1983.

икаաւ խաւա խաւա. Սի “իւայայէլար րանհար’նաւա, աւասկաւ, աւայի ք քնամտա մատահակա սախարկա ան այշա դալագի լաբէա իւաշու ախտի, իւաաւու իլամաս անյրալ” (Չորբ ուլիա 1983 շ. 204). Սի անավելլա ակն այշայէարա աւտի այանա, սի ալ այրան իկա այշա խաւա խաւա – ալամուսս.

### ԱԽԵԿԱՐԵԱՐԱ ՀՄՕՍ ԱԼԻՏԵՐԱՏՈՒՐԱ:

1. Անշա 1979 շ. Արտուր Անշա, Վլամիլ Դարսալիա, Միխա Լակրբա, (արքարատ պարտրետ), “Ալաշարա”, Ակա, 1979 շ. (որուս բայշալա).
2. Բախա 2010 շ. Սալոմե Բախա – Օկրաշվիլի, Այշա աւտոլոգիա, “Սնուաւ վերսալ” Կա. 2010 շ.
3. Վայա 1964 շ. Վայա Պյանավելա, իապամտակա 3 տ. Ասօվետ Կարտա Կա. 1964 շ.
4. Ինալ’իյա 1965 շ. Շալվա Ինալ’իյա, Այշա, “Ալաշարա”, Ակա 1965 շ. (որուս բայշալա).
5. Լակրբա 2012 շ. Միխա Լակրբա, Ալէ ամաս (այշա նովելլակա), “ալիտերատ պատ մուզե”, Կա. 2012 շ.
6. Կապծա 1984 շ. Ռուսլան Կապծա, Միխա Լակրբա, “Մերանո” Կա. 1984 շ.
7. Շանիյ 1931 շ. Ակա Շանիյ իյ, այշա այշա պուրա, 1. Խևսուրտա, “Սահելցամ” Թֆ. 1931 շ.
8. Չորբուլիա 1983 շ. Օտար Չորբուլիա, ակարտա այշա ալիտերատ ակույտ պատ եւ կազաաշակա, “Նակադուլի” Կա. 1983 շ.

## ზაზა აბზინიძე



### დაკარგული იღენტობის ძიებაში

(მინაწერები ზაზა ფირალიშვილის წიგნზე „ქართული კალეიდოსკოპი“)

**კალეიდოსკოპი** – ჩვენი თაობის ბავშვობის განუყოფელი ატრიბუტი: ჭუჭრუტანა შენი სურვილისამებრ ცვალებად, ფერადოვან სამყაროში, განცვიფრებისა და აღტაცების წყარო... ვინ იფიქრებდა, რომ მრავალი წლის შემდეგ მეტაფორად გარდასახულ ამ უწყინარ სათამაშოს მწარედ დაფიქრებული გადავდებთ გვერდზე, რადგან მის ჯადოსნურ ნაჭვრეტში ამჯერად ჩვენივე ხელშეწყობით გამოძრნილი სინამდვილის გულსატკენი და შემაშფოთებელი სურათები დავინახეთ.

„ქართული კალეიდოსკოპი“ (მოკრძალებული მოცულობის მიუხედავად) – თავისი ისტორიულ-ლიტერატურული რეტროსპექტივით, თავისი ანალიტიკური წვდომებითა და ულმობელი დასკვნებით არა მხოლოდ ზაზა ფირალიშვილის, მთელი ბოლოდროინდელი ქართული ესეისტიკის ერთი-ერთი ყველაზე ხერიოზული ტექსტია, რომელსაც, ჩემი ნება რომ იყოს, ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკური ფაკულტეტების სტუდენტთათვის სავალდებულო საკითხავ წიგნთა ნუსხაში შევიტანდი.

**რა არ არის ამ წიგნში:** პათოსი – ზეღირებული იდეებით, შესაბამისი რიტორიკით, კლიშეებითა და „ისტორიული ფოტოშოპით“; პოლიტიკა – ამ სიტყვის სემანტიკურ ველზე დაზავებული ნაგავ-

საყრელით; პოტენციური ოპონენტებისაკენ მიმართული აგრესია!

**რა არის:** მყითხველს წიგნის არქიტექტონიკაზე ზოგადი წარმოდგენა რომ შეექმნას, ალბათ, უმჯობესი იქნება, აქ მისი სარჩევი მოვიხმო (მით უმეტეს, ჩემი მინაწერები გვერდიგვერდ გასდევს თითოეულ თავი): წინათქმა; XVI-XVIII საუკუნეები და ქართული სულიერების ბედი; საბა და ქართული კოსმოსი; ილია: ისტორიული კონტექსტი და პიროვნება; რამდენიმე ფრაგმენტი ვაჟას შესახებ; სიზმრად გამოღვიძება (ესე ოთარ ჭილაძის შესახებ).

ამ წიგნის მთავარი ღირსება – გაბედულება საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტების, ღირებულებებისა და შეფასებების საპირისპირო დასკვნებისა და შეფასებების გამოთქმისას. კიდევ ამიტომაც მინდა, ჩემი მარგინალიერი ისტორიის, ლიტერატურის, კულტუროლოგიის, სოციო და ეთნოფსიქოლოგიის გადაკვეთაზე შექმნილი ამ ესეების არშინებზე, ისეთივე მიუკერძოებელი და გულწრფელი იყოს, როგორიც თავად „ქართული კალეიდოსკოპია“.

**წინათქმა:** ხშირ შემთხვევაში წინათქმას მხოლოდ ფორმალური როლი ენიჭება – ვითარც წიგნის სტრუქტურის აუცილებელ ელემენტს. მაგრამ „ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორი მისი ძირითა-

დი კონცეპტუალის ჩამონათვალს სწორედ წინათქმაში გაგვანდობს და გვეკითხება: „ჩვენ, როგორც ისტორიის სუბიექტებს, გვაქვს თუ არა ის, რასაც შეგვიძლია, და-ვეყრდნოთ? არსებობს თუ არა ის ღერძი, რომელიც გაამართლებდა უმძიმეს რამ-დენიმე საუკუნეს, ბოლშევიზმის ათწლეულებს, დამოუკიდებლობის ოცდახუთ წელს – ომებს, სამოქალაქო დაპირისპირებას, ტერიტორიების დაკარგვას, ხელისუფლებათა მონაცვლეობას რადიკალურ და ირაციონალურ განწყობილებათა ფონზე, ადამიანურ მსხვერპლს, მძიმე სოცი-ალურ გარემოსა და მრავალი ადამიანის სულში გაბატონებულ უიმედობას“ (გვ. 6).

ამ მეტაფორულ „ღერძს“ სხვაგვა-  
რად „ნაციონალური იდენტობა“ ჰქვია  
და არაა გასაკვირი, რომ საუკუნოვან  
გზაზე ეროვნული იდენტობის განლევი-  
სა თუ გამოცოცხლების ესოდენ ძნელად  
მოსახელთებელი ნიშნების თვალმიდევ-  
ნება განაპირობებს ზაზა ფირალიშვი-  
ლის წიგნის დისკურსსაც და წარსულთან  
თუ თანამედროვეებთან მისი დიალოგის  
მთავარ თემასაც: „როგორც ჩანს, ჩვენ  
ჯერაც ვერ ვქმნით იმ ლირებულ ფორ-  
მებს, რომლებშიც ჩვენს თავს განვათავ-  
სებდით და ჩვენს სულიერებას ასპარეზს  
მივცემდით. ამგვარი საზოგადოებრივი  
შემოქმედების ადგილს ექსტრემისტული  
განწყობით თრობა იკავებს და ამიტომაც  
იქცა ირაციონალური და არსებული სი-  
ნამდვილის რადიკალურ უარყოფაზე ან  
რადიკალურ მიღებაზე აგებული ისტო-  
რიულად უნაყოფო ვნებათაღელვა მი-  
ტინგისა საზოგადოებრივი ცხოვრების  
უმაღლეს ფორმად... შემდეგ ვრნმუნდე-  
ბით, თუ როგორი უსაზრისოა ამ ფორ-  
მებისათვის ბედის მინდობა და ახალი  
კოლექტიური ენთუზიაზმით აღვსილნი  
კვლავ აღვიძრებით. შესაბამისად, ვიღებთ  
იმას, რასაც ვიღებთ და ამ წრებრუნვას  
დასრულება არ უწერია, სანამ ისტორი-  
ული („ისტერიული“ ხომ არ აჯობებდა?!  
– ზ.ა.) არტისტიზმის მთელ მანკიერებას  
არ გავიზიარებთ“ (გვ. 7-8).

რაღა თქმა უნდა, შემთხვევითი თან-  
ხვედრაა, მაგრამ სიმბოლურად მეჩვენა,  
რომ „ქართული კალეიდოსკოპის“ გამო-  
ცემას თანხვდა ერთი ამერიკელი უურ-  
ნალისტისა და პოლიტოლოგის ახალი  
წიგნის ქართული თარგმანის პრეზენტა-  
ცია: ეს უურნალისტია თომას გოლცი,  
რომელმაც (ბევრი სხვა თავისი კოლე-  
გისაგან განსხვავებით), საქართველო-  
ში ყოფნისას (ჯერ კიდევ 1992 წლიდან  
– 2008 წლის ჩათვლით) როგორლაც გა-  
ითავისა ეს ქვეყანა, მისი პრობლემები  
და აქედან წასულს საქართველო თავი-  
სი ბიოგრაფიის დახურულ ფურცლად  
არ ჩაუთვლია; ამისი დასტურია მისი  
400-გვერდიანი წიგნი „საქართველო –  
ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონი-  
კა პოსტსაბჭოთა კავკასიაში“. გოლცის  
დასკვნა ჩვენი ქვეყნის ბოლოდროინდე-  
ლი დრამების თვალმიდევნებისას საკ-  
მაოდ წააგავს „ქართული კალეიდოსკო-  
პის“ ავტორის პროგნოზს: „რაც შეეხება  
თვით საქართველოს, რამდენადაც უნდა  
იყოს გეოგრაფიულად შევიწროებული, ან  
თუნდაც რუკიდან ამოშლილი, გარკვეუ-  
ლი პერიოდის განმავლობაში, როგორც  
უნინ ხდებოდა ხოლმე, ადგილმდებარე-  
ობის წყალობით, თავისი განუწყვეტელი  
მშფოთვარე ისტორიით, კვლავ განაგ-  
რძობს არსებობას, რადგან მისი საყვა-  
რელი, თუმცა ჯერ კიდევ მთვლემარე  
და კვლავაც პრობლემატური, პოეტური  
ხალხი თავისისას გაიტანს და არასდროს  
შეწყვეტს არსებობას. თუმცა არც სის-  
ხლიან შურისძიებებს, ჭაჭით თრობასა და  
პოლიტიკურ ქაოსს შეწყვეტს იგი“ (თო-  
მას გოლცი, „საქართველო – ომისა და  
პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბ-  
ჭოთა კავკასიაში“, თბ., 2014, გვ. 373).

ის, რაც ვერ თქვა ქართველმა ესეის-  
ტმა (და ფსიქოლოგიურად გასაგებიცაა –  
ვერც ამოთქვამდა! თუმცა მთელი მისი  
ნიგნი ამ საშიშროების რეალობაზე მეტ-  
ყველებს) – პროფესიული ულმობლობით  
მკაფიოდ ჩამოაყალიბა ამერიკელმა ჟურ-  
ნალისტმა: თუ ამ ქვეყანაში არ შეწყდება



„სისხლიანი შურისძიებები, ჭაჭით თრობა და პოლიტიკური ქაოსი“, „საყვარელი და პოეტური“ ქართველი ხალხი მაინც იარ-სებებს, მაგრამ, არაა გამორიცხული, აღ-მოჩნდეს „რუკიდან ამოშლილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როგორც უნინ ხდებოდა ხოლმე“.

ასე, ექისავით შეეხმიანა ოკეანის გალმიდან ზაზა ფირალიშვილის „მკვა-სე შეძახილს“ თომას გოლცის ფხიზელი „პროტესტანტული ეთიკით“ ნაკარნახე-ვი ალტერნატივა – ძალიან უსიამოვნო და შემაშფოთებელი, მაგრამ ამდენადვე დროული, რადგან – „ვკარგავთ იმას, რა-საც არ ვუფრითხილდებით!“

ეს სიტყვები ზაზა ფირალიშვილს შე-ეძლო, დევიზად წაეწერა თავის წიგნზე, რომლის პირველ, რეტროსპექტიულ ნა-ნილს, ახლა მივუბრუნდებით.

**XVI-XVIII საუკუნეები და ქართული სუ-ლიერების ბეჭი:** „ქართული კალეიდოს-კოპის“ ავტორის რწმენით, XVI-XVIII სა-უკუნეების სულისკვეთების სიღრმისეულ შეგრძნებას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნე-ლობა აქვს, რადგან სწორედ იმ დროს შებილი „მკვდარი მეტაფორები“ კისერზე შებმულ ქვასავით ამძიმებენ ჩვენს ეროვ-ნულ სხეულს და ჩაძირავენ კიდეც, თუ „ერთ დღეს ერთეულებში გამჟღავნებული ნება არ აიძულებს, რომ ქიმერებად ქცეული ძველი სახეები თავიდან მოიშო-როს და საკუთარი კულტურული და სუ-ლიერი პოტენციების გასამუღლავნებლად ახალი ფორმებისა და სახეების ძიებას შეუდგეს“ (გვ.16). ზაზა ფირალიშვილის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მისი მოკ-ლე კულტუროლოგიური რეტროსპექტი-ვა ზემოხსენებული ეპოქისა სწორედ იმ „სულისკვეთების სიღრმისეულ შეგრძნე-ბას“ ჰქადებს, რომელიც ასე ხშირად აკ-ლია საგულდაგულოდ დაწერილ ვრცელ დისერტაციებსა და გამოკვლევებს.

„ქართული კალეიდოსკოპის“ ამ თავს რამდენიმე, ჩვენთვის საბედისწერო, ნი-შანსვეტი გასდევს: 1453 წლის 29 მაისს სულთან მეჰმედ II-ის ჯარმა აიღო კონ-

სტანტინოპოლის; 1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზმა დაადასტურა ქვეყ-ნის დაშლა; 1555 წელს დაიდო ამასი-ის ზავი, რომლის თანახმად, დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ერგო, ხოლო ქართლ-კახეთი სამცხე-საათაბაგოსთან ერთად – ირანს; დაბოლოს, იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემ-ბრის მანიფესტით დაიწყო „ისტორიული კაპიტულაცია“ (ავტორისავე თქმით), ანუ – უქმდება ბაგრატოვანთა ტახტი და საქართველო, საბოლოო ჯამში, რესეტის განაპირობებიდ გადაიქცევა.

XVI საუკუნიდან ისტორიულ მოვლენა-თა შედეგად, ცივილიზებული სამყაროს პერიფერიაზე აღმოჩენილ ქვეყანაში პა-რალიზებულია ეროვნული ენერგია და ისეთი განუკითხაობა და ზნეობრივი და-ცემა (ზაზა ფირალიშვილის ტერმინოლო-გით „რელატივიზმი“) ისადგურებს საე-რო თუ სასულიერო ფენაში, რომ ერის გენოფონდს განადგურება ემუქრება (არ-ცაა გასაკვირი იმ სიტუაციაში, სადაც ერი და ბერი ტყვეთა სყიდვითაა დაკავე-ბული; ავტორის თქმით – „კოლექტიური სუიციდის“ პროცესია! უფრო დაწვრილე-ბით იხ.: მაკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1982 – არა-ერთგზის ციტირებული „ქართულ კალე-იდოსკოპში“).

როდესაც ვკითხულობთ, რომ „ქარ-თული სულიერება მძიმე სენით აღმოჩ-ნდა დაავადებული“, რომ ქვეყანაში არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ იდენ-ტობათა კრიზისია, რამაც „ისტორიი-დან განდევნილი ერი, არსებითად, გა-დაუქრელი ამოცანების წინაშე დააყენა“ (გვ. 52), ვგრძნობთ, რომ ეს მწარე დი-აგნოზი მხოლოდ მაკარი ანტიოქიელის ჩანაწერების შთაბეჭდილებით არაა ნა-კარნახევი. აი, სად იგრძნობა ფილოსო-ფოსისა და კულტუროლოგის თვალი, რომელიც მენტალურ კრიზისს ხედავს იქ, სადაც ისტორიკოსი „ექსპლოატაცი-ის მახინჯ ფორმაზე“ ლაპარაკობს. სა-მართლიანად საყვედურობდა თავის კო-

ლეგებს პროფ. ილია ანთელავა: „ჩვენს ისტორიოგრაფიაში ტყვეთა სყიდვა ძირითადად დახასიათებულია, როგორც კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება, კლასობრივი ბრძოლის მახინჯი ფორმა“ (ილია ანთელავა, „ლევან დადიანი“, თბ., 1990, გვ. 117).

XVI-XVIII საუკუნეების ეპოქა, ავტორის მტკიცებით, დაღმასვლის ხანაა, რომელიც ახალი კულტურული პარადიგმების ნაცვლად, „ფსევდომორფოზებს“ (შპენგლერის ტერმინია) მიმართავს, რაც „ეთნომითოლოგიური წარმოდგენებით გაჯერებულ ნარატივში ეფემერული არსებობის ჩვევა და საკუთარი ბედის მარტიროლოგიურ ნათელში ხედვაა...“ (გვ. 15).

ზაზა ფირალიშვილი წერს იმაზეც, რომ, რანამს ექსისტენციურ ჩიხში მოვექცევით, სწორედ იმ დროიდან მოგვდევს აწმყოს „ისტორიულ გაუგებრობად“ აღქმა, ხოლო „პირქუმი სინამდვილის“ საპირნონედ წარსულის აჩრდილების გამოხმობა და „პრეტერისტული უტოპიების“ ქადაგება. ვერც დავით გურამიშვილის, ვერც სულხან-საბას ტალანტმა და მცდელობამ ვერ შეცვალეს „ისტორიიდან განდევნილი ერის მსოფლმხედველობრივი სამყარო, ის ინტელექტუალური წყვდიადი XVI-XVIII საუკუნეების ეპოქისა, რომელსაც ჩვენს ლიტრატურათმცოდნეობაში, საბჭოური ოპტიმიზმის ინერციით, დღემდე „აღორძინების ხანად“ მოვიხსენიებთ.

**საბა და ქართული კოსმოსი:** „ქართული კალეიდოსკოპის“ დასაწყისშივე გაისმა ერთი ავტორისეული თეზა მეტაფორულ „ტრიადაზე“, რომელიც შემდგომშიც გასდევს მთელ ამ ნარატივს: ესაა „ქართული სულიერების „სამ ბოროტ მეტაფორად“ გარდასახული სამი ხასიათი – ლუარსაბი, ყვარევარე და კვაჭი, რომელთა ჩამოყალიბებას ავტორი სწორედ საბას ეპოქას უკავშირებს, „რადგან სწორედ მაშინ გახდა დასაშვები და შესაძლებელი, რომ ადამიანებს ზნეობისა და გონების კანონების გარეშე ეარსებათ“. ამ დროიდან იწყებენ, ავტორის მტკიცებით „...მოძრაობას

ჩვენი კულტურის სხეულში „ფეხზე მოსიარულე მიცვალებულები“ – ლუარსაბი, როგორც ლაჩარი და აგრესიული უმეცრება, „ღვთის სიკვდილის“ ეპოქის პროდუქტი, რომელსაც აღარაფერი უშლის ხელს, რომ სრული მეტაფიზიკური კომპეტენცია იყისროს, თავი დემიურგოსად წარმოიდგინოს და მთელი თავისი უგუნური, უგვანი ფანტაზიები რეალურ პროდუქტებად აქციოს; ბოლოს კვაჭი, სრული და ყოვლისმომცველი ზნეობრივი რელატივიზმის ეს ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი განსახიერება“ (გვ. 68-69). გაცილებით ნაკლებდამაჯერებელია ავტორი, როდესაც იგი აქვე, ზემოხსენებულ ტრიადას მეოთხე მეტაფორულ ანტიგმირს მიუერთებს – სტალინს (მისივე განმარტებით: „იგულისხმება სტალინი არა როგორც რეალური პოლიტიკური აქტორი, არამედ ის ხატება, რომელიც ამ აქტორისაგან კოლექტურმა საზოგადოებრივმა მუცლიოთმეზღაპრეობამ შექმნა“ (გვ. 60). მეც სწორედ ამ „ხატებაზე“ ვილაპარაკებ და იმ ნონსენსის შეგრძნებაზე, რომელიც „კვარტეტად“ გადაკეთებულმა „ტრიომ“ დატოვა: თუ ლიტერატურულ პარალელებზე ლაპარაკი, მაშინ სტავროგინი მოვიხმოთ დოსტოევსკის „ეშმაკნიდან“ და არა კვაჭი; დიახ, სტავროგინი, რადგან სტალინი, პირველ ყოვლისა, რესეთის ისტორიის ანტიგმირია და მხოლოდ მერე საქართველოსი. და თუ ლიტერატურული პარალელებიდან ისტორიულ ანალოგიებზე გადავალთ, ნამდვილად უფრო წააგავს ივანე მრისხანეს, ვიდრე კვაჭი/ყვარყვარეს რუსულ ანალოგს – რასპუტინს, რადგან იგი ტირანია (ყველა სათანადო მახასიათებლით) და არა ყვარყვარეს მინაგვარი ძალაუფალის „გროტესკული კარიკატურა“ (როგორც აქაა ნათქვამი). რაც შეეხება მითს, რომელიც „კოლექტიურმა საზოგადოებრივმა მუცლიოთმეზღაპრეობამ შექმნა“: სტალინი ნაციონალური ნარატივის ნაწილად იქცა იმ დროს, როცა ეფექტური საბჭოური პოლიტიკულოგიების (და რეპრესიული აპარატის – „შიში

შეიქმის სიყვარულსა“!) მიუხედავად, დამოუკიდებელი საქართველოს მომშობი რუსეთის არც ერთი ლიდერი არ ეხატებოდა გულზე ქართველ კაცს. მაგრამ, რადგან საზოგადოებრივი ცნობიერება მითოლოგიური კლიშების ტყვეობაში იყო, მაშინათვე აიტაცა ეს ახალი მითი და სტალინი ლამის ბაზალეთის ტბის ოქროს აკვნიდან სამშობლოს მხსნელი ჭაბუკის შარავანდედით წარმოსდგა... აյ სრულიად სხვა მექანიზმი ამოქმედდა. შორეული ანალოგიაა, მაგრამ მაინც მახსენდება, როგორ იქცნენ ბონაპარტისტებად საფრანგეთის ბატონობით ტრადიციულად უკავყოფილო კორსიკელი ნაციონალისტები ნაპოლეონის გაიმპერატორების შემდეგ... ეგებ ვცდები და აქ „საბჭოთა ბავშვობა“ მალაპარაკებს... თუ ასეა, მომინებს, გავიმეორო მერაბ მამარდაშვილის სიტყვები: „...ჩვენ ვართ არა მხოლოდ მსხვერპლი ძალადობისა, არამედ – მატარებელიც. ჩვენ ჩვენშივე ვატარებთ ამ დაავადების ნარჩენებს“ (მერაბ მამარდაშვილი, ცნობიერების ტიპოლოგია, თბ., 2011, გვ. 255).

როდესაც ზაზა ფირალიშვილი თავის მკითხველებს მიმართავს, რომ „ის ზნეობრივი და ინტლექტუალური კრიზისი, უფრო კი წყვდიადი, რომელიც საქართველოში XV საუკუნის შემდეგ გამეფდა, ხელახალ განცდას და გაგებას საჭიროებს და არა იდეალისტი უამთა აღმწერლის პიეტეტისა და მითის მთხზველობას...“ (გვ. 60), ინტელექტუალური დალმასვლის ანტითეზად გულისხმობს „განდობილთა მცირერიცხოვან ჯგუფს“, – პირველ ყოვლისა, სულხან-საბა თრბელიანი ახსენდება. „ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორი წერს იმ „ტიტანურ ამოცანაზე“, რომელიც საბამ იტვირთა, როდესაც განიზრახა შთამომავლობისათვის „სიტყვის კონა“ და „სიბრძნე სიცრუისა“ დაეტოვებინა და როდესაც, ახლა უკვე სერიოზული რისკის ფასად (მისი ასაკისა და იმუამინდელი შინა- თუ გარე სიტუაციის გათვალისწინებით), ევროპაში გაემგზავრა; დაბოლოს, როდესაც, ევროპით

იმედგაცრუებულმა, 1724 წელს, ვახტანგ მეექვსის დავალებით, ახლა უკვე რუსეთისაკენ აიღო გეზი, საიდანაც დაბრუნება უკვე აღარც ეწერა. „საბამ ცხოვრება და ძალისხმევა ორ მიზანს მიუძღვნა, – წერს ზაზა ფირალიშვილი, – ისტორიის სივრცეზე გაფანტული ჩვენი სულიერების ფრაგმენტების შეკავშირებას და ჩვენი სამყაროს ერთიან ქრისტიანულ კოსმოსში დაბრუნების იდეას. სხვაგვარად შეუძლებელი იყო ჩვენი „ისტორიაში დაბრუნება“... ისტორია ამ დროს, თურმერალაც სხვის გამოთქმას ცდილობდა და განსხვავებული გზებით მიდიოდა თავისი მიზნებისაკენ. საბას ცხოვრება ამ აზრითაც არის არაკონტექსტური, თუმცა კი მით უფრო გმირული და მნიშვნელოვანია, რადგანაც მისი ყაიდის მოღვაწეები, საბოლოოდ, სწორედ არაკონტექსტურობით პოვებენ თავიანთ ღირსებასა და ღირებულებას და უფალიც მათი მეშვეობით ჩვენთვის იდუმალ სათქმელს გამოთქვამს!..“ (გვ. 84-85).

**ილია: ისტორიული კონტექსტი და პიროვნება:** „ქართული კალეიდოსკოპის“ სულხან-საბასადმი მიძღვნილ თავში ავტორი წერდა, რომ დაკარგული იდენტობის ძიებაში იმდროინდელი ქართული საზოგადოება თავს ისტორიის ნაშთად უფრო აღიქვამს, ვიდრე სუბიექტად, და მიმართავს სუფრას, „რაც შემდგომ საუკუნეებში ისტორიიდან და რეალობიდან გაქცევის უნივერსალურ ქართულ საშუალებად იქცა“ (გვ.73). (უფრო დაწვრილებით ამ თემაზე იხ. სტატიების კრებული – „ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება“, თბ., 2000 წ.). არაა გასაკვირი, რომ ზნეობრივი რეაქცია „რეალობიდან გაქცეულ“, თვითირონიის უნარს მოკლებულ, „მუმიფიცირებულ“ საზოგადოებაზე კვლავ ძირითად დისკურსად აღიქმება, როდესაც მკვლევარის მზერა „ბედნიერი ერის“ ავტორზე გადაინაცვლებს: „დღეს შეიძლება, გაგვიჭირდეს იმის გააზრებაც, რომ პირველმა მან გაბედა ხმამაღლა განეცხადებინა ჩვენს თა-

ნაარსებობაში არსებული ფუნდამენტური მანკის შესახებ, რომლისთვისაც ვერა და ვერ მიგვეგნო, თუნდაც იმ მიზეზით, რომ არც კი ვეძებდით და რომელიც სული-ერების სასაფლაოდ აქცევდა (და ზედმეტად ხშირად დღესაც აქცევს) ჩვენს საზოგდოებრივ ცხოვრებას და, ამასთანავე, მანვე გვაუწყა იმ პირველადი ხმიანების შესახებ, მნიშვნელობას რომ გვანიჭებს და ჩვენს თანაყოფნას ქართულ თანაყოფნად აფორმებს“ (გვ. 100).

ზაზა ფირალიშვილი ილიას დროინდელი ქართული საზოგადოების უნუგეშო სურათის სიღრმეში ჩანვდომას ცდილობს: „შესაძლოა, ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით შეცდომას ვუშვებდე, – ნერს იგი, – მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორედ 1832 წელი ახდენს სიმბოლიზებას იმ მომენტისა, როდესაც ჩვენი ისტორიული იდენტობა ხელიდან გაგვისხლდა“ (გვ. 90). ვიდრე ამ ტირადის ავტორს შევეკამათებოდეთ, მოდით, გადავიკითხოთ გიორგი გოზალიშვილის „1832 წლის შეთქმულება“-ში თავმოყრილი დაკითხვის ოქმები, ვნახავთ, როგორ დაასმენს საგამოძიებო კომისიასთან ალექსანდრე ჭავჭავაძეს მისივე სიმამრი, ან გავისქნოთ ახლა უკვე „ლიტერატურული კოლაბორაციონიზმის“ პირველი ნიმუში: კრწანისის ბრძოლის მონაწილის, შემდგომ კი რუსეთის არმიის გენერლის გიორგი იესეს ძე ერისთავის (1760-1863) „მამულის გამოხსნისათვის“ – შეთქმულთა დასაქინებლად დაწერილი ლექსი – „დოდაევს, გვარით სისხლამ-ღვრულს, უგვარულოსა...“. ეგებ, აღარც მოგვინდეს კამათი... საყოველთაოდ ცნობილია, როგორ კვალი დატოვა ქართულ ლიტერატურაში სწორედ ამ ისტორიულ მონაკვეთში ნარმოშობილმა რომანტიზმა, მაგრამ XIX საუკუნის 30-იანი წლების „პოლიტიკური რომანტიზმი“ (კიტა აპაშიძის ტერმინია) აპსოლუტური კრახით დამთავრდა, რომლის სუსხსაც კიდევ დიდხანს ჰყავდა ტყვეობაში „ისტორიიდან განდევნილი ქვეყანა“.

ქართულ ლიტერატურულ მეტყველე-

ბაში გამჟღავნებული ეს „მონუსხულობის სინდრომი“ კარგად შენიშნა ზაზა ფირალიშვილმა და კალამი/ყალამი არ დაუზიგავს ამ ბოსხისმაგვარი, გროტესკული პანორამის შესაქმნელად. თავისი წიგნის ერთ-ერთ ყველაზე ექსპრესიულ პასაუში იგი წერს, რომ ეს „მონუსხულობის სინდრომი“, ანუ „არსებობის ნების ტოტალური დეფიციტი“ „პირველ რიგში, ჩანდა იმ ფსევდოარქაულ მეტყველებაში, რომლითაც გაულენთილი იყო ქართული ლიტერატურა და ინტელექტუალური სალონები. ამ მეტყველების ყალბ პათეტიკას და ფსევდოპიკურობას კვდომა უნდა დაეფარა, მაგრამ, სინამდვილეში, მასვე ადასტურებდა. ყველაზე ნათლად, ალბათ, სწორედ ამ ენაში, ამ უცნაურ, უსიცოცხლო, ყოფიერებასთან შეხვედრის სიხარულს მოკლებულ პომპეზურ მეტყველებაში ჩანდა იდენტობადაკარგული სალხის ტრაგედია“ (გვ. 92). ისტორიის რეალური განცდა ჰკარნახობს „ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორს, აღიაროს, რომ „ილიასა და მის გარემოცვას კვდომის ინერცია არ შეუჩერებიათ, ეს შეუძლებელიც იყო. მათ სააშკარაოზე გამოიტანეს იგი და მისი საპირნონე სიმძიმის ცენტრი შექმნეს. სწორედ ამით დაედო სათავე ჩვენს დაბრუნებას ისტორიაში“ (გვ. 101-102). (მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ დაინტერესებულ მკითხველს ამ დებულების ფუნდამენტური დასტური შეუძლია, იხილოს შოთა რუსთაველის ინსტიტუტის ამ წლის დასაწყისში გამოცემულ მონოგრაფიაში „ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში“).

დაკვირვებით თუ ნავიკითხავთ ზაზა ფირალიშვილის ტექსტს, ვიგრძნობთ, როგორი ფაქიზი ლიტერატურული ცურთასმენა ქმნის მისი ნარატივის ემოციურ კონტრაპუნქტს, როგორ დროულად ცვლის იგი რეგისტრს, როგორ მიმართავს სულის მოსათქმელ პაუზას და როგორი დამუხტული გვასმენინებს ფინალურ „ფორტეს“: „...ილიას მთავარი დანატოვარი – მართლად და პატიოსნად

აზროვნების უნარი – კვლავ ჩვენს უპირველეს ქრისტიანულ მოვალეობად და ხსნად რჩება“ (გვ. 104).

**რამდენიმე ფრაგმენტი ვაჟას შესახებ:**  
ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი „ფრაგმენტები“ ფრიად ორიგინალურად იწყება – 1882 წელს თბილისში და შემდგომ ქუთაისში მიხაი ზიჩის მიერ დადგმული „ცოცხალი სურათების“ აღნერით. გაუგებარია, რა არ მოეწონა ამ ზაზა ფირალიშვილს რუსთაველის პერსონაჟების თეატრალიზებულ გაცოცხლებაში?! ორივე ქალაქი გახალისდა, ისედაც ცნობილი ლამაზმანები და უღვაშებდანკეპილი არისტოკრატები – საყოველთაოდ ცნობილი გახდნენ, კიდევ რამდენს მიზეზი მიეცა, რუსთაველის პოემა გადაეკითხა... ამას კი არა და არ მოსწონს! და, აი, რას წერს: „ცოცხალი სურათების ესთეტიკა იქცა ძალზე ზუსტ გამოხატულებად ისტორიაში ღირსეული სტრატეგიისა, დღემდე რომ არის ჩვენი ატმოსფერო გაუდენთილი. ამ ფენომენში თავს ბევრი რამ იყრიდა: ისტორიდან განდევნის გამო ასწლეულების განმავლობაში განცდილი სასონარკვეთაც, პრეტერისტული ზმანებიც, პათეტიკური რომანტიკაც და გაქცევაც იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელსაც „აქ და ახლა“ აკისრებს პიროვნებას და საზოგადოებას. ... პეტერბურგში მალე მიხვდნენ, რომ ყოველივე ეს იოლად შეიძლებოდა, ქცეულიყო, პოლიტიკური თვალსაზრისით, უწყინარ გართობად.

... ყალბი მარგალიტებით გამართული ასეთი ნაციონალისტური თამაშობანა არათუ არ ემუქრებოდა იმპერიის ინტერესებს, პირიქით, შეიძლებოდა, მომსახურებოდა კიდეც და დროდადრო გაღვიძებული ეროვნული ენერგიის ფუჭად დახარჯვის საუკეთესო საშუალებად ქცეულიყო: ყალბი მიზნებისაკენ პათეტიკური ენთუზიაზმით სვლად, სურვილად, რომ ჩვენი თავი ჩვენივე ნებით გვექცია გახევებულ სამუზეუმო ექსპონატებად. ასეთი საზოგადოება კი უმაღ რეზიუ-

ისტორიულ ინტერესებს დათმობდა, ვიდრე თავის პათეტიკურ განწყობებს“ (გვ. 105-106). როგორი ჩაკირკიტება იციან ამ ფილოსოფოსებმა?! არადა, რა სწორნი არიან!

„ცოცხალი სურათების“ პარადიგმას „ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორი უპირისპირებს ვაჟა-ფშაველასა და ნიკო ფიროსმანის სამყაროს, რადგან, მისი რწმენით, ამდაგვარი „ცოცხალი სურათები“ სინამდვილეში კვდომას განასახიერებდა იმ კულტურისა, რომელსაც ცხოველმყოფელობა, „ვიტალური ძალა და არსებობის ნება“ ჯერ ვაჟა-ფშაველამ, შემდგომ კი ნიკო ფიროსმანმა შესძინეს: „ვაჟამ მოიტანა სწორედ ის, – წერს ზაზა ფირალიშვილი, – რაც ასე აკლდა ჩვენს სულიერ გარემოს: ყოფიერებასთან კავშირი და დაუკებელი ვიტალური ძალმოსილებით გაუდენთილი ნება იმისა, რომ ჩვენი სულიერება ღვთის პირველადი სიტყვის ამსახველი იყოს. რაც მთავარია, მას მოაქვს ნება იმისაც, რომ დანგრეულიყო სულის გახევებული ფორმები, ხოლო კულტურის შემქმნელი მეტაფორები კვლავ თავისი პირვანდელი ძალით ინვევდნენ რეზონანსს“ (გვ. 114).

ავტორისეული ინტენცია წამიერად მიგვახედებს გრიგოლ რობაქიძისაკენ, რომელიც წერდა, რომ ვაჟა, „მევდრეთით აღმდგარი ძე მითოლოგიური წარსულისა... მწყემსური ყოფისაგან დიდად შორს არ წასულა; მაგრამ მისთვის, განმჭვრეტი მწყემსისათვის, ჩუმ და იდუმალ ღამეში გადახსნილია ვარსკვლავთა ზეცა, და იგიც, სამყაროს საერთო მდუმარების უამს, გარდასახავს ცის ამ საიდუმლოს თავისი ლერწმის სალამურის მომხიბლავ ხმებად“ (გრიგოლ რობაქიძე, „ვაჟა-ფშაველა“. წიგნში: „ქართული სიტყვიერება“, ტ. 10, თბ., 2012, გვ. 93). და კიდევ ერთი ფრაზა რობაქიძისა: „მთავარი მოტივი ფიროსმანისა არის ქართული „მიწა“. მე არ შემიძლია, მეორე სახელი დავასახელო, გარდა ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ასე ეგრძნოს ამ მიწის „დედობა“, დღეობა,

ლრეობა!..” (იქვე, „ნიკო ფიროსმანი“, გვ. 143). რა სწორი იყო მიგელ დე უნამუნო, როდესაც თავისი „ინტრაისტორიის“ ძირითადი კონცეპტის თანახმად, ამა თუ იმ ეთნოსის „აკადემიურ“ ისტორიაზე უფრო მრავლისმეტყველ ფენომენად მის სულიერ წიაღში დაბადებული მითების, პოეზიისა თუ არტეფაქტების ერთობლიობას მიიჩნევდა...

**სიზმრად გამოლვიძება (ესე ოთარ ჭილაძის შესახებ):** „ქართული კალეიდოსკობა“ ჩვენს ისტორიულ-კულტუროლოგიურ გალერეაში ერთობ იშვიათ გამონაკლის ეკუთვნის და ეს გამორჩეული თვისება განსაკუთრებით იგრძნობა წიგნის ბოლო თავში. აქ ესეისტური ნარატივი, ერთი შეხედვით, არ სცილდება ოთარ ჭილაძის „გოდორის“ სიუჟეტს, მაგრამ სინამდვილეში არა მხოლოდ კომპოზიციურად, აზრობრივადაც ამთლიანებს და ასრულებს ქართული ისტორიის სამსაუკუნოვანი მონაკვეთის ავტორისეულ რეტროსპექტივას, სწორედაც რომ, ონტოლოგიური გადმოსახედიდან. მთელი ეს ფინალური თავი ერთი მეტაფორის – „სიზმრად გამოლვიძების“ განშლა. დაკარგული იდენტობის ძიებამ ავტორი სწორედ ამ მეტაფორასთან მიიყვანა და ათქმევინა: „ამ რამდენიმე ხნის წინ მივაგენი, რომ ოთარ ჭილაძეს ერთ-ერთ ინტერვიუში 80-იანი წლების ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით, სულ ორიოდე ფრაზით, სიზმარში გამოლვიძება უხსენებია. არადა, უკვე დაწერილი მქონდა, რომ მისი პერსონაჟები სიზმარში გამოლვიძებულებს მაგონებენ... ჩემთვის ეს აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი მეტაფორა იმ მდგომარეობის აღსანერად, რომელშიც გასული საუკუნის ბოლოდან ვიმყოფებით. ... ის, რაც გალვიძება და ისტორიაში დაბრუნება გვევონა, სინამდვილეში გალვიძების დასიზმრება ყოფილა“ (გვ. 132). რაღაც მეტაფიზიკური ტკივილით წერს ზაზა

ფირალიშვილი იმ „თავქარიან აღტკინებაზე“, რომელმაც იმპერიის კედლებში პირველი ბზარის დანახვისთანავე აიტაცა ქართული საზოგადოების აქტიური ნაწილი; იმ გამოუყენებელ შანსებზე, რომელიც მანვე, შემდგომ უკვე დიდ პოლიტიკურ თამაშში ჩართულმა, ეგზალტირებულ მიტინგებს ანაცვალა და იმ დანაკარგზე, რომლებითაც შეაძიგა XXI-ე საუკუნეში („ჩიხიდან გამოსავალი ერთგვარ კოლეგტიურ სუიციდში აღმოჩინეს და უცნაური ენთუზიაზმით მოგვიწოდებულენ მისკენ“).

მაგრამ, საბედნიეროდ, „ჩიხიდან გამოსავალი“ „ქართული კალეიდოსკობის“ ავტორისათვის მაინც არსებობს და ეს „სულის უკიდურესი სიფხიზლეა“. ის სიფხიზლე, რომელმაც ოთარ ჭილაძის „გოდორი“ უკვე XXI-ე საუკუნეში ერთ გამორჩეულ ზნეობრივ გზამკვლევად მოუვლინა მენტალურ ჩიხში აღმოჩინილი საზოგადოების „დიდ თუ პატარა მამხილებლებს“. არაა ძნელი შესამჩნევი, რომ „ქართული კალეიდოსკობის“ ფინალური ქლერადობა – ნაკლებ დრამატული და, ასე თუ ისე, მაიმედებელიც, „გოდორის“ თემებზე რეფლექსიამ განაპირობა. რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, ოთარ ჭილაძეს გულისხმობს ზაზა ფირალიშვილი, როდესაც წერს „განსაკუთრებული ძალის ადამიანებზე“, რომელებიც ფხიზლად „გვდარაჯობენ, რათა ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ილუზიებში ჩაძირული სულიერება ჩიხში საბოლოოდ არ ჩარჩეს. ისინი ახერხებენ, მკვდარ ფორმებსა და მოჩვენებით დინამიკაში ამოიცნონ ჩვენი სულის ის ვიბრაციები, რომლებიც, თუ ძალისხმევაც იქნა, ჩვენივე ღირსების საშენ მასალადაც შეიძლება იქცეს“ (გვ. 145).

„ქართული კალეიდოსკობის“ არშიებზე ამ ბოლო მინანქრში გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ზემოხსენებულ „გაბედულ მამხილებელთაგან“ ერთ-ერთად სწორედ ამ წიგნის ავტორი მიმაჩნია.



## ხელი განსხვავებულ კულტურებს შორის

ჰოლანდიურ-ქართული პროექტის დაარსებიდან ორი წლის თავზე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა-გამოფენა, რომლის ავტორი და სულისჩამდგმელი იყო ჰოლანდიაში მოღვაწე ქართველი პოეტი და მხატვარი ზურაბ კალანდაძე, ხელოვნების ნიმუშთა პრომოუთერი კი სამხატვრო გალერეისა და გამომცემლობის მფლობელი, კომერსანტი კრის კონეინენდაიკი. პროექტში, რომლის სახელწოდებაა „ქართული თანამედროვე ხელოვნება“, მონაწილეობდნენ მხატვრები: ლევან კვარაცხელია, ზაალ მელვინეთუხუცესი, თემურ ხმალაძე, ნუგზარ კალანდაძე, ზურაბ კალანდაძე, ნუგზარ კახიანი, გია

ცხადაია, რაფაელ რუბენი, დავით პოპიაშვილი, ეკა ოკიაშვილი, გიორგი კუხალაშვილი, მერაბ გაგილაძე, დავით გოუნაშვილი, რევაზ კვარაცხელია და მოწვეული მხატვარი უკრაინიდან – იულია უნტილოვა.

სალამოს უძლვებოდა პოეტი ბალათერ არაბული. მომხსენებლები – კრის კონეინენდაიკი, ჯემალ კუხალაშვილი, დავით ანდრიაძე, მაია ნინიძე. აქვე დამსწრე საზოგადოება გაეცნო ზურაბ კალანდაძის ლექსების ახალ კრებულსაც – „მაინტერესებს“ (გამომცემლობა „მთაწმინდა“). წიგნი ავტორისავე გრაფიკული ნამუშევრებით არის გაფორმებული.

კრის კონეინენდაიკმა, რომელიც საქართველოს პირველად სტუმრობდა,



ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე, მის შედეგებზე, მიზნებსა და პოლანდიელ ხელოვნებათმცოდნეთა შეფასებებზე.

თავის ვრცელ და ემოციურ გამოსვლა-ში ბატონმა კონეინენდაიკმა განაცხადა, რომ, თანამედროვე ქართული ხელოვნების შეფასების თვალსაზრისით, ცალსახად გამოიკვეთა მთავარი მამოძრავებელი ძალა – სულიერება და აღნიშნა: ის, რაც ჩვენ დავკარგეთ – საქართველოში ვიპოვეთ და ამაში უდიდესი წვლილი ბატონ ზურაბ კალანდაძეს მიუძღვისო.

### ჰარმონის მხატვარი

ბოლო ათი წელინადია, ბატონი ზურაბი ინტენსიურად მუშაობს დასავლეთში ქართველი მხატვრების პოპულარიზაციისთვის. მან კრის კონეინენდაიკიან ერთად პოლანდიში ოცამდე პროექტი განახორციელა და გამოსცა არაერთი კატალოგი, რამაც სასურველი შედეგი გამოილო: ქართული ხელოვნება, თავისი სულიერებითა და მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობით, მიმზიდველი აღმოჩნდა პოლანდიელებისათვის – ქართველ შემოქმედთა ნამუშევრებით სერიოზულად დაინტერესდნენ მაღალი რანგის ხელოვნებათმცოდნები და ფერწერის მოყვარულები, რის შემდეგაც ჩვენი თანამემამულების ნამუშევრებზე მოთხოვნა გაიზარდა.

„ზურაბ კალანდაძე იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც თვითმხილველია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, სამოქალაქო დაპირისპირების, რუსეთ-საქართველოს ომისა და ემიგრაციული ცხოვრებისა. ყოველივე ამის ანარეკლი

ნათლად ჩანს მის შემოქმედებაში. მისი შემოქმედებითი არეალი მოიცავს: მხატვრობას, პოეზიას, ლიტერატურათმცოდნეობას და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობას. ქართულ, პოლანდიურ, ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოცემული აქვს პოეტური და მხატვრული ნაწარმოებების ორ ათეულამდე კრებული. „მაინტერესებს“ მისი ლექსების მეოთხე გამოცემაა ქართულ ენაზე. კითხულობ კრებულს და პირველივე ლექსიდან პოეტისა და მხატვრის ერთიანი და განუყოფელი სამყაროს ზემოქმედების ქვეშ ექცევი: „უტყვა ტილოზე ფიქრების / უსხეულო ნაყოფებს / ფუნჯით ამოვუძერნე / სხეული ნაირფერი, / მივეც სახე სხვადასხვა, / თავისუფლად ვამყოფე, / ისე, ვით გალი-იდან / გაშვებული ფრინველი“.

ზურაბ კალანდაძის შემოქმედება –



ფერწერა და პოეზია – ერთი მთლიანი სამყაროა, სადაც ფერი და შტრიხი აძლიერებს სიტყვის ძალასა და სიღრმეს; გრძნობა და ნარმოსხვა ქმნის მთამბეჭდავ სურათს და ყოველივე ეს სამყაროსეულ ჰარმონიაშია, რომელიც სულის ღრმა პლასტებამდე აღწევს: „ხელთ გიპურია უბასრესი მახვილი – სიტყვა მჯრელი, / სულით ნასათუთარი, / საუკუნეს ესმის შენი ძახილი / ადამიანს წრფელი სიტყვა უთხარი“.

ცნობილმა ჰოლანდიელმა ხელოვნებათმცოდნემ, სიკა რომაინ ჰედმანმა, თავის სტატიაში ბატონ ზურაბს „ჰარმონიის მხატვარი“ უწინდა და ამ ორ სიტყვაში ჩაატია იმ ლირებულებათა არსი, რომელიც ზურაბ კალანდაძის შემოქმედებას ახასიათებს.

ბევრი ცნობილი ხელოვნებათმცოდნე

წერს ჩვენი თანამემამულის შემოქმედებაზე, მათ შორის, პროფესორი ენგელბერტ ბროკპაუსი, რომელიც აღნიშნავს: „ზურაბ კალანდაძის შთაგონების წყარო, მუზა, არის სამშობლო, საქართველო, რომელიც არასოდეს შორდება მის სულს“. სწორედ ეს უწყვეტი სულიერი კავშირი სამშობლოსთან არის ის ძალა და ენერგია, რომელიც არა მარტო მის შემოქმედებაში ჩანს, არამედ იმ დიდ მამულიშვილურ საქმეშიც, რომელსაც უკვე ათეული წლებია ეწევა უცხოეთში.

ბატონი ზურაბის შემოქმედების ქვაკუთხედი, ბირთვი, საიდანაც მისი ხელოვნება ამოიზარდა და მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა, ქართული ანბანია. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პიტ ავგუსტაინი თავის რეცენზიაში სწორედ ამას უსამს ხაზს: „ზურაბ კალანდაძის მხატვრულ ნამუშევრებს საფუძვლად უდევს ქართული ანბანის გრაფიკული სტილისტიკაში ამომავალი ფორმათა ენა, მზის სიუხვე და... მშობლიური მხარის კულტურაზე დამყარებული ფერთა გარდამავალი ტონები და თემატიკა“.

ქართული დამწერლობის ანარეკლს ზურაბ კალანდაძის შემოქმედებაში საგანგებოდ შენიშნავს ტამარა ჩუდინოვსკაიაც (ხელოვნებათმცოდნე, დოქტორი): „ხელოვანის შემოქმედების საწყისი, გენეტიკა, სისხლის ძალა თავს იჩენს და ვლინდება მეოცე საუკუნის ავანგარდული ხელოვნების მიერ ნაშობ საერთაშორისო ფორმათა ენაში, მაგრამ კლასიკური ავანგარდისაგან მის სტილს გამოარჩევს პოეტური ხედვა და მკვეთრად ნაციონალური აქცენტები“. ხოლო მიხეილ გერმანის (ხელოვნებათმცოდნე, დოქტორი) აზრით: „იმის გამო, რომ მის ფერწერულ ტილოებში ერთდროულად შეიგრძნობა ბგერა, უჩვეუ-



ლო რიტმიკა და ლიტერატურული რემინისცენციების მთელი ფეირვერკი, ისინი უამრავ ასოციაციას იწვევენ და განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენენ მნახველზე<sup>1</sup>. მხატვარი ჰუბ ტილენი კი აღნიშნავს: „პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ჩემში მისმა ნახატებმა გამოიწვია, იყო ასოციაცია პოეზიასთან“. იგივე განცდა ჩანს ქართველი ხელოვნებათმცოდნის, ალექსანდრე ჩხაიძის შეფასებაშიც: „ლირიზმი, პოეტურობა, რომელიც ვლინდება ზურაბ კალანდაძის მხატვრულ ტილოებში, მისი სულის მდგომარეობა და მსოფლალემაა“.

გამომცემლობა FCA Editions-ის დირექტორი, კრის კონეინენდაიკი ასე აფასებს ზურაბ კალანდაძის შემოქმედებას: „მან მოახერხა ხიდის გადება განსხვავებულ კულტურებს შორის, რაშიც ხელოვანს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისმა ნარმომავლობამ და კულტურულმა მექანიზმამ“.

ძნელია, ერთ სტატიაში ჩაატიო ზურაბ კალანდაძის სრული შემოქმედებითი პორტრეტი, მაგრამ რამდენიმე ამონარიდი ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის, მათა ნინიძის, ნარკვევიდან, ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტ და მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწოდებს მკითხველს:

„პოლანდიელები ზურაბს თავიანთ მწერლად და მხატვრად მოიხსენიებენ, მაგრამ, ამასთანავე, მის პოეზიასა და ფერწერულ ტილოებში ყველა ერთხმად აღნიშნავს ქართული ფესვის სიმძლავრეს, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი ინდივიდუალური სტილის ჩამოყალიბებაში“.

ზურაბ კალანდაძის ლექსების რუსულ ენაზე მთარგმნელი ირენა სერგეევა აღნიშნავს: „როდესაც უახლოვდები ამ დალოცვილი ქვეყნის უკიდურესად თვითმყოფადი კულტურის სილრმესა და ამოუწერაობას, ამავე დროს უახლოვდები ამ ხელოვანის უნიკალურ სამყაროსაც“.

1996 წელს პოლანდიურ ენაზე გამოვიდა ზურაბ კალანდაძის პირველი პო-

ეტურ-გრაფიკული წიგნი „ცრემლები“; ასევე გამოვიდა კრებული „გრძნობების თეატრი“, რომელიც პეტერბურგელი ქართველი მხატვრის ლევან კვარაცხელიას ნახატებით არის გაფორმებული, შერეული კრებული – „გაშალე ფრთები“ კი ახალგაზრდა მხატვრის, ეკა ოკიშვილის ფერწერით. კრებულებში: „ევროპული ბალები“ და „ცისფერი სარკმელი“ ზურაბ კალანდაძის ლექსებთან ერთად ნარმოდგენილია სხვადასხვა შემოქმედთა ფერწერული ტილოებიც.

2000 წელს ზურაბ კალანდაძემ და ელგუჯა გიუნაშვილმა ამსტერდამში გამოსცეს უაღესად მნიშვნელოვნი წიგნი „ბიბლიის ლექსიკონი“ (ორ ტომად) და 1000 ეგზებულარი საჩუქრად გადასცეს საპატრიარქოსა და თბილისის უნივერსიტეტს.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ზურაბ კალანდაძემ პოლანდიაში თავი მოუყარა სხვადასხვა ეროვნების თანამოაზრებს: პოეტებს, მხატვრებს, მუსიკოსებს



გიორგი კუხალაშვილი და მისი ნახატი.

და სამ ქვეყანაში – პოლანდიაში, ბელგიასა და გერმანიაში ოცი მშვიდობიანი აქცია გამართა.

2012-2013 წლებში დაიბეჭდა ზურაბ კალანდაძის ორი საავტორო წიგნი: „გრაფიკა და პოეზია“ და „ფერწერა და პოეზია“. 2012 წელს კი პოეზიისა და ფერწერის გვერდით პოეტის ერთი ლექსის – „მფრინავი ფოთლების“ გამოცემაში გაჩნდა მუსიკა-ლექსი, რომელიც დაიბეჭდა ავტორის ეულ ფერწერასა და მის მიერვე შექმნილი მელოდიის პარტიტურასთან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვანი ტრადიციებს უდიდეს პატივს სცემს და სულიერი ლირიკულებები ხელშეუხლებლად მიაჩნია, იგი ახალი ფორმებისა და გამომსახველობითი საშუალებების მუდმივ ძიებაშია. მისთვის არ არსებობს ყრუ კედელი არც ხელოვნების სხვადასხვა დარგს (პოეზია, მხატვრობა, მუსიკა) და არც შემოქმედებით პრინციპებსა თუ მე-თოდებს შორის. XX საუკუნის მიწურულს



სხვადასხვა სტილისა და მიმდინარეობის პოლანდიელ მხატვრებთან: იუჟინ სტინისა და პარი ფლამინგსთან ერთად ჩამოაყალიბა მხატვართა ჯგუფი – „არტტრიო კონტრასტი“. როგორც ზურაბ კალანდაძე ამბობს, ეს შემოქმედებითი გაერთიანება შეიქმნა დამოკიდებულებათა მრავალფეროვნებისა და იმ დიდი განსხვავების წარმოსაჩენად, რომლებიც თავს იჩენს მხატვრობის სამყაროში გამოხატვის ფორმების მხრივ“.

•

ჩვენი უურნალი დაინტერესდა ბატონი ზურაბის შემოქმედებით და მისგან მცირე ინტერვიუ აიღო.

**– ბატონო ზურაბ, ამ პროექტის დეტალებზე მინდა გაგესაუბროთ. კონკრეტულად როგორ დაიწყო?**

– ჯერ კიდევ 10 წლის წინათ გამიჩნდა სურვილი, ქართველი მხატვრები პოლანდიელებისათვის გამეცნო. ჩემი იდეა ჩემს მეგობარს, პოლანდიელ პოეტს, უილიამ კოკენს გავუზიარე და მანაც აიტაცა. ბატონ კოკენს თავისი გალერეაც აქვს, რაც ამ იდეს განხორციელებას აიოლებდა. გამოფენათა სისტემაში მოყვანა და ნამუშევრებისათვის კომერციული მნიშვნელობის მინიჭება ხელოვნების ნიმუშთა პრომოუთერმა, კომერსანტმა კრის კონეინენდაიკა ითავა. იგი სამხატვრო გალერეისა და გამომცემლობის მფლობელიცაა. ერთი სიტყვით, შემოქმედებითი და კომერციული ტანდემი შეიქმნა და საქმეც დაიძრა.

**– ბატონი კრის კონეინენდაიკი მარკეტინგულ მიმართულებას კურირებდა?**

– დიახ, მთელი ამ ათი წლის მანძილზე მისი თანადგომითა და ენთუზიაზმით ოცზე მეტი სამხატვრო და ლიტერატურული პროექტი განხორციელდა, რამაც მთლიანად 180 გამოფენა მოიცვა. იგი თავისი საქმის პროფესიონალი და საოცრად ფაქტი ადამიანია. თითოეული ჩვენი თანამემამულის ნახატზე თავად მუშაობდა, სათუთად არგებდა ჩარჩოს, ფერავდა ლაქით და ურჩევდა ადგილს, სადაც

უნდა დაეკიდათ. გამოიცა არაერთი სარეკლამო ბროშურა, გამოქვეყნდა ასამდერეცენზია. ამასთანავე, ზოგიერთ პროექტში ჩართული იყო ქართველ პოეტთა ლექსების ჰოლანდიური თარგმანები. ერთ-ერთმა ასეთმა წიგნმა, რომელშიც სხვებთან ერთად ორი ქართველი პოეტის (მათ შორის, ამ შეხვედრის წამყვანის, ბალათერ არაბულის) ლექსებიც იყო, გამოცემის კვარტლის „ყველაზე მეტად საკითხავი კრებულის“ ტიტული დაიმსახურა. ყველაფერი ეს კრის კონეინენდაიკმა უზრუნველყო ფინანსურად, რათა მაქსიმალურად წარმოჩენილიყო ქართული ხელოვნება.

– რომელი ქართველი მხატვრები გახდნენ ჰოლანდიაში ყველაზე პოპულარულები?

– პირველ რიგში, მინდა მოვიხსენიო ნუგზარ კალანდაძე და გია ცხადაია, რადგან ისინი ვეღარ მოესწორებიან თავინთი გამოფენების გახსნას, მაგრამ მათი ხელოვნება ჰოლანდიელ ფერწერის მოყვარულებს დღესაც ახსოვთ. რაც შეეხება სხვებს, ჰოლანდიული მხატვრები გახდნენ: მამა-შვილი ლევან და რევაზ კვარაცხელიები – პეტერბურგიდან; დავით გიუნაშვილი – ინგლისიდან; ნუგზარ კახიანი – ლიტვიდან; თემურ ხმალაძე, მერაბ

გაგილაძე, გიორგი კუხალაშვილი, დავით პოპიაშვილი, ეკა ოკიაშვილი, ზაალ მელვინეთუხუცესი. ამ მხატვრების ნამუშევრებმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ხელოვანთა წრეში, ფერწერის მოყვარულებსა და, ზოგადად, ფართო საზოგადოებაში.

– ბატონო ზურაბ, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ამ პროექტის განახლება, მხედველობაში მაქვს „ქართული თანამედროვე ხელოვნება“, სხვა მხატვრების ჩართვით?

– ვფიქრობ, ეს პროექტი განახლდება იმავე იდეით, მაგრამ ახალი სახელით, რომელშიც სხვა მხატვრებიც მიიღებენ მონაწილეობას, რაც უდავოდ წაადგება ჩვენი ხელოვნების ჰოლანდიზაციას საზღვარგარეთ.

თქვენი უზრნალის მეშვეობით, მინდა, კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა გადავუხადო კრის კონეინენდაის ქართული ხელოვნების დაფასებისათვის და იმედი ვიქონიო, რომ მომავალი პროექტების განხორციელების დროსაც ამოგვიდგება მხარში.

**არტოვრიუ მოამზადა  
მარიკა კახაძემ  
ფოტომასალა –  
ქეთი გომართელმა**